

მანია მარიამ სახოკია

თანამედროვე სპარსული ენის
სინტაქსი და მორფოსინტაქსი
ქართულენოვანთათვის

ტიპოლოგიური თვალსაზრის
საავტორო გრამატიკა

شان	م	که	ش
	ت	تو	آ
مان	ی		را
ی‌را	از	تان	در

მაია მარიამ სახოკია

თანამედროვე სპარსული ენის სინტაქსი და
მორფოსინტაქსი ქართულენოვანთათვის

ტიპოლოგიური თვალთახედვის საავტორო
გრამატიკა

ენობრივი სიახლეები და კოდიფიკაციური
ინოვაციები



გამომცემლობა „ქანკვერსალი“
თბილისი 2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის
სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**Ilia State University
G. Tsereteli Institute of Oriental Studies**

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელობის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში
გამარჯვებული პროექტის შესაბამისად და ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტის (გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის) პროგრამული
გეგმიური სამეცნიერო პროექტის ფარგლებში

**This Monograph had been carried out according to The
State Scientific Grant of Shota Rustaveli National
Foundation Awarded to the Winner Corresponding Project
and according to
Ilia State University and G. Tsereteli Institute of Oriental
Studies Scientific Programme Project**

© მ.მ. სახოჯია, 2020

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიბაძისაძის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-630-0

مایا مریم ساخوکیا

دستور زبان فارسی معاصر برای گرجی
زبانان

صرف و نحو متغیر از نظر رده شناختی

تفلیس

2020

Майя Марьям Сахокия

**Синтаксис и морфосинтаксис
современного персидского языка**

**Курс авторской грамматики для
грузиноязычных**

*Языковые новшества и кодификативные
инновации с точки зрения типологии*

**Тбилиси
2020**

Maia Mariam Saxokia

**Grammaire du persan
contemporain pour des
géorgiens**

**Syntaxe et morphosyntaxe par la
vision typologique**

*Nouveautés linguistiques et innovations
codificatives*

**Tbilisi
2020**

Maia Mariam Sachokia

**Persische Grammatik für
Georgischen: Syntax und
Morphosyntax aus
typologischer Sicht**

**Tbilisi
2020**

Maia Mariam Sakhokia

**Syntax and Morphosyntax of Modern
Persian Language**

Author Typological Grammar for Georgians

*Language Novelties and Codification
Innovations*

**Tbilisi
2020**

წიგნი ეძღვნება ავტორის მშობლების – მეცნიერ
ბოტანიკოსთა ანა ხარაძისა და მიხეილ
სახოკიას – ხსოვნას

به یاد مرحوم والدین بنده دکتران گیاه شناسان و

استادان دانشگاه

تقدیم می گردد

En mémoire de mes parents, les savants

*Посвящается памяти родителей – ученых
ботаников*

Dedicated to the Memory of my Parents the Savants

მაია მარიამ სახოკია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) წარჩინებული კურსდამთავრებული, შემდგომ თსუ ირანული ფილოლოგიის კათედრის წარჩინებული ასპირანტი (1968-1971 წწ). თსუ წარჩინებული კურსდამთავრებული სპეციალობებით: ირანული ფილოლოგია, ქართული ენა და ლიტერატურა; შემდგომ თსუ ირანული ფილოლოგიის კათედრის წარჩინებული ასპირანტი ინდურ-ირანული ენების განხრით, აკად. მზია ანდრონიკაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით. სამსახურებრივი მოღვაწეობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ირანული ფილოლოგიის კათედრაზე უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე (1972-1976 წწ.). 1976 წლიდან დღემდე მუშაობს აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (შემდგომ და ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემაში) მზარდი თანამდებობრივი სქემით (უმცროსი მეცნიერთანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, წამყვანი მეცნიერი, მთავარი მეცნიერი, ინდურ-ირანული ენების განყოფილების გამგე და მკვლევარი, სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი). იმავედროულად, 1992-2009 წლებში პროფესორ-მასწავლებლად მუშაობდა თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში (2008-2009 წლებში უკვე თავისუფალი უნივერსიტეტის სისტემის ფარგლებში). ხანგრძლივი მრავალრიცხოვანი სტაჟირებები და სამეცნიერო მივლინებები გავლილი აქვს რუსეთისა და შემდგომ სხვადასხვა ქვეყნების წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, მათ შორის არაერთხელ ირანშიც. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი 1975 წლიდან, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი 1998 წლიდან ორი ძირითადი სპეციალობით: ინდური-ირანული ენები; შედარებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება. წამყვანი სამეცნიერო პროფილები და ოფიციალური სპეციალობებია: სპარსული ენა და მისი ისტორია; ძველი, საშუალო და ახალი (კლასიკური და თანამედროვე) სპარსული; ინდურ-ირანული და ინდოევროპული ენათმეცნიერება; კომპარატივისტიკა (შედარებით-ისტორიული ლინგვისტიკა); ლინგვისტური ტიპოლოგია, ტექსტოლოგია. წლების მანძილზე სხვადასხვა დროს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ირანული ფილოლოგიის კათედრაზე; თბილისის აზიისა

და აფრიკის ინსტიტუტში; თავისუფალ უნივერსიტეტში. მინიჭებული აქვს თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის პროფესორის წოდება. ამჟამად არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდურიანული ენების განყოფილების გამგე, მთავარი მკვლევარი, სამეცნიერო პროექტების ავტორი-ხელმძღვანელი, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო-საკონკურსო ერთ-ერთი სამეცნიერო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი. მათა სახოკია არის სპარსული ენის ისტორიულ (დიაქრონიულ) სრულ ჭრილში (ძველსპარსული, ფალაური (საშ.სპ.), ახალსპარსული (კლასიკური, თანამედროვე) მომუშავე ლინგვისტი, ძველი და საშუალო სპარსული (ფალაური) ძეგლების ქართულ ენაზე მთარგმნელი და კომენტატორი. იგი ავტორია სხვადასხვა ენებზე დაბეჭდილი რამდენიმე ასეული სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე სქელტანიანი მონოგრაფიისა. გამოცემული აქვს ლიტერატურული და სამეცნიერო აკადემიური თარგმანები შესავლებითა და ახსნა-განმარტებებით. ზემოჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში მათა სახოკია კითხულობდა და ასწავლიდა შემდეგ ზოგად და სპეციალურ (საავტორო) კურსებს: კლასიკური სპარსული ენა, თანამედროვე სპარსული ენა, სპარსული ენის ისტორიული გრამატიკა: მორფოსინტაქსი (საავტორო სპეცკურსი), კლასიკური და თანამედროვე სპარსული ენის თეორიული გრამატიკა: მორფოსინტაქსი (საავტორო სპეცკურსი); თანამედროვე სპარსული ენის პრაქტიკული სინტაქსი და მორფოსინტაქსი (საავტორო სპეცკურსი). სხვადასხვა თემაზე წაკითხული აქვს საჯარო ლექციებიც. სტუდენტობიდან დღემდე მონაწილეობს ურიცხვ საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო ფორუმში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებულა არაერთი საერთაშორისო და ლოკალური კონფერენცია თუ სხვა ღონისძიება. რედაქტორია რამდენიმე სამეცნიერო კრებულისა და მონოგრაფიისა.

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს მათა მ. სახოკიას როგორც მრავალწლიანი ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევებისა და ნაშრომების, ასევე მრავალი წლის პედაგოგიური მოღვაწეობისა და გამოცდილების შედეგს. აკადემიური (არა მარტო

სასწავლო თუ პრაქტიკული) ეს გრამატიკული ნაკვეთი, როგორც სათაურშივეა აღნიშნული, არის საავტორი, ღრმად ორიგინალური (ავტორისეული), ტიპოლოგიური მიმართულების გრამატიკული კურსი: ძირითადი ან დამხმარე სახელმძღვანელო, იმავდროულად დამოუკიდებლად საკითხავი თუ შესასწავლი წიგნი. წიგნი ორიენტირებულია ქართულენოვან მკითხველზე ნაწილობრივ (დიდწილად) ქართულთან ერთგვარი ტიპოლოგიური პრაქტიკული შეპირისპირების ჩათვლითა და გათვალისწინებითაც. მოცემული ნაშრომის როგორც სასწავლო კურსის ეფექტურობა ნაცადია (აპრობირებულია) საქართველოს რამდენიმე წამყვან უმაღლეს სასწავლებელში, ჯერ პირადად თავად *მაია მ. სახოკიას* მიერ სწავლებისას (ზემოჩამოთვლილ დაწესებულებებში), შემდგომ კი აგრეთვე ავტორის უშუალო მონაწილეთა და სხვა კოლეგების მიერ კონკრეტულად ასეთი სახით თუ სხვადასხვა შესაბამის კურსთა სწავლებისას, შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ორიენტალისტიკის მიმართულება), თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიაუნი (ორიენტალისტიკის მიმართულება), აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ორიენტალისტიკის მიმართულება), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (ორიენტალისტიკა), თავად ავტორი, როგორც აღინიშნა, მოცემულ კურსს კითხულობდა რამდენიმე სპეცკურსისა და ზოგადი კურსის სახით. წინამდებარე კურსი სწორედ ყველა ამ აღნიშნული პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. წიგნი შეიცავს ბევრ სიახლეს, ინოვაციურ მიდგომებსა და დებულებებს, ფაქტების ახლებურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას; მასალის თვალსაზრისით მოცემულია მრავალი არასტანდარტული, ინოვაციური და ტრანსპოზიციური მონაცემები. წარმოდგენილია და შეთავაზებულია არანორმატიული ენობრივი მოვლენების არატრადიციული ახსნა-განმარტებები, მრავალ საკითხთა ტიპოლოგიური გადანყვეტა და მოსაზრებები, გამყარებული უნივერსალური ლინგვისტური წესებით. წიგნი გათვლილია პირველ რიგში, ირანული განყოფილებების სტუდენტებზე, შესაბა-

მისი სპეციალობების პროფესორ-მასწავლებლებზე, სკოლებზე, აგრეთვე სპარსული ენის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის, საგნით ყველა დაინტერესებულ პირთათვის. სხვათა შორის, წიგნის გამოყენება დიდწილად შესაძლებელია ქართული ენის არმცოდნე მომხმარებელთათვისაც, თუკი ისინი სურვილის შემთხვევაში ყურადღებას გადაიტანენ მხოლოდ სხვადასხვა თავებში მოცემულ მხოლოდ სპარსული ენის მასალაზე. თავად მასალა გასაგებს ხდის საკითხებს.

خلاصه

دکتر مایا ساخوکیا ایران شناس بر جسته، دارای درجه علمی دکترای علوم، استاد (پروفسور) دانشگاه های مختلف گرجستان، رئیس شعبه زبان های هندو ایرانی انستیتوی خاور شناسی گرجستان (متعلق به دانشگاه ایلیا/الیاس). در طول سالهای بسیار در دانشگاه های تفلیس درس می داد. رشته های علمیس عبارتند از: دستور تاریخی (در زمانی) زبان فارسی (فارسی باستان زبان پهلوی فارسی جدید کلاسیک فارسی معاصر) دستور فارسی امروزه محاوره ای، زمینه زبان شناسی نسبی/تطبیقی و رده شناختی (تیپولوژی)، مقایسه تاریخی و رده شناختی (تیپولوژی) زبان های ایرانی با زبانهای مختلف هندو اروپایی و گرجی، و غیره. مایا ساخوکیا مؤلف بر جسته تحقیقات

و تالیفات متعدّد مربوط به مطالب و موضوعهای مهمّ زبان شناسی ایرانی نسبی/تطبیقی و زبان شناسی در زمانی هندواروپایی و موضوع های رده شناسی (تیپولوژی) زبان های مختلف دنیا دانسته شده است. دکتر ساخوکیا سنگ نوشته های (سنگ نبشته های، کتیبه های) هخامنشی را و چند اثر ادبی پهلوی را هم به زبان گرجی ترجمه کرده. این تالیفات منتشر شده اند. ترجمه های خانم ساخوکیا به زبان گرجی، به خصوص متون کتیبه های هخامنشی که اکثراً به طور عمده به شکل نظم یعنی به عنوان شعر تنظیم شده، به نظر کار شناسان ترجمه های ادبی ممتاز به شمار می روند. این کتاب یعنی دوره حاضر نتیجه تحقیقات علمی و درس های (دوره های) دانشگاهی می باشد. خصوصیات دستور حاضر اینست که مخصوصاً برای گرجی زبانان تدوین و تنظیم شده است تهیه کرده شده و درج شده است. این دوره شامل مقایسه رده شناختی (تیپولوژی) بعضی از واقعیات و دلایل و داده های زبان های فارسی و گرجی و حاوی معادلات مهمّ فارسی-گرجی می باشد. غیر از آن کتاب حاضر حاوی داده های جدید

معاصر فارسی امروز است که از نظر خود مؤلف مورد مطرح و بحث کردن شده و به تفصیل تجزیه و تحلیل شده است. در زمان کنونی نیز استادان مختلف دستور زبان فارسی را در دانشگاه های گرجستان طبق مضمون کتاب (دوره) حاضر درس می دهند. بین این استادان شاگردان و دانشجویان خانم مایا ساخوکیا زیاد هستند. هر نفری که به این دو زبان (فارسی و گرجی) علاقه داشته باشد بتواند از این کتاب با فایده استفاده کند. مؤلف تالیف حاضر امیدوارست خواننده گان آن با دقت ملاحظه اش کنند

Майя Михайловна Сахокия, воспитанница Тбилисского Государственного Университета им. И. Джавахишвили, иранист-филолог, доктор филологических наук с 1998 года по двум специальностям: индоиранские языки, сравнительное и типологическое языкознание. Профессор, заведующий отделом индоиранских языков Института Востоковедения им. акад. Г. Церетели Илияунского Государственного Университета. Автор нескольких сотен научных статей и нескольких монографий в следующих областях: иранское и индоиранское языкознание, индоевропеистика, картвелистика, компаративистика, лингвистическая типология, текстология. Автор литературных и научных переводов на грузинский язык древнеперсидских (ахеменидских) надписей и памятников среднеперсидской (пехлевийской) литературы, с предисловиями и комментариями. В течение многих лет преподавала в различных университетах Грузии, в том числе в ТГУ, целый ряд следующих общих академических и авторских спецкурсов: общие курсы персидского языка, историческая грамматика персидского языка (древне-, средне-, новоперсидский языки), практическая грамматика современного персидского языка. Настоящая монография как раз является результатом с одной стороны, многолетних фундаментальных лингвистических исследований, с другой стороны, – плодом опыта многогранной и многолетней педагогической деятельности в области иранского языкознания и в частности персидского языка. Морфосинтаксис и синтаксис персидского языка является авторской грамматикой, авторским спецкурсом, уже апробированным с точки зрения эффективности в процессе обучения как самим автором, так и другими коллегами (в т. ч. в первую очередь непосредственными учениками автора) во многих соответствующих вузах. Книга содержит множество новшеств, инноваций, нестандартных нетрадиционных подходов, положений и интерпретаций, а также множество инновационных данных в области конкретного языкового материала. Книга содержит типологические соображения, заключения и объяснения различных ненормативных инновативных языковых фактов, подкрепленные типологическими и универ-

сальными лингвистическими правилами. Автор предлагает привлекать типологические соображения, толкования и понятия при объяснении и решении вопросов квалификации, классификации и кодификации ненормативных, транспозиционных языковых инноваций (напр., применять понятия вариантов нормы, цикличности, аргументы из области прагматики информационных структур и мн. др.). Курс специально создан для грузиноязычных потребителей и в некотором роде ориентирован на практическое или теоретическое сопоставление данных двух языков в пределах двуязычной грамматической литературы. Однако при желании частично можно использовать книгу, даже не зная грузинского языка, ориентируясь исключительно на представленный в различных главах персидский материал. Сам материал понятен с точки зрения вопросов. Книга предназначена в первую очередь для студентов, изучающих персидский язык и для их преподавателей в качестве ведущего либо вспомогательного учебника. Книга рассчитана также на лиц, изучающих персидский язык самостоятельно и на всех лиц, интересующихся данным предметом с различных точек зрения.

Maia Sakhokia: Professor, Leading Researcher, Head of the Department of the Indo-Iranian Languages and Chief of the Science projects in G. Tsereteli Institute of Oriental Studies of IIA State University, Tbilisi. Georgia. Doctor of Philological Sciences from 1998 in two special directions: Indo-Iranian Linguistics; Comparative and Typological Linguistics (Comparativistics and Language Typology). The Scientific Field of M. S. is the following: Indo-Iranian Linguistics, Indo-European Linguistics, Karthvelian Linguistics, Language Typology, Comparative Linguistics, Persian Language and its History (Diachrony): Old Persian-Middle Persian-New (Classical and Modern) Persian; Textology, Rhetorics, Theory of Art Literary Translation, etc. She is the Author of the multiple articles and several Monographs,

the Author of Translations on Georgian from Old Persian (Achaemenian) Inscriptions and Pahlavi Texts. LECTURED IN DIFFERENT UNIVERSITIES OF GEORGIA GENERAL AND SPECIAL COURSES OF THE FOLLOWING FIELD THEMES: CLASSICAL AND MODERN PERSIAN, THEORETICAL PERSIAN MORPHOSYNTAX, HISTORICAL (DIACHRONIC) PERSIAN MORPHOSYNTAX, PRACTICAL SYNTAX AND MORPH SYNTAX OF MODERN PERSIAN. THIS MONOGRAPH IS THE RESULT OF SUCH STUDIES, MULTIPLE RESEARCHES OF M. S. AND TEACHINGS, AS A SELECTION OF ORIGINAL OWN VIEWS OF SOME LINGUISTIC DATA ON THE MODERN AND CLASSICAL PERSIAN LANGUAGE. IT INCLUDES A LOT OF NOVELTIES AND INNOVATIONS OF SUPPOSITIONS AND TRANSPOSITIONAL DATA, SUPPORTED BY TYPOLOGICAL CONCLUSIONS AND UNIVERSAL LINGUISTIC RULES. IT REFLECTS THE TYPOLOGICAL POSITIONS AND COMPARISONS WITH THE GEORGIAN LANGUAGE BEING THE SECOND LANGUAGE IN THIS BOOK. THE BOOK IS DESIGNED FOR STUDENTS, PROFESSORS, FREE LEARNERS OF THE PERSIAN STUDIES AND ALL THE PEOPLE INTERESTED IN THE PERSIAN LANGUAGE.

***Maia Sakhokia*, Scientifique, Chercheure-Iraniste, Docteure de Sciences Filologiques par 2 Spécialités (Indo-Iranistique, linguistique typologique et comparative), Chef de Département des langues Indo-Iraniens d'Institut des Etudes Orientales d'Iliia Université, au temps defférents professeur de l'Université Libre de la Géorgie et de Djavakhichvili Université. Auteur de multitude articles et plusieurs monographies (en géorgien, russe, français, anglais, persan) en domaines différents de: Iranologie, Grammaire (Morphosyntax et Syntax) Diachronique de la langue Persan (Vieux Perse, Moyen Perse, Le persan Classique et Farsi Contemporain (Moderne)), Linguistique Typologique, Indo-Européistique, Karthvelologie, Linguistique Comparative, Textologie, Rhétorique, Théorie de Traduction etc. Ses majeures travaux sont: Collections des articles (2007), Traduction littéraire des Inscriptions vieux perse des Achemenids en géorgien (2012/2015), Constructions possessives et ergatives dans les**

langues Indo-Européens et Karthvelians (1985) etc.

L'ouvrage propose c'est le résultat de recherches fondamentales et le resultat de sa grande experience d'enseignement de la grammaire pratique, théorique et historique de la langue persan aux universités différents. Cet ouvrage contient des innovations et nouveautés suivants: des conclusions et des suppositions originales à propos des elements morphosyntaxiques (marqueurs personnels d'objet et de sujet, marqueurs objectifs, fonctions du postpositions et prépositions, constructions spéciales, etc.). L'interpretation de faits et regles linguistiques sont supportés par les idées typologiques et générales. La monographie est destinée aux etudiants, proffesseurs, gens interessés à la langue persan ou à la comparaison des langues.

წინათქმა და წინასიტყვაობა

წინათქმა. წიგნის ყდებსა და თავფურცლებზე განთავსებული მრავალსაფეხურიანი სათაურიცა და ანოტაციაც შეიცავს რიგ ტერმინებს, როგორიცაა: საავტორო გრამატიკა, ტიპოლოგიური ხედვა (თვალთახედვა), ენობრივი სიახლეები, კოდიფიკაციური ინოვაციები, საავტორო თემები და საკითხები, ფაქტებისა და მოვლების კვალიფიკაცია და კლასიფიკაცია და ა. შ. სხვა. მოცემულ წინასიტყვაობაში ვცდილობთ მივცეთ მკითხველს წინასწარი ახსნა-განმარტებანი ამ ცნებებთან და მონოგრაფიის შინაარსთან დაკავშირებით.

წინასიტყვაობა

ფუნდამენტური კვლევები. წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს ავტორის როგორც მრავალწლიანი ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევებისა და ნაშრომების, ასევე მრავალი წლის პედაგოგიური მოღვაწეობისა და გამოცდილების შედეგს. ეს აკადემიური ხასიათის (არა მარტო სასწავლო თუ პრაქტიკული) გრამატიკული ნაკვეთები, როგორც სათაურშივეა აღნიშნული, არის საავტორო, უმეტესწილად ორიგინალური (ავტორისეული), ტიპოლოგიური მიმართულების გრამატიკული კურსი. მონოგრაფია გააზრებულია როგორც ძირითადი ან დამხმარე სახელმძღვანელო, იმავდროულად დამოუკიდებლად საკითხავი თუ შესასწავლი წიგნი.

როგორც სათაურშივე აღინიშნება, მონოგრაფია გულისხმობს საავტორო, ტიპოლოგიური ხასიათის გრამატიკულ კურსს მორფოსინტაქსისა და სინტაქსის სფეროში. ეს ორი ნაკვეთი აქ გაერთიანებულია და ერთიან მთლიან სისტემაშია წარმოდგენილი: მორფოსინტაქსური ერთეულები განიხილება წინადადების სტრუქტურების ნაწილებად, ჰორიზონტალურ სისტემაში ჩართულ უფრო მცირე მორფოსინტაქსურ კონტექსტებად. ეს სარჩევიდანვეც ჩანს. თავად მორფოსინტაქსის ნაკვეთი სპარსული ენისა სრულიად დამოუკიდებელი, ორიგინალური ავტორისეული ფუნდამენტური კვლევებისა და დასკვნების სა-

ფუძველზეა შექმნილი. დიდწილად საავტოროა სინტაქსის საკითხებიც, თუმცა მეტად ეყრდნობა მანამდე არსებულ სპეციალურ ლიტერატურას. გატარებულია მცდელობა რაც შეიძლება სრული სინტაქსური კურსის წარმოჩენისა. მონოგრაფია წარმოადგენს საშუალო სირთულის თეორიულ აკადემიურ სახელმძღვანელოს, რომელიც შეიძლება იყოს ჩართული უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროცესში როგორც დამხმარე ან ძირითადი სახელმძღვანელო; აგრეთვე შეიძლება იყოს გამოყენებული დამოუკიდებელი შესწავლისთვის, როგორც საკითხავი წიგნი.

წიგნში აღინერება თანამედროვე სპარსული ენის მორფოსინტაქსი და სინტაქსი, – როგორც სალიტერატურო ენის (ნევეშთარი), ასევე სასაუბრო ენისა (გოფთარი). გარკვეული სხვაობები ნევეშთარი / გოფთარის შორის განიხილება პარალელურ რეჟიმში თითოეული შესაბამისი საკითხისთვის. იმავდროულად გათვალისწინებულია კლასიკური სპარსული ენის მონაცემებიც: საჭიროების შემთხვევაში შედარებისთვის ზოგჯერ მითითებულია ამა თუ იმ ელემენტისა და კონსტრუქციის რეტროსპექტია და დიაქრონია კლასიკური ენიდან თანამედროვე ენამდე. მაგ. რეტროსპექტულ და დიაქრონიულ ასპექტებში აღინიშნება ისეთი ელემენტები, როგორიცაა თაჰდებული -რწ, წინდებული თუ(ა)-, ენკლიტიკების სისტემა და კლიტიკური მარკერები, სპეციალური კონსტრუქციები, სიტყვათა რიგი და მრ. სხვა. ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების აღწერისას კლასიკურ ენის მონაცემების გათვალისწინებით, ხორციელდება მინიშნება სხვადასხვა დიაქრონიულ ცვლილებებზე, – მაგალითად, რომელიმე მორფოსინტაქსური ერთეულის ძველი ფუნქციების ციკლური აღორძინება თანამედროვე დონეზე, ახალი ფუნქციების გაჩენა, ამა თუ იმ გამოყენების სიხშირეთა ცვალებადობა და ა. შ. ასეთი ანალიზის შედეგად მკითხველს ექმნება წარმოდგენა ენობრივ დინამიკაზე და წარმოესახება უფრო სრული საკოდიფიკაციო თუ საკლასიფიკაციო შედარებით-ისტორიული სურათი მორფოსინტაქსურ და სინტაქსურ ერთეულთა ფუნქციობის შესახებ საერთოენობრივ სივრცეში. კლასიკურ სპარსულ ენასთან პარალელები მოტანილია მხოლოდ თანამედროვე ენის ფაქტებიდან გამომდინარე, ამ ფაქტების ასახვას ნელა ან უკეთ გასა-

შუქებლად. თავისთავად, ამგვარი ინფორმაცია სასარგებლო იქნება კლასიკური სპარსული ენის შემსწავლელთათვისაც. ზემოთქმულიდანვე ნათელი ხდება, რომ რამდენადაც წიგნის შინაარსი ეყრდნობა ენის აღწერის ესოდენ წამყვან სფეროებს, ენობრივი დინამიკისა თუ ცოცხალი თანამედროვე ენის ასეთ ძირითად ღერძებს, თავისთავად ეს წიგნი განეკუთვნება ენათმეცნიერების საკმაოდ ამბიციურ განაკვეთს, რასაც ამ შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს „სპარსული ენის საფუძვლები“, შემსწავლელი თუ ამსახველი დარგი.

თავფურცელზევე ნახსენებია *ინოვაციურობა*. ამაში იგულისხმება შემდეგი ორი რამ: 1. ინოვაციური მოვლენები, სიახლეები თავად თანამედროვე ენის დინამიკაში და ამის ასახვა მონოგრაფიაში; 2. ავტორისეული ინოვაციური მიდგომები ენობრივ მოვლენათა, ცვლილებათა შესწავლისას და ფაქტების შესაბამისი შეფასება, კოდიფიკაცია, კვალიფიკაცია. შედეგად თავს იჩენს როგორც ფაქტობრივი, არსობრივი, ასევე შეფასებითი, კოდიფიკაციური *ინოვაციები* და *სიახლეები*. ყოველივე ეს ნათლად ჩანს თუნდაც წიგნის ვრცელ სარჩევში (იხ. სარჩევი) და უკეთესად გამოჩნდება თავად წიგნის შინაარსის გაცნობისას. აქ წინასწარ მოკლედ შეიძლება შეიქმნას გარკვეული წარმოდგენა ამ *ინოვაციებზე* და *სიახლეებზე* მაგალითად:

ავტორის ფუნდამენტური კვლევების თანახმად, შემოტანილია სპეციალური კონსტრუქციების ცნება (სპკ), რაც გულისხმობს გარკვეული გრამატიკული თუ სემანტიკური სპეციფიკური ნიშნებით აღბეჭდილ და გამოყოფად მორფოსინტაქსურ კონსტრუქციებს (მორფოსინტაქსემებს); ეს მორფოსინტაქსემები (მცირე სინტაქსური კონტექსტები) თავის მხრივ სრული წინადადებების (დიდი, ვრცელი სინტაქსური კონტექსტების) ნაწილებია. სპეციალური კონსტრუქციები მრავალი ქვეთავის შემცველი ცალკე თავადაა გამოყოფილი, რაც ასახულია ვრცელ სარჩევში (იხ. სარჩევი). კურსი გულისხმობს ხელთარსებული ყველა სპეციფიკური და იშვიათი შემთხვევის განხილვას, მათ შორის, – გამონაკლისთა გათვალისწინებას; ეს ეხება ცალკეული მორფოსინტაქსური ელემენტებისა და ერთეულების ფორმალურ თუ ფუნქციურ გამოყენებას (თანდებული, წინდებულები, ენკლიტიკები. მორფული პირის ნიშნები, არტიკლები,

ნაწილაკები, იზაფეთი, დრო-კილოთა ფორმები და ა. შ.); სპეციალურ კონსტრუქციათა (სპკ) სტრუქტურებსა და ფუნქციებს, სრულ სინტაქსურ წინადადებათა კლასიფიკაციას შინაარსისა და გაფორმების გათვალისწინებით, მათი პრაგმატული სემანტიკის დაზუსტებასა და დახასიათებას ინფორმაციული სტრუქტურისა და აქტუალური საკომუნიკაციო შინაარსის მიხედვით. კურსის მთლიანი აგებულება და საკითხებად თუ თემებად დანაწილება, თავებისა და ქვეთავების თანამიმდევრობა ანუ წიგნის ტექსტურის წყობაც ორიგინალურია და თავისებური: მორფოსინტაქსისა და სინტაქსის შერწყმასაც ითვალისწინებს და ამ ორი ნაკვეთის ერთიანობას, ერთობასაც. შესაბამისად შემოტანილია არაერთი მანამდე უცნობი, არასტანდარტული თემა და საკითხი, რაც ნათლად იკითხება სარჩევში (იხ). ბევრი მათგანი უკვე აღინიშნა ზემოთ, კვლავაც შეიძლება დასახელდეს უმარტივესი გამონათქვამების საკითხი, სიტუაციური და პრაქტიკული სინტაქსის თემა, სიუჟეტებისა და სცენარების სფერო სინტაქსსა და მორფოსინტაქსში, სიტყვათა რიგის ნორმისა და ტენდენციის თემა, სიტყვათა რიგის ინვერსიის ხარისხთა საკითხები, ინვერსიული და თავისუფალი რიგის თემა თანამედროვე და კლასიკურ სპარსულში, განკერძოება, დიალოგი, რთულ ქვენყობილ წინადადებათა ვარიანტების დეტალიზაცია, ზერთული წინადადება და მრ. სხვა. შემოტანილ სიახლეთა შორისაა აგრეთვე წინადადების წევრთა კვალიფიკაცია (მთავარი წევრები, პირველი და მეორე რიგის მთავარი წევრები, მეორეხარისხოვანი წევრები) უბრალო დამატების ცნება სპარსულისთვის, ზმნური ობიექტური (პირდაპირი და ირიბი ობიექტის) პირის ნიშნები, -რწ თანდებულის მრავალფეროვანი ფუნქციების დადგენა, თუ- წინდებულის სხვადასხვა ინოვაციური გამოყენება თანამედროვე სპარსულში და მრ. სხვა. ამგვარ ჩამონათვალს საკმაოდ ასახავს სარჩევი (იხ).

აქ მთავარია გავიაზროთ, რომ ავტორის მიერ გათვალისწინებულია დღევანდელი ცოცხალი ენის დინამიკაში, ნაკადში მიმდინარე სიახლეები, ინოვაციური პროცესები და ნორმების, სტანდარტების გარდა დაფიქსირებულია და აღნიშნულია აგრეთვე ნორმათა ვარიანტები, სპეციფიკაციები, ტრანსპოზიცი-

ული ცვლილებები, ინოვაციები, ვარიაციები, იშვიათი შემთხვევები და გამონაკლისები. ამდენად, მოცემულია და წარმოდგენილია არა მარტო ნორმა და სტანდარტი, არამედ ნორმის ვარიანტი, ინოვაციური გამოყენება და დინამიკაში არსებული შემთხვევები, რომელიც პერსპექტივაში შესაძლოა ნორმის ვარიანტადაც იქცეს. ვარიაციულობის მომავალს ახლა ვერ განვსაზღვრავთ

როგორც თქმულიდან ჩანს, გრამატიკული კურსის აგებისადმი, ენობრივი ფაქტების კლასიფიკაციისადმი, კვალიფიკაციისადმი და კოდიფიკაციისადმი, სიახლეთა და ინოვაციათა ანალიზისა და შეფასებისადმი, იშვიათ შემთხვევათა და გამონაკლისთა ინტერპრეტაციისადმი ავტორის ძირითადი მიდგომები, განსაზღვრებები და დეფინიციები ავტორისეულია. შედეგად, კურსი შეიცავს ბევრ სიახლეს, ამიტომაცაა ის ხასიათითაც და სახელდებითაც საავტოროც და ინოვაციურიც.

სასწავლო კურსები. გარდა ავტორის ფუნდამენტური კვლევებისა, წინამდებარე კურსი არის მისივე მრავალი წლის პედაგოგიური მოღვაწეობისა და გამოცდილების შედეგი. სხვადასხვა სახის ზოგადი და სპეციალური კურსები იკითხებოდა ჯერ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში, ბოლოს კი თავისუფალ უნივერსიტეტში. ამ წლებში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა სპეცკურსთა შემდეგი ძირითადი მიმართულებები: 1. სპარსული ენის ისტორიული მორფოსინტაქსი სრული დიაქრონიულ-რეტროსპექტიული ჭრილით: ძველი სპარსული-საშუალო სპარსული (ფალაური)-ახალსპარსული (კლასიკური, გარდამავალი და თანამედროვე ახალსპარსული); 2. თანამედროვე სპარსული ენის პრაქტიკული გრამატიკა (მორფოსინტაქსი და სინტაქსი); 3. სპარსული ენის აკადემიური თეორიული გრამატიკა (მორფოსინტაქსი და სინტაქსი). ამგვარად, სწორედ მოცემული სახით ეს მონოგრაფიული კურსი, რომელიც დიდწილად აერთიანებს ყველა ზემოჩამოთვლილ მიმართულებას, უკვე დიდი ხანია აპრობირებულია სასწავლო კურსის ფუნქციით. მისი ეფექტურობა ცოდნის შესაძენად შემონქებულია სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტ-

ტთა მრავალ თაობაზე. დღესდღეობით ზემოაღნიშნული სპეც-კურსები იკითხება ან მათი გარკვეული ნაწილები გამოიყენება ავტორის მონაფეების მიერ საქართველოს სხვადასხვა უმაღ-ლეს სასწავლებლებში, კერძოდ: აკ. წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აკწუ) (ლექტორი თამარ დემეტ-რაშვილი), თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (კამპუსი) (ლექტორი მერი ჩიქობავა), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი) (ლექტორი თამაზ რევი), კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ლექტორი მაია კაპანაძე), ივ. ჯავახიშვილის სა-ხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ლექტორები: ფატი ანთაძე, მანანა კვაჭაძე) და სხვა. შედეგად, უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული კურსების აპრობაცია წარმატებულად გაგრძელდა უმცროსი კოლეგების წყალობით, ხოლო შესაბამი-სად წინამდებარე მონოგრაფია როგორც სასწავლო სახელ-მძღვანელო უკვე აპრობირებულია და მოწონებულია პროფე-სორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ.

ჯამურად, მოცემული ნაშრომის როგორც სასწავლო კურსის ეფექტურობა ნაცადია (აპრობირებულია) საქართვე-ლოს რამდენიმე წამყვან უმაღლეს სასწავლებელში, ჯერ პირა-დად თავად მაია მარიამ სახოკიას მიერ სწავლებისას (ზემოჩა-მოთვლილ დანესებულებებში), შემდგომ კი აგრეთვე ავტორის უშუალო მონაფეთა და სხვა კოლეგების მიერ კონკრეტულად ასეთი სახით თუ სხვადასხვა შესაბამის კურსთა სწავლებისას, შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში: ივ. ჯავახიშვილის სახელო-ბის თსუ (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ორიენტა-ლისტიკის მიმართულება), თავისუფალი უნივერსიტეტის აზიი-სა და აფრიკის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტე-ტი, ილიაუნი (ორიენტალისტიკის მიმართულება), აკაკი წერეთ-ლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ორი-ენტალისტიკის მიმართულება), კავკასიის საერთაშორისო უნი-ვერსიტეტი (ორიენტალისტიკა). თავად ავტორი, როგორც აღი-ნიშნა, მოცემულ კურსს კითხულობდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში რამდენიმე სპეცკურსისა და ზოგადი კურსის სახით. წინამდებარე კურსი სწორედ ყველა ამ აღნიშნული პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა.

საავტორო საკითხები, თემები. აკადემიური (არა მარტო სასწავლო თუ პრაქტიკული) ეს გრამატიკული ნაკვეთი, როგორც სათაურშივეა აღნიშნული, არის საავტორო, ღრმად ავტორისეული, თავისი მიდგომებითა და ხასიათით ტიპოლოგიური მიმართულების საშუალო სირთულის თეორიული და იმავდროულად პრაქტიკული გრამატიკული კურსი. შინაარსიც და თავად სარჩევიც კარგად ავლენს *წმინდა საავტორო საკითხებს*, რაც ერთის მხრივ არის ავტორის ფუნდამენტური კვლევების საგანი, მეორეს მხრივ კი. – მის მიერ წარმოებული სასწავლო კურსების *ნამყვანი შემადგენლები* (კონსტიტუენტები). ავტორის მრავალ შრომაში კიდევაც გამოიყენება სწორედ ეს ტერმინოლოგია: „სპარსული ენის მორფოსინტაქსის ძირითადი შემადგენლები (კონსტიტუენტები)„. ამ შემადგენლებზე იყო აგებული ავტორისეული პედაგოგიური შემოთავაზებებიც. აქ წინასწარ მოკლედ დავასახელებთ ნამყვან საავტორო ანუ ავტორისეულ თემებსა და საკითხებს.

განსაკუთრებით გამოსაყოფი საავტორო საკითხები და თემებია:

სპეციალური კონსტრუქციების (სპკ) ცნება და სპკ ჯგუფები; ამათგან განსაკუთრებით ავტორისეულია: ფლობა-კუთვნილების კონსტრუქციები და ქვემდებარის რთული ფორმები, სახელდება, ორპრედიკატული კონსატრუქციები, რთული ზმნები, კლიტიკური მორფები, მოძრავი (მობილური) კლიტიკები, ზმნური კლიტიკური პირის ნიშნები (გარდაუვალი სუბიექტი; პირდაპირი და ირიბი ობიექტური პირის ნიშნები); -რნ- თანდებულის ფუნქციები თანამედროვე სპარსულში, მათი რეტროსპექცია და დიაქრონია; წინდებულ -თუ-ს თავისებურებანი და ფუნქციები თანამედროვე სპარსულში; წინადადების წევრთა კლასიფიკაცია და უბრალო დამატების განსაზღვრა; ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება; მართვის საკითხები; სიტყვათა რიგი, მისი რეტროსპექცია და დიაქრონია; ნორმა, ტენდენცია, ინვერსია და თავისუფალი რიგი; პირობითი წინადადების კომბინაციები და მათი ქართული შესატყვისები; პრაგმატული სემანტიკისა და სიტუაციური სინტაქსის არგუმენტაცია; მთლიანობაში სპარსული ენის მორფოსინტაქსის შემადგენლე-

ბი; სხვადასხვა დეტალიზაციები (იხ. შდრ. სარჩევი).

ზოგიერთმა საკითხმა განსაკუთრებული განვითარება პოვა საკუთრივ სასწავლო საავტორო კურსებშიც, მაგ.: მთლიანად მოგონილი სტენარებისა და სიუჟეტების იდეა სხვადასხვა რთული წინადადებებისათვის, ირეალობის გამოხატვა და სხვა (იხ. სარჩევი).

თავის დროზე, ყველა საავტორო თემა და საკითხი აღბეჭდილი იყო სასწავლო სილაბუსებშიც, მათ შორის, – სიტუაციური სინტაქსის სავარჯიშოები თამაშისა და სპეკულაციის სახით. ამდენად, თეორიული ფუნდამენტური აკადემიური საკითხები მიბმული იყო პრაქტიკულ პროცესებზეც, პრაგმატული გრამატიკული ანალიზის წარმოჩენის გზით.

საგულისხმოა, რომ ყველა შემადგენლები თეორიაში განიხილება და ჯამში კოდიფიცირებულია შემდეგი პარამეტრების, ფაქტორებისა და არგუმენტების გათვალისწინებით: ენობრივი ინოვაცია, კოდიფიკაციური სიახლე, საკლასიფიკაციო ფაქტორები, საკვალიფიკაციო ფაქტორები, სადეფინიციო მახასიათებლები, ნორმა და ვარიანტი, სიხშირის ხარისხი, სტანდარტი და სპეციფიკაცია, ზოგადი და სპეციალური, გრამატიკული და სემანტიკური არგუმენტაცია, ოპოზიციური და პარადიგმატული სტრუქტურული ნიშნები, საკომუნიკაციო და პრაგმატული სემანტიკა, ინფორმაციული სტრუქტურები, აქტუალური (შინაარსი, მნიშვნელობა) სემანტიკა, დიაქრონია და რეტროსპექცია, ცოცხალი ენის ნაკადი და დისკურსი, სპარსულ-ქართული სრული (მთლიანი) თუ ნაწილობრივი ტიპოლოგიური პარალელები, ლერატურული ენა და სასაუბრო მეტყველება, სამეტყველო ნაკადი და ტექსტი, ტექსტურა და სამწერლობო ტექსტოლოგია, წინადადება და კონტექსტი, მცირე და ფართო კონტექსტი, კონტექსტური სემანტიკა და მცირე ერთეულთა მნიშვნელობა, ერთეულები და დამხმარე ელემენტები, ტენდენცია და ინოვაცია, ტენდენცია და შეცდომის ცნება, და სხვა მრ. ჯამში გამოსაყოფი საკითხებისა და თემების აღსანიშნავად და ხაზგასასმელად ყალიბდება „ენობრივი ინოვაციებისა და კოდიფიკაციური სიახლეების“, ბლოგები, კორპუსები, როგორც ეს ნათქვამია წიგნის ყდაზე ქვესათარეშივე (შენიშვნა: აქ მოკლედაა ჩამოთვლილი

ნამყვანი თეორიული მიმართულებები, რითაც ავტორი ხელმძღვანელობს, ხოლო დაინტერესების შემთხვევაში მკითხველს შეუძლია უფრო ღრმად და აკადემიურ დონეზე მოიძიოს მსგავსი თემატიკა ავტორის – *მაია სახოკიას შრომებში*).

მასალა და წყაროები. ნიგნში გამოყენებული დიდძალი ენობრივი მასალა მოძიებულია სხვადასხვა წყაროებიდან, რაც შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: სპარსული სალიტერატურო ენის წყაროები (*ნევეშთარი „სალიტერატურო, ბეჭდური, მნიგნობრული“*) და ცოცხალი მეტყველების ნაკადი სასაუბრო ენის ჩათვლით (*გოჭთარი, მოჰანერედი „სამეტყველო, სალაპარაკო“*). ამ ორი დიდი ჯგუფისადმი ამა თუ იმ სხვადასხვა წყაროთა მიკუთვნება თავისთავად ნათელია. მთლიანობაში, წყაროთა ჩამონათვალი ასეთია: ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა წლებში გამოყენებული თუ გამოყენებადი სპარსული ენის სახელმძღვანელოები, გრამატიკული ლიტერატურა, საკითხავი ნიგნები (ქართულენოვანი, რუსულ და ევროპულ ენებზე, სპარსულ ენაზე); ზოგადად, – ქართული, რუსული, ევროპული, ირანული თუ სხვა სასწავლო ან თეორიული გრამატიკული ლიტერატურა (საფუძვლების სახით): კურსები, მონოგრაფიები, კომპენდიუმები და მისთ.; მხატვრული ლიტერატურა (ცხადია, პროზა; თუმცა არაა გამორიცხული პოეზიაც); პრესა (ყურნალ-გაზეთები), კინო, თეატრი, ტელევიზია, სხვადასხვა სახისა და ხასიათის საჯარო გამოსვლები, ინტერნეტქსელი (საიტები, სოცქსელები, სხვადასხვა მასალები); საჯარო და სპეციალური ლექციები (მოსმენილი), ავტორის მიერ გავლილი საკვალიფიკაციო კურსები, სტაჟირებები (ირანში და საქართველოში); ირანელ კოლეგებთან (ენის მატარებელ სპეციალისტებთან) კონსულტაციები; ირანში სხვადასხვა სახის მივლინებების ავტორისეული საველე ჩანაწერები ანუ სხვადასხვა ცოცხალ დისკურსთა ფაქტები, დაფიქსირებული ავტორის მიერ ხელნაწერი საველე მასალის (დღიურების) სახით; უკანასკნელი მონაცემები ითვალისწინებს მათ შორის ენის მატარებლებთან უშუალო კონტაქტებს, ურთიერთობას ინფორმატებთან, კონსულტაციებს სასაუბრო ენის მოვლენათა სფეროში; ასეთი კავშირები ხორციელდებოდა თავად ირანშიც, საქართვე-

ლოშიც (სხვადასხვა დროს საქართველოში დროებით მყოფ თუ მაცხოვრებელ ენის მატარებლებთან) და სხვა ქვეყნებშიც (მაგ., ირანულ ემიგრაციასთან დასავლეთ ევროპაში, ამერიკაში, რუსეთში და სხვაგან) და ა. შ.

ძირითადი წამყვანი წყაროები, – ენის აღმწერი საფუძვლები, სასწავლო ლიტერატურა (სახელმძღვანელოები, გრამატიკული კურსები, საკითხავი წიგნები, ქრესტომათიები, კომპენდიუმები), საიდანაც ამოღებულია წლების მანძილზე ენობრივი მასალა, ქვემოთ წარმოდგენილია მოკლე ბიბლიოგრაფიულ სიაში. ეს სია შეიცავს მოცემული მონოგრაფიისთვის მხოლოდ წამყვან ლიტერატურას, – ძირითადს თეორიითა და მასალით (იხ. ბოლოთქმა და ბიბლიოგრაფია).

იმ ძირითად, წამყვან სახელმძღვანელოთა, გრამატიკულ თეორიულ კურსთა, საკითხავ წიგნთა, ქრესტომიათა, კომპენდიუმთა გარდა, რაც ყოფილა თუ არის ქართული, რუსული, ირანული, ევროპული, ამერიკული უნივერსიტეტების თუ სკოლების სასწავლო (ძირითად თუ დამხმარე, მუდმივ თუ ფაკულტატურ) პროგრამებში, საიდანაც ამოღებულია ჩვენ მიერ საჭირო მასალა (მასალობრივადაც და გარკვეული დებულებების მიხედვითაც), გამოყენებულია ენობრივი მასალა მრავალი შესაბამისი კვლევითი სამეცნიერო ნაშრომებიდანაც (მონოგრაფიები, სტატიები, კრებულები და მისთ.). აქ პირველ რიგში იგულისხმება თავად ავტორის, *მაია სახოკიას* შრომები (მონოგრაფიები, დისერტაციები, სტატიები, კრებულები), შემდგომ კი, – მსოფლიოს მრავალრიცხოვან ირანოლოგთა ნაშრომები. თემატიკის შესატყვისად, საჭიროებისამებრ გამოყენებულია სხვადასხვა ნაშრომებში მოტანილი ცალკეული მაგალითები. ეს კვლევები არ არის წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიულ სიაში, რადგან სია შეიცავს *ოდენ საფუძვლებს* და არა მეცნიერულ გამოკვლევებს. ამიტომ ბოლოთქმაში არის საკითხთა (თემათა) ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც, მასალისთვის გამოყენებულ შრომათა ავტორებია დასახელებული. იმავე ჩამონათვალშია თავად *მაია მარიამ სახოკიას* მონაცემებიც. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოიძიოს აუცილებლობის შემთხვევაში ამ ავტორთა თხზულებანი. ხაზს ვუსვამთ, შრომების ავტორთა

ხსენებული ჩამონათვალი შერჩეულია მხოლოდდამხოლოდ ერთადერთი ნიშნით: შრომებიდან სხვადასხვა თემებისთვის კონკრეტული მაგალითების ამოღების ფაქტების აღსანიშნავად. ასეთი მაგალითები შერჩეული და ამოღებულია სხვათა შრომებიდან მოცემული წიგნის ავტორის ხედვითა და მისივე თეორიულ დებულებათა შესაბამისად (სხვა მოსაზრებათა გათვალისწინებით). ძიებისთვის მითითებული პარამეტრები საკმარისია წყაროს შესამოწმებლად თუ მოსაძიებლად საჭიროების შემთხვევაში. პირველ რიგში საპოვნელი წყაროები სურვილის შემთხვევაში მოძიებადია თავად *მაია მარიამ სახოკიას* შრომებში, – დიდტანიან თხზულებებში თუ სტატიებში (იხ.). ზოგჯერ მასალასთან ერთად მნიშვნელოვანია თავად საკითხისა თუ რამე დებულების წარმოჩენაც, თუმცა ამ შემთხვევაში ეს არაა მთავარი. ძირითად სიაშია აგრეთვე თეორიული საკითხების, ენობრივი მასალისა და ლინგვისტური ტერმინოლოგიის შემცველი შესატყვისი გარკვეული აკადემიური ლექსიკონებიც, – სპარსულოენოვანი, ორენოვანი თუ მრავალენოვანი. ბიბლიოგრაფიულ საკითხთა პრინციპი და წარმოჩენილ ობიექტთა აღწერა-დახასიათება უფრო დანვრილებით განიხილება და აიხსნება ბოლოთქმაში (იხ. ქვემოთ; იხ. ბოლოთქმა; იხ. ბიბლიოგრაფია).

ქართული ენის ადგილი, ქართულენოვანება. წიგნი ორიენტირებულია ქართულენოვან მკითხველზე ნაწილობრივ (დიდწილად) ქართულთან ერთგვარი ტიპოლოგიური პრაქტიკული შეპირისპირების ჩათვლითა და გათვალისწინებითაც. აღწერისას ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, ფაქტორი და პარამეტრია *ქართულენოვანი თვალსაზრისი და ტიპოლოგიური თვალთახედვა*. ცენტრალურია აგრეთვე *ქართულ შესატყვისთა უმნიშვნელოვანესი საკითხი*; თანაც აქ ვარჩევთ ერთურთისგან გრამატიკულ შესაბამისობასა და თავისუფალი თარგმანის შესაძლებლობებს. თავის მხრივ, შესატყვისებშიც გასარჩევია: *ზუსტი გრამატიკული შესაბამისობა* (სიტყვასიტყვითი) თუ *ტიპოლოგიური შეფასებითი შესატყვისი*. რაც ეხება თარგმანულ (სათარგმანო) ან თარჯიმნულ (სათარჯიმნო) სფეროებს, აქაც ურთიერთგასამიჯნია: თარჯიმნის მიერ სინქრონული თარგმანის წარმოების სფერო (სადაც ნესით დაცული უნდა იყოს უფრო გრამატიკული სიტყვასიტყვითი შესატყვისო-

ბა) და მხატვრული, შემოქმედებითი თარგმანი (სადაც დასაშვებია და ზოგჯერ სასურველიც, სხვადასხვა თარგმანული ვარიანტების გამოყენება) თავისუფალი თარგმანის ჩათვლით. უკანასკნელი გრამატიკული სტილისტიკის სფეროშიც გადადის, მაგრამ ყველა შემთხვევაში თარგმანის ენაზე გადმოცემა უნდა ეყრდნობოდეს ორიგინალის მონაცემთა სწორ პირვანდელ მორფოსინტაქსურ მნიშვნელობას, რაც მოცემული წიგნის ავტორის მცდელობით ძირითადად წარმოჩენილი უნდა იყოს სათანადოდ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ პირობითი წინადადების სპარსულ-ქართულ შესატყვისთა სრული ნუსხა ტაბულების სახით, სადაც მითითებულია ქართული ზმნის უღლების პარადიგმული მწკრივები და სერიები, შესატყვისობის ხარისხის კლების თანამიმდევრობითა და როგორც ტიპოლოგიური, ასევე თავისუფალი, ზოგადი თარგმანის შესაძლო, დასაშვები ვარიანტებიც. ამდენად, ქართულენოვანება და სპარსულ-ქართულ შესატყვისთა საკითხები წამყვანია ამ მონოგრაფიის იდეური მხარისთვის. ამდენად, გრამატიკული მონოგრაფიის (გრამატიკული მონოგრაფიული ნარკვევის) ქართულენოვნების თვალსაზრისით, აღწერაში დიდწილად ჩართულია როგორც ტიპოლოგიური ლინგვისტური ხედვები (შედარება, შეპირისპირება), ისე წმინდა პრაქტიკული მიზნობრიობა (სპარსულ-ქართულ შესატყვისთა მნიშვნელობა პრაქტიკულ და შემოქმედებით საქმიანობაში).

შედეგად, წიგნი შეიძლება იყოს გამოყენებული ენისა თუ გრამატიკის დამოუკიდებელი შესწავლისთვისაც, როგორც ორენოვანი საკითხავი წიგნი. თანაც, ასეთი გამოყენებაც შესაძლებელია ორმხრივად.

ტერმინები. გრამატიკული ტერმინები წარმოდგენილია წიგნში მხოლოდ ქართულად. ძირითადი ტერმინები ჩანს შედარებით მოკლე სპარსულ სარჩევში. ქართულ ენაზე შედგენილი სარჩევი ვრცელია და დეტალურად გადმოცემს შინაარსს. შედარებით ნაკლები მოცულობისაა რუსული სარჩევი, რომელიც ქართულთან შედარების გზით დიდწილად ასახავს ზოგადტიპოლოგიურ და უნივერსალურ ლინგვისტურ ტერმინებს. იგივე ითქმის უფრო შემოკლებულ, ინგლისურ და სპარსულ

სარჩევებზე. სპარსული ტერმინოლოგიის საკითხები ცალკე თემა და აქ ამას არ და ვერ გავყვებით. ჩვენ ვხსნით ყველაფერს ქართულ ტერმინებში, ხოლო სპარსულ ტერმინოლოგიაში ჩალრმავეებისა და გარკვევის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ძირითად ბიბლიოგრაფიულ სიაში დასახელებულ ზოგად თუ სხვადასხვა სპარსულენოვან ლინგვისტურ ტერმინთა დარგობრივ ლექსიკონებს. უკანასკნელთაგან ამ თვალსაზრისით აქვე პირდაპირ მივუთითებდით პირველ რიგში მოჰამად ჰაიათის (M. Hayati) სამენოვან (სპარსული, ინგლისური, ფრანგული) ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონს: *A Glossary of Linguistics* (წვრილად იხ. ბოლოთქმაში; იხ. სია). იშვიათ შემთხვევაში დაზუსტების მიზნით ვასახელებთ სპარსულ ტერმინებსაც (მაგ., გარკვეულ დრო-კილოთა ანალიზის შემთხვევაში, სხვ.).

დრო-კილოთა სინტაქსური ფუნქციები. სწორედ გრამატიკულ ტერმინთა თემაზე წინასწარვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1. ჩვენ ვიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ მართებულ აზრს, რომ სპარსული უღლების პარადიგმის ერთეულს, რომელსაც უმეტეს გრამატიკულ კურსებში ქართულად ეწოდება „ანმყოს კავშირებითი“, مضارع التزامی

[მოზნრეე ელთეზნმი], – სინამდვილეში უნდა ეწოდოს „ანმყომომავლის კავშირებითი“, თუ სულაც „მომავლის კავშირებითი“, არა. საქმე ისაა, მორფოლოგიურად დრო-კილოს ეს ფორმა ეყრდნობა ანმყოს ფუძეს, რის გამოც უკავშირდება ანმყო დროების სისტემურ პარადიგმას; მაგრამ შინაარსით, თავისი მნიშვნელობით იგი უფრო ხშირად გამოხატავს სამომავლო მოქმედებას კავშირებით კილოში. იმავდროულად პრაგმატულად და სიტუაციურად ამ ფორმის სემანტიკა ანმყოსთანაც ახლოსაა, ახლანდელი გრამატიკული დროის სფეროს მჭიდროდ უკავშირდება და ზოგიერთ კონტექსტში, შესაძლოა ანმყოც გამოხატოს. ცოცხალ მეტყველებაშიც და ტექსტშიც ამ თვალსაზრისით არსებობს მრავალი პრაგმატული კონტექსტური ნიუანსი. ფორმის სემანტიკური ფუნქციები ვლინდება სხვადასხვა შინაარსის სინტაქსურ ერთეულებში. წიგნში დრო-კილოთა სინტაქსურ ფუნქციებს წინადადებაში დათმობილი აქვს ცალკე სპეციალური თავი (იხ. სარჩევი).

ვიზიარებთ რა ტერმინის მართებულობას „ანმყო-მომავლის კავშირებითი“, ზოგან ეს სახელწოდება ამ სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ მთლიანობაში მთელ ტექსტში ყველგან არაა ასეთი კორექცია შეტანილი. ამდენად, შეგვხვდება ორივე სახელწოდება სხვადასხვა თავებსა და ქვეთავებში. ძველი სახელწოდება უსრულია, მაგრამ შეცდომა არ არის.

დრო-კილოთა სინტაქსურ ფუნქციებს, პრაგმატულ და ინფორმაციულ სემანტიკას წიგნში *ცალკე დიდი თავი* აქვს დათმობილი (იხ. სარჩევი; იხ. თავი). სწორედ ამ თავის შინაარსთან დაკავშირებით გახდა საჭირო ზოგიერთი წინასწარი განმარტება. ზოგიერთი საჭირო ახსნა-განმარტებაც ბოლოთქმა-ეპილოგშია გადატანილი (იხ. ბოლოთქმა).

გარკვეულ დრო-კილოთა სინტაქსური მახასიათებლები განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას საჭიროებს. მათ შორისაა შედარებით ახალი დროითი ფორმები (ინტენსივი, პროგრესივი, კონკრეტული დროები), აგრეთვე განგრძობით ხოლმეობით პერფექტულ ფორმათა მთელი რიგი და სხვა. ასეთ შემთხვევებში ვჩერდებით ტერმინოლოგიის საკითხებზეც, მოგვყავს სპარსული დასახელებანი და მეტ ადგილს ვუთმობთ საჭირო კომენტარებს. ამგვარი დამატებითი უფრო ვრცელი ახსნა-განმარტებანი გადატანილი გვაქვს ბოლოთქმაში, ეპილოგში (იხ.).

ფორმები. ტექსტებსა და მაგალითებში გამოყენებული გვაქვს თანაბრად სალიტერატურო ენისა (*ნევეშთარი*) და სასაუბრო, სალაპარაკო ენის (*გოჭთარი*) ფორმები. ფორმათა სხვაობა ზოგჯერ წყაროდანვე მოდის, ხშირად კი ორივე ვარიანტი მეტყველების ნაკადსა თუ რამე ტექსტს ეკუთვნის. შესაბამისად, ხშირად ორივე ფორმაა პარალელურად წარმოდგენილი, ზოგან მარტო ერთია რომელიმე. გააჩნია, ნიმუშები როგორცაა წარმოსახული ან კონტექსტის შესატყვისად, სტილისტურად რომელი უფრო უპრიანია. თავად საკითხისთვის თუ ფორმას არა აქვს მნიშვნელობა, ხშირად ეს ჩვენ არჩევანზეა. ცხადია, თუ მორფოსინტაქსურ მოვლენებთან გვაქვს საქმე (როგორცაა, მაგალითად, ენკლიტიკურ მორფთა მიერთება, კლიტიკისა და წინდებულის შერწყმა, შემოკლებული კოპულის გამოყენება, სხვადასხვა სპეციალურ კონსტრუქციათა აგებულება, ანტიცე-

დენტური სტრუქტურები, თანდებულისა და კლიტიკის სინთეზი და სხვა მრ.), სასურველია და აუცილებელიც, პარალელურად იყოს წარმოდგენილი და ახსნილი როგორც სრული სალიტერატურო ფორმები, ასევე მოკვეცილ-შეკვეცილი თუ ფონეტიკურად სახეცვლილი სასაუბრო ფორმებიც. ეს პრინციპი გატარებულია, რათა ნათელი იყოს ყველა მორფოსინტაქსური პროცესი.

წყაროების მითითება. წყაროები მაგალითებში არ არის მითითებული, რაც მისაღებია და მიღებულიცაა სახელმძღვანელოს ტიპის ნარკვევისთვის. მაგალითთა კორპუსები ანუ მთელი ენობრივი მასალა მოიცავს უამრავ მრავალგვარ სფეროს: ცოცხალი დისკურსები და სამეტყველო ნაკადები, ინფორმანტთა საველე მასალა, სახელმძღვანელოთა და გრამატიკულ კურსთა მასალა, საკითხავ წიგნთა მასალა, ფუნდამენტური კვლევების მონაცემები, მასმედია (პრესა, პერიოდიკა, ტელევიზია, რადიო), სოცქსელები და ზოგადად ინტერნეტსივრცე, თეატრი, კინო, ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა და თარგმანები, სამეცნიერო ლიტერატურა, პუბლიცისტური ნაწერები, სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის თხზულებანი, კრიტიკული წერილები, საჯარო გამოსვლები და სიტყვები და ა. შ. არავითარი კონკრეტული წყაროს აღნიშვნა მაგალითებთან არ ხდება. ზოგჯერ, ხანაც ხშირად, საჭიროების შემთხვევაში სახელდება სფერო, რომელშიც შეიძლება ჭარბობდეს ესა თუ ის მოვლენა, ფაქტი. ცხადია, განსაკუთრებულად ხორციელდება სასაუბრო ენის დახასიათება, მისი მახასიათებლების გამოყოფა და შეპირისპირება სალიტერატურო ენასთან. თავისთავად ცხადია, *გოჭთარისა (მოჰპვერედის)* და *ნევეშთარის* შეპირისპირებითი აღწერა-ანალიზი გადმოცემის ერთ-ერთი წამყვანი პრინციპია, ერთ-ერთი მთავარი პარამეტრია. ასევე, ხშირად საჭირო ხდება კონკრეტული დარგის, სფეროს მითითება, როგორცაა: მხატვრული ლიტერატურა, კინოფილმები, ინტერნეტი, ტელევიზია, მიტინგების ენა თუ სხვა. ასეთი მინიშნებები აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებით სპეციფიკურ ნიშნებთან და ფაქტებთან გვაქვს საქმე. ხაზგასმა ხდება, თუკი ესა თუ ის სპეციფიკური ნიშან-მახასიათებელი რალაც გარკვეულ

სფეროშია შენიშნული. ჯამურად, მასალის უმეტესი ნაწილი სხვადასხვა სახის ცოცხალი მეტყველების ნაკადთა კუთვნილებაა.

საბოლოო ჯამში, ყველა სახის მასალა შემოწმებადია მკითხველისგან, რადგან ბოლოთქმა-ეპილოგში მოცემულია საკითხთა, თემათა ჩამონათვალი, რომელიც თავის მხრივ მიემართება გარკვეულ მკვლევართა სიას (შესაბამის კვლევათა ავტორებს); ხოლო ბიბლიოგრაფიაში სპეციალური ლიტერატურის სახით წარმოდგენილია შესატყვისი ძირითადი, ფართოდ ცნობილი, მასალობრივი წყაროები -საფუძვლები (იხ. აქ მუხლები: „მასალა და წყაროები,, „ბიბლიოგრაფია,,).

გათვლა და დანიშნულება. ავტორის აზრით, ესაა ძირითადი ან დამხმარე სახელმძღვანელო, იმავდროულად დამოუკიდებლად საკითხავი თუ შესასწავლი წიგნი. ქართული გრაფიკით შესრულებული ტრანსკრიფცია კი მისაწვდომად ხდის წიგნის ტექსტურ შინაარსს ყველა დაინტერესებულ პირთათვის, ვინც ჯერ არ ფლობს სპარსულ გრაფიკას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კურსი შეიცავს პრაქტიკულ სინტაქსსა და პრაქტიკულ მორფოსინტაქსს ანუ გამოსაყენებელია წმინდა პრაქტიკულ ცნობარად, გარდა აკადემიური, თეორიული მიზნებისა.

წიგნი გათვლილია პირველ რიგში, ირანული განყოფილებების სტუდენტებზე, შესაბამისი სპეციალობების პროფესორ-მასწავლებლებზე, სპარსული ენის სკოლის მასწავლებლებზე ქართულ სკოლებში (მასწავლებელთათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ თუ მოსწავლეთათვის საკითხავ წიგნად), აგრეთვე სპარსული ენის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის, საგნით ყველა დაინტერესებულ პირთათვის. ოფიციალური სასწავლო პროცესების გათვალისწინებით, აქ იგულისხმება ყველა უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი (საჯარო თუ კერძო სკოლები), სადაც ამა თუ იმ დონეზე ისწავლება სპარსული ენა. კურსის გამოყენება დამოკიდებულია თავად ნაგულისხმევ სუბიექტთა სურვილსა და არჩევანზე. ასევე აქტიურად გამოსადეგია მონოგრაფია კერძო, პირადი ინტერესებისთვის სასწავლო თუ დამოუკიდებელი კითხვის პროცესებში. სხვათა შორის, წიგნის გამოყე-

ნება დიდწილად შესაძლებელია ქართული ენის არმცოდნე მომხმარებელთათვისაც, თუკი ისინი სურვილის შემთხვევაში ყურადღებას გადაიტანენ მხოლოდ სხვადასხვა თავებში მოცემულ მხოლოდ სპარსული ენის მასალაზე. თავად მასალა გასაგებს ხდის საკითხებს. და ბოლოს, იმავდროულად, გარკვეულწილად შეუძლიათ გამოიყენონ წიგნი სპარსულენოვანმა ქართული ენის შემსწავლელმა პირებმაც. სურვილის შემთხვევაში დასაშვებია ოდენ ქართული ტექსტის გაცნობაც, საიდანაც დაინტერესებულ პირი მიიღებს საჭირო ცოდნას.

ყოველივე თქმულის საფუძველზე დავასკვნით, რომ ეს *ორენოვანი მონოგრაფიული კურსი გამოსადეგია ორმხრივად ორივე ენის კუთხით.*

ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიაში (ლიტერატურის უმოკლეს სიაში) წარმოდგენილია მხოლოდ უძირითადესი სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები, საკითხავი წიგნები და სასწავლო გრამატიკული ლიტერატურა, აგრეთვე ზოგიერთი მთავარი გამოყენებული თუ საჭირო საშუალო სამეცნიერო სირთულის აკადემიური გრამატიკები; კომპენდიუმები; გარკვეული სახის ლექსიკონები; თემატურად შესატყვისი ზოგი აკადემიური, თეორიული ხასიათის მონოგრაფიული კურსი; აღწერითი კომპლექსური, თემატური მონოგრაფიები. ამგვარ ავტორისეულ არჩევანში, შესაძლოა, გამორჩენილია ზოგიერთი სხვა საჭირო მასალა, მაგრამ მისი ხილვა მისაწვდომია სხვა ავტორთა ნაშრომებშიც, რომელიც სახელდება ბოლოთქმაში. წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული სია საკმაოდ მკაცრადაა შეზღუდული მიზნობრივად და ტექნიკურადაც. ესაა უმოკლესი, ავტორის მიერ დაწურული სია, რომელიც უშუალო კავშირშია მოცემული მონოგრაფიის მასალასთან და მის ავტორისეულ ინტერპრეტაციასთან. საცოდნელია, რომ უფრო ფართო გრამატიკული თუ სამეცნიერო ლიტერატურა მკითხველს სურვილის შემთხვევაში შეუძლია მოიძიოს ავტორის სამეცნიერო შრომებში (რომელიც აქ. ბუნებრივია, ჩამოთვლილი ვერ იქნება); აგრეთვე . – სხვა ავტორთა ნაშრომებში, რომელთა გვარ-სახელებს შეზღუდული რაოდენობით აქვე და მეტად ბოლოთქმა-ეპოლიგში წარმოვადგენთ იმ ძირეულ საკითხებთან ერთად, რომელიც აქტუალურია მოცემული მონოგრაფიის შინაარსის-

თვის. გვარსახელები აღინიშნება ორიგინალთა ენებზე, რომელზედაც მოიპოვება ამ ავტორთა შრომები, ქართულად კი ყველა გვარსახელია წარმოდგენილი თვალსაჩინოდ. ბიბლიოგრაფიაში კატეგორიულად არ არის და ვერ იქნება შეტანილი ფუნდამენტური კვლევების მონაცემები ანუ სამეცნიერო-კვლევითი უზარმაზარი ლიტერატურა: სამეცნიერო სტატიები, კვლევითი მონოგრაფიები, სტატიათა კრებულები, სამეცნიერო ფორუმების მასალები და ა. შ. ბოლოთქმა-ეპილოგში აუცილებლობის მიხედვით, გარკვეულ საკითხებსა და თემებზე ხდება მინიშნება და სახელდება წამყვან ავტორთა შეზღუდული რაოდენობა (გვარ-სახელები ამა თუ იმ თემასთან, საკითხთან დაკავშირებით). ასე იქმნება ერთგვარი *მეორე, თავისებური, სპეციფიკური შეზღუდული ბიბლიოგრაფიული სია*, რომელიც განთავსებულია ბოლოთქმა-ეპილოგში. ხაზს ვუსვამთ, ეს უკანასკნელი ჩამონათვალი ითვალისწინებს *სპეციალურად მხოლოდ ინოვაციებს*, – *ინოვაციურ ფაქტებსა (ენობრივ სიახლეებს) და ინოვაციურ ინტერპრეტაციულ მიდგომებს (კოდიფიკაციურ სიახლეებს)* (და არა ზოგადად საკითხებს, რაზედაც ლიტერატურა უზარმაზარია). ამდენად, ინოვაციურად განსაკუთრებით ყურადღას საკითხებზე დაინტერესებულთ შეუძლიათ მოიხილონ პირველ რიგში *მაია სახოკიას შრომები* (მონოგრაფიები, სადისერტაციო ნაშრომები და სტატიები), აგრეთვე, – ამ ნაშრომებში დასახელებული დიდძალი ლიტერატურა ბიბლიოგრაფიულ ჩამონათვალთა სიებში (ავტორები და ამ ავტორთა შრომებში თავის მხრივ წარმოდგენილი დასახელებანი) და ა. შ. ამ მხრივ *მაია სახოკიას* ერთი სტატიის მინიშნება აქვე შეიძლება, სადაც თავმოყრილია *სპარსული ენის ისტორიული მორფოსინტაქსის* თეორიული საფუძვლების აღწერაც, თავად *საავტორო თემათა* ნუსხაც და შედარებით სრული ბიბლიოგრაფიაც (სახოკია 2008, დავით კობიძე 100). სრული დასახელება და საკითხის განმარტებაც დაწვრილებით მოცემულია ბოლოთქმა-ეპილოგში (იხ. ბოლოთქმა). აქვე მივანიშნებთ რამდენიმე *წამყვან ბიბლიოგრაფიულ წყაროს*, რომელსაც მეტად დავეყრდენით ჩვენს მონოგრაფიაზე მუშაობის პროცესში. ესენია: ი. რუბინჩიკი (Ю. А. Рубинчик) 1981, 1983, 1960, 2001; ვ. რასტორგუევა (В. С. Расторгуева) 1953/1973; ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი (S. Amin-

Madani, D. Lutz) 1972; ს. ამინ-მადანი (S. Amin-Madani) 1343, ვ. ივანოვი (В. Б. Иванов) 1999; ი. სამარე (Y. Samareh) 1313, მ. არენდსი (A. Арендс) 1941, ჰ. გივი, ჰ. ანვარი (H. Givi, H. Anvari) 1995, ნ. გლადკოვა (Н. Гладкова) 1999-2001, გ. ვინდფური (G. Windfuhr) 1979, მ. ზარყამიანი (Z. Zargamian) 1377, ლ. თუშიშვილი 2000, ფ. ლაზარი (G. Lazard) 1957, 1963, ა. ლამბტონი (A. Lambton) 2000, ი. ოვჩინიკოვა (И. К. Овчинникова) 1966/1969, 1963, 2002; ლ. პეისიკოვი (Л. С. Пейсиков) 1959, 1960, 1975; კ. პოლიაკოვი (К. И. Поляков) 2002, კ. პოლიაკოვი, ა. ნასიროვი (К. И. Поляков, А. А. Насыров) 2000, გ. რენკინგი (G. Ranking) 1971, ხუთი ავტორის გრამატიკა (Panj Ostad) 2000, მ. შარიათი (M. Shariyat) 2002, ს. შამისა (S. Shamisa) 2002, შ. ფუშეკური (Ch. Fouchecour) 1978, მ. შირაზი (M. Shirazi) 1992, 2000; ვ. ხანლარი (P. Hanlari) 1998, ლ. ბოილი (L. Boyle) 1966, თ. ქამიარი (T. Kamyar) 1384, თ. ფურნამდარიანი (T. Pournamdariyan) 1997, ყ. არჟანგი (Q. Arjang) 1374, და სხვა. სრული დასახელებანი და განმარტებანი იხილეთ ბიბლიოგრაფიაში ან ბოლოთქმაში (იხ.). დიდძალი მოძიებული მასალის თვალსაზრისით გამორჩეულია შემდეგი მინიშნების სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები, გრამატიკის კურსები, საკითხავი წიგნები და ლექსიკონები: აზფა (AZFa), ჯ. გიუნაშვილი 1987, ჯ. გიუნაშვილი 1980, მ. რადოვილსკი (М. Е. Радовильский) 1972; მ. ბასირი (M. Basiri) 1997, მ. ფათემი, ი. კალაძე 1973; ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი (S. Amin-Madani, D. Lutz) 1972; დ. კობიძე 1963 (1984), 1967; ჯ. გიუნაშვილი, დ. კაციტაძე 1963; მ. ზარყამიანი (M. Zargamian) 2011, გ. ნაჯაფოვი (Г. Г. Наджафов) 2001, ნ. გლადკოვა (Н. Гладкова) 1999-2000, კ. პოლიაკოვი (К. И. Поляков) 2002; კ. პოლიაკოვი, ა. ნასიროვი (К. И. Поляков, А. А. Насыров) 2000; ხუთი ავტორის გრამატიკა (Panj Ostad) 2000, ი. რუბინჩიკი (Ю. А. Рубинчик) 1983, ა. ნაჯაფი (A. Najafi) 1378, მ. შირაზი (M. Shirazi) 1992, და სხვა. კვლავაც, სრული დასახელებანი იხილეთ ბიბლიოგრაფიის (ლიტერატურის) სიაში. გარდა ამისა ზოგი მნიშვნელოვანი ფაქტი-მაგალითი ამოღებულია კვლევითი ლიტერატურიდან, რაც თემებად და გვარებად ნაჩვენებია *ბოლოთქმაში*; მასალის გამო-

ყენების შემთხვევაში კვლევებიდან, ეს შემთხვევები საგანგებოდ მითითებულია იქვე *ბოლოთქმაში*. გარდა ამისა, გრამატიკული კოდიფიკაციების თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ზოგიერთი სპარსული ძეგლის, წყაროს ტექსტებიდან ამოკრებილმა მასალამ; ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა თანამედროვე ახალსპარსულისა და კლასიკური სპარსულის მიჯნაზე აღნიშნულ, – გარდამავალი ეპოქის მონაცემთა გათვალისწინებაც; ასეთ გამოცემებსაც გამოკვეთილად გამოვყოფთ, აღვნიშნავთ ბოლოთქმაში სრული დასახელებით ან აუცილებლობის შემთხვევაში შეგვაქვს ბიბლიოგრაფიის სიაშიც. *ბოლოთქმის ტექსტში* სახელდება ზოგი მნიშვნელოვანი მონაცემი კლასიკურ სპარსულ ფაქტებთან დაკავშირებითაც (იხ. ბოლოთქმა). ასევე *ბოლოთქმაში* სახელდება უმთავრეს თანამედროვე ირანელ მწერალთა სახელები და მათ ნაწარმოებთა სახელწოდებანი, რომელთა ტექსტებიდანაც მოპოვებულია გადამწყვეტი მნიშვნელობის ენობრივი ფაქტები. ამავე მიზნით დასახელებულია აგრეთვე ზოგი კინოფილმის სახელწოდებაც, ზოგჯერ რეჟისორთან ერთად, მონაცემები პერიოდიკიდან და ა.შ. უფრო გამონვლილვითი ინფორმაცია ყველა ჩამოთვლილ საკითხზე მოსაძიებელია და მოძიებადია *მაია მ. სახოკიას* შრომათა ბიბლიოგრაფიებში, თავად ამ შრომათა ტექსტში და სხვა, იქ თუ აქვე დასახელებულ ავტორთა შრომებში. მ. სახოკიას ამ მხრივ გამოკვეთილი ნაშრომები *ბოლოთქმაშია* მითითებული.

გარდა ამისა, სხვადასხვა საკითხზე, თემაზე ზოგი წყარო მითითებულია *ბოლოთქმაში* დამატებითი ცნობის სახით აუცილებლობისამებრ და საჭიროებისამებრ (იხ.).

ამგვარად, ვასკვნით, რომ ბიბლიოგრაფიის გასაცნობად მკითხველს შეუძლია მიმართოს: ა) ნაშრომის ბოლოს განთავსებულ სრულ დასახელებათა ბიბლიოგრაფიულ სიას (უმოკლესი ლიტერატურის სიას) და ბ) ბოლოთქმა-ეპილოგის ტექსტში განთავსებულ, ავტორთა (გვარ-სახელები) და შესაბამის საკითხთა (თემათა) მინიშნებების ჩამონათვლებს.

3 ავტორის გრამატიკა. შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის 2008-20011 წლების გამარჯვებული საგრანტო სამეცნიერო პროექტის თანახმად, დასრულებულია სპარსული ენის ქართულენოვანი გრამატიკის სამი ნაკვე-

თის დამუშავება: ფონეტიკა და ფონოლოგია (ავტორი თეო ჩხეიძე), მორფოლოგია (ავტორი ინგა კალაძე), მორფოსინტაქსი და სინტაქსი (ავტორი მაია სახოკია). მესამე ნაკვეთი ყველაზე ვრცელია. საგრანტო პროგრამის ფარგლებში დასახელებულ გრამატიკულ ნარკვევთა ბეჭდვა-გამოცემა არ ყოფილა გათვალისწინებული. დღესდღეობით პირველი ორი ნაკვეთი ამჟამად მზადდება გამოსაცემად (ტექნიკური თვალსაზრისით), ხოლო წინამდებარე ნაკვეთი იხვეწებოდა და მზადდებოდა წლების განმავლობაში და ამ ეტაპზე უკვე ქვეყნდება დამოუკიდებელი სახით. სამომავლოდ გათვალისწინებულია დანარჩენ ავტორთა ნაკვეთების ერთიანი გამოცემა მოცემული ნაკვეთის განმეორებულ გამოცემასთან ერთად. გეგმის მიხედვით, უნდა მივიღოთ „სამი ავტორის„ გრამატიკული ნარკვევი. სამივე ნაკვეთი თავისი ხასიათითა და შინაარსით საავტოროა.

შენიშვნები. რამდენიმე შენიშვნა დანერილობის შესახებ: ა) ზოგიერთ ნიმუშში გამოყენებულია ̣ ი-ასოთი აღბეჭდი-

ლი იზაფეთი ნაცვლად ა ჰამზისა, რადგან ზოგჯერ ასეთი სახეობაც გვხვდება და სასწავლო პროცესებშიც რეალურად გამოიყენება; ბ) სპარსულ მაგალითებში გვხვდება აგრეთვე ფუძისეულ სიტყვებთან გადაბმული მორფოლოგიური ელემენტები, რაც უფრო ძველ ორთოგრაფიას შეესაბამება; მაგრამ მრავალ სხვადასხვა ტექსტში (მათ შორის სასწავლო ლიტერატურაშიც) წარმოდგენილია ასეთი დანერილობაც და ის აღარ შეგვიცვლია; უმეტესწილად კი ვიყენებთ ახალ ორთოგრაფიას, რომლის მიხედვითაც გარკვეული სხვადასხვა მორფოლოგიური ელემენტები ფუძისეული სიტყვისგან მონყვევით (მონყვევითლად) აისახება; გ) ტერმინი *იზაფეთი/იზაფეთი* მოხვედრილია ტექსტში ორივე დანერილობითა და გაჟღერებით, რადგან ლიტერატურაში ორივე ეს დასაშვები ვარიანტი გვხვდება (განსაკუთრებით, არაბისტიკის დარგის გათვალისწინებით); დ) ტრანსკრიფცია ქართულია, რაც პირველ რიგში მომდინარეობს ჯერ კიდევ ადრინდელი საგრანტო აკადემიური პროექტების გეგმიური წესებიდან, ასევე შემდგომ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის გეგ-

მით გათვალისწინებული სამუშაო წესებიდან; გარდა ამისა, მოცემული მონოგრაფიის ავტორი თვლის, რომ ქართული ტრანსკრიფცია ჩინებულად ასახავს სპარსული ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ სისტემას, რაც აღინიშნება კიდევ, მაგალითად, *თო ჩხეიძის მიერ* (იხ. შემდეგ თ. ჩხეიძის შესაბამისი გრამატიკული ნაკვეთი: სპარსული ენის ფონეტიკური და ფონოლოგიური სისტემა).

მოკლე შინაარსი. წინასწარი წარმოდგენის შესაქმნელად, აქვე ქვემოთ მოცემულია უძირითადეს საკითხთა მოკლე ჩამონათვალი *მთავარი შინაარსის* სახით .

წინასწარი მოკლე შინაარსი მორფოსინტაქსი და სინტაქსი შინაარსი

მარტივი წინადადება

უმარტივესი ფრაზები. უქვემდებარო შემასმენელი, სახელური პრედიკატი ერთ და ორშემადგენლიანი; კოპულატური ფრაზები; უპირო წინადადებები და ფრაზები; გრძნობა-გუნების ერთ და ორშემადგენლიანი ფრაზები; გარემოებითი ეგზისტენციური ფრაზები; ორპრედიკატული უპირო და პირიანი ფრაზები;

გაუვრცობელი მარტივი წინადადება და გავრცობის შესაძლებლობები.

წინადადების მთავარი წევრები. შემასმენელი. ქვემდებარე. ქვემდებარის რთული ფორმები. ირიბი ქვემდებარე და მისი ჯგუფები.

წინადადების სხვა წევრები. დამატებები. პირდაპირი დამატება. ირიბი დამატება. პირდაპირი და ირიბი დამატება როგორც მთავარი წევრები: ზმნა-შემასმენელში მათი გამოხატვა.

გრამატიკული სინონიმია: რა-თანდებული/კლიტიკური მარკერი (პირდაპირი დამატება); ბე-წინდებული/კლიტიკური მარკერი (ირიბი დამატება); კლიტიკური მარკერები მარტივ და რთულ ზმნებში. სპეციფიკაციები: შერეული და ალტერნატიუ-

ლი მარკირება: რწ-თანდებულის სპეციფიკაციები და ინოვაციები თანამედროვე სპარსულში.

უბრალო დამატება. უბრალო დამატების გამოხატვა და მიმართება გარემოებებთან. გარემოებითი უბრალო დამატება.

გარემოებები (ადგილის, დროის, ვითარებისგარემოებები და მათი სახეობები). გარემოებისა და უბრალო დამატების დამთხვევის შემთხვევები.

მორფოსინტაქსურ ფორმათა პოლიმორფიზმი და სინკრეტიზმი. წინადადების წევრთა დამთხვევისა და ურთიერთალრევის შემთხვევები.

მსაზღვრელი. სინტაგმა. მსაზღვრელ-საზღვრული. იზაფეთური და უიზაფეთი კავშირი, პრეპოზიციული და პოსტპოზიციური წყობა. იზაფეთური სიტყვათშენაერთები და იზაფეთური ჯაჭვები წინადადებაში.

წინადადების წევრთა გამოხატვა ბრუნვათა საკომპენსაციო საშუალებებით: წინდებულები, თანდებული, ენკლიტიკები, ენკლიტიკების მორფოსინტაქსური ფუნქციები; რწ-თანდებულის ხმარების წესები წინადადებაში და ინოვაციები; რწ-ს სინონიმია ენკლიტიკებთან; დამატებები; რწ-თანდებულის ფუნქციები თანამედროვე და კლასიკურ ენაში ქვემდებარეთა სხვადასხვა ფორმები; ქვემდებარის რთული ფორმები; გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის გამოხატვა ზმნაში კლიტიკური მეორადი პირის მარკერით; მორფოსინტაქსური სპეციფიკაციები; მსაზღვრელი; და სხვ.

უმარტივეს სიტყვათშენაერთთა ძირითადი ტიპები. წინდებულური, ინფინიტიური, იზაფეთური, მიმლეობური, სახელური (ნომინალური) და სხვა.

სინტაქსურ კავშირთა ტიპები: სინტაქსური გამოხატვის საშუალებები.

შეთანხმება, მართვა, მირთვა. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმების ტენდენციები. მართვის საკითხები, მარკერები, წინდებულები.

წინადადებები შინაარსის მიხედვით: თხრობა, მტკიცება, უარყოფა, ბრძანება, ძახითი, ნატვრითი; სხვადასხვა ელემენტთა მონაწილეობა წინადადების სემანტიკაში. **ნატვრითი ანუ**

სურვილის წინადადება. მისი გამოყენების წესები.

ირეალობა. ირეალობის გამოსატყვა. ირეალობის მორფოსინტაქსი.

სიტყვათა რიგი მარტივ გავრცობილ თუ გაუვრცობელ წინადადებაში. **სტანდარტული სიტყვათგანლაგება** და მისი გართულების ფაქტორები. **ნორმა და ინვერსია.** ინვერსიის ხარისხები. თავისუფალი რიგი. სიტყვათა რიგის თანამედროვე ტენდენციები.

სიტყვათა რიგი სპეციალურ კონსტრუქციებში.

ერთგვარწევრიანი **შერწყმული** წინადადება. **ერთგვარი** წევრები.

სპეციალური ანუ სპეციფიკური კონსტრუქციები:

ფსიქოლოგიური სუბიექტი: სიტუაციური სინტაქსი.

ქე-კავშირული ნაწილაკი თანამედროვე სალაპარაკო ენაში და მისი ადგილი წინადადებაში: სიტუაციური სინტაქსი.

გრძნობა-გუნებისა (აფექტური) და აღქმა-მენტალობის კონსტრუქციები: მგრძნობელი, განმცდელი ირიბი ქვემდებარე_ექსპერიენცერი.

ფლობა-კუთვნილება, ირიბი ქონა-ყოლის (პოსესიური). მფლობელი ირიბი ქვემდებარე.

ასაკის გამოსატყვა. ასაკის ირიბი ქვემდებარე.

რთული ზმნები, პრედიკატული ბირთვები წინადადებაში, მიმართება რიგთან. ჩარჩოს სტრუქტურა და მარტივი წინადადების საზღვრები. წევრები ჩარჩოში.

უზმნო და უკოპულო ფრაზები, სახელური (ნომინალური) ფრაზები. მიმართება რიგთან და ინვერსიასთან.

ორპრედიკატული კონსტრუქციები. უპირო და პირიანი ფორმები. მოდალური ზმნები და მოდალურზმნიანი კონსტრუქციები.

კოპულატური კონსტრუქციები და მათი ჯგუფები (ყოფნა ზმნა წინადადებაში). მიმართება რიგთან და ინვერსიასთან.

სახელდების კონსტრუქციათა სხვადასხვა ტიპები. ელემენტების მონაწილეობა.

რელატიური (შედარების) კონსტრუქციები (შედარების

გამოხატვა და რიგი).

წარმოშობა-ნათესაობის, სხვადასხვა მიკუთვნების და მიმართების გამოხატვა. სემანტიკური ჯგუფები.

რწ-თანდებულის სპეციფიკაციები თანამედროვე სპარსულში. ძველი ფუნქციები და ინოვაციები ან ნეოლოგიზმები. ნორმა და არატრადიციული ხმარება. ნორმა და ნორმის ვარიანტი. გამონაკლისი.

კლიტიკური მორფების სპეციფიკაციები. პირის მარკერები და მობილური მორფები. მობილურ კლიტიკათა სემანტიკური ჯგუფები.

სიტყვათა რიგი სპეციალურ კონსტრუქციებში.

რთული წინადადება

თანწყობა. კავშირები, ჯგუფები.

ქვენწყობა:

1. ქვემდებარული დამოკიდებული; 2. დამატებითი დამოკიდებული; 3. გარემოებითი დამოკიდებულები: ადგილის, დროის, ვითარების (რაგვარობა-რანაირობა, რაოდენობა-მოცულობა, მოჩვენებითობა, მიუღწევლობა, განუხორციელებლობა, ჩანაცვლება, საპირისპირო-დაპირისპირება, ხარისხი, ზომა-წონა, და სხვა ვითარებანი); თანმიმდევრობა, კონსეკუცია, შედეგობრიობა, გამომდინარეობა, იარაღი და საშუალებები; 4. განსაზღვრებითი დამოკიდებული (თვისება, მიმართება, აგებულების ტიპები); განსაზღვრებითობა ნევრების მიხედვით: ქვემდებარული, დამატებითი (პირდაპირი, ირიბი, უბრალო), გარემოებითობის მიმყოლი განსაზღვრებითები; ი-არტიკლის გამოყენებისა და გამოტოვების ჯგუფები; რელატიური (შედარებითი) განსაზღვრებითი დამოკიდებული; განმარტებითი; ორმაგი განსაზღვრებითები; დამატებიანი განსაზღვრებითები; რათანდებულის სპეციფიკაციები და ინოვაციები განსაზღვრებითდამოკიდებულ ქვენწყობაში; 5. კაუზალური, მიზეზის დამოკიდებული; 6. დათმობითი დამოკიდებული; 7. მიზნის, დანიშნულების, განზრახვის დამოკიდებულები; 8. პირობითი დამოკიდებული წინადადება; **რეალური და ირეალური** პირობა; დროები და

დროთა კომბინაციები ქართული შესატყვისებით; **კომბინაციათა** ტიპები.

ზერთული წინადადება. რამდენიმე თანწყობილი ზერთული ქვენყობა და შერეული ზერთული წინადადება. ორმაგი, სამმაგი და მეტმაგი ზერთულები.

დროები წინადადებაში ანუ დროები სინტაქსში: ფორმათა სინტაქსი და მორფოსინტაქსი. დროთა ფუნქციები, კავშირებითები; ზმნები *ბუდან, ჰასთან, შოდან, დაშთან* წინადადებაში; *დაშთან* ზმნის **სინტაქსური სპეციფიკაციები**; ზოგ ზმნათა და დროთა **ფუნქციური სპეციფიკაციები**, მათი ხმარების წესები; ანმცოს კავშირებითი მომავლის მნიშვნელობით; ნამყო მომავალში; *დაშთან*-იანი ფორმები წინადადებაში; პერფექტი, ნამყო ნყვეტილი; უწყვეტელი; **ირეალობის** გამოხატვა დროებში.

ირეალობა ზოგადად და ირეალობის გამოხატვა: ირეალობის სხვადასხვა ჯგუფები. ნატვრა-სურვილი, პირობა, მოდალობა.

განკერძობული სიტყვები. განკერძობვა, განკერძობებული განსაზღვრება, განკერძობული გარემოება, დანართი, აპოზიცია, ჩართული, მიმართვა, ნაწილაკები და შორისდებულები წინადადებაში.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი. დიალოგი.

სასრული ფრაზები და სასრული სიტყვები. *ფაანე ჯომლე.*

ყველა ამ და სხვა საკითხთა გაცილებით გამონვლილვითი ჩამონათვალი უფრო დეტალიზებული, დაწვრილებითი სტრუქტურებითა და შიგთავსით წარმოდგენილია მონოგრაფიის **სარჩევში** (იხ. ქვემ. **სარჩევი**).

თანამედროვე
სპარსული ენის სინტაქსი
და მორფოსინტაქსი

დიაქრონიული ტიპოლოგიის
გათვალისწინებით

მარტივი წინადადება

უმარტივესი გამონათქვამები: ფრაზები და გაუფრცოვლები მარტივი წინადადება

უმარტივესი ფრაზები.

გაუფრცოვებელ მარტივ წინადადებებს შორის გვხვდება უმარტივესი ფრაზები-წინადადებები. წინადადება სპარსულში შეიძლება წარმოდგენილი იყოს: ა) ოდენ შემასმენლით, რომელშიც ნაცვალსახელური ენკლიტიკის (მორფის, მორფემის) მეშვეობით სუბიექტის (ქვემდებარის) პირთან ერთად გამოხატულია აგრეთვე რომელიმე ობიექტის (დამატების) პირიც (პირდაპირი ან ირიბი დამატების პირი); ბ) სხვადასხვა ტიპის უმარტივესი შედგენილი შემასმენლებით; გ) ერთი სიტყვით; დ) შორისდებულებით და სხვ.

ა). მარტივი შემასმენელი-წინადადება:

ზმნის პირიელი ფორმით გამოხატული შემასმენელი, იქნება ეს მარტივი თუ რთული ზმნა (იხ. რთული ზმნები), ქვემდებარისა და დამატებების გარეშე. ასეთ შემთხვევაში წინადადება შეიცავს მხოლოდ ერთ სიტყვას ან ერთი სიტყვის ეკვივალენტურ სიტყვათშენაერთს, რომელშიც აღინიშნება ფორმალურად გამოტოვებული ქვემდებარის პირი, ან ქვემდებარისა და რომელიმე გამოტოვებული დამატების (პირდაპირის ან ირიბის) პირები ერთდროულად. ამავდროულად ამგვარი ერთსიტყვიანი შემასმენლური წინადადება შეიძლება წინადადებებს სხვადასხვა შინაარსის მიხედვით გამოხატავდნენ: თხრობა, ბრძანება,

ძახილი, ნატვრა, უარყოფა, კითხვა და სხვ. მაგ.: می نویسم მი-

ნევისამ „ვწერ“, بودم نشسته ნეშასთე ბუდამ „ვიჯექი“, برو ბე-

როუ (პოროუ)! „წადი!“, بخانید ბეხანიდ (ბეხუნიდ/ბეხუნიდ)!

გაშთე! „დაბრუნებულა!“, آمدہ آمدہ (უმადე)! „მოსულა!“,

ہ خراب شدہ ხარაბ შოდე „გატეხილა“ და მისთ.

ბ). უმარტივესი ფრაზის (გამონათქვამის) ერთ-ერთი ძირითადი ტიპია შედგენილი შემასმენელი სახელური პრედიკატული შემასმენლის სახით. ეს უკანასკნელი გულისხმობს ორი ელემენტის მონაწილეობას: სახელი და „ყოფნა“ ზმნა.

1. „ყოფნა„ ზმნის ფორმებით ნაწარმოები დამხმარე ზმნა-კოპულა. სახელად გამოიყენება ნებისმიერი არსებითი სახელი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი, სხვადასხვა ნაცვალსახელები. კოპულად წარმოდგენილია „ყოფნა“ ზმნის სხვადასხვა სახეობები: სრული და მოკლე ფორმები (استن هستن ჰასთან, ასთ), ზმნა بودن ბუდან.

უმოკლესი (უმარტივესი) სახელურპრედიკატული ფრაზები შეიძლება ჰქონდეს ორი ვარიანტი: უსუბიექტო (ფორმალურად ერთნევრიანი) და სუბიექტიანი (ფორმალურად ქვემდებარიანი ანუ ორნევრიანი). მაგ.: ერთნევრიანია: دانشیارم და-

ნემდარამ „მეცნიერი ვარ“, دانشجو هستیهد დაწეშჯუ ჰასთიდ

„სტუდენტი ხართ“, مهندس است/مهندسه მოჰანდეს ასთ/მო-

ჰანდესე „ინჟინერი არის/ინჟინერია“, زبانشناسید؟

ზაბანშენასიდ? „ენათმეცნიერი ხართ?“, کیست/کیه؟

ქისტ/?ქიე? „ვინ არის/ვინაა?“, چیست/چیہ؟ ჩისტ/ჩიე? „რა

არის/რა არი?“, تویی/تویی؟ „შენ(ა) ხარ?“, منم مანამ „მე

ვარ“, *ایرانیان هستند* ირანნიან ჰასთანდ „ირანელები არი-
ან“ *تهرانی ام* „თავადაა/თავად ისაა!“, *خداست* ხოდეშე „თეირანელი ვარ“, *موسافری؟* „მოგ-
ზაური ხარ?“, *سپاسگذارم* სეფასგოზარამ „მადლობელი ვარ“ და
მისტ.

ორწვერიანი: *من معلم هستم/معلم* მან მო'ალლემ ჰას-
თამ/მო'ალლემამ „მე მასწავლებელი ვარ“, *ایشان* იშან (იშუნ)
او دانشجو بود ოსთად ჰასთანდ „ის (ზრდ.) პროფესორია“, *او دانشجو بود*
დანეშჯუ ბუდ „ის სტუდენტი იყო“, *این کیه* ინ ქიე? „ეს ვი-
ნაა?“, *این منم* ინ მანამ „ეს მე ვარ“, *مسجد قشنگ است/فشنکه*
მასჯედ ყაშანგ ასთ/ყაშანგე „მეჩეთი ლამაზია“, *درخت بلند*
ანჰა „ხე მაღალია“, *است/بلنده* დერახთ ბოლანდ ასთ/ბოლანდე „დეწვერიანი: *دو نفر هستن*
ანჰან (უნჰ) დო ნაფარ ჰასთანდ „ისინი ორნი არიან,“
და მისტ.

სახელურ-პრედიკატული შემასმენლური ფრაზები შეიძ-
ლება უკოპულოც იყოს ანუ „ყოფნა“ ზმნა იქნება გამოტოვებუ-
ლი და ფრაზა იქცევა წმინდა სახელურ ანუ ნომინალურ ფრა-
ზად (იხ. სახელური, ნომინალური ფრაზა; იხ. კოპულა). მაგ.: *من*
مترجم მან ჭორუშანდე, შომან მოთარჯემ „მე

გამყიდველი [ვარ], თქვენ თარჯიმანი [ხართ]“; *این تمام* იმ

თამაშ „ეს დასრულებულია“, *فروش شما مناسب*

نامناسب მონასებ, *ჭორუმ ნამონასებ* „თქვენ შესაფერისი [ხართ], ვაჭრობა შეუსაბამო [ა]“. ნომინალური (სახელური) ფრაზები საკმაოდ გავრცელებულია სასაუბრო ენაში და გვხვდება ლიტერატურაშიც.

2. „ყოფნა“ ზმნის გარდა, კოპულად შედგენილ შემასმენელში გამოიყენება აგრეთვე ზმნა „გახდომა“: *შოდან* (კლასიკაში აგრეთვე *გარდიდან, გაშთან*). მაგ.: *دوکتور شد* დოქტორ შოდ

پرفسور / استاد شدید؟ „ექიმი გახდა/დოქტორი გახდა“,

ფროფესორ/ოსთად შოდიდ? „პროფესორი/ლექტორი გახდით?“, *دانشجو شدم* „სტუდენტი გავხდი“,

خبرنگار شدی؟ „კორესპონდენტი გახდი“

და სხვ.

3. კოპულატური ეგზისტენციური (არსებობის) ან ლოკატიური (მდებარეობის) გარემოებითი ფრაზებიც უმარტივეს მონათქვამთა ნიმუშებს წარმოგვიდგენენ. მაგ.: *سبزمینی*

کتابها „კარტოფილი არ არის“, *سبزی نیستش* სიბზამინი ნისტეშ

برق „ნიგნები არის“, *چეთაბჰჰ მოუჯუდ ჰასთიმ* „ნიგნები არის“, *موخود هستش*

اینجا تهران است „აქ თეირანია“, *باری هستش* „ლაპარაკობს თეირანი“ (რა-თეჰრან (ასთ) „აქ თეირანია“ ანუ „ლაპარაკობს თეირანი“ (რა-

დო); انجا اطلاعات ინჯან ეთთელა'ათ „აქ ცნობათა ბიუ-
რო[ა]“, ანუ „ცნობათა ბიურო გისმენთ“ (ტელეფონი),
رستورانہ کتابفروشی بگل / رستوران است ქეთაბჭორუში ბაყალე
რესტორან ასთ „ნიგნების მაღაზია რესტორნის გვერდი-
თაა/მდებარეობს“, منزل هستم [დარ] მანზელ ჰასთამ „შინა
ვარ, სახლში ვარ“, بچها منزل هستند ბაჩეჰან მანზელ ჰასთანდ
„ბავშვები შინ არიან“, پيش منه / كتابت نزد ქეთაბათ ნაზ-
დე/ფიშე მანე/მან ასთ „შენი წიგნი ჩემთანაა//მე მაქვს“, يشته

درم كيه كيه؟ يشته درت منم منم
ფოშთე დარათ მანამ, მანამ „ჩემს კარს უკან ვინაა, ვინაა? შენს
კარს უკან მე ვარ, მე ვარ“.

4. უპირო წინადადებები, როგორიცაა „ამინდის“ აღმნიშ-
ვნელი ფრაზები: گرم است / گرمه გარმ ასთ/გარმე, سرد
سارده / سرد است სარდ ასთ/სარდე, ابريه / ابريست აბრისთ/აბრე,
گرفتاره گرفتار است / خفه است ასთ, معتدله
მოლაემე, ملايمه მონაქე, خنكه ხონაქე, مو'თადელე „ხელა, ცივა, მოლრუბლულია, ჩახუთულია, სასია-
მოვნოდ გრილა, ზომიერია“. ჩამოთვლილი შემასმენლები ორ-
წევრიან ფრაზებსაც ქმნიან: ყველა მოყვანილ შემასმენელს შე-
იძლება შეენყოს ქვემდებარე هو ჰავან „ამინდი, ჰაერი, ჰავა,
კლიმატი„. მაშინ თარგმანი შესაბამისად იქნება „ჰავა ცივია,

ჰაერი ცხელია, კლიმატი ზომიერია, ამინდი გრილია, ამინდი ღრუბლიანია,, და ა. შ.

5. უპირო ორზმნიანი, ორპრედიკატული შემასმენლური ფრაზემები-მორფოსინტაქსემები (იხ. ორპრედიკატული), რომელიც შედგება დამხმარე მოდალური ზმნისა და ძირითადი ზმნის მოკვეცილი ინფინიტივისგან: **گفت باید بآباد** გოფთ „უნ-

და ითქვას, საჭიროა თქმა“, **رفت باید بآباد** რაფთ „საჭიროა ნასვლა“, **میتران خرید** მითავენ ხარიდ „შეიძლება ყიდვა“,

میتوانست فروخت მითავენესთ ჭორუხთ „შეიძლებოდა გაყიდვა“, **رفت نمیشود** ნემიშავად რაფთ „არ შეიძლება გასვლა“, და

სხვ. მოდალური ზმნები ამგვარ მორფოსინტაქსემებში (ფრაზემებში) გაყინული ფორმებითაა წარმოდგენილი: ან უპიროა, ან მე-3 პ. მხ. რ.-ის ფორმა აქვს. იმავდროულად მათ ანმყოს და ნამყოს ფორმები მოეპოვებათ, რაც ჩანს მოყვანილ ნიმუშებში (იხ. სპეციალური კონსტრუქცია, ორპრედიკატული; იხ. მორფოლოგია).

6. პირიელი (პირიანი) ორზმნიანი (ორპრედიკატული) ფრაზემები-შემასმენლები უპირო მორფოსინტაქსემებისგან განსხვავებით შეიცავენ ძირითად ზმნას პირიელ ფორმაში. შესაბამისად, პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება მოდალური დამხმარე ზმნაც (ანმყოს კავშირებითის ფორმით, ზოგჯერ კი ირეალური მნიშვნელობის უწყვეტლის ფორმით ან ვარაუდის მნიშვნელობით ნამყო კავშირებითის ფორმითაც), მაგრამ უცვლელი და გაყინული რჩება ანმყოს თუ ნამყოს ფორმებში ზოგიერთი მოდალური ზმნა, როგორცაა: **بایستن** ბაესთან „ხამს,

უნდა, საჭიროა“, **شایستن** შაესთან „შეიძლება“, **ممکن بودن**

მომქენ ბუდან „შესადლებელია“, لازم بودن ლაზემ ბუდან „სა-
 ქიროა“, میشد شدن: მიშავად, მიშოდ „შეიძლება,
 შეიძლებოდა“ და სხვ. მაგ.: میخوامم بخرم მიხაჰამ ბეხარამ
 „მინდა ვიყიდო“, میله دارم بفروشم მეილ დარამ ბეჭორუშამ
 „მსურს გავყიდო“, باید بنویسم ბადად ბენევისამ „უნდა დავწე-
 რო“, بیستی بخرد ბაღესთი ბებინი „უნდა გენახა“,
 بیستی بخردم ბაღესთი ბეხარად „უნდა ეყიდა“,
 باید مینوشتم ბადად მინევეშ-
 თამ „უნდა დამწერა“, شاید حاضر باشد შადად ჰაზერ ბაშად
 „შეიძლება დაესწროს“, میتونم انجام بدهم / بدم
 მიტონამ/მიტუნამ ანჯამ ბედეჰამ/ბედამ „შემიძლია შევასრუ-
 ლო“, میتوانستی بگویی / بگوئی / میتوانستی
 მიტავანესთი (მიტუნესთი) ბე-
 გუი (ბეგი) „შეგეძლო გეთქვა“, بود بروم
 მომქენ ბუდ ბე-
 რავამ /ბერამ „შეიძლებოდა წავსულიყავი“, لازم است / لازم
 دارم بگیرم ლაზემ ასთ//ლაზემ დარამ ბეგირამ „მჭირდება, სა-
 ქიროა ავილო“, تمام کرده باشید ბაღესთი თამამ ქარდე
 ბაშიდ „უნდა დაგემთავრებინათ“, بیستی بخوانم
 ბაღესთი ბეხანიმ (ბეხუნიმ) „უნდა წაგვეკითხა“, بیستی بخوری ბაღეს-

თი ბეხორი „უნდა დაგელია“ და მისთ.

7. გრძნობა-გუნებისა (განწყობისა) და მენტალობის (გონებრიობის) გამომხატველი ენკლიტიკური კოპულატიური (ყოფნა-ზმნიანი, კოპულიანი) ფრაზემები-მორფოსინტაქსემები, სადაც ნაცვალსახელური ენკლიტიკა გამოხატავს **მგრძნობელი, განმცდელი ან მოაზროვნე სუბიექტის (ექსპერიენცერის)** პირს (იხ. სპეციალური აფექტური კონსტრუქციები-მორფოსინტაქსები). მაგ.: **گشمنه** გოშნამე „მშია“, **تشمنه** თაშნამე „მწყურია“,

است يادم ადაშ ასთ „ახსოვს“, **سردتہ / سردت است** სარდათ

ასთ (სარდათე) „გცივა“, **گرمشہ / گرمش است** გარმამ ასთ

(გარმამე) „სცხელა“, **فکر بود** ჭექრამ ბუდ „ვფიქრობდი, ფიქრი/აზრი მქონდა“, და მრ. სხვ.

თუ ასეთ შემასმენლურ ფრაზემას-მორფოსინტაქსემას ახლავს აგრეთვე განმცდელი, მგრძნობელი სუბიექტის (ქვემდებარის) გამომხატველი სახელიც, სუბიექტის გამოხატვა ორმაგი იქნება, ენკლიტიკას კი ასეთ შემთხვევაში ანტეცენდენტიც (ანუ სუბიექტის სახელის მიმართ წინამდებარე, პირდაპირმდებარე) ენოდება (იხ. აფექტური კონსტრუქციები; იხ. ფსიქოლოგიური სუბიექტი). მაგ.: **او سردش است / سرده** უ სარდაშ

ასთ (სარდაშე) „იგი-მას სცივა“, **من گرمم است / گرممه** მან

გარმამ ასთ (გარმამე) „მე-მცივა“, **تو يادت نيست** თო ადათ

ნისთ „შენ-არ გახსოვს“, **ایشان گشنشونه** იშან (იშუნ) გოშნეშუნე

„ისინი-მათ შიათ“, **بچه تشنشہ** ბაჩე თაშნაშე „ბავში-მას სწყურია“ და მისთ.

გრძნობა-გუნების (აფექტურ) ფრაზემებში-მორფოსინ-

ტაქსემებში კოპულა „ყოფნა“ ზმნის გარდა შეიძლება მონაწილეობდეს شدن შოდან „გახდომა“ ზმნაც: شد من سردم მან სარდამ შოდ „მე შემცივდა“, تو گرمت میشود „თო გარმათ მიშავად (მიშე)“ „შენ დაგცხება“, და მისთ. „ყოფნა“ კოპულა მდგომარეობას აღნიშნავს, „გახდომა“ კი პროცესს.

8. უპირო რთული ზმნები ან ფრაზეოლოგიზმები ტიპისა:

فرستی به دست آوردن ბახთამ ავარდ „ბედი მომივიდა“, خواش آوردن ჭორსათი ბე დასთ ავარდე „შემთხვევა მიეცა“, گیرش آمدن გირაშ ბორდ „ძილმა წაიღო, ჩაეძინა“, აშად „ხელში ჩაუვარდა, შეხვდა“ და სხვ. ასეთი გამონათქვამებიც დამოუკიდებელ ფრაზულ წინადადებებად გვევლინება.

9. სიტყვები-წინადადებები: მტკიცების, უარყოფის, შეკითხვის, სხვადასხვა ემოციების თუ ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო დამოკიდებულების გამომხატველი. მათ შორის, – შორისდებულები ანუ ემოციური წინადადებები და ნაწილაკები.

მაგ.: بله ბალე „დიახ“, آری / آره არე, არი „ხო, კი“, نه ნა-ნა-ნა-ნა „არა-არა-არა!“

حتماً ჰათმან „რა თქმა უნდა“, به به ბაჰ-ბაჰ „ვიშ, ვიშ; იფ, იფ; ოხ, ოხ, რა კარ-

გია“, وای ვაი „ვაი“, هی ჰეი „ჰა, ეი“, ها ჰა „რა, აბა, აბა ჰე“, مگه

„მაგე“, وای ვაი „ვაი“, هی ჰეი „ჰა, ეი“, ها ჰა „რა, აბა, აბა ჰე“, مگه

„მაგე?“, گانه ارا? „განა არა?“, آخ ახ „ვაიმე“, آخه آخی „უხ, უხ, უფ, უფ“

„უფ, უფეც ასე, აჰა“, دیگه დიგე „კიდევ რა, ოჰ ერთი“, آهای აჰაი

„ეი“, ჩერა „რატომაც არა“ და სხვა მრ.

10. ძახილის უზმნო მოკლე წინადადებები: *چه شانسى!* *ჩე რე შანსი!* „რა ბედნიერებაა!“, *چه صفائى!* *ჩე საჭანი!* „რა სიტურფეა!“, *بهار زيبائى!* *ჩე რე ბაჰარე ზიბანი!* „რა ლამაზი გაზაფხულია!“, *چه بوى گلى!* *ჩე რე ზეშთი!* „რა სიმახინჯეა!“, *چه دونه هائى!* *ჩე რე დუნე ბუდე გოლი!* „რა ყვავილების სუნია!“, *چه دونه هاى تازه و خوشمزه ئى!* *ჩე რე დუნეჰანი!* „რა მარცვლებია!“, *چه دونه هاى تازه و خوشمزه ئى!* *ჩე რე დუნეჰანიე თაზე ვა ხოშმაზეი!* „რა ახალი და გემრიელი მარცვლებია!“, *چه دونه چقدر رىعادر دუნه!* „რამდენი მარცვალი!“, *خداى مون* *ხოდაემუნ!* „ღმერთო ჩვენო“.

11. შემდეგი ტიპის დასახელების უზმნო წინადადებები: *بانه زيبا* „ქალბატონი ზიბა“ (ნარდგენა, გაცნობა); ყველა სახის სათაურები, დანესებულებების სახელწოდებანი და ა. შ. ასეთ დასახელებებში მითითებაც შედის, როგორც მაგ.: *دانشگاه!* *დანეშგაჰ!* „აი უნივერსიტეტი!“. დასახელების უმარტივეს ფრაზებს განეკუთვნება იზაფეტური სინტაგმებიც ანუ მსაზღვრელ-საზღვრული, როგორიცაა: *بزرگ شهر* *შაჰრე ბოზორგ* „დიდი ქალაქი“, *پایتخت ایران* *ფაითახთე ირან* „ირანის დედაქალაქი“,

تهران *შაჰრე თეჰრან* „ქალაქი თეირანი“, და სხვ. (იხ. იზაფეტური კავშირი, მსაზღვრელ-საზღვრული, სინტაგმა).

შესაძლოა, სპარსულ ენაში კიდევ სხვა ტიპის უმარტივესი გამონათქვამებიც დაიძებნოს, რომელთაც დასრულებული სა-

კომუნიკაციო სემანტიკისა და ინფორმაციული სტრუქტურის გამოისობით უმცირეს წინადადებებად აღვიქვამთ.

უმარტივესი და გაუვრცობელი წინადადების გავრცობის შესაძლებლობანი

ჩამოთვლილ უმარტივეს ფრაზებში – უმოკლეს წინადადებებში ყველგან აკლია ერთ-ერთი მთავარი წევრი: ქვემდებარე ან შემასმენელი, ან ორივე ერთად. რომელიმე მთავარი წევრის ნაკლებობა, ერთშემადგენლიანობა კარგად ჩანს დიალოგურ ტექსტში, კითხვა-პასუხში: მაგ.: *كیه این چیه?* „ეს ვინაა?“,

منم მანამ „მე ვარ“. *؟ كیف مال كیه* „ეს ვინაა?“, *این چیه* „ეს ვინაა?“,

ჩანთა ვისია?“, *منه مال ماله* „ჩემია“, *؟ نیستند* ბაჩეჰა

ნისთანდ? „ბავშვები არ არიან?“, *؟ نیستند* ჰასთანდ „არაინ“, *کی*

؟ گفتی გოფთ? „ვინა თქვა?“, *ایشون* „მან/მათ“; *كجاس* /

كجاست ქოჯას(თ)? „სადაა?“, *تهران* თეჰრან „თეირანში“ და

სხვ.

ერთშემადგენლიან ფრაზაში რომელიმე მთავარი წევრი (ქვემდებარე ან შემასმენელი) ან სულ არ არის, ან ფორმალურად არაა წარმოდგენილი, მაგრამ იგულისხმება აზრობრივად. ორივე მთავარი წევრის ფორმალური და შინაარსობლივი არსებობის შემთხვევაში ფრაზა ორშემადგენლიანია. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს უმარტივეს გაუვრცობელ წინადადებასთან.

უმარტივესი ფრაზების გართულება და გაუვრცობელი წინადადების გავრცობა ხდება სხვადასხვა მეორეხარისხოვანი წევრების შემოყვანით, იზაფეტური კავშირის ჩართვით, სხვა

სინტაქსური კავშირებისა და დამხმარე ელემენტების (წინდებულები, თანდებული, ენკლიტიკები) გამოყენებით, მაგ.: من ميخوانم *მან მიხანამ (მიხუნამ) „მე ვკითხულობ“, من اين كتابا* *მან ინ ქეთაბრა მიხუნამ „მე ამ წიგნს ვკითხულობ“, من اين كتابا خوب ميخوانم* *მან ინ ქეთაბრა ხუბ მიხუნამ „მე ამ წიგნს კარგად ვკითხულობ“, من اين كتاب جالب* *მან ინ ქეთაბე ჯალბერა ხუბ მიხუნამ „მე ამ საინტერესო წიგნს კარგად ვკითხულობ“, من اين كتاب جالب نويسندهء* *მან ინ ქეთაბე ჯალბე ნევისანდეე ჯავანირა ხუბ მიხუნამ „მე ერთი ახალგაზრდა მწერლის საინტერესო წიგნს კარგად ვკითხულობ“ და ა. შ.*

გავრცობილი მარტივი წინადადება და გავრცობილი მარტივი წინადადების წევრები

შემასმენელი და ქვემდებარე საკმარისია სრული **გაუვრცობელი** წინადადების ანუ უმოკლესი მარტივი წინადადების სანარმოებლად.

გავრცობილი წინადადების წევრები. წინადადების მთავარი წევრებია შემასმენელი და ქვემდებარე (სუბიექტი და პრედიკატი). დანარჩენი წევრებია: პირდაპირი დამატება (პირდაპირი ობიექტი), ირიბი დამატება (ირიბი ობიექტი), უბრალო დამატება (გარე დამატება), განსაზღვრება (მსაზღვრელ-საზღვრულის იზაფეტური და უიზაფეტო კავშირებით), სხვადასხვა

გარემოებები. ნებისმიერი თუნდ ერთი არამთავარი წევრის შემცველი წინადადება გარკვეულწილად გავრცობილია: **გავრცობის ხარისხი სხვადასხვაა.**

ღირსსაცნობია, რომ ქართული ენის მსგავსად, **დამატებები (ობიექტები)** სპარსულ ენაში შეიძლება **მთავარ წევრებსაც** განეკუთვნებოდნენ (**მეორე რიგის მთავარი წევრები**). თუ პირდაპირი და ირიბი ობიექტები (დამატებები) ზმნის-შემასმენლის ფორმებში **ფორმალურად გამოიხატება და აღინიშნება ენკლიტიკური პირის ნიშნების** სახით, **პირდაპირი და ირიბი დამატებაც წინადადების მთავარ წევრებად ჩაითვლება**, რადგან ფორმალურად ასეთი ობიექტები ქვემდებარის (სუბიექტის) ტოლფარდი ხდებიან. ამასთანავე, სახელით გამოხატული ქვემდებარე წინადადებას ფორმალურად შეიძლება აკლდეს (თქმული შეეხება როგორც გაუფრცობელ, ისე გავრცობილ წინადადებას, უმარტივეს ფრაზას და სრულ გამინათქვამს). მაგ.: **خدا ككم**

کرد ხოდან ქომაქამ ქარდ „უფალი დამეხმარა“, **زندانیش**

حسن زندانیش ზენდანიშ ქარდანდ „ის დააპატიმრეს“,

دیروز ჰასან ზენდანიშ ქარდანდ „ჰასანი დააპატიმრეს“,

امروز گفتمش ემროუზ დიდამაშ „გუშინ ის ვნახე“,

فردم امروز گفتمش რუზ გოჭთამაშ „დღეს მას ვუთხარი“,

جوابش დარამ ემროუზ გოჭთამაშ „მამაჩემს დღეს ვუთხარი“,

چرا ჯავაზაშ დანდანდ „მას უპასუხეს (პასუხი გასცეს)“,

بشناسامت؟ ბეშენასამათ? „რატომ უნდა გიც-

ნობდე?“, **می برمتون خانه/خونه** მიბარამეთუნ ხუნე „წაგიყ-

ვანთ სახლში“, *مادرم صدام می کند* *მადარამ სედაშ მიქონად*
„დედაჩემი მეძახის“, *مادرش صدامش می کند* *ბაჰრამ მადარაშ*
სედაშ მიქონად „ბაჰრამს დედამისი ეძახის“ და მრ. სხვ. (იხ.
დამატებები; იხ. ფსიქოლოგიური სუბიექტი).

ენკლიტიკური მორფემებით ზმნაში-შემასმენელში გამო-
ხატული დამატებები (იბიექტები) სახელებით გამოხატული და-
მატებების **შემცვლელები** არიან: სახელის-დამატების **გამოტო-
ვებისას** ზმნაში-შემასმენელში მაინც ჩანს ამ წევრის შესატყვისი
პირი და რიცხვი. იმავდროულად ზმნაში პირის მარკერთ-მორ-
ფით გამოხატული დამატება-ობიექტი შეიძლება ნარმოდგენი-
ლიც იყოს წინადადებაში(იხ. დამატება). სპარსული ენის ეს
მოვლენა აშკარა ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს ქართულ
ენასთან, სადაც ობიექტური პირის მარკერები უფრო მკვეთრ
ჩამოყალიბებულ სისტემას გვიჩვენებენ. სპარსულშიც გვაქვს
ობიექტური პირის მარკერები (მორფები), შესაბამისად გვაქვს
ობიექტური უღლება, დამატებების მიერ შემასმენლის მართვა,
ზმნის ორპირიანობა (მრავალპირიანობა) და დამატებები (პირ-
დაპირი და ირიბი დამატება) მთავარ წევრებად (იხ. დამატებები,
მართვა და სპეციალური კონსტრუქციები-სპკ).

შემასმენელი

შემასმენელი სპარსულში გამოიხატება: 1. მარტივი ზმნის
პირიელი ფორმით: *من می روم* *მან მირავამ* „მე მივდივარ“, *او*
دايد *უ დიდ* „მან ნახა“, *دانشیار به دانشجو کتابی داد*
ბე დანეშჯუ ქეთაპი დად „ლექტორმა (მეცნიერმა) სტუდენტს
ერთი წიგნი მისცა“.

2. რთული ზმნის და ზმნური ფრაზეოლოგიზმის პირიელი
ფორმებით: *دانشیار به آموزگار جواب داد* *ბე ანუზგარ*

ჯავაზ დად „ჰასანმა მასწავლებელს პასუხი მისცა“, محمود تند
تند حرف می زند მაჰმუდ თონდ თონდ ჰარფ მიზანად „მაჰმუ-
დი სწრაფად//ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს“, زیبا شوهر کرد ზიბა
შოუჰარ ქარდ „ზიბა გათხოვდა“ და მისთ.

3. მარტივი ან რთული ზმნის მიმღებური ფორმით (ნამ-
ყო დროის მიმღებობა): شده بر گشته ბარ გაშთე „დაბრუნებულა“
چاپ شده ფახშ შოდე „გადაცემულა, გავრცელებულა“,
ჩაڤ შოდე „დაბეჭდილა“, چاپ کرده ჩაფ ქარდე „დაუბეჭ-
დავს“, طعمیرش کرده თა'მირაშ ქარდე „შეუკეთებია ის“, რან-
გინ ქარდე „შეუღებავს“, چي شده؟ „რა მოხდა?“, და
ა.შ.

4. ნამყო დროის მიმღებობით, რომელიც შინაარსობლივად
აბსოლუტივია (რუსული დეეპრიჩასტიე) და ქართულად ითარ-
გმნება შემდეგი ფორმებით: اینرا گفتہ رفت
რაფთ „ეს თქვა და წავიდა; ეს თქვა თუ არა, წავიდა; ეს თქვა რა
წავიდა“, او مده راحت شد / منزل آمده / مانهل ամადე (უმადე),
რაჰათ შოდ „შინ რომ მივიდა, დამშვიდდა, მისვლისთანავე//მის-
ვლისას დამშვიდდა“, به فرودگاه نرسیده خراب شد ბე
ფორუდგაჰ ნარასიდე, ხარაშ შოდ „აეროპორტამდე ვერ მილ-
ნეული, გაფუჭდა; აეროპორტამდე ვერ მიელნია, რომ გაფუჭ-
და“, და სხვ.

5. ანმყოს დროის მოქმედებითი მიმღებობით, აგრეთვე აბ-

სოლუტივის (რუს. деепричастие დეეპრიჩასტიე-ს) მნიშვნელობით: *جويان و پرسیان به محل رسیدیم* ჯუიან ო ფორსან ბე მაჰალ რასიდიმ „ძებნითა და კითხვა-კითხვით მივანიეთ დანიშნულების ადგილს“, *خواندان می آمد* ხანდან მიამად „სიცილით მოდიოდა“.

6. შედგენილი ზმნური ულლების ფორმებით, იქნება ეს: აქტივი, პასივი თუ სტატიკური მდგომარეობა (ნამყო დროის მიმღეობა და დამხმარე ზმნები). მაგ.: *نوشته است* ნევეშთე ასთ „დაუნერია“, *بود* ბოდ „გაეკეთებინა“, *آمده* ამდე ბაშად „მოსულიყოს“, *خواهد خواند* ხაჰად ხანდ „ნაიკითხავს“, *خواهم* ხაჰამ რაჰთ „ნავალ“, *نوشته* ნევეშთე შოდე ასთ „დანერილა, დაინერა, დანერილია“, *ساخته می شوند* სახთე მიშავანდ „მზადდებიან, შენდებიან“, *نشسته شده است* ნეშასთე შოდე ასთ „დამჯდარა“, *نشسته شد* ნეშასთე შოდ „დაჯდა“, *نشسته است* ნეშასთე ასთ „ზის“, და ა. შ.

7. სახელური შედგენილი შემასმენელი (სახელური პრედიკატი), რომელიც შედგება სახელური ნაწილისაგან (არს. სახ., ზედსართ., ნაცვალსახ., რიცხვითი სახ., მიმღეობა) და ზმნური კოპულისაგან: „ყოფნა“ ან „გახდომა“, ზმნების სხვადასხვა ფორმები. სახელურ ნაწილად სახელების ნაცვლად ზმნის ინფინიტური ფორმებიც (მასდარებიც) იხმარება: *من زبانشناسم* მან

8. *اصفهان قشنگ است* / „ზაბანშენსამ „მე ენათმეცნიერი ვარ“, / *قشنگه* ესფაჰან ყაშანგ ასთ (ყაშანგე) „ისფაჰანი ლამა-
 ზია“, *امروز خسته ام*, „დღეს დაღლილი ვარ“, *پسرش پزشک شد*, „ვახშამი მზადაა“, *شام حاضره*
 ესსარაშ ფეზეშქ შოდ „მისი ვაჟი ექიმი გახდა“, *این پسرخواهرم*, „ეს ჩემი დისშვი-
 ლია“, *است این* ფესარხანჰარამ ასთ (ფესარხანჰარამე) „ეს ჩემი დისშვი-
 ლია“, *ایشان ایرانیان هستند*, „ისი-
 ნი ირანელები არიან“, *منظورش کار کردن است*, „მისი მიზანი მუშაობაა“, *دلیلش پیاده رفتن است*,
 დალილამ ფიდადე რაჰ რაფთან ასთ „ამის მიზეზი ფეხით სია-
 რულია“, *این خانم خوبیه*, „ეს კარგი ქალბატო-
 ნია“, *مفيد است سیب میوه* „სიბ მივეღე მოჭიდ ასთ (მოჭიდე)
 „ვაშლი სასარგებლო ხილია“ და ა. შ.

8. სასაუბრო ენაში (ისევე როგორც კლასიკურ ტექსტებსა თუ თანამედროვე მწერლობაში) დასაშვებია სახელურ-პრედი-
 კატული წინადადებების უკოპულო (უზმნო) ხმარება: კოპულა
 ფორმალურად ჩავარდნილია და სახეზეა წმინდა სახელური
 (ნომინალური) ფრაზები, მაგ.: *آهو دمش کوتاه* აჰუ დომამ
 ქუთამჰ „შვლის კუდი მოკლე[ა]“, *زیر شکمش سفید است و*

چشمهایش سیاه ზირე შექამაშ სეფიდ ასთ ვა ჩაშმჰჰაღეშ სიღაჰ
 „მისი მუცელი თეთრია და თვალები შავი“, این هم سینما ინ ჰამ
 სინემან „ესეც კინო!“, تصویرش روشن و تازہ و مارکش مآرکش
 თაზე ვა თასვირაშ როუმან „მისი მარკა ახალი[ა] და გამოსა-
 ხულება ნათელი“, شما حاضر شومآں ჰაზერ! „თქვენ მზადა
 [ხართ]“, این تمامآں „ეს დასრულდა!“, شما مناسب
 მონასებ, فروش نامناسب ჭორუმ ნამონასებ „თქვენ შესაბა-
 მისი [ხართ], ვაჭრობა შეუსაბამო[ა]“, من فروشندہ مان ჭორუმ
 შანდე, شما مترجم شومآں მოთარჯემ „მე გამყიდველი, თქვენ
 თარჯიმანი“, اینجا تهرانآں თეჰრან „აქ თეირანი[ა]“ (‘ლა-
 პარაკობს თეირანი’, რადიო),
 ამგვარ შემთხვევებში შემასმენლად უნდა მივიღოთ ჩა-
 ვარდნილი (ჩაშვებული, გამოტოვებული, ელიპსირებული) კო-
 პულა ფორმალურად არსებულ სახელურ ნაწილთან ერთად.
 9. არსებობის, ეგზისტენციის გამომხატველი, არსებითად
 გარემოებითი წინადადებების შემასმენლები: „ყოფნა“ ზმნების
 სხვადასხვა ფორმები: ہوں ბუდან, ہستن ჰასთან, است ასთ.
 „ყოფნა“ ზმნის ადგილი შეიძლება დაიკავოს აგრეთვე ზმნებმა
 „გახდომის“ მნიშვნელობით. გარემოებითი წევრების სახით
 იგულისხმება სხვადასხვა გარემოებები (ადგილის, დროის, სივ-
 რცის, ვითარების და ა. შ.). ეგზისტენციური შემასმენელი შეიძ-
 ლება იყოს წმინდა ზმნურიც ანუ არსებობის კატეგორიული
 მტკიცების გამომხატველი, ან პირიქით, უარყოფელი; აქ შე-
 მასმენლებად ისეთი რთული ზმნებიც გამოდგება, როგორცაა:

وجود دارد „არსებობს“, ვოჯუდ დარად „არსებობს“, ნადარად „არ არსებობს“, მოუჯუდ ასთ, موجود هستش მოუ-
 ჯუდ ჰასთ(იშ/ეშ), موجود نیستش მოუჯუდ ნისთ(ეშ) „არის,
 არსებობს; არ არის, არ არსებობს“; აგრ.: حاضر بودن ჰაზერ
 ბუდან, „დასწრება, ყოფნა, სახეზე ყოფნა“ და მისთ. მაგ.: این
 کتابها وجود دارند ინ ქეთაბჰა ვოჯუდ დარანდ „ეს წიგნები
 არის (არსებობენ)“, شتر در ایران وجود دارد / موجود است /
 შოთორ დარ ირან ვოჯუდ დარად / მოუჯუდ
 ასთ, / მოუჯუდ ჰასთიშ „აქლემი (აქლემები) ირანში არსებობს,
 არის, მოიპოვება“; جنس / کالا امروز نیست فردا می باشد
 ჯენს/ქალა ემრუზ ნისთ, ჭარდა მიბაშად „საქონელი დღეს არ
 არის, ხვალ იქნება“, سبزه‌های من نیستند؟
 ნისთეშ „კარტოფილი არის? არაა“, کجا
 اینجا اینجا / کجایی / کجایی؟
 ხუბი? خوبی? خوبم „სადა ხარ? აქა ვარ“,
 ხუბამ „კარგად ხარ? კარგად ვარ“ بهتر شد
 دانشاموزان در „კარგად გახდა, უკეთ გახდა“,

უზღუდველია, დამხმარე (მოდალური) ზმნები კი გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებს აფიქსირებენ, როგორცაა: „შეძლება“, „საჭიროება, აუცილებლობა“, „შესაძლებლობა“, „ვარაუდი“, „დაშვება“, „სურვილი, ფიქრი, განზრახვა, გადანწყვეტილება“, „დაწყება, შედგომა“, „მოლაპარაკება, შეთანხმება“, „თქმა, ბრძანება“ და მრ. სხვ. (დანვრ. იხ. ორპრედიკატული კონსტრუქციები).

თანამედროვე სპარსულში მკვეთრად გაიმიჯნება ორპრედიკატულობის ორი ძირითადი ტიპი: უპირო და პირიელი, პირიანი.

უპირო ორპრედიკატული შემასმენელი ძირითად ზმნას მოკვეცილი ინფინიტივის ფორმაში დაისვამს (რაც ფორმალურად ნამყოს ფუძეს ემთხვევა), ხოლო პირიელი ორპრედიკატული ძირითად ზმნას ანმყოს კავშირებითში გამოიყენებს მიუხედავად იმისა, დამხმარე (მოდალური ზმნა) რომელ დროით ფორმაშია. შესაბამისად უპირო ორპრედიკატულ შემასმენლებში სხვადასხვა დროებში მოდალური ზმნებიც გაყინული უპირო ფორმებით იხმარება; ხოლო პირიელ ორპრედიკატულში გარკვეული მოდალური ზმნები (მაგ.: *توانستن خواستن* *ميل داشتن*)

قرار گذاشتن თავანესთან, ხანთან, მეილ დაშთან, ყარარ გოზაშთან „შეძლება, სურვილი, დადგენა,“ და სხვ.) თავისი მხრიდან იუღვლიან: იცვლებიან დრო-კილოს, პირისა და რიცხვის მიხედვით.

მოდალურ ზმნათა გარკვეული ჯგუფი ძირითადი ზმნის პირიელ ცვლილებასთან თანადროულად უცვლელი, გაყინული რჩება, მაგ.: *ممکن است / ممکنه* მომქენ ასთ (მომქენე) „შეიძლება“,

لازم است / لازم است ეჯაზასთ „ნებადართულია“,

لازمه ლაზემ ასთ (ლაზემე) „საჭიროა“ და სხვ.). მაგ.:

უპირო: *گفت باید* ბადად გოჭთ „უნდა ითქვას, საჭიროა

თქმა“, *میتوان خرید* მითავან ხარიდ „შეიძლება, შესაძლებელია ყიდვა“, *می توانست خرید* მითავანესთ/მითუნრსთ ხარიდ „შეიძლებოდა ყიდვა“, *می بایست گفت* მიბანესთ გოჭთ „უნდა თქმულიყო“; *شاید می شود نوشت* შანად, მიშავად ნევეშთ „შესაძლებელია დაწერა“, *می نمی شود* ნერემიშავად რაჭთ „არ შეიძლება გასვლა/არ გაისვლება“, და მისთ.

პირიელი: *باید بگویم/بگم* ბანად ბეგუიამ (ბეგამ), *باید بگویی/بگویی* ბანად ბეგუ'ი/ბეგუთი (ბეგი) „უნდა ვთქვა, უნდა თქვა“, *بایستی بخورم* ბანესთი ბეხორამ „უნდა დამელია“, *می توانستم بخرم* მითავანესთამ ბეხარამ „შემეძლო მეყიდა“, *می توانی بخری* მითავანი/მითუნი ბეხარი „შეგიძლია იყიდო“; *ممکن است بفروشند* მომქენ ასთ ბეჭორუ-შანდ „შესაძლებელია, შეიძლება გაყიდონ“, *بیرند می خواهند* ეჯანასთ ბეამ „ნებადართულია მოვიდე“, *می خواهیم* მიხანდ (მიხანდ) ბებარანდ „უნდათ წაიღონ“, *لازم بخوانی* მიხანამ (მიხანმ) ბედარამ „მინდა მოვიტანო“.

بود لڤڤم بۇد بېخڤني (بېخڤني) „საჭირო იყო წაგეკითხა“ .

მსატვრულ ლიტერატურაში გვხვდება ორპრედიკატული შემასმენლების უჩვეულო, არასტანდარტული შეხამებებიც: მაგ.: პირიელი მოდალური ზმნა და მოკვეცილი ინფინიტივი: *تا*

دايد *تواند* *مى* *آنکه* *هر* *شود* *کور* *تأ* *ქურ* *შავად* *ჰარ* *ანქე* *ნა-*
თავანად დიდ „დაბრმავდეს ყველა ის, ვისაც არ შეუძლია და-
ნახვა“.

11. **შემასმენლის სტრუქტურის გართულება და წინა-
დადების გავრცობა.** შედგენილი, სახელურ-პრედიკატული, ორპრედიკატული და **რთულზმნიანი შემასმენლები** ექვემდებარებიან სტრუქტურათა გართულებას მიმყოლი მსაზღვრელი სიტყვების, წინადადების სხვადასხვა წევრებისა და სიტყვათშენაერთების (მათ შორის თანდებულიანი და წინდებულიანი სიტყვათშენაერთების) ჩართვისა და იზაფეტური კავშირების ფართო შესაძლებლობების ხარჯზე. მაგ.: *این آلونک کوچک بی*

بود *بنجره* *ინ* *ალუნაქე* *ქურქექე* *ბი* *ფანჯერე* *ბუდ* „ეს იყო პატარა უფანჯრო ქოხი“, *سفرت* *مراجعة* *کنید* *شما* *შომბ* *ბაად*
ბე *სეფარათ* *მორანჯე* *ე* *ქონიდ* „თქვენ უნდა მიმართოთ საელჩოს“ და მისთ.

ლაპარაკია შემასმენლის კომპონენტების განწევასა და თავკიდურ-ბოლოკიდურ პოლუსებს შორის სინტაქსური საზღვრების წარმოქმნაზე. პირველ რიგში ეს შეეხება რთულ ზმნებს. რთული ზმნების გართულება ხდება სხვადასხვა ლექსემებისა და მორფოსინტაქსური ელემენტების ჩართვით; აგრეთვე, სახელური ნაწილის მიმყოლი სიტყვების (მსაზღვრელები) და იზაფეტური კავშირების, მათ შორის, გრძელი იზაფეტური ჯაჭვების ჩართვით; სახელური და ზმნური ნაწილის ერთგვარი წევრებისა და მაკავშირებელი სიტყვების, კავშირების,

დანართების, წინადადების ყოველგვარი წევრების ჩართვით. ამათგან ნაწილი განეკუთვნება იმ ერთეულთა ჯგუფებს, რომელიც საზოგადოდ ჩაერთვის რთულ ზმნათა ამა თუ იმ ტიპს ნაწილი კი საკუთრივ რთული ზმნის საზღვრებს (პოლუსებს) გარეთ არსებული, წინადადების სხვადასხვა წევრთა კატეგორიას განეკუთვნება; ეს უკანასკნელნიც (დამატებები, გარემოებები ანუ მართვა, მირთვა), მოექცევიან ზოგჯერ რთული ზმნით გამობატული შემასმენლის ფარგლებში. ამასთანავე, წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს საკუთრივ რთული ზმნის ჩარჩოში არსებული ელემენტების დაშორებაც შეუძლიათ, რაც რთულ-ზმნურ შემასმენელსა და წინადადების სტრუქტურას არსებითად ერთ მთლიან სინტაქსურ ერთეულად აქცევს. მაგალითისთვის **რთულზმნური შემასმენლის გართულების** ნიმუშები:

شاد حسن و آرد شد *ჰასანი შევიდა (შემსვლელი გახდა) >* *شاد آتاق و حسن و آرد آتاق شد* *ჰასანი ვარედე ოთაყ მოდ*

„ჰასანი ოთახში შევიდა (შემსვლელი-იზაფეტი-ოთახი) > *حسن*

شاد آتاق درس شد *ჰასანი ვარედე ოთაყე დარს მოდ* „ჰასანი

სამეცადინო//საკლასო ოთახში შევიდა > *حسن و آتاق درس شد*

شاد آتاق درس بزرگ شد *ჰასანი ვარედე ოთაყე დარსე ბოზორგ მოდ* „ჰასანი

დიდ საკლასო ოთახში შევიდა > *حسن و آتاق درس بزرگ و >*

شاد آتاق خيلي قشنگ با آئينه و با ستون شد *ჰასანი ვარედე ოთაყე*

დარსე ბოზორგ ო ხელი ყაშანგე ბა აინე ო ბა სოთუნ მოდ „ჰასანი დიდ და ძალიან ლამაზ სარკეებიან და სვეტებიან საკლასო ოთახში შევიდა,“ და ა. შ.

شاد آتاق بزرگ شد *ჰასანი ვარედე ოთაყე დარსე ბოზორგ მოდ* „ვიმუშავე > *آرد آتاق بزرگ شد* *ჰასანი ვარედე ოთაყე დარსე ბოზორგ მოდ*

ზიად ქარდამ „ბევრი ვიმუშავე/ბევრი საქმე გავაკეთე“> کار

კარ زیاد مثبت برای مردم خوب کردم> „ბევრი დადებითი საქმე გავაკეთე“> *ზიადე მოსბათ ქარდამ* ბევრი დადებითი საქმე გავაკეთე“> *ბარანე მარდომ ხუბ ქარდამ* „ბევრი კარგი საქმე ხალხისთვის კარგად გავაკეთე“.

რთული ზმნის-შემასმენლის ჩარჩოს გარეთ წინადადების წევრთა დამატების მაგალითები:

„ნიგ-ნიტ ვისარგებლე“> *აზ ქეთაბ ესთეჭანდე ქარდამ* „ნიგ-ნიტ ვისარგებლე“> *აზ ან ქეთაბათ ესთეჭანდე ქარდამ* „იმ შენი წიგნით ვისარგებლე“> *აზ დიროზ*

„აზ ან ქეთაბე ჯანლუბათ ბან დეყყათ ესთეჭანდე ქარდამ“> *გუშინ იმ შენი საინტერესო წიგნით ყურადღებით (დაკვირვებით) ვისარგებლე*„.

„მე ვიშენეჰანდეთან(-თუნ) რაზი ნისთამ“> *თქვენს წინადადებას არ ვეთანხმები*

„მე ვიშენეჰანდეთან (-თუნ) ჰარგეზ/ჰიჩვაცთ რაზი ნამიშავამ/ნახანჰამ შოდ“> *მე თქვენს წინადადებას არასდროს დავეთანხმები*“;

„მე ვიშენეჰანდეთან (-თუნ) ჰარგეზ/ჰიჩვაცთ რაზი ნამიშავამ/ნახანჰამ შოდ“> *მე თქვენს წინადადებას არასდროს დავეთანხმები*“;

„მე ვიშენეჰანდეთან (-თუნ) ჰარგეზ/ჰიჩვაცთ რაზი ნამიშავამ/ნახანჰამ შოდ“> *მე თქვენს წინადადებას არასდროს დავეთანხმები*“;

کند می مواظبت خوب فهدارام اب نطقلڭن ხუბ მოვანებათ მიქონად „მამაჩემი ნერგებს კარგად უვლის“ > هر سال پدرم از

کند می مواظبت خوب نهالها ჰარ სალ ფედარამ აბ ნეჰალჰნ ხუბ მოვანებათ მიქონად „მამაჩემი ყოველ წელს ნერგებს კარგად უვლის“;

ასეთ შემთხვევებში წინადადების გავრცობა რთულზმნური პრედიკატის (შემასმენლის) ჩარჩოს გარეთ წარმოებს და პრედიკატული ბირთვი კონტაქტური რჩება, განსხვავებით დისტანტური, ელასტიური ჩარჩოს მქონე პრედიკატისგან.

მოყვანილ ნიმუშებში ლექსიკოგრაფიული რთული ზმნე-ბი-შემასმენლებია: وارد شدن استفاده کردن راضی شدن

مواظبت کردن ვარედ შოდან, ესთეჟადე ქარდან (აზ), რაზი შოდან (ბე), მოვანებათ ქარდან (აზ) „შესვლა“, „გამოყენება“, „დათანხმება“, „მოვლა“.

ამდენად, რთულზმნური შემასმენლური ბირთვი დისტანციურიცაა (ჩარჩოსებური) და კონტაქტურიც. ვინაიდან უმეტესად ზმნები სპარსულში რთულია, **შემასმენლების** დიდი უმეტესობაც **რეალურად რთულზმნურია** და არა მარტივი. ცხადია რეალურად მეტყველებისა და ტექსტის ნაკადშიც უფრო ხშირად საქმე გვაქვს გართულებულ, ჩანართებიან ჩარჩოსებურ რთულზმნურ შემასმენლებთან, რომელთა ფარგლებში (საზღვრებში) ფაქტობრივად სრული წინადადების ნაწილი ან მთელი წინადადებაა მოქცეული. რთული ზმნის თავი და ბოლო ანუ სახელური და ზმნური ნაწილები ამ სახით ფრაზის-წინადადების ორ პოლუსს წარმოგვიდგენს.

წინადადების საკითხები უკავშირდება შემასმენლის ადგილსაც წინადადებაში ანუ წინადადებაში სიტყვათა რიგის, სიტყვათგანლაგების საკითხებს (იხ. სიტყვათა რიგი). საქმე ისაა, რომ გართულებული რთულზმნური შემასმენლის ადგილის განსაზღვრა ცალსახად რეალურად შეუძლებელია, რადგან

მისი კომპონენტები გადანაწილებული და გაბნეული იქნება მთელი წინადადების სტრუქტურაში და აღრეული იქნება წინადადების სხვა წევრებთან. შემასმენლის სახელური ნაწილი წინადადების თავში, ხოლო მისი ზმნური კომპონენტი წინადადების ბოლოში ან შუაშია მოქცეული: ნორმატიულად ზმნა სპარსულ წინადადებაში ბოლოკიდურობს, მაგრამ ეს წესი ხშირად ირღვევა სასაუბრო ენაშიც და თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაშიც, ამდენად, რთული შემასმენლის ადგილი გავრცელდება წინადადების სხვადასხვა მონაკვეთებზე, თუ იგი დისტანციურია ანუ ჩარჩოსებურია.

შემასმენლურ ჩარჩოს იკეთებს აგრეთვე **ორპრედიკატული ბირთვიც** ანუ მოდალურზმნიანი სხვადასხვა მორფოსინქსემები. ორზმნიანი (ორპრედიკატული) შემასმენლური ბირთვი იყოფა ორ პოლუსად და ექვემდებარება **ჩარჩოსებურ განელვას**, პოლუსებს შორის კი წინადადების სხვადასხვა წევრები თუ

ელემენტები განლაგდება. მაგ.: *بروم بايد بآباد بერავام* (ბე-

რამ) „უნდა ნავიდე“ > *برم // منزل بروم بايد بآباد مانزელ بے*

رავام//ბერამ „შინ უნდა ნავიდე“ > *برم // فوراً منزل بروم بايد*

بآباد فوورან مانزელ بےرავام/ბერამ „ჩქარა შინ უნდა ნავი-

დე“ > *برم // فوراً منزل بروم با مادرم بايد بآباد بآبادارام*

فوورან مانزელ بےرავام/ბერამ „დედაჩემთან ერთად ჩქარა

შინ უნდა ნავიდე“ და ა. შ.; *می توانیم بخريم* (მითუ-

ნიმ) *ბეხარიმ* „შეგვიძლია ვიყიდოთ“ > *می توانیم // می توانیم*

كامپيوتر // رایانه بخريم *میتاوانیم//میتوانیم*

ქამფაუთერ//რანანე ბეხარიმ „შეგვიძლია კომპიუტერი ვიყი-

დოთ“ > *می توانیم سه تا کامپيوتر // رایانه را بخريم*

თავანიმ სე (თა) ქამფაუთერ(რა) ბეხარიმ „შეგვიძლია სამი კომპიუტერი ვიყიდოთ“ > می توانیم سه کامپیوتر // رایانهء

میتاوانیم سე ქამფაუთერე ხუბი خوبی برای گروه ما بخیریم

ბარადე გორუჰე მან ბეხარიმ „შეგვიძლია ჩვენი ჯგუფისთვის სამი კარგი კომპიუტერი ვიყიდოთ“ და მისთ.

ასე თვალნათლივია **შემასმენლის სტრუქტურის გართულება** ან **პრედიკატული ბირთვის შეფუთვა** სხვადასხვა წევრებითა და ელემენტებით და ამ სახით **წინადადების გავრცობა**. სპარსულ წინადადებაში **წინადადების გავრცობის** დიდი წილი **შემასმენლის გავრცობა-განელვის** ხარჯზე ხდება, ჩართული წევრების მიმყოლი სიტყვებითურთ თუ ცალკეული ელემენტებით, რაშიც სირთულის ხარისხი თავის მხრივ მრავალპლანოვანი იზაფეტური კავშირების ხასიათითაც განისაზღვრება.

ობიექტური უღლების ორპირიანი სპარსული შემასმენელი წარმოადგენს აშკარა ცალსახა ტიპოლოგიურ ანალოგს ქართული ორპირიანი ზმნისა (შემასმენლისა), რომელიც შესაბამისად მართულია პირდაპირი თუ ირიბი ობიექტის (დამატების) მიერ. ქართულში ეს მოვლენა უფრო მეტად სისტემურია, ვიდრე სპარსულში, მაგრამ ტიპოლოგიური იდენტურობა სახეზეა. ეს ადვილად გასაგებს ხდის **ორპირიანი სპარსული შემასმენლის სტრუქტურულ არსს** ქართული ენის მცოდნეთათვის (იხ. შდრ. მაგალითები).

ქვემდებარე

წინადადების აგებულებისა და შინაარსის მიხედვით გამოიყოფა სხვადასხვა ჯგუფის ქვემდებარეები, ქვემდებარეთა სხვადასხვა სახეობები. გრამატიკული და სემანტიკური როლების მიხედვით ქვემდებარე (ანუ სუბიექტი) სხვადასხვა დამხმარე ელემენტების სახით ან მონაწილეობითაც შეიძლება იყოს გამოხატული. ქვემდებარის მორფოსინტაქსურ გაფორმებაში ჯამში მონაწილეობენ: ენკლიტიები, წინდებულები, თანდებულები

۱-რ-ბ (იხ. სპეციალური კონსტრუქციები და ქვემდებარის რთული ფორმები).

მეტყველების ნაწილების მიხედვით ქვემდებარე გამოიხატება:

1) არსებითი სახელის ფუძისეული ანუ პირდაპირი სუფთა ფორმით. მაგ.: استاد رفت *ოსთად რაჟთ* „ლექტორი წავიდა“.

ასეთ ქვემდებარეს შეიძლება დაემატოს მისი მიმყოლი სიტყვები, მაგალითად, პირველ რიგში, – იზაფეტური კავშირით გაფორმებული მსაზღვრელი ან მსაზღვრელთა მწკრივი (იზაფეტური ჯაჭვი). მაგ.: استاد دانشگاه رفت *ოსთადე დანეშგაჰ*

რაჟთ „უნივერსიტეტის ლექტორი წავიდა“ > استاد دانشگاه

رفت تفلیس *ოსთადე დანეშგაჰე თეჟლის რაჟთ* „თბილისის

უნივერსიტეტის ლექტორი წავიდა“ და ა. შ. دانشجوی می خواند *დანეშჯოუ მიხანად(მიხუნად/მიხუნე)* „სტუდენტი კითხულობს“ > دانشجوی من می خواند *დანეშჯოუე მან მიხანად(მი-*

ხუნად) „ჩემი სტუდენტი კითხულობს“ > دانشجوی ممتاز من *დანეშჯოუე მამთაზე მან მიხანად(მიხუნად)* „ჩემი

ნარჩინებული სტუდენტი კითხულობს“ და მისთ. ა. შ.

ამგვარად ხდება ამჯერად **ქვემდებარის გავრცობა-გართულება** და შესაბამისად წინადადების განწევლა-გავრცობა. ამ პროცედურის წამყვანი ფაქტორი იზაფეტური კავშირების გამოყენება და ფუნქციობაა ანუ მსაზღვრელთა შემოყვანაა.

2) მორფოლოგიური ელემენტებით გართულებული არსებითი სახელი. ასეთი ელემენტებია, მაგალითად: ენკლიტიკები, განუსაზღვრელი ან გამოყოფითი სუფიქსი-არტიკლი და

მრავლობითობის სუფიქსები. მაგალითად:

خواهرم می نویسد ხაჰარამ მინევისად(მინევისე) „ჩემი და წერს“, مردی شنا می کند მარდი შენა მიქონად(მიქონე) „ერთი კაცი ცურაობს“, پدرت آمده ფედართ ამადე(უმადე) „მამაშენი მოვიდა/მოსულა“, ای خرخر می کند გორბეი ხორხორ მიქონად(მიქონე) „ერთი რალაც კატა კრუტუნებს“, دانشجویان جمع می شوند დანეშჯუშან ჯამ' მიშავანდ „სტუდენტები იკრიბებიან“, صندلی ها زیاد است სანდალიჰა ზიდად ასთ „სკამები ბევრია“, معلمین تشریف دارند მო'ალლე-მინ თაშრიჰ დარანდ „მასწავლებლები ბრძანდებიან“ და ა.შ.

3) სხვადასხვა ნაცვალსახელების ფუძისეული ფორმებით: პირის, რეფლექსური, კითხვითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელი, უარყოფითი, საურთიერთო ნაცვალსახელებით, მათ შორის რთული ნაცვალსახელებითაც. მაგ.: او رفت უ

რაჰთ „ის წავიდა“, هر کدام بیاد صدام کند ჰარ ქოდამ ბეად,

کی آمده؟; „ყოველი რომელიც მოვა, დამიძახოს“;

چي به دست می رسد, ჩი ბე დასთ „ვინ მოვიდა?“;

میرესاد/میرესه „რა მოგვეპოვება, რა იშოვება?“; هیچ چي

هیچ چیش „არაფერია, არაფერი არ არის“; چیزی نیست

მაგ.: დამოუკიდებელი რეფლექსივი: *خودش می آرد* ხო-
 დეშ მიღწარად „თავად მოიტანს“, *خودم فهمیدم* ხოდამ ჭაჰმიდამ
 „თავად მე გავიგე (მივხვდი, შევიგენი“, *خودمان استخراج کردیم*
ხოდეშან (ხოდეშუნ) ესთეხრანჯ ქარდიმ „ჩვენ თავად აღმოვა-
 ჩინეთ“, *خودشان گفتند* ხოდეშან (ხოდეშუნ) გოჭთანდ „მათ
 თვითონ თქვეს“, *خودشه* ხოდეშე „თვითონაა“ და ა. შ.

პირის ნაცვალსახელთან ერთად ორი ვარიანტი: *من*

خودم / خود მან ხოდამ/ხოდე მან
من معلوم و مشخص می کنم
 მა'ლუმ ვა მოშახხას მიქონამ „მე თავად გამოვარკვევ და და-
 ვადგენ“; *خودتان مشخص کنید / شما*
ხოდეთან (ხოდეთუნ) მოშახხას ქონიდ „თქვენ თავად გარ-
 კვიეთ“ და სხვ. ა. შ.

ასევე ორ ვარიანტად გამოიყენება რეფლექსური (უკუქ-
 ცევითი) ნაცვალსახელი არსებით სახელთან-ქვემდებარესთან
 ერთად: *خودم خریدم / خود خریدم* ხოდე ფედარამ ხა-

خودم / خودم ხოდეშ ხარიდ „თავად მამაჩემმა იყიდა“; *خود*

خودم / خودم ხოდე დანშჯო ნოშთ / *دانشجو خودش نوشت*
ვეშთ//დანეშჯუ ხოდეშ ნევეშთ „თავად (თვით, თვითონ) სტუ-
 დენტმა დაწერა“.

4) ინფინიტური ზმნური ფორმებით: *یاد گرفتن مفید است*

یاد گرفتن „სწავლა სასარგებლოა“,
 زبانهای خارجی مفید است „დადგენილი ენების შესწავლა სასარგებლოა“;
 مسافرت „უცხო ენების შესწავლა სასარგებლოა“;
 مطبوع است „მოგზაურობა სასიამოვნოა“;
 کوه رفتن مشکل است „მთაზე ასვლა ძნელია“;
 پیاده راه رفتن „მთაზე ასვლა ძნელია“;

ფიდავდე რაჲ რაჲთან მოჲიდე „ფეხით სიარული სასარგებლოა“. ასეთ შემთხვევებში ინფინიტური ქვემდებარე, რომელიც ხშირად რთული ზმნის ინფინიტივია, ექვემდებარება რთული ზმნის-შემასმენლის სტრუქტურის შესაძლო გართულების წესებს, რაც ჩანს მოყვანილი ნიმუშებიდან (იხ. შემასმენელი): შეიძლება შეიქმნას რთული ზმნის ჩვეული ჩარჩო ჩანართებით, მთლიანობაში კი მთელი ეს მორფოსინტაქსური სტრუქტურა, როგორც წინადადების ნაწილი, იქნება ქვემდებარე. მაგ.:

کوه رفتن <بالای کوه رفتن> „დადგენილი ენების შესწავლა“
 „დასვლა“ მთაზე ასვლა“.

5) უფრო იშვიათია ზედსართავი, რიცხვითი სახელებითა და მიმღებობებით ქვემდებარის გამოხატვა, როგორც მაგალითად:

لاغر بلند شد „უფროსმა თქვა“,
 کوچکی آمد „გამხდარი ადგა“,
 یازدهم بزرگتر شد „გამხდარი ადგა“,
 خندید „ერთი პატარა მოვიდა“,

„ლამაზმა გაიცინა“, بلندى آمد ბოლანდი აზად „ერთი მაღალი მოვიდა“, نقش (نمایش) ايرانیست თათრე (ნემადეშე) ირანისთ „შავი ირანული თეატრის (სახიობის) როლია“, سياه سیدآزاد آید و ایفا می کند „შავი მოვიდა და ასრულებს“, سياه خوب بازی می کند სიდაზ აზად მიქონად „შავი კარგად თამაშობს“ და მისთ. ზედსართავი სახელი ასეთ შემთხვევებში ფაქტობრივად არსებითი სახელის მნიშვნელობას იძენს.

6) რიცხვითი სახელით: دوم / دومی بر گشته დოვ-დომ/დოვდომი ბარ გაშთე „მეორე დაბრუნებულა“, سومى رفتہ

სევედომი რაჭთე „მესამე წასულა“ და ა. შ.; რიცხვითი სახელი-ქვემდებარე შეიძლება გართულდეს თვლის გამომხატველი სახელებითაც, ხოლო ამ უკანასკნელთ ხშირად დამაზუსტებელი ენკლიტიკაც ერთვის ხოლმე: دو تا ش هست

1-რწ- თანდებული თუ მისი ნულოვანი ვარიანტი, მით უფრო სინთეზური – 1 ر ی _ ი-რწ-, არ არის პირდაპირი დამატების გამოხატვის ერთადერთი საშუალება. არის მეოთხე საშუალებაც, რომელიც ძირითადად 1-რწ-ს **ალტერნატიული ვარიანტია**, თუმცა ამ წესის გამონაკლისებიც ფიქსირდება (იხ. მორფოსინტაქსურ სპეციფიკაციებში). ესაა ენკლიტიკურ ნაცვალსახელებად ცნობილი **კლიტიკური მორფები ზმნაში-შემასმენელში**, რომლებიც **ობიექტური პირის ნიშნებად (მარკერებად)** გვევლინებიან.

სინტაქსური კავშირის თვალსაზრისით, საქმე გვაქვს სახელის მიერ ზმნის მართვის ერთ-ერთ სახეობასთან (იხ. მართვა). პირდაპირი დამატება მართავს შემასმენელს შესაბამის პირში ენკლიტიკური ნაცვალსახელური მორფის (მორფემის) საშუალებით. უფრო ზუსტად, პირდაპირი დამატება აისახება შემასმენლის ზმნურ ფორმაში შესაბამისი პირის ენკლიტიკით.

მაგალითად: **کردم صدام را** „დამიძახა“, **کنم** „*ქომაქამ ქონ*“ „დამეხმარე“, **می براند** „*მიბარანდათ*“ „წაგიყვანენ“, **می براندتان / براندتون** „*ბეზარანდეთ(უ)ნ*“ „წაგიყვანონ“, **می**

მინთ მიბინამათ „გხედავ“, می خوانمش მიხანამამ „გკით-

ხულობ-მას,, بشناسمت ბეშენასამათ „გიცნობდე“; და მრ. სხვ.

აქვე უნდა ითქვას, რომ პირდაპირ ობიექტად ზმნური ენკლიტიკური მორფის გამოყენება ფართოდაა ცნობილი კლასიკური სპარსულიდანვე. ამასთან, კლასიკურ სპარსულში და ზოგჯერ თანამედროვე ენაშიც, ენკლიტიკური მორფი არა მარტო ზმნაში დაისმის, არამედ ერთვის ფრაზის სხვადასხვა წევრებს ანუ მოძრავია. ასეთი მოძრავი მორფები ზოგჯერ თანამედროვე ენაშიც გვხვდება.

უცილობელი წესის თანახმად, ობიექტური პირის ენკლიტიკური ნიშნები მარტივ ზმნაში სუბიექტური პირის შემდეგ უშუალოდ ჯდება, ხოლო რთულ ზმნებში დაერთვის უფრო ხშირად სახელურ ნაწილებს, ზოგჯერ კი ზმნურსაც.

ზმნაში ენკლიტიკური მორფის სახით ასახული პირდაპირი დამატების გამოხატვის ფორმა ფაქტობრივად ۱-რ- თანდებულიანი პირდაპირი დამატების მორფოსინტაქსური სინონიმი. სემანტიკურად ეს იმასაც ნიშნავს, რომ კლიტიკური ნიშნით გამოხატული პირდაპირი დამატება, როგორც წესი, განსაზღვრულ ანუ ۱-რ- თანდებულიან კატეგორიას განეკუთვნება.

პირდაპირი დამატების ენკლიტიკური პირის ნიშანი ზმნური პარადიგმის სხვადასხვა ფორმებში იხმარება და გვხვდება მეტადრე სალაპარაკო ენაში როგორც მარტივ, ასევე შედგენილ (რთულ) დრო-კილოთა ფორმებში.

შედგენილ (რთულ) დროებში ენკლიტიკური მორფი ერთ-ერთ კომპონენტს დაერთვის: პერფექტულ დროებში დამხმარე ზმნას, ხოლო აღწერით მომავალში ძირითადი ზმნის ნამყოფს; ნამყოფს კავშირებითშიც – დამხმარე ზმნას.

მაგალითები: ما بود ندیده بودمش، خواهیم آوردش،

ام اش / کرده امش، باشمشه نوشته მოდდათჰბუდ ნადიდე ბუ-

დამამ, ხაჰამ ავარდამ, ნევეშთე ბაშამამ, ქარდეამამ „დიდი ხანი იყო ის არ მენახა, მოვიტან მას, (რომ) დამენერა/დამენეროს, გამიკეთებია ის“; და მისთ.

ამდენად, მარტივ ზმნაში ობიექტური პირის მორფი უშუალოდ სუბიექტური პირის ნიშანს მოსდევს, რითაც იქმნება **პირის ნიშანთა ორი მწკრივი**. ფორმალურად **ორი რიგის** პირის ნიშნებით გაფორმებული ზმნა შესაბამისად **ორპირიანი** იქნება:

დიდამამ, ნოშთნმშ **خواندمش** **می شناسمت** **بشناسمش**

ნევეშთამამ, ხანდამამ, მიშენასამათ, ბეშენასამამ „ვნახე-ის, დავნერე-ის, წავიკითხე-ის, შენ-გიცნობ, ვიცნობდე-მას,“ და სხვ.

ზმნაში გამოსატყული პირდაპირი დამატება შეიძლება ელიპსირებული ანუ გამოტოვებული იყოს წინადადებაში. მისი პირი და რიცხვი მაინც ცნობილი იქნება.

ზმნაში გამოსატყული პირდაპირი დამატება (ობიექტი) წინადადების **მთავარ წევრად** ჩაითვლება და არა მეორეხარისხოვან წევრად: ზმნური პირის მარკერი მას ზმნაში პირიელად გამოსატყულ ქვემდებარესთან (სუბიექტთან) ათანაბრებს.

პირდაპირი დამატების ენკლიტიკა ინფინიტივთან

ინფინიტიურ ფრაზებში კუთვნილების ენკლიტიკა გარდამავალ ზმნებთან ინფინიტივით გამოსატყული ზმნის პირდაპირ დამატებას შეიძლება ასახავდეს, რომელიც ენკლიტიკის სახით დაერთვის ინფინიტივს: **خواندانش** **خاندانام** „მისი წაკითხვა“.

ცალკე გამოსაყოფია რთული ზმნები ან ზმნური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც იდიომების წევრად ასევე ენკლიტიკურ პირდაპირ დამატებას ჩაირთავენ, როგორც: **خوابم برد** **خوابم** **بوردم** „ძილმა წამიღო“.

პირდაპირი დამატების ენკლიტიკა სხვა სიტყვებთან

პირდაპირი დამატების ენკლიტიკა ყოველთვის დაერთვის

პირდაპირ დამატებად ხმარებულ **خود** ხოდ „თვით, თვითონ, თავად,“ ნაცვალსახელს, **۱-რნ-თანდებულთან** ერთდროულად:

را خودم را خودت را خودش ხოდემრა, ხოდათრა, ხოდამრა...

„თავად ის/შენ/მე...“, და ა. შ. (იხ. მორფოლოგია).

გვაქვს საინტერესო შემთხვევები სხვა ნაცვალსახელებთანაც ასეთივე სინთეზის გამოყენებისა პირდაპირი დამატების გასაფორმებლად, მაგ.: **همه اش را / همش را** ჰამ(ე)-აშ-

რნ ბეძარიდ „ყველაფერი-ის მოიტანეთ“ (ნაცვ. **همه** ჰამე „ყველაფერი,“) და მისთ. (იხ. მორფოსინტაქსური სპეციფიკაციები)

საბოლოო ჯამში, პირდაპირი დამატება **ოთხი ძირითადი საშუალებით** გამოიხატება, რაც შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: უთანდებულოდ (ნულოვანი, ან **۱-ი-სუფიქსით**); **۱-რნ-** თანდებულიანი (მათ შორის **۱-ი-სთან** ერთდროულად); ენკლიტიკური მორფით (პირის ნიშნით, პირის მარკერით); სახელური ენკლიტიკით **۱-რნ-** თანდებულთან ერთად.

პირდაპირი ობიექტისა და დამატების აღნიშვნა ზმნაში **მარკერით (კლიტიკური) მორფით** მსგავსია **ქართული ენის ობიექტური პირის წარმოჩენისა ზმნაში**. ეს პარალელიზმი გასაგებებს ხდის სპარსულ ფაქტებს: სპარსულშიც სახეზეა გვაქვს **ობიექტური უღლება და ზმნის ორ(ანუ მრავალ-)პირიანობა (იხ. შდრ. ნიმუშები ქართული თარგმანებით).**

მკითხველს შეუძლია ივარჯიშოს სპარსული ზმნის **პირრიცხვთა კომბინატორიკის** ჩამოყალიბებაში **ობიექტური უღლების (ობიექტურმარკერიანობის) ანუ ორპირიანობის** თვალ-

საზრისით და შეადაროს მიღებული კომბინაციები ქართულ ზმნაში მოქმედ ნიშანთა სისტემას (იხ. ნიმუშები).

ირიბი დამატება

ირიბი დამატება (ირიბი ობიექტი) ძირითადად შინაარსობრივად შეესაბამება ქართულ ირიბ დამატებას (იგივე ობიექტს), ხოლო მისი გამომხატველი საშუალებები მნიშვნელობით შეესაბამება ქართულ მიცემით ბრუნვას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ შესატყვისებში სპარსული ირიბი დამატება ძირითადად მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა (მაგ., გერმანულად, გერმანულენოვანთათვის ეს წვერი კვალიფიცირებულია როგორც Das Indirekte Objekt (Dativobjekt); ემიჯნება უბრალო დამატებას (ობიექტს) : იხ. ლიტ. სიაში ამინ-მადანი, ლუტცი).

ირიბი დამატება პასუხობს კითხვებზე „ვის, რას“ და უმეტესწილად გაფორმებულია წინდებულით **ჟ** ბე. პირდაპირი

დამატებისგან განსხვავებით, ირიბი დამატება **ნორმის თანახმად არ შეიძლება იყოს გაუფორმებელი ანუ ნულოვანი**: მისი გაფორმება **ჟ** ბე-წინდებულით თუ სხვა რამ საშუალებით აუ-

ცილებელია. ისევე როგორც პირდაპირი დამატება, ირიბი დამატებაც შეიძლება შედგებოდეს არა ოდენ ერთი სიტყვისაგან, არამედ სინტაგმისაგან, მიმყოლი სიტყვების მწკრივებისაგან და სხვადასხვა სიგრძის სიტყვათშენაერთებისაგან თუ იზაფეტური ჯაჭვებისგან (იზაფეტური, წინდებულიანი, დანართიანი და სხვ.). ყველა შემთხვევაში, წინდებული **ჟ** ბე (თუ სხვა ფორმა-

ლური გამომხატველი), ეკუთვნის მთელ ირიბობიექტურ სინტაგმას, სიტყვათშენაერთსა თუ მწკრივს.

ჟ -ბე- წინდებულიანი ირიბი დამატების შესატყვისობა (შესაბამისობა) ქართულ მიცემით ბრუნვასთან თარგმანში ნათლად ჩანს ისეთ ზმნებთან, როგორც: **دادن، گفتن، نوشتن، جواب**

فرستادن، دادن، دادان، گوشتان، نغصه‌شان، خفاص
دادان, ჭერესთან „მიცემა, თქმა, მიწერა, პასუხის გაცემა, გაგზავნა,“ და სხვ.

თანამედროვე სასაუბრო ენის წესების მიხედვით **ბე**-
წინდებული ენკლიტიკებსაც ერთვის, შერწყმულადაც გამოით-
ქმის და ერთიანადაც იწერება ირიბი დამატების სახით. მაგალი-
თები: **بتون بشون** ბეშ ბეშ **بم بمون بتون بشون** ბეშ, ბეთ, ბემ, ბეთუნ, ბემუნ,
ბეშუნ „მას, შენ, მე, ჩვენ, თქვენ, მათ,“.

კლასიკურ და იშვიათად თანამედროვე მწერლობაშიც
ირიბი დამატება შეიძლება ცალკე მდგომი და სხვა რომელიმე
სახელზე (წინადადების წევრზე) მიერთებული ენკლიტიკითაც
გამოიხატოს. შესაბამისი წინდებულის დართვისას კი კლიტიკა
ერწყმის უკანასკნელს. საბოლოო ჯამში კი **წინდებული და ენ-
კლიტიკა** მთლიანობაში არის **წინადადების წევრი ირიბი დამა-
ტება**.

სიტყვათა რიგის თვალსაზრისით (იხ. სიტყვათა რიგი) **ამ-
გვარი ირიბი დამატებები (წინდებული და ენკლიტიკა) სასაუბ-
რო ენაში ხშირად ინვერსიულ პოზიციას იკავებენ, ანუ ბოლო-
კიდურობენ, – ზმნის (შემასმენლის) მერე პოსტპოზიციურნი
არიან**. ეს გრამატიკული მიდრეკილება ჩანს ზემომოყვანილი
მაგალითებიდანაც: **بگید بش، گفت بم کمک کند بت**

ბედიდ ბეშ, ბეგიდ ბეშ, გოჭთ ბემ, ქომაქ ქონად ბეთ „მიეცით
მას, უთხარით მას, მე მითხრა, დაგეხმარონ შენ,“ და მისთ.

საკუთრივ ენკლიტიკები აქ სახელის (პირველ რიგში ნაც-
ვალსახელის) ადგილზე იხმარება ანუ სინონიმურად ჩაენაც-
ვლება და მის ფუნქციას ასრულებს. მაგ.: **بش / بهش = ბე ბე** ან **او**

ბეჰეშ(ბეშ), به آن = ბე ან = بهش / بههش ბეჰეშ (ბეშ), **به آنها** ბე

ბან= بشون / بشان ბეშან(ბეშუნ), ზე ბე შომან= بتون / بتان
ბეთან(ბეთუნ), მან ბე მან= بم ბემ, მან ბე მან= بمان / بمان
ბემბან(ბემუნ) „მას, მათ, თქვენ, მე, ჩვენ“.

სალაპარაკო ენაში შეინიშნება ზე-ბე წინდებულის „მიშვე-
ლი“ ხმარების შემთხვევებიც ირიბი დამატების სახელისა თუ
ენკლიტიკის გარეშე. ცარიელი ზე-ბე-ს გამოყენებაც პოსტპო-

ზიცურ, ინვერსიულ რიგს უკავშირდება: ؟ ادايد ، ادايد
დადიდ ბე? ბედიდ ბე „მიეცით? მიეცით!“, და მისთ. ასეთ შემ-
თხვევაში საკუთრივ ირიბი დამატება ფორმალურად ქრება,
ჩაშვებულია, გამოტოვებულია,- ელიპსირებულია, ხოლო ინ-
ვერსიული ზე-ბე-წინდებული რჩება ნევრის ნაცვლად, როგორც
ამ ნევრის გამომხატველი ფორმანტი.

ყველა შემთხვევაში, **ზმნა-შემასმენელი**, იქნება ის მარტი-
ვი თუ რთული, **მართავს** ირიბი დამატების გამომხატველ სა-
ხელსა თუ ენკლიტიკას (ნაცვალსახელის შემცვლელ ელემენტს)

პირველ რიგში ზე-ბე-წინდებულის მეშვეობით (იხ. სინტაქსური
კავშირები, მართავ).

მაგრამ ზე-ბე- არ არის ერთადერთი წინდებული, რომელ-
საც ირიბი დამატების მნიშვნელობის მქონე წინადადების წევ-
რის გაფორმება მიეწერება. თუმცაღა ზე-ბე- მაინც ძირითადია
და წამყვანი თანამედროვე სპარსულისთვის.

ზე-ბე-ს შემდგომ აღსანიშნავია **სხვა წინდებულების** მო-

ნაწილეობა ირიბი დამატების გაფორმება-გამოხატვაში. ეს დამოკიდებულია თავად **ზმნის ლექსიკურ სემანტიკაზე**. ამიტომაც საზოგადოდ, როგორც მარტივი, ისე განსაკუთრებით რთული ზმნების აქტანტთა (რეფერენტთა) ანუ მოქმედების, აქტის მონაწილეთა ფორმები **ზმნებთან ერთად უნდა დავისხომოთ**. მით უფრო, რომ აქტანტთა მართვა, როგორც წესი, ზმნათა **სალექსიკონო ბუდეებშია** მითითებული.

სხვა წინდებულებით გაფორმებული ირიბი დამატების **ქართული შესატყვისიც** ქართულ თარგმანში უმეტესწილად (თუმცა არა ყოველთვის) **მიცემითი ბრუნვაა**, რითაც სპარსული ირიბი დამატების ამოცნობა გაადვილებულია. მაგრამ შესაძლოა, ქართულ თარგმანში სხვა ბრუნვითი ფორმებიც ჩაერთოს, მათ შორის თანდებულებანიც. მაშინ **ქართულში შესატყვისად** ირიბი კი არა, **უბრალო დამატება** გვექნება.

სხვა წინდებულებით გაფორმებული სპარსული ირიბი დამატებებიც ტიპოლოგიურად **უბრალო დამატებებს** შეგვიძლია მივაკუთვნოთ, რადგან ამ ორი აქტანტის ზღვარზე იმყოფებიან: სემანტიკურად შეიძლება ირიბ დამატებად მივიჩნიოთ, ფორმოზრივად კი უბრალო დამატებად. ამიტომაც ასეთ ორაზროვან აქტანტებს ორივე პარაგრაფში განვიხილავთ (იხ. შდრ. უბრალო დამატება).

მაგ., შდრ. برای او / برایش / برای خرید

(ბარაიეშ, ბარაშ) ხარიდ „მას უყიდა=მისთვის იყიდა“; ازش

پرسید აზაშ ფორსიდ „მას ჰკითხა=მისგან იკითხა“ და მისთ.

ირიბი დამატების სხვა წინდებულებით გაფორმების ერთ-ერთ ნათელ ნიმუშს აზ „გან, (ი)დან“ წინდებული გვიჩვენებს, რომლის პირველადი, ძირითადი მნიშვნელობა გამოსვლითობაა.

მაგ., ზმნებთან: پرسیدن ფორსიდან „შეკითხვა“, ترسیدن

თარსიდან „შიში“, گرفتن გერეფთან „აღება“.

ასევე ირიბობიექტური შეიძლება იყოს برای ბარაღე

„თვის“ წინდებული. برای ბარაღე წინდებულით გაფორმებულ წინადადების წევრებსაც ზოგიერთ ზმნასთან ირიბ დამატებას მიაკუთვნებენ. მაგ., ზმნებთან خريدن ხარიდან „ყიდვა“; آورن ავარდან „მოტანა“, نشان دادن ნეგაჰ ქარდან „ჩვენება“; گفتن გოჭთან „თქმა, ლაპარაკი“, دادن დადან „მიცემა“ და სხვ. მაგ.: برات می گم / بت می گم „შენ გეუბნები=შენთვის ვამბობ“, نشان می دم / برات نشان می دم „შენ გიჩვენებ=შენთვის ვაჩვენებ“, آوردم / برات آوردم „შენ მოგიტანე“ და მისთ.

ენკლიტიკასთან წინდებულის შერწყმა სხვა წინდებულების მიმართაც ძალაშია: برایش / برایش ბარაღეშ>ბარაშ „მას, მისთვის“, ازش აზაშ „მას, მისგან“ და ა. შ.

ენკლიტიკასთან შერწყმული წინდებულისანი ფორმა მთლიანობაში იქნება წინადადების წევრის გამომხატველი, რადგანაც ენკლიტიკა სხვა სახელით გამოხატულ იმავე წევრს ჩაენაცვლება ანუ მისი მორფოსინტაქსური სინონიმია.

მაგ.: بگویم بگويم გოჭთამ ბეთ „გითხარი“, بگويم ბეგუ ბემ „მითხარი“, بده بده ბედეჰ ბემუნ „მოგვეცი“, بتون داد ბეთუნ „მოგცათ“, بگوييد / بگيد ბეგუიიდ (ბეგიდ)

ბეშუნ „უთხარით მათ“, **بش بگید** ბეგიდ ბემ „უთხარით მას“,

بخريد بر اش ბეხარიდ ბარაშ „უყიდეთ მას“ **خریدند بر ام**

ხარიდანდ ბარამ „მიყიდა„ და მისთ.

ირიბი ობიექტისა თუ უბრალო დამატების ფორმების-წევრების უფრო დაზუსტებული კვალიფიკაციისთვის დაგვეხმარება ზმნაში **ირიბობიექტური** ენკლიტიკური (კლიტიკური) მორფების-პირის **ნიშნების** (პირის მარკერების) გამოყენების შესაძლებლობები (იხ. ქვემოთ ირიბი ობიექტის პირის მარკერები ზმნაში).

ძირითადი **სემანტიკური ორიენტირი** ირიბი დამატების გააზრებისთვის არის **მიმართულებითობა**. ირიბი ობიექტი არის პირი ან საგანი, ვისზედაც, რაზედაც (ან ვისთვისაც, რისთვისაც) მიმართულია მოქმედება. სემანტიკურად ესაა დანიშნულება, მიზანი, სარგებლის მიტანა, მიმართვა, სხვადასხვა მიმართების გამოხატვა და მისთ.

ჯამში, კლასიკურსა და თანამედროვე ენაში, წამყვანი ბუნდების გარდა, ირიბობიექტური ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს წინდებულები: **ای** ბარაი „თვის„ **از** აზ

„გან/დან„ **بر** ბარ „ზე„ **با** ბა „თან„ და სხვა. მაგ.: **لعنت بر مردم**

آزار ლა'ნათ ბარ მარდომ აზარ „წყევლა ხალხის მჩაგრელს!“;

آشنا شدم با ایشان აშნა შოდამ ბან იშუნ „გავეცანი მას/მათ„ და ა.შ.

რთული ზმნები ცალკე დამატებითი მსჯელობის საგანიცაა, რადგან საკმაოდ მრავალფეროვან მართვას გვიჩვენებენ (იხ. რთული ზმნები მორფოლოგიაში და ლექსიკონის ვერტიკალში).

ირიბი ობიექტის პირის ნიშნები (პირის მარკერები) ზმნაში: ენკლიტიკური მორფები

წინდებული არ არის ირიბი ობიექტის გამოხატვის ერთადერთი საშუალება. მეორეა წინდებულთან შერწყმული, ენკლიტიკით გამოხატული ირიბი ობიექტი (იხ. ზევით). არის მესამე გზაც: ზმნური ენკლიტიკით ანუ პირის ნიშნით ირიბი ობიექტის გამოხატვა. პირდაპირი ობიექტის მსგავსადვე, ირიბობიექტური ზმნური მორფები აქტიურად გამოიყენება ირიბი ობიექტის აღსანიშნავად როგორც თანამედროვე, ასევე კლასიკურ სპარსულში. ესაა ზმნაში ჩართული კლიტიკური მორფები, რომლებიც ირიბობიექტურ პირის ნიშნებს (პირის მარკერებს წარმოგვიდგენენ.). ესაა სახელისგან ზმნის მართვა პირსა და რიცხვში.

ობიექტური პირის ნიშანი -ბე- წინდებულის ტოლფარდია და მისი ალტერნატივაა: თუ ზმნაში წარმოდგენილია ირიბი ობიექტის ნიშანი, წინდებული აღარ გამოიყენება ფრაზაში თუ

წინადადებაში. მაგ.: **گفتمش** *გოჭთამაშ*, „ვეუთხარი-მას,, **آدمت** *დადამათ* „მოგეცი,, **کردند** *კომაქამ ქარდანდ* „დამეხმარნენ,,.

ჩვეულებრივ, ირიბი ობიექტის ზმნური ნიშანი და ირიბი ობიექტის წინდებული **بـ** -ბე- შესაბამის სახელთან ერთდროულად არ გამოიყენება.

პირდაპირი ობიექტის მსგავსად, ირიბი ობიექტის ნიშანი ზმნაში მოსდევს სუბიექტური პირის ნიშანს. ასეთი ზმნა **ორპირიანია**, პირის მარკერთა ორი რიგით, მაგრამ ერთდროულად ირიბი და პირდაპირი დამატების (ობიექტის) ნიშანი ზმნაში არ გამოიყენება: ან ერთი დარჩება ან მეორე. სპარსული ზმნა ვერ იქნება სამპირიანი.

დასაშვებია შემდეგი შესაძლებლობაც: ერთ-ერთი პირის მარკერი ზმნის ფარგლებს გარეთ გავა და სხვა სიტყვას ან ელემენტს მიერთვის. მაგ.: **آدمش را** *ჰამაშრა* *დადამაშ*

„ყველაფერი მას მივეცი“; *گفتمش بش* გოჭთამამ ბემ „ვუთ-
ხარი მას ის“; *خواندمش خریدمش گرفتمش / برایش* ხანდამამ,
ხარიდამამ, გერეთამამ ბარამ „ნავუკითხე, ვუყიდე, ავუღე“
და სხვა.

ზმნაში გამობატული ირიბი დამატება შეიძლება ელიპსი-
რებული იყოს წინადადებაში, რადგან მისი პირი და რიცხვი მა-
ინც ცნობილი იქნება.

ისევე როგორც პირდაპირი დამატების შემთხვევაში,
ზმნაში გამობატული ირიბი დამატება მთავარ წევრად ჩაით-
ვლება და არა მეორეხარისხოვან წევრად: ზმნური პირის მარკე-
რი მას ზმნაში პირიელად გამობატულ ქვემდებარესთან ათანაბ-
რებს.

ვინაიდან რთული ზმნის სახელური და ზმნური ნაწილები
განუყოფელ მთლიანობას შეადგენენ, ობიექტური პირის კლი-
ტიკური ნიშანიც ერთიანი ზმნის კუთვნილებას წარმოადგენს.

გვაქვს ფსიქოლოგიური სუბიექტის ანუ ფსევდოქვემდე-
ბარის გამოყენების ნიმუშები ირიბი ობიექტის მიმართებაში (იხ.
ქვემდებარე; იხ. ფსიქოლოგიური სუბიექტი სპეციალურ კონ-
სტრუქციებში; იხ. პირდაპირი დამატების ფსიქ.სუბ.). მაგ.:

کوزه ی من چی کارش کردی؟ ქუზედე მან ჩი ქარემ

ქარდი? „ჩემი კოკა, რა უყავი/რა უქენი მას?“; *بچه ی من / پسر*

چه کارش کردی؟ ბაჩედე მან/ფესარე მან ჩი ქარემ ქარდი?

„ჩემი ბავშვი/ჩემი ბიჭი, რა უყავი/რა უქენი მას?“.

პირის ნიშნების ჩანაცვლება ყოველთვის შეიძლება მისი
ეკვივალენტებით: ესაა წინდ. *ბე-ბე-სახელთან* ან იმავე წინდე-

ბულთან შერწყმული ენკლიტიკა: მაგ.: *بفرستمش / بفرستم به*

او / بفرستم بهش
თამ ბემ „გავუგზავნო-მას“.

ირიბობიექტური (ისევე როგორც პირდაპირობიექტური) კლიტიკური მორფების ანუ პირის მარკერების (პირის ნიშნების) გამოყენება **კლასიკური სპარსულისთვისაც** ისეთივე ნორმაა, როგორც თანამედროვე ენისთვის.

კლასიკურ ლიტერატურაში მრავლად ფიქსირდება უშუალოდ ზმნურ ფორმებში ჩართული ენკლიტიკური ნიშნები ირიბი ობიექტის, ისევე როგორც პირდაპირი ობიექტის აღსანიშნავად.

ამგვარად, ირიბი (თუ პირდაპირი) ობიექტის ზმნური კლიტიკური პირის ნიშნების აქტიური ნორმატიული გამოყენებაც კლასიკიდან მომდინარეობს. ეს კვლავ ეხება როგორც **მარტივ**, ასევე **რთულ ზმნებს**.

ირიბი ობიექტისა და დამატების აღნიშვნა ზმნაში **მარკერით (კლიტიკური) მორფით** მსგავსია **ქართული ენის ობიექტური პირის წარმოჩენისა ზმნაში**. ეს პარალელიზმი გასაგებს ხდის სპარსულ ფაქტებს: სპარსულშიც სახეზეა გვაქვს **ობიექტური უღლება და ზმნის ორ (ანუ მრავალ-)პირიანობა (იხ. შდრ. ნიმუშები ქართული თარგმანებით)**.

მკითხველს შეუძლია ივარჯიშოს სპარსული ზმნის **პირრიცხვთა კომბინატორიკის** ჩამოყალიბებაში **ობიექტური უღლების (ობიექტურმარკერიანობის)** ანუ **ორპირიანობის** თვალსაზრისით და შეადაროს **მიღებული კომბინაციები** ქართულ ზმნაში მოქმედ ნიშანთა სისტემას (იხ. ნიმუშები).

ირიბი ობიექტის გამოსატვა მოძრავი (მობილური) ენკლიტიკებით

სასაუბრო ენაში გვხვდება ირიბი ობიექტის კიდევ ერთი სახეობა: ენკლიტიკა ერთვის-ერწყმის **არა წინდებულს, არამედ სხვა წევრის** (კერძოდ, მაგ., ქვემდებარის) გამომხატველ რომელიმე ნაცვალსახელს, მაგ., კითხვით, უარყოფით ნაცვალსახელებს. არსებითად, ზოგი ასეთი ნიმუში სასაუბრო ენაში აქტუალურად გავრცელებულ გარკვეულ ფრაზებს-გამონათქვამებს

წარმოგვიდგენენ. ასეთია, მაგალითად: *چیش شده؟* ჩიშ შოდე „რა მოუვიდა-მას?“, *چیش می شود / می شه؟* ჩიშ მიშავად (მი-შე)? „რა მოსდის-მას?“, *چیش همیشه / همیشه* ჰიჩჩიშ ნემი-შავად (ნემიშე) „არაფერი მოუვა/მოსდის-მას, არაფერი ემართება-მას“.

აღსანიშნავია, რომ მოყვანილ კონტექსტებში სასაუბრო ენაშივე ნაცვალსახელზე მიბმულ ენკლიტიკას *را-რā-* თანდებუ-ლიც ენაცვლება ირიბი ობიექტის სახითა და ფუნქციით. მაგ.: შდრ.: *چیش شده // ایشان را چی شده؟* ჩიშ შოდე//იშანრა ჩი შოდე? „მას (ან მათ) რა დაემართა(თ)?“ (იხ. თანდებულის მორ-ფოსინტაქსური სპეციფიკაციები)

ნაცვალსახელის გარდა, ირიბობიექტური ენკლიტიკა წინადადების სხვა წევრის გამომხატველ არსებით სახელსაც ან სხვა სახელსაც შეიძლება მიერთოს.

წინადადების სხვადასხვა წევრის (ქვემდებარის, პირდაპირი დამატების) გამომხატველი სახელი (არსებითი სახელი, ნაცვალსახელი და სხვ.) და ირიბობიექტური ენკლიტიკა შერწყმულად ზოგადად ნებისმიერ ზმნასთან შეგვხვდება, საუბარშიც და თანამედროვე მწერლობაშიც. მაგ.: *چیت بگم / بگویم، چیش*

چیش دادی، چیت بدم / بدهم، چیم / چیش می خونی / می

چوانی؟ ჩით ბეგამ, ჩიშ ბეგამ (ბეგუამ), ჩიშ დადი, ჩით ბედამ (ბედეჰამ), ჩიმ/ჩიშ მიხუნი (მიხანი), „რა გითხრა, რა ვუთხრა, რა მიეცი, რა მოგცე, რას მიკითხავ/რას უკითხავ?“; ფულათ მიდეჰამ „ფულს-შენ მოგცემ„ და მისთ.

არსებითი სახელით გამომხატულ წინადადების სხვა წევრთან შერწყმული ირიბობიექტური ენკლიტიკა შედარებით იშ-

ვიათია თანამედროვე მწერლობაში, მაგრამ ერთ-ერთი ნორმა კლასიკურ მწერლობაში.

ჯამში, ირიბი ობიექტის მოძრავი (მობილური) ენკლიტიკა უცხო არაა არც თანამედროვე სპარსულისთვის.

ტიპოლოგიურად ირიბი ენკლიტიკური სისტემაც მსგავსია ქართული ენის ირიბობიექტური სტრუქტურებისა.

რ-რნ- თანდებულით ირიბი ობიექტის გაფორმება თანამედროვე ენაში

კლასიკური მწერლობის ენისთვის ირიბი ობიექტის გამოხატვის ერთ-ერთი წამყვანი ნორმატიული საშუალება იყო რ-რნ- თანდებულით ამ აქტანტის (ნევრის) გაფორმება. ესაა ტიპი: *ر او ورا غوت* „მას უთხრა“. ასეთ მორფოსინტაქსურ მოდელებში რ-რნ- თანდებული იმავე ფუნქციითაა გამოყენებული, რაც ჯ-ბე- წინდებული, და ისეთივე ეკვივალენტია ენკლიტიკით ან ზმნაში ენკლიტიკური პირის ნიშნებით გამოხატვის საშუალებებისა.

თანამედროვე ენის ნორმა ამ მხრივ მკვეთრად განსხვავებულ სურათს იძლევა იმ გაგებით, რომ რ-რნ- თანდებულისთვის ირიბი ობიექტის გამოხატვა არ არის მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, და შესაბამისად რ-რნ- თანდებულით ირიბი ობიექტის გამოხატვა არ წარმოადგენს თანამედროვე სპარსულის ნორმას.

მაგრამ რ-რნ- თანდებულის ამ ძველი ფუნქციის კვალი დღევანდელ ენასაც გასდევს და მათ შორის თავს იჩენს სასაუბრო ენის ზოგიერთ კონსტრუქციაშიც,

საერთო ჯამში, თანამედროვე სპარსულში ۱ -რნ- სხვა-დასხვა ირიბი ფუნქციებით შეიძლება შეგვხვდეს დაახლოებით შემდეგ სხვადასხვა შემთხვევაში:

ა) როგორც მხატვრული ან სტილისტური არქაიზმი ლიტერატურაში და ბეჭდური ენის სხვა როგორც მხატვრული ან სტილისტური არქაიზმი ლიტერატურაში და ბეჭდური ენის სხვა ფორმებში; აგრეთვე ანდაზებში, ხალხურ გამოთქმებში.

ბ) გარკვეულ სიტყვებსა და შესიტყვებებში, გარკვეულ კონსტრუქციებში ძველი ირიბი ფუნქციის გაქვავებული, გაყინული სახით (იხ. ქვემოთ მაგალითები; სპეციფიკაციები, სპკ).

გ) განსაკუთრებით გამოსაყოფია სხვადასხვა სპეციალურ კონსტრუქციებში ირიბი ۱ -რნ- ს წარმოჩინება. ასეთია სახელდების, პოსესიური (მფლობელობის) კონსტრუქციები და სხვ. (იხ. სპეციალური კონსტრუქციები (სპკ); იხ. ირიბი მფლობელი ქვემდებარე).

დ) **რთულ ზმნებში** აქტანტური კომპონენტები, რომლებიც წარმოშობით ირიბი ობიექტებია, მაგრამ თანამედროვე ენის დონეზე რთული ზმნის ბუნების გამოისობით პირდაპირ ობიექტებად გადაიაზრებიან.

ე) და ბოლოს, **სასაუბრო ენაში** ხშირად ხმარებულ ზოგიერთ ფრაზაში, მათ შორის იგივე რთულ ზმნებთან, – გვხვდება აქტანტურ კომპონენტთა იმგვარი განლაგება და გაფორმება, რომ ერთ-ერთი მათგანი, ۱ -რნ- თანდებულით გაფორმებული უთუოდ ირიბი ობიექტია.

ჩამოთვლილი შემთხვევების ძირითადი მნიშვნელოვანი და სიმპტომატური ნიშნულები, მაგალითისთვის, შემდეგია:

1) **სახელდების** ერთ-ერთ კონსტრუქციაში ირიბი ობიექტი ۱ -რნ- თანდებულით ფორმდება, რაც შედარებით ადრინდელი დროიდან მომდინარეობს, მაგრამ თავისუფლად გამოიყენება ბეჭდურ ენაში (ე. წ. ნევეშთარი-ში). იმავდროულად მის ანალოგიურად შედარებით გვიანდელი ვარიანტიც გამოიყენება:

ჟ-ბე- წინდებულთ გაფორმებული ირიბი ობიექტი. ორივე ვა-
რიანტი გვხვდება თითქმის თანაბრად ბექდურ ენაში, ხოლო სა-
საუბრო ენა (გოჭთარი) აშკარა უპირატესობას ანიჭებს მეორე
უფრო გვიანდელ ვარიანტს: ჟ-ბე- წინდებულთ ირიბ ობიექტს.

ამგვარად, ჟ-ბე- წინდებულთ და რ-რწ- თანდებულთ
სახელდების კონსტრუქციებში ერთმანეთის პარალელურად
აფორმებს ირიბ ობიექტად სახელის მატარებელს ირიბობიექ-
ტურ ზმნასთან گفتن გოჭთან „დაძახება, წოდება“. ტიპები: ჟ

؟დნგ მი / მიწნდ / მიწნდ მიწნდ მიწნდ მიწნდ მიწნდ „ამას

რას ეძახიან, ამას რას უწოდებენ“ და მიწნდ / მიწნდ მიწნდ

მიწნდ ‘გორბე მიწნდ/მიწნდ „ამას კატას ეძახიან, ამას კა-
ტას უწოდებენ“.

თავად ჟ-ბე- წინდებულთ ეკვივალენტურობა რ-რწ-
თანდებულთისთვის ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია, რადგან რ-
რწ- თანდებულთი დამატების ირიბულობას ზედმეტად ადას-
ტურებს. ჟ-ბე- წინდებულთ რ-რწ- თანდებულთის ჩანაცვლე-
ბის შესაძლებლობა მხოლოდ რ-რწ-ს ირიბობიექტურ ფუნქცი-
ას უსვამს ხაზს.

ურთიერთშესადარებელი მაგალითები:

ჟ-ბე- მიწნდ მიწნდ მიწნდ მიწნდ მიწნდ მიწნდ მიწნდ მიწნდ
აბრიშამი ფილე მიწნდ „ამ აბრეშუმის სახლს პარკს უწოდე-

ბენ“; *به مهمترين اثر تاريخی ايران تخت جمشيد می گویند*; მოჭემთარინ ასარე თარხიიე ირან თახთე ჯამშიდ მიგუანდ „ირანის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ძეგლს თახთე ჯამშიდს უწოდებენ“; *به بچه ی گربه چی می گویند / می گید؟ به بچه ی*

به گربه بچه گربه / بچه گربه می گویند / می گیم ბე ბაჩჩედე გორ-ბე ჩი მიგუდიდ (მიგიდ)? ბე ბაჩჩედე გორბე ბაჩჩეგორბე მი-გუდიმ (მიგიმ) „კატის შვილს რას ეძახით? რას უწოდებთ? კატის შვილს კნუტს ვეძახით“; *به دایره هایی که بدینسان در روی زمین*

به موازات استواء تصور می کنیم مدار گویند ბედინსან დარ რუჟე ზამინ ბე მოვანბათე ესთევა' თასავგორ მიქონიმ, მადარ გუანდ „ამ წრეებს, რომელთაც წარმოვსახავთ ამგვარად დედამიწის ზედაპირზე, ეკვატორის პარალელურად, პარალელებს უწოდებენ“.

آن را شبانه روز می گویند. -را

آن را یک سال მიგუდიმ „ჩვენ ამას დღედაღამეს ვუწოდებთ“;

مردم می گویند „მას მზის ერთ

წელიწადს უწოდებენ“; *این عمل را فرسایش می گویند*

‘ამალრა ჭარსაღემ მიგუდიმ „ამ მოვლენას ეროზიას ვუწოდებთ“; *مردم می گویند* „მას ქედს

به یاسب را کوه می گویند (ფაფარს) უწოდებენ“;

اسب را کوه می گویند „ცხენის შვილს კვიცს უწოდებენ“.

2) **რთულ ზმნებთან**, რომელთა ზმნური კომპონენტი

ირიბობიექტურია. მაგ.: *داند آموزگار دانشاموزرا پند داد* „მასწავლებელმა მოწაფეს რჩევა მისცა“; *بعد مامورین بازراسی بلیت های مسافرت از در وارد شدند*;

پنج نفر را در این کویه جا دادند

ბელითჰანდე მოსაჭერათ აზ დარ ვარედ შოდანდ ვა ფანჯ ნაფარრან დარ ინ ქუფე ჯან დადანდ „შემდეგ სამგზავრო ბილეთების ინსპექტორები შემოვიდნენ და ხუთ პიროვნებას ამ კუბეში ადგილი მისცეს (მოათავსეს)“; *نه خودم به زحمت افتادم نه کسی*

دادم زحمت را نه بخودم ბეზაჰმათ ოჭთადამ ნა ქასირან ზაჰმათ დადამ „არც თავი შევიწუხე და არც სხვას მივაყენე წუხილი (შევანუხე)“; *سرتان را درد ندهم // نیاورم* „სარეთანრან დარდ ნადეჰამ//ნადავარამ „თქვენ თავს ტკივილს აღარ მივაყენებ (აღარ შეგანუხებთ)“.

წარმოშობით ამავე მუხლში მოექცევიან „მილოცვის“ და „მისამძიმრების“ სემანტიკური ჯგუფები რთული ზმნებისა. მაგ., *تبریک می گویم / میگویم* „ეიდე ნოურუზრა თაბრიქ მიგუიამ (მიგამ) „ახალი წლის დღესასწაულს გილოცავთ (მილოცვას ვეუბნები)“.

სახელდების რთული ზმნებთან: *اسم گذاشتن* ‘ნჰადან

‘*داند ესმ დადან*, გოზაშთან, ნეჰანდან „სახელის მიცემა, დარ-

ქმევა, სახელდება“. მაგ.: *داند اسم بش* ბეშ ესმ დადანდ „მას სახელი მისცეს (დაარქვეს)“.

3) მთელი რიგი მორფოსინტაქსური ფუნქციები, რომელიც ნორმა კლასიკური ლიტერატურისთვის, მაგრამ ზოგჯერ

გვხვდება თანამედროვე ენის სხვადასხვა ჟანრებშიც, როგორც სამწიგნობრო ენისა და მხატვრული სტილის მახასიათებლები.

უფრო ხშირად ამგვარ ორ-რამ- თანდებულებიანი ირიბობიექტურ კონსტრუქციებს არქაიზმებს, მოძველებულს და მწიგნობრულს უწოდებენ. მაგრამ ვინაიდან ამ ტიპის კონსტრუქციათა ზოგიერთი ჯგუფი დღევანდელი სპარსულის სავსებით თანამედროვე სხვადასხვა ჟანრის კონტექსტებში გვხვდება, არ შეიძლება მათი სრულად ამოგდება თანამედროვე სინტაქსის არსენალიდან, მით უმეტეს რომ ზოგი ნიმუში სცილდება ბეჭდური (ნევემთარი) ენისა და მხატვრული სტილის (საბქ-ის) ფარგლებს. ზოგ შემთხვევაში ასეთი ნიმუშები **სასაუბრო ენის (გოჭთარი-ს)** კუთვნილებადაც ქცეულა.

ა. اورا چه شد؟ „მოხდენა, შემთხვევა“:

შოდ? „მას რა მოუვიდა?“, *ایشان را چی شده؟* „მას/მათ რა მოუვიდა(თ)?“. დღევანდელ სასაუბრო ენაში უფრო ხშირად ანალოგიურად იხმარება მოძრავი, მობილური ენკლიტიკა: *شده؟* შდრ. *چیش* *ჩიშ* *შოდე* „მას რა მოუვიდა“;

همچیش همیشه *ჰირ ჩიშ ნემიშე* „მას არაფერი მოსდის/ემართება“.

ბ. ირიბი ობიექტი ზოგიერთ რთულ ზმნასთან. მაგ.: *مارا ملاقاتی با او دست داد* *მარა მოლაყათი ბა უ დასთ დად* „ერთმა შეხვედრამ მასთან ხელი შეგვიწყო“.

გ. ორპრედიკატულ კონსტრუქციებში „ვალდებულების“, „აუცილებლობას“ დაქვემდებარებული პირის გამოხატვა: *شمارا*

بايست آمد *შომარა ბაეისთ ამად* „თქვენ უნდა მოსულიყა-

ვით“, *تورا باید گفت* თორა ბადად გოჭთ „შენ უნდა გეთქვა“.

კლასიკურ მწერლობაში რ-რ-ს ეკვივალენტად ორპრედიატულ კონსტრუქციებში ირიბობიექტური ენკლიტიკაც გამოიყენება, ტიპი: *باید رفت* ბადად რაჭთ „უნდა წავიდე“ (იხ. ორპრედიატული სპეციალურ კონსტრუქციებში).

დ. სხვადასხვა ტიპის რთულ ზმნებშთან რ-რ- თანდებულისანი აქტანტი შინაარსობლივად ირიბი დამატებაა. მაგ., *خوب را* გად გაეცნო სპარსულ ენას“; *بلد شد زبان فارسی را* ხუბ ბალად შოდ ზაბანე ჭარსირა „კარგად იციან სპარსული ენა“; *خوب بلدند زبان فارسی را* ხუბ ბალადანდ ზაბანე ჭარსირა „კარგად იციან სპარსული ენა“; *عمله (کارگران ساختمان) بنا را پیریزی می کنند* (ქარგარანე სახთემან) ბანარა ფეირიზი მიქონანდ „მუშები შენობას საძირკველს უყრიან“. ირიბობიექტური რ-რ- რთულ ზმნებთან არც თუ იშვიათია და ამგვარი ზმნები არც თუ ცოტაა. მაგრამ საქმე ისაა, უფრო ხშირად სახელმძღვანელოებში ამგვარი წარმოშობის ირიბი დამატებები რთული ზმნების პირდაპირ დამატებებად გაიაზრებიან და განისაზღვრებიან (იხ. რთული ზმნების ბუდეები ლექსიკონში).

ცალკე დგას ისეთი ტიპის ზმნები, როგორცაა *کار کردن* ქარ ქარდან. ამ ზმნასთან ირიბდამატებითი (ირიბობიექტური) - რ- თანდებული გვხვდება სხვადასხვა ვარიანტებით, კერძოდ კი:

ა). ირიბ დამატებასთან რ-რ- ზმნური ენკლიტიკის (პი-

რის ნიშნის) გარეშე. ამასთან შესაძლოა **სიტყვათა რიგის** ორი ვარიანტი: ნორმირებული (სტანდარტული) რიგი – დამატება შემასმენლის წინ (პრეპოზიცია) და ინვერსიული (პოსტპოზიციური) **არ-რ-** თანდებულის დამატება შემასმენელს მოსდევს ანუ ზმნის მერე ბოლოკიდურობს (იხ. სიტყვათა რიგი). მეორე ვარიანტი- **ინვერსიული (პოსტპოზიციური, ბოლოკიდური) ქარბობს სასაუბრო ენაში, დადგმებში, კინოფილმებში** და მისთ. მაგ.:

پسرم را چه کار کردند *ფესარამრან ჩე ქარ ქარდანდ?*

„ჩემს ბიჭს რა უქნეს?“; *نمی دانند / نمی دونند چه کار کنند*

را بستنی *ნემიდანანდ (ნემიდუნანდ) ჩე ქარ ქონანდ ბასთა-
ნირან* „არ იციან რა უქნან ნაყინს“; *چه کار کنم بچه ها را*
ქარ ქონამ ბაჩჩეჰარან „რა ვუყო ბავშვებს?“.

ბ). ფრაზაში ნარმოდგენილია **ორივე ელემენტი ერთდროულად:** **არ-რ-** აფორმებს პირდაპირ დამატებას, ხოლო მისი შე-

სატყვისი ირიბობიექტური ენკლიტიკური **პირის ნიშანი (პირის მარკერი)** თავისი წესისამებრ ჩაერთვის ზმნას, – რთული ზმნის სახელურ კომპონენტს მიერთვის. ასეთ შემთხვევაში ირიბი დამატება ნარმოდგენილია **ორმაგად** (ორჯერაა გაფორმებული), ხოლო ენკლიტიკური **პირის მარკერი** თავის მხრივ და თავისთავად **არ-რ-** თანდებულის **ირიბობიექტურობის** ზედმეტ

და დამატებით **დადასტურებად** გვევლინება: *چه کارش کنم*

را بچه *ჩე ქარემ ქონამ ბაჩჩერან?* „რა ვუყო ბავშვს“. სიტყვა-

თა რიგის მიხედვით 1-რ-ნ- თანდებულიანი ირიბი დამატება აქ **ბოლოკიდურობს**.

ანალოგიური კონტექსტები 1-რ-ნ- თანდებულიანი დამატების გარეშეც გვხვდება, როცა დამატება აღინიშნება მხოლოდ ზმნაში ენკლიტიკური ირიბობიექტური მარკერით. ასეთ შემთხვევაში ენკლიტიკური ობიექტური პირის ნიშანი 1-რ-ნ- თანდებულის მორფოსინტაქსურ ეკვივალენტად (სინონიმად) და კვლავ დამატების (ობიექტის) **ირიბულობის** დასტურად გვევლინება. მაგ.: **کارش بکنم؟ چه** ჩე ქარეშ ბექონამ?

„**ساعتم کار نمی کنه چه / چی کارش بکنم؟**“;
საათამ ქარ (ნემიქონად) ნემიქონე ჩე//ჩი ქარეშ ბექონამ?
„ჩემი საათი არ მუშაობს, რაფუყო?“.

1-რ-ნ- ს გარეშე ენკლიტიკური პირის ნიშანი გვხვდება იმავე ზმნაში აგრეთვე **ფსიქოლოგიური სუბიექტის** გამოყენების შემთხვევაში, როცა ჩვეულებრივ **თავკიდური ირიბობიექტური სახელი** (რომელიც ქვემდებარის ფსიქოლოგიურ შთაბედილებას ახდენს) შემდგომ ზმნაში **ირიბობიექტური მარკერის სახით მეორდება (მარკერით აღნიშნება** (იხ. ფსიქოლოგიური სუბიექტი)

მაგ.: **کوزه ی من چه کارش کردی؟** ქუზეე მან ჩე ქარეშ ქარდი?
„ჩემი კოკა (დოქი)-რა უყავი//რა უქენი-მას?“; **بچه ی**

چه کارش کردی؟ ბაჩჩეე მან, ჩე ქარეშ ქარდი? „ჩემი ბავშვი-რა უქენი-მას?“.

ირიბი ობიექტი ყოველთვის უნდა გავმიჯნოთ ირიბი ქვემდებარისგან, არ ავურიოთ ერთურთში. ფორმალური სტრუქტუ-

რით ირიბი ქვემდებარის ზოგი ტიპი და სახეობა ერთი შეხედვით ირიბ ობიექტს მოგვაგონებს, მაგრამ წევრის და როლის განმსაზღვრელი ფუნქციაა და სემანტიკა.

ირიბობიექტური ფსიქოლოგიური სუბიექტი ისევე იქცევა, როგორც პირდაპირობიექტური ფსიქოლოგიური სუბიექტი. გამოთქმაში მასაც ინტონაციური პაუზა მოსდევს, რომელიც მას მთელი წინადადებისგან მძიმის მსგავსად გამოყოფს.

ამგვარად, ირიბი დამატების გამოსახატავად თანამედროვე სპარსულში საერთო ჯამში გამოიყენება **სამი ძირითადი საშუალება**, რომელიც მოკლედ შემდეგია: წინდებულები (პირველ რიგში **ჰ ბე**), ენკლიტიკები და ბოლოს თანდებული **ს-რნ-** გარკვეულ შეზღუდულ შემთხვევებში.

წამყვანი წინდებული **ჰ ბე** და ენკლიტიკები ორივე თანაბრად ნორმაა; ამასთან, **ჰ ბე** წინდებული და ენკლიტიკა ურთიერთპერწყმულ ელემენტადაც ნორმატიულად გამოიყენება. **ს-რნ-** თანდებული თანამედროვე ენისთვის ნორმას არ წარმოადგენს (ერთ-ერთი წამყვანი ნორმა კლასიკაში, მაგრამ გვხვდება სრულიად გარკვეულ, სასაუბრო ენაში გავრცელებულ გამონათქვამებში; ირიბობიექტური **ს-რნ-**ს ძლიერი კვალი ატყვია

აგრეთვე რთული ზმნების შიდა და ჩარჩოსგარეთა მართვასაც. ენკლიტიკური მორფები ორგვარად გამოიყენება: როგორც **ზმნური ირიბობიექტური პირის ნიშნები (პირის მარკერები)** და როგორც **მობილური (მოძრავი) კლიტიკები**. ზმნაში (მარტივ და რთულ ზმნებში) ირიბი ობიექტების პირის მარკერების გამოყენება ერთ-ერთი წამყვანი ნორმაა როგორც თანამედროვე ისე კლასიკურ სპარსულში.

ცალკე ჯგუფს ქმნიან მობილური, მოძრავი ენკლიტიკური ნაცვალსახელები, რომლებიც: ა) დაირთავენ **ჰ-ბე-** (ან სხვა)

წინდებულს და აწარმოებენ მასთან შერწყმულ ფორმას (ტიპი *بش / بهش ბეჰეშ > ბეშ*); ბ) მიერთვიან სხვადასხვა სიტყვებს, – წინადადების წევრებს და ირიბ დამატებას გამოხატავენ (ტიპი *هیچچیش* , *چیش ჩიშ*, *ჰინჩიშ*; *پولت می دهم* *ფულათ მი-დეჰამ*). ამათგან პირველი ტიპი სასაუბრო ენისთვის სავსებით მიღებული ნორმაა, ხოლო მეორე ტიპი ნორმირებულია გარკვეული გავრცელებული ფრაზებისთვის ან იშვიათად გვხვდება სხვა ფრაზებშიც.. მთლიანობაში, **შერწყმული მოძრავი (მოზილური) ირიბობიექტური** (ისევე როგორც პირდაპირობიექტური) **ენკლიტიკების** სხვადასხვა სახეობები ერთ-ერთი ნორმა კლასიკური მწერლობისთვისაც. თანამედროვე ენისთვის კი დამახასიათებელია მეორე მიმართულების ტენდენციაც: სასაუბრო (გოჭთწარი-ს) ფორმები გავლენას ახდენენ ბეჭდურ ენაზე (ნევეშთწარი): პირველიდან ხდება სხვადასხვა გავრცელებულ ფორმათა მეორეში გადასვლა, რასაც ხელს უწყობს მასმედია, ტელევიზია, პრესა, კინო, თეატრი, აქტუალური ურთიერთობები და სხვა.

ზმნური კლიტიკური ირიბობიექტური პირის მარკერების საშუალებით ხდება ირიბი ობიექტის კვალიფიკაცია-კოდიფიკაცია ანუ განსაზღვრა-დადგენა და მისი გამიჯვნა უბრალო დამატებისგან. თავისთავად, **ირიბი ობიექტისა და უბრალო დამატების ურთიერთგამოიჯვნაც** ქართული ენის სინტაქსური ყალიბების შესაბამისია და სწორედ ქართული ენის წინადადების წევრთა სქემის ტიპოლოგიური გამოყენების შედეგად გვიადვილდება სპარსულშიც ამ ორი წევრის განსაზღვრა (შეცნობა) ფრაზასა თუ წინადადებაში.

უბრალო დამატება

უბრალო დამატებას ვმიჯნავთ **ირიბი დამატებისგან** (იხ. ზევით), ისევე როგორც ეს ქართულ ენაშია (ზღრ., მაგ., აგრ., გერმანულენოვან სპარსული ენის გრამატიკაში: Das Präpositionalobjekt: იხ. ლიტ. სიაში: ამინ-მადანი, ლუტცი).

უბრალო დამატების გაფორმება ერთობ მრავალფეროვან-

ნია. აქ ძალაში შემოდის მრავალი მარტივი და რთული (შედგენილი) ზმნისწინი და თანდებულები. მის გამოხატვას ემსახურება სხვადასხვა მრავალგვარი წინდებულები, ზოგჯერ 1-რ-თანდებულები და გარკვეულ შემთხვევებში ენკლიტიკებიც. ამასთანავე, უბრალო დამატება მრავალგვარია და მრავალფეროვანი სემანტიკურადაც, ანუ მრავალ სხვადასხვა შინაარსის სინტაქსურ წევრს ასახავს. ამასთანავე, უბრალო დამატება ფორმოზრივად ხშირად ემთხვევა გარემოებით სიტყვებს და მათი ურთიერთგამიჯვნა ძირითადად წინადადების საერთო შინაარსისა და მისი წევრების როლების მიხედვით ხდება. მჭიდრო გაუმიჯნაობის შემთხვევაში კი საქმე გვაქვს გარემოებით დამატებებთან (იხ. გარემოებები).

თავისთავად, წინდებულთა ჯგუფები, რომელიც უბრალო დამატების გაფორმებაში მონაწილეობს, უამრავია, ხოლო აგებულებითა და წარმოშობით მრავალგვარი. ერთი მნიშვნელობით სხვადასხვა არაერთი მარტივი და რთული წინდებულები გამოიყენება და პირიქით, ერთი რომელიმე მარტივი თუ რთული წინდებულები სხვადასხვა სემანტიკას ანიჭებს წინადადებაში ამა თუ იმ დამატებას. ეს მართვის სფეროა, ამასთან წინდებულებიც მართავს წინდებულს: ადგილი აქვს მართვას მართვაში ანუ მართვის იერარქიას (იხ. მართვა; იხ. წინდებულები მორფოლოგიაში). მათ შორის ბევრია ნასახელარი წინდებულებიც, ან ისეთი, რომელიც სახელიცაა და იმავდროულად პარალელურად, დამოუკიდებლად თუ წინდებულთან ერთობლიობაში, წინდებულად გამოიყენება. მაგ.: دست داست „ხელი“; دست به دست, از دست, دست داست-ე, از دست, به دست, به دست „ხელით, ხელიდან, ხელთ, ხელში“; دست در دარ داست „ხელში, ხელთ“; طرف تارაფ „მხარე“; طرف از طرف „მხრიდან“; توسط თავასსოთ „მეშვეობა, უშუალობა, საშუალება“; توسط თავასსოთ „საშუალებით, მეშვეობით“ და მრ. სხვ.

ფორმობრივადაც და შინაარსობლივადაც გამოიყოფა უბრალო დამატების სხვადასხვა ჯგუფები. ეს ჯგუფი ორივე ნიშნით საკმაოდ ბევრია, განსაკუთრებით თავად წინდებულების ფუნქციონისა და სტრუქტურების გამოისობით.

უბრალო დამატება ფორმდება პირველ რიგში წინდებულებით. შემდგომ, თანამედროვე ენისთვის უფრო იშვიათად, –

1-რ- თანდებულთ; კლასიკური ენისთვის კი უბრალო დამატების გაფორმება 1-რა- თანდებულის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ნორმირებული ფუნქციაა. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში უბრალო დამატებას ანალოგიურ კონტექსტებში ენკლიტიკურ მორფებთანაც აქვს შეხების წერტილი, თუმცა ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უნდა ვეცადოთ არ ავურიოთ ის ირიბობიექტთან .. მაგ.: *ترسیدمش، ترسیدمش / ازش پرسید، ازش*

ترسیدم ფორსიდამაშ, თარსიდამაშ/აზაშ ფორსიდამ, აზაშ თარსიდამ „მას/მისგან ვკითხე/ვიკითხე; მისი შემეშინდა,“ (იხ. ირიბი ობიექტი).

ნამყვანი სემანტიკური ჯგუფები, რომელიც უბრალო დამატების როლებრივ სემანტიკურ ველში (სფეროში) შემოდის, შემდეგია: „თანაობა“, „ერთობლიობა“, „თაგანობა“, „ნარმოშობა-ნათესაობა“, „ყველა სახის კუთვნილება-მიკუთვნება“, „სახელობა“, „სახელი, სახელობის“, „საშუალება, მეშვეობა“, „ხერხი, იარაღი, ინსტრუმენტალობა“, „გზა“, „მასალობრიობა, შემადგენლობა, შედგენილობა“, „სახით“, „მსგავსება“, „მხრიდან“, „გამოსვლითობა“, „მიწვევითობა“, „სათაურით, დასათაურებით“, „რედაქტორობით, წინამძღოლობით, მხარდაჭერით, გამოისობით, მეთვალყურეობით“, „მიმართ“, „დაკავშირებით“, „შედარებით“, „შედარებითობა, შედარება“, „მიზანი, დანიშნულება“, „გარდაქცევითობა“ „აგენსურობა, მიერობა“, „მოქმედების ავტორი“, „მოქმედების წყარო“ და მრ. სხვ.

მაგალითად, „თაგანობის“ ნიშნები: *از اینا می خوايین یا*

؟ اینا از اب ننه مینان دن اب ننه? „აქედან/ეს/ამათგან გინდათ

حالا کی از این کت و شلوار ها می

پوشد؟ „აქლან ქი აბ ინ ქოთ ო შალვარჰან მიფუშად! „ახლა

ვინ/ვილა იცვამს ასეთ კოსტუმს/ამ კოსტუმთაგანს!“;

აგრეთვე, მაგალითისთვის, „წარმოშობა-ნათესაობის,, ნი-
მუშები: است از ایرانیان

ნაა/ირანელია“; از اهل تهرونی هستيد؟

თიღ? „თეირანის მოსახლეობიდან/ხალხიდან ხართ?/თეირანე-

ლი ხართ?“; این مرد از کارمندان ما رسیده

ქარმანდანე მან რასიღე „ეს კაცი ჩვენი თანამშრომლებიდან

მოვიდა/გამოვიდა“; یکی از قوم و خویش من

შე მან „ერთი ჩემი ნათესავებიდან/ერთი ჩემი ნათესავი,, და

მისთ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „აგენსის, აგენ-

სურობის“ როლებრივ-სემანტიკური ჯგუფი, რომელიც არსები-

თად ქვემდებარეს, მოქმედების ავტორს ან მოქმედების წყაროს

გამოხატავს. ამ ჯგუფს ემსახურება ისეთი წინდებულები, რო-

გორიცაა: از طرف თავასოთე, توسط

აბ თარაჟე, دست, از دست დასთე, აბ დასთე, და მისთ.

მაგ.: نمایش شاهنامه توسط دانشجویان دانشگاه روی صحنه

بود „ნემანდეშე „შანჰამე“ თავასსოთე დანეშჯუდანე

დანეშგანჰ რუღე საჰნე ავარდე შოღე ბუღ „შანჰამეს“ სპექტაკ-

ლი სტუდენტთა მიერ (-თაგან) დაიდგა (დადგმულ იქნა) სცენა-ზე“; این عکس ها (از) دست لیلی بر داشته شده است

(აზ) დასთე ლეილი ბარ დაშთე შოდე ასთ „ეს ფოტოები ლეილის ხელითაა (ლეილის) გადაღებულია“. ჩვეულებრივ ასეთი აგენსები-უბრალო დამატებები ზმნათა პასიური ფორმითაა მართული: ზმნის პასიური ფორმით გამოხატული მოქმედების ავტორია ანუ წინდებულური ქვემდებარეა.

უბრალო დამატება 1-რნ თანდებულთაც გამოიხატება

1-რნ თანდებული არა მარტო ირიბ დამატებას გამოხატავს,

ზოგჯერ თანამედროვე სპარსულში, არამედ უბრალო დამატებასაც, თუმცა იშვიათ შემთხვევაში. ამ შემთხვევათაგან ზოგი ძველი ფუნქციების ასახვაა (კლასიკური ლიტერატურის ნორმა), ზოგი სტილისტური არქაიზმი, ზოგიც გაყინული ფორმა; მაგრამ ზოგი ცოცხალი სასაუბრო ენის კუთვნილებაა. კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში უბრალო დამატების გამოხატველი --- 1 რნ- ძირითადად შეესაბამება მნიშვნელობით ისეთ ქართულ თანდებულებს, როგორიცაა: „თვის“, „გამო“, „გამოისობით“, „მიზეზით“, „-დმი“, „მიმართ“, აგრეთვე ხშირად „შესახებ, -ზე“.

ზოგიერთი ეს მნიშვნელობა თავს გვახსენებს თანამედროვე ენაშიც

1-რნ თანდებულთა გამოხატული უბრალო დამატებათა ჯგუფები თანამედროვე ენაში:

ა) გაყინული ფორმულები და სიტყვები, როგორიცაა: خدا را / خدا رو „ღვთის გულისათვის“; چرا

ჩერა? „რატომ, რისთვის, რისი გულისთვის?“;

ბ) იშვიათად ხმარებული ცოცხალი ფუნქციით სალაპარაკო ენაში.

არ-რ- უბრალო დამატებად თანამედროვე სასაუბრო ენის სამეტყველო ნაკადში ძალზე იშვიათად, მაგრამ გვხვდება და მისი უგულვებელყოფა არ შეიძლება, იმდენად ცოცხალი ენის შემთხვევებია. ეს იშვიათობა, თუმცა სასაუბრო, გვხვდება ცალკეულ ტექსტებში. მაგ.:

مرا می گوئید؟ مرا می گوئی؟ *მარან მიგუთიდ? მარან*

მიგუთი? „ჩემზე/ჩემს შესახებ ამბობთ/იტყვით? ჩემზე/ჩემ შესახებ ამბობ?“, (და არა კლასიკური გაგებით, ირიბი ობ.: მე მეუბნები/მეუბნებით); *اون دو تارا می گم* „იმ ორ-

ზე/იმ ორს გეუბნები/ვამბობ“; *وای خانه خراب شدم*

پسرم را! ვანი ხანე ხარან შოდამ ფესარამრან!... „ვაი სახლო, დავიღუპე ჩემი ბიჭის გულისთვის/გამო...“.

დანვრილებით არ-რ- თანდებულთან დაკავშირებული საინტერესო შემთხვევები და გამონაკლისები წინადადების სხვადასვა წევრების სფეროში იხ. აგრეთვე ქვეთავში: „არ-რ- თანდებულის სპეციფიკაციები“, (იხ. სპეციალური კონსტრუქციები).

გარემოებითი უბრალო დამატება

„მიმართულების“ და „ადგილმდებარეობის“ სემანტიკური ჯგუფი, ხშირად ემიჯნება **გარემოებებს** და **გარემოებით სიტყვებს**: ემთხვევა მათ ფორმოზრივადაც და შინაარსობრივადაც. შინაარსობრივად შესაძლებელია უბრალო დამატების გარემოებისგან გამიჯვნა, ამ შემთხვევაში – **ადგილის გარემოებებისგან**: გარემოება მოქმედების ან მოვლენის **ადგილზე** ანუ **სივრცეზე** მიუთითებს (მიმართულება და ადგილმდებარეობა), უბ-

რალო დამატება კი, – მოქმედებასთან **დაახლოებულ საგანსა და პირზე** (იხ. გარემოება). ამ **სემანტიკური ჯგუფის** უბრალო დამატებებიც **სხვადასხვა წინდებულებით ფორმდება**. ამათგან განსაკუთრებით გამოსაყოფია **ჰ-ბე და تو/تو-თუე** (საუბ. **تو** თუ).

ჰ-ბე- წინდებული სხვადასხვა წევრებს აფორმებს და მათ შორის უბრალო დამატებასაც.

تو/تو-თუ/თუე წინდებული ძირითადად აფორმებს გარემოებას და უბრალო დამატებას, ამასთანავე ორივე მნიშვნელობით: **ადგილმდებარეობა და მიმართულება**.

უბრალო დამატება ზოგადად **მართული** წევრია (იხ. მართვა: დანვრ., თუ წინდ. მაგალითებით).

ორი დასახელებული სემანტიკური შინაარსობრივი ჯგუფი უნდა გავმიჯნოთ ერთურთისგან.

ა). ადგილმდებარეობა.

უბრალო დამატება მიახლოებულია ადგილის (ადგილმდებარეობის) გარემოებასთან შინაარსობრივად, პასუხობს საგნობრივ კითხვას: მაგ.: **რაში, რაზე, რასთან**. მაგ.:

تو جنگ بو თუე/თუ ჯანგ ბუდ „ომში იყო, ომში

მოხვდა“; ეს არ ნიშნავს აუცილებლად მეზრძოლს, არამედ ომის ვითარებაში მყოფს ან შემთხვევით მოხვედრილს, მოყოლილს, გახვეულს. ამ მაგალითზე ჩანს სხვაობა გარემოებასთან: ომში მოხვედრა **სივრცობრივ ადგილს** კი არ აღნიშნავს, არამედ **ყოფნის, ყოფის გარემოს, ვითარებას**: რაში გაეხვია? (და არა სად) –

ომში; ასევე მსგავსადვე: **تو وضعیت خوب است** თუე/თუ

ვაზ'დათე ხუბ ასთ „კარგ ვითარებაში/კარგ გარემოშია,“ და მისთ.

ბ). მიმართულება.

ასევე ადგილის (მიმართულების) გარემოებასთან მოახ-

ლოებულია საგნობრივი მნიშვნელობის **تو-تუ-ნინდებულიანი** ნევრი, რომელიც პასუხობს კითხვას „რაში, რისკენ?“.

მაგალითისთვის, უბრალო დამატებად მიიჩნევა **تو-تუ** ნინდებულიანი ნევრი შემდეგ გამოთქმებში: **دو تا بز ن تو سرش** **დო თა ბეზან თუ სარაშ** „ერთი-ორჯერ უთაქე თავში“; **تو ذوقم** **დო თუ ზოყამ ხორდ** „მულამში ჩამარტყა ანუ გუნება გამიფუჭა“ და მისთ.

აქაც საქმე ეხება საგანს (უბრ.დამ.) და არა სივრცეს, სივრცობრივ ცნებას ((გარ.)**(შდრ. გარემოებები)**).

უბრალო დამატება სპარსულში, ქართულის მსგავსად, ღირსსაცნობია და **გასამიჯნია ირიბი დამატებისგან** (განსაკუთრებით, თუ ირიბი ობიექტი **ه** ბე-ნინდებულით, მოძრავი ირიბობიექტური ენკლიტიკით ან უღლებაში ზმნური მარკერით (ირიბობიექტური პირის ნიშნით) აღინიშნება).

გარემოებები

გამოიყოფა გარემოებათა შემდეგი სემანტიკური ჯგუფები: **ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის, ზომა-წონის, კაუზალური (იძულებითი)**. შეიძლება გარემოებათა სხვა ჯგუფებიც გამოიყოს დამატებით. გარემოებითი სიტყვა არის გაუფორმებელიც (პირდაპირი, სუფთა ფუძე) და გაფორმებულიც სხვადასხვა დამხმარე ელემენტებით.

გარემოებითი სიტყვა შეიძლება იყოს სპეციალური ანუ ზმნისართული; მათ შორის იგულისხმება სხვადასხვა სპეციალური არაბული თუ სპარსული მორფოლოგიური მანარმოებლებით გაფორმებული ზმნისართებიც (იხ. ზმნისართები მორფოლოგიაში). მაგალითად: **اینجا** ინჯა „აქ“, **آنجا** ანჯა „იქ“;

დიროზ „გუშინ“, ემრუზ „დღეს“, ارسال ფარსალ „შარ-
 შან“, امسال ემსალ „წელს“; خوب ხუბ „კარგად“, بد ბად „ცუ-
 დად“, تند თონდ „სწრაფად“, تند თონდთონდ „ჩქარ-ჩქა-
 რა/საჩქაროდ“, ندرت به ბე ნოდრათ „იმვითად“, زاد به ზოდ
 ზუდ ბე ზუდ „ხშირად“, معمولاً მა'მულან „ჩვეულებრივ“, فوراً
 ჭოურან „ჩქარა, სწრაფად“, حتماً ჰათმან „უსათუოდ, უთუ-
 ოდ, აუცილებლად“, واقعاً ვაყე'ან „ფაქტობრივად, სინამდვილე-
 ში, არსებითად“, فعلاً ჭე'ლან „ჯერ-ჯერობით, დღესდღეობით“,
 قطعاً ყათ'ან „გადამწყვეტად, გადაჭრით“, بلافاصله ბელაფასე-
 ლე „მაშინვე, უშუალოდ, დაუყოვნებლივ; მუდმივად, სულ, უნ-
 ყვეტლივ“, متأسفانه მოთე'ასსეჭანე „სამწუხაროდ“, بدبختانه
 ბადბახთანე „საუბედუროდ خوشبختانه ხოშბახთანე „საბედ-
 ნიეროდ“, مذبحانه მაზბუჰანე „ტყუილად, ტყუილუბრალოდ,
 უსარგებლოდ“, بی سر و صدا ბისაროსედან „უხმაუროდ,
 უჩუმრად“, بیهودე ბიჰუდე „ტყუილად, უშედეგოდ, და მისთ.

მრ. გარემოება შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი სახელი-
 თაც. გარდა ამისა, შეიძლება გვექონდეს სიტყვათშენაერთები და
 სიტყვათა მწკრივებიც, მათ შორის იზაფეთური ჯაჭვებიც. გა-

რემოება დაირთავს მიმყოლ სიტყვებს, სხვადასხვა გარემოებით მსაზღვრელებს, იზაფეთურს და უიზაფეთოს, პრეპოზიციურსა და პოსტპოზიციურს. გარემოებითი სიტყვა შეიძლება ჩაჯდეს იზაფეთურ კავშირში და/ან მიიერთოს სიტყათა მთელი ჯგუფი: წინდებულისანი, უწინდებულო, თანდებულისანი (თანდებულის იხ. ქვემოთ).

მაგ.: هر روز تابستان صبح زود من با دوستانم به دریاچه ی

ჰარ რუზე თაბესთან სობჰე ზუდ მან ბა
დაუსთანამ ბე დარაჩეღე ლაქფოშთ მირავამ „ზაფხულის ყო-
ველ დღეს დილით ადრე მე ჩემს მეგობრებთან ერთად კუსტბა-
ზე მივდივარ/დავდივარ“; امروز و فردا خیلی خوب باید کار

کنم که پس فردا خارج شهر ذتشم و دو سه روز در آنجا خوش

بگذراندم ემრუზ ვა ჭარდა ხელი ხუბ ბადად ქარ ქონამ ქე

ფასჭარდა ხარეჯე შაჰრ ბერამ ვა დო-სე რუზ დარ ანჯან ხომ
ბეგოზარანდამ „დღეს და ხვალ ძალიან კარგად უნდა ვიმუშა-
ვო, რათა ზეგ ქალაქგარეთ გავიდე და ორი-სამი დღე იქ მხია-
რულად გავატარო“; موقع رفتن به تهران این رادیو را بپس بدید

მოუყე 'ე რაჭთან ბე თეჰრან ინ რადიო(ო)ურა ბემ ფას ბედიდ
„თეირანში წასვლისას ეს რადიო უკან დამიბრუნეთ“; امسال را

ემსალრა ფედვასთე ფარის ჰასთამ
فاریس هستم

„წელს სულ/მუდმივად პარიზში ვარ „ და ა. შ.

წინდებულთა სიმრავლე გამოიყენება ყველა ამ სხვადას-
ხვა გარემოებითი სიტყვების გასაფორმებლად. ზოგი წინდებუ-
ლი იზაფეთურია, ზოგიც უიზაფეთო. გარემოებითი წინდებუ-
ლები მარტივიცაა და რთულიც. ყურადღებას იმსახურებს ზოგი
გარემოებითი წინდებულის განხილვა.

მაგ.: ადგილის გარემოებებს ყველაზე ხშირად აფორმებს წინდებულები از، به، تو/توی، در، دარ, თუ/თუთე, ბე, აზ „ში, ში, კენ; კენ; -გან, -იდან„.

توی/تو-თუ/თუთე წინდებული აფორმებს ადგილის გარემოებას: **ადგილმდებარეობას** (در დარ წინდებულის ეკვივალენტი) და **მიმართულებას** (به-ბე წინდებულის ეკვივალენტი). უმეტესნილად

توی/تو-თუ/თუთე სწორედ გარემოებით სიტყვებს აფორმებს ანუ **სივრცეს** (სივრცობრივ ცნებებს) გამოხატავს, ხოლო საგნობრივი მნიშვნელობის გამოხატვისას იგი უბრალო დამატების კუთვნილებად იქცევა (იხ. უბრალო დამატება).

თანამედროვე სასაუბრო და ლიტერატურულ ენაშიც توی/تو-თუ/თუთე **ადგილმდებარეობის** მნიშვნელობით იზაფეტური გაფორმებითაც გვხვდება და უიზაფეტოდაც. სასაუბრო ენაში ჭარბობს უიზაფეტო ვარიანტი.

ორივე ვარიანტის მაგალითები: *توی یکی بنیست بود* „ერთი ჩიხში იყო“; *این فرهنگ تو کتابخونه* „ეს ლექსიკონი საელჩოს ბიბლიოთეკაში არსებობს“; *توشه های مهم کاغذی* „მასში/აქ/იქ მნიშვნელოვანი ქაღალდებია“; *این ماهی تو* „ეს დარია ზენდეგი მიქონად“.

თევზი ზღვაში ცხოვრობს“; حيوانات درنده تو جنگل و تو

ميكند *ჰემანთე დარრანდე თუ*

ჯანგალ ვა თუ ბიბაზუნ ვა საჰრა ზენდეგი მიქონანდ „მტაცებელი ცხოველები ტყეში, უდაბნოში და ველზე ცხოვრობენ“; და მრ. სხვ.

ზოგ შემთხვევაში მყარდება ზღვრული კავშირიც უბრალო დამატების *تو/تو-თუ/თუდე-სთან*: საგნობრიობა ანუ უბრალო დამატება თუ სივრცე ანუ ადგილის გარემოება. (შდრ. უბრალო დამატება).

მოყვანილი ნიმუშებიდან თანამედროვე სასაუბრო ლიტერატურულ ენაში გვხვდება სრულიად **ანალოგიური კონტექსტები სინონიმური წინდებულებით**: ერთის მხრივ *در* დარ, მეორეს

მხრივ *تو/توی* თუ/თუდე. ანუ ადგილი აქვს წინდებულთა **გრა-**

მატიკულ სინონიმას. მაგალითად, შდრ.: *مراسم شنبه توی*

مى گيرد سفارت ماراسემე შანბე თუდე სეჭარათ ანჯამ

მიგირად „შაბათის ღონისძიება საელჩოში ხორციელდება“; *فردا*

ما در سفارت انجام مى گيرد *ჭარდა მარასემე მადარ*

სეჭარათ ანჯამ მიგირად „ხვალ ჩვენი ღონისძიება საელჩოში განხორციელდება“.

მოგვიანო კლასიკურ და გარდამავალ ენაში, მაგ., ჰექსიათებში, აღინიშნება აგრეთვე ორივე ელემენტისგან შემდგარი ორმაგი რთული წინდებული: *توى در* დარ თუდე „ში“; თანაც

ივარაუდება ორივე დასაშვები მნიშვნელობა: *تو-თუ* **ადგილმდე-**

ბარეობა/تو-თუ მიმართულება. მაგ.: بود در افشاده

پولش افشاده بود در توی حوض
ფულაშ ოჭთადე ბუდ დარ თუფე ჰოუზ „მისი ფული ჩაგდებული იყო აუზში„

تو/تو-თუ/თუფე წინდებული განსაკუთრებით გააქტიურდა თანამედროვე სასაუბრო ლიტერატურულ ენაში და ამასთანავე გააძლიერა თავისი მიმართულებითი წინდებულის ფუნქცია. კლასიკურ მწერლობაში ეს წინდებული თითქმის არ იხმარება: იშვიათად გვხვდება ზოგიერთ ძეგლში. ასეთ შემთხვევებშიც კლასიკური ენის تو/تو თუ/თუფე თანამედროვე თავისი შესატყვისის პროტოტიპულ ფუნქციებს აფიქსირებს: გვხვდება თ-თუ ფორმითაც და მიმართულების ფუნქციითაც; მაგალითად, გარკვეულწილად მიმართულებაა აღინიშნება რთულ ზმნებში: آری تو جمع آری تو ترکیب کنی, თუ თარქიბ ქონი „შეკრებ/შეკრებაში მოიყვან, მოაწესრიგებ/წესრიგში მოიყვან„.

تو/تو-თუ/თუფე წინდებული კლასიკურ სპარსულ ლიტერატურულ ენაში, როგორც წესი, ძირითადად სრული იზაფეტური კავშირითაა წარმოდგენილი. წინდებულურ სინტაგმაში თანამედროვე სასაუბრო ენაში (გოჭთაწარი-ში) კი, იზაფეტი ნორმირებულად ჩავარდნილია ანუ იხმარება წინდებულის შემოკლებული ვარიანტი; თუმცა გვხვდება სრული, იზაფეტური ვარიანტიც. შემოკლებული, უიზაფეტო ვარიანტი კი წარმატებით გადაინაცვლებს ხოლმე სასაუბრო ენიდან ლიტერატურულ ენაში: გოჭთაწარიდან (گفتاری) ნევეშთაწარიში (نوشتاری).

را-დარ უფრო დიდ სივრცეს ეხება უფრო ხშირად,

توی/تو-თუ კი უფრო მცირეს, მაგრამ ეს არ არის გამოკვეთილი დიქოტომია.

ჯამში ადგილი აქვს წინდებულთა **გრამატიკულ სინონიმიას**.

კლასიკურ სპარსულში მიმართულებითი **توی/تو-თუ**

/თუე ისეთი მაღალი ხარისხით არ აღინიშნება, როგორც დღევანდელ სპარსულში, სადაც ამ წინდებულის მიმართულებითი მნიშვნელობა მორფოსინტაქსურად ჩამოყალიბებულია და გამოკვეთილი. ნიმუშები:

توی آبی *მირავამ თუე აბ* „მივდივარ წყალში“;

همه‌مون تو *ბერიდ თუ დარამ* „შედით ზღვაში“;

ما افتادیم *ჰამემუნ თუ დამ ოფთადიმ* „ჩვენ ყველანი მახეში

ჩავცვივდით“; *ریزید می ریختید / می*

სამნვარ აბ მირიხთიდ/მირიზიდ „სამოვარში წყალს ასხამ-

დით/ასხამთ“; *یا بیایید تو یا بروید/برید/برین بیرون*

ბე(ა)აიდ თუ დან ბერავიდ/ბერიდ/ბერიან ბირუნ „ან შემოდით

შიგნით, ან გადით გარეთ“; *دو تا بزن تو سرش*

დო თან ბეზან „ერთი-ორი ჩაარტყი/ნაარტყი/უთაქე თავში“; **تو**

ذوقم زد/خورد *თუ ზოუყამ ზად/ხორდ* „გუნება-განწყობაში ჩა-

მარტყა/მომახვედრა (გემოვნებაში ჩამცა/გუნება გამიფუჭა)“;

ما نمی افتادیم *თუ დამ ნემიოფთადიმ* „მახეში არ ჩავვარ-

დებოდით/ჩავცვივდებოდით“; *آب می ریزی تو دیگ*; მირიზი
 თუ დიგ „წყალს ასხამ ქვაბში“; *اجازت پیام تو؟*; ეჯავასთ
می دود بیافتد /; „არის ნებართვა შემოვიდე შიგ“; *بیافته توش*
 მიდავად ბეაოჭთად/ბეაოჭთე თუმ „მირზის ჩა-
 ვარდეს შიგ“; *توش برید* ბერიდ თუმ „ნადით/შედით შიგ-
 ნით“; *امشب می ریم تو اپرا*; „ამ სალა-
 მოს მივდივართ ოპერაში“; *می آرم تو تهران*
 თუ თეჰრან „ნავილებ თეირანში“; *هوای خورده بیاد تو اتاق*
 ჰავან აეხორდე ბე(ა)ნდ თუ ოთაყ „ცოტა ჰაერი შემოვიდეს
 ოთახში“; *رفت تو اتاق* „ნავიდა/შევიდა ოთახ-
 ში“; *بریز* „შემობრძანდით შიგნით“; *بفرمایید تو*
 ბერიზ თუ „გადაყარე/ჩაყარე“; და სხვა მისთ. მრ.

თანამედროვე სასაუბრო ენაშიც იხმარება ეს წინდებული
 სრული იზაფეთური (იზაფეტური) სახით: მაგალითად: *می روم*
توی سماور آب „მივდივარ წყალში“; *توی آب*
می ریختید „სამოვარში წყალს ას-
 ხამდით“; *می یابد/می* *سفرات انجام* *توی* *ما* *شنبه* *مراسم*
 ხამდით“;

گيرد რუზე შანბე მარასემე მან თუჲე სეჭარათ ანჯამ

მიდაბად „შაბათს ჩვენი ღონისძიება საელჩოში ჩატარდება„.

წინდებულთა სინონიმია ორმხრივია: დღევანდელ სპარსულში გვხვდება წინდებული რა-დარ მიმართულებითი ფუნქციითაც, ანუ **ფუნქციათა გაორმაგება-გაორება** არსებითად **ორივე წინდებულს** ეხება: **تو/توی** თუ/თუჲე-საც და **რა-დარ-საც**.

მიმართულებითი რა-დარ-წინდებულის მაგალითები:

خوب هستی شما؟ شما کی میآیید در چایخانه تا در مورد تاتر

صحبت کنیم? ხუბ ჰასთი შომან? შომან ქეა მიდაბიდ დარ

ჩანახანე თან დარ მოურედე თეათრ სოჰბათ ქონიმ? „კარგად ხართ? თქვენ როდის მიდიხართ ჩაიხანაში?რომ თეატრზე ვისაუბროთ?“; **امروز یہ کاری پیش او ماد کہ نمی تونم در چایخانه**

شه فردا بیاد ممنون می شه ემრუზ აე ქარი ფიმ

უმად ქე ნემითუნამ დარ ჩანახანე ბიამ აგე მიშე ჭარდა ბიად მამნუნ მიშამ „დღეს ერთი საქმე გამომიჩნდა, ისეთი რომ არ შემძლია ჩაიხანაში მოვიდე; ხვალ თუ გამოვა მოსვლა მაღლობელი ვიქნები“; **سلام خوب هستی شما؟ من پوریا هستم می**

تونید بیایید در چایخانه تا در خواستم ببینم شما کی می

مورد تاتر صحبت کنیم? სალამ ხუბ ჰასთი შომან? მან ფურიდა

ჰასთამ მიხასთამ ბებინამ შომან ქეა მითუნიდ ბიდაბიდ დარ ჩანახანე თან დარ მოურედე თეათრ სოჰბათ ქონიმ? „სალამი,

კარგად ხართ? მე ფურია ვარ, მინდოდა მენახა თქვენ როდის მოხვალთ ჩაიხანაში? რათა თეატრის შესახებ ვისაუბროთ?„ (რეალური მობილური საუბრები: შეტყობინებათა ტექსტები).

რ-დარ მიმართულებითი ზოგჯერ კლასიკაშიც ან ჰექსა-ათების ტექსტებშიც ფიქსირდება, მათ შორის რთულ ზმნებშიც. მაგ.: **خانه برو در** ბეროუ დარ ხანე „წადი სახლში/სახლის-კენ“; **آمد در** მოჯ ამდ დარ თამავეოჯ ამად, დარ თარაჯოჯ ამად „აღელვებაში მოვიდა, აღშფოთებაში მოვიდა//აღელვდა, აღშფოთდა„ (შდრ.: წინდ. **به-ბე-: آمد** ბე გოშ ამდ ბე გუშ ამად „ადულდა/აღელვდა„); ანუ ადგილი აქვს სამივე წინდებულის **სინონიმის**: **تو، به، ر-დარ, ბე, თუ.**

შენიშვნა: არც მიმართულების **به ბე**, არც ადგილმდებარეობის **در** დარ ადგილის გარემოებებისთვის სასაუბრო ენაში ხშირად არ იხმარება: ჩვეულ მეტყველებაში ჩაშვებულია, გამოტოვებულია ანუ ელიპსირებულია. მაგ.: **می میرام رم خونه** მირამ ხუნე „შინ მივდივარ“; **منزل هستم** მანზელ ჰასთამ „შინ ვარ“; **فروشگاه** ალან ბერიდ/ბერინ ჭორუშგაჰ „ახლავე წადით უნივერსიტეტში“; **فردا بریم دانشگاه** ჭარდა ბერიმ დანეშგაჰ „ხვალ წავიდეთ უნივერსიტეტში“; **ایران بودم** ირან ბუდამ „ირანში ვიყავი“; **تهرون بودیم می ریم اصفهان** თეჰ-ბუდიმ მი რიმ ასფჰან

რუნ ბუდიმ, მირიმ ესჭაჭჭნ „თეირანში ვიყავით, მივდივართ ისფაჭჭანში“, **پاریس هستیم** ფარის ჭასთიმ „პარიზში ვართ“, და ა. შ. ეს გამოტოვება-ელიპსისი ნაკლებად ეხება **تو** თუ წინდებულს: დღევანდელ სასაუბრო მეტყველებაში მისი გამოყენება უფრო ხშირია, ვიდრე **دا** დარ-ის ან **به** ბე-სი (იმავე მნიშვნელობით).

გარემოებებად რთული ანუ შედგენილი წინდებულებიც გამოიყენება, როგორიცაა ერთზე მეტი წინდებულის ან სახელებისა და წინდებულების შემცველი შენაერთები. მაგალითად, დროის გარემოებისთვის: **بعد به** ბე ბა'დ „[რაღაცის] შემდეგ,

შემდგომ“, **از/پیش از** ყაბლ აზ/ფიმ აზ „მანამდე, ადრე,

წინ“, **از/بعد از** ფას აზ/ბა'დ აზ „შემდეგ, შემდგომ“, **از**

پیش از ჩანდი ფიმ „ცოცხალი ხნის წინ, ამასწინათ, რამდენიმე ხნის წინ“, **قبل از/پیش از** ყაბლ აზ/ბა'დ აზ ზოჭრ

„შუადღემდე/შუადღის შემდეგ, ნაშუადღევს“, და მრ. მისთ. სხვა. მაგ.: **بیست و سوم نوامبر به بعد** ბისთოსევევომე ნოვამბრ ბე

ბა'დ „23 ნოემბრის შემდეგ“; **قبل از این ماه** „ამ თვემდე, ამ თვეზე ადრე“, და მისთ.

გარემოებითი სხვადასხვა შედგენილი წინდებულები და სხვადასხვა რთული შენაერთები სპარსულში ბევრია (იხ. სალექსიკონო მუხლები).

სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელია წინდებულებთან **ენკლიტიკების შერწყმა გარემოებით სიტყვებში**. მაგ.: **پشتش**

، توش ، بعدش ، آخرش ، قبلش ، نزدیکش ، عقبش ، بغلش ،

توشه თუშე, თუშ, ბა'დიშ, ახერიშ, ყაბლიშ, 'აყაბაშ, ნაზ-

დიქაშ, ბაყალაშ, ფოშთაშ. „მის შიგნით, მასში, მის შემდგომ, მის ბოლოს, მის წინ, მის უკან, მის ახლოს, მის გვერდით, მის ზურგსუკან,, და სხვა.

1-რ-ნ თანდებული აფორმებს გარემოებებს

1-რ-ნ თანდებული სასაუბრო ლიტერატურულ ენაში აშკარად გვიჩვენებს გარემოებით ფუნქციებსაც: აფორმებს ძირითადად დროის ან ადგილის გარემოებებს. გარემოებითი 1-რ-ნ-

ე. წ. ხალხური მეტყველების (ამიანე-ს) კუთვნილებაა პირველ რიგში და ხალხური ენის ლექსიკონშია (ჭარჰანგე 'ამიანე) აღბეჭდილი; მაგრამ არა მარტო: ამ ფუნქციით -რა-თანდებული დიდი ხანია ლიტერატურულ სასაუბრო ენაშია გავრცელებული. სასაუბრო ენიდან ასეთი ფორმები სამწერლობო ენაშიცაა შემოჭრილი, რადგან სასაუბრო და სამწერლობო ენობრივი ფორმების ურთიერთგავლენა ორმხრივია, განსაკუთრებით დღევანდელ სოციოლინგვისტურ ვითარებაში. საზოგადოდ კი გარემოებითი 1-რ-ნ (დროის გარემოებასთან) უხვად გვხვდება გარდამავალი პერიოდის მწერლობაშიც (მაგ.: მე-19 – მე-20 სკ.-ის ძეგლებში). 1-რ-ნ-ს ამგვარი ხმარება თანამედროვე სპარსულში იმდენადაა მიღებული, რომ ეს ფორმები ირანულ სტანდარტულ სახელმძღვანელოებშიცაა მოხვედრილი .

მაგალითები: 'امروزرا منزل هستم' امشب را اینجا باش'

'كجارو نگاه می کنی؟ اینجا رو ببین! امسال را اینجا می مونم'

پارسال را پاریس بومد ემრუზრან მანზელ ჰასთამ; ემშაბრან

ინჯან ბამ; ქოჯანრო/უ ნეგანჰ მიქონი? ინჯანრო/უ ბებინ!
ემსანლრან ირან მიმუნამ; ფანრსანლრან ფანრის ბუდამ „დღეს შინ
ვარ; ამალამ აქ იყავი; საით იყურები? აქ შეხედე!; წელს ირანში

ვრჩები; შარშან პარიზში ვიყავი, და ა.შ. (იხ. 1-რან- ს მორფო-

სინტაქსური სპეციფიკაციებიც თავში: სპეციალური კონ-
სტრუქციები, სპკ).

დასკვნა. ზოგადად, **წინადადების წევრთა** სხვადასხვა
ფორმათა სინკრეტიზმი ანუ **ფუნქციური აღრევა** (ერთი ფორმა
სხვადასხვა მრავალი ფუნქციით: **მრავალფუნქციობა**), აგრეთ-
ვე **იზომორფიზმი** ან **პოლიმორფიზმი** (ერთი ფუნქციით სხვა-
დასხვა ფორმები: **სინონიმია**) ზოგადლინგვისტური მოვლენა-
ცაა და ქართული ენის ვითარებასთანაც ტიპოლოგიურად
მსგავსია. ეს ეხება პირველ რიგში **ირიბ ობიექტებს, უბრალო
დამატებებსა** და **გარემოებებს** ამდენად,
გასათვალისწინებელია: **დამთხვევა და ურთიერთაღრევა, ციკ-
ლური განმეორადობისა და ინოვაციების მოვლენები**; აგრეთვე,
**სინტაქსურ-სემანტიკური გადააზრება, მნიშვნელობის ძვრა და
სინტაქსურ-სემანტიკურ როლთა ცვლა** (მაგ., სხვადასხვა
ობიექტები რთულ ზმნებში, ქვემდებარის რთულ ფორმათა
მექანიზმები და სხვა) (იხ. აქ ზევით სათანადო პარაგრაფები;
სპეცკონსტრუქციები; იხ. მაგალითები და შესატყვისი ქართუ-
ლი თარგმანული მასალა).

წინადადების წევრთა გაფორმების სპეციფიკაციებზე
ლაპარაკია აგრეთვე სპეციალური კონსტრუქციებისადმი მიძ-
ღვნილ თავში (იხ. სპკ: კლიტიკები, თანდებული, და სხვა).

საკუთრივ სხვადასხვა **კლიტიკური გაფორმების** შესახებ
მკითხველს შეუძლია გადაამოწმოს **დიდძალი მასალა** ლიტე-
რატურის სიაში წარმოდგენილ **წყაროებშიც** (მაგ., შდრ.: რა-
დოვილსკი, ფათემი-კალაძე, სამარე, პოლიაკოვი, პოლიაკოვი-
ნასიროვი, აზფა, და სხვა; თემების, წყაროებისა და ლიტერა-
ტურის საკითხებზე იხ. აგრ., ბოლოთქმაც) (იხ. აქვე
კლიტიკური მორფების ამსახველი პარაგრაფები წინადადების
წევრებში, სინტაქსურ კავშირებში, სპეციალურ
კონსტრუქციებში და ა. შ.; იხ. ყველგან ტიპოლოგიური

პარალელების აღნიშვნა ქართული ენის ფაქტებთან: ობიექტური პირის ნიშნები, ობიექტური უღლება; ირიბობიექტური და ირიბსუბიექტური კონსტრუქციები, ინვერსია, მანის რიგი; სინტაქსურ როლთა გადააზრება).

მსაზღვრელი **მსაზღვრელ-საზღვრული** **სინტაგმა. იზაფეთი. უიზაფეთო კავშირი.** **იზაფეთური ჯაჭვები წინადადებაში**

მსაზღვრელი წინადადების **ნებისმიერი სახელური ნევრის** განმსაზღვრელი, თანმხლები ნევრია. იგი გამოიხატება ნებისმიერი სახელური ნაწილით ან ელემენტით (არსებითი სახელი, ზედსართავი, ნაცვალსახელი ან ნაცვალსახელური ენკლიტიკა, რიცხვითი სახელი); აგრეთვე, – მიმღობით და ზოგჯერ ინფინიტივითაც. მსაზღვრელი წინადადების მეორეხარისხოვანი ნევრია და შეიძლება განსაზღვრავდეს როგორც მთავარ, ისე სხვა მეორეხარისხოვან ნევრსაც. უკანასკნელი მსაზღვრელის მიმართებაში საზღვრული იქნება. საზღვრულს შეიძლება ახლდეს ერთი ან ერთზე მეტი (ორი ან მრავალი) სხვადასხვა სახისა და ფორმის მსაზღვრელი. შედეგად მივიღებთ ორი ან მეტი სიტყვისგან შემდგარ სიტყვათშენაერთებს. ყველა შემთხვევაში **მსაზღვრელ-საზღვრული** სპარსულ წინადადებაში წარმოადგენს ერთიან განუყოფელ მთლიან **სინტაქსურ ერთეულს – სინტაგმას. სინტაგმა** კარგ სწორ გამართულ გამოთქმაში ერთი ამოსუნთქვით უნდა გამოითქვას და წინადადების სხვა ნევრებისგან ორმხრივი პაუზებით გამოიყოფა. გარდა ამისა, ყველა დამხმარე ელემენტი, რომელიც მთელ სინტაგმას მიემართება, გატანილია მთლიანი სინტაგმის ფარგლებს გარეთ და დაერთვის სინტაგმის თავკიდურ ან ბოლოკიდურ ნევრს. მაგალითად, თავკიდურად იქნება ზოგი წინდებული; ბოლოკიდური იქნება თანდებული, ენკლიტიკები, განუსაზღვრელობის არტიკლი, აბსტრაქტულობისა და წარმოშობა-წარმომავლობის სუფიქსები და ა. შ. ეს ელემენტები ან მსაზღვრელს მიერთვის ან საზ-

ღვრულს (მაგალითები ქვემოთ).

მსაზღვრელი განიჩევა ორი ძირითადი სახის, **შინაარსის** მიხედვით: ა) დეტერმინატული: ვითარებითი ან მიმართებითი; ბ) კუთვნილებითი ანუ ატრიბუტული მსაზღვრელი.

დეტერმინატული მსაზღვრელი: ვითარებითი ან მიმართებითი. ამ ჯგუფების მსაზღვრელები გამოხატავენ საზღვრულის ყოველგვარ თვისებას, დამახასიათებელ ნიშანსა და მიმართებას საგნებთან (მაგ., მასალას).

მაგალითად: شهر بزرگ შაჰრე ბოზორგ „დიდი ქალაქი“;

کوه فشنگ ქუჩრეე ყაშანგ „ლამაზი ქუჩა“; انسان عاقل „ლამაზი ადამიანი“;

گوشواره طلائی / طلائی „ჭკვიანი კაცი/ადამიანი“;

სურთკ აჰნი გუშვარეე თა(ე)ლა(ე)ი „ოქროს საყურე“;

زبان کودکی რათაქე აჰანი „რკინის ნიღაბი“;

هوای جنگلی ჰავაჲე ჯანგალი „ბავშვური/ბავშვის ენა“;

پنج نفر „ცხუთი/ცხუთი პირი“; كتاب ده დაჰ ქეთაჰ „ათი ნიგნი“;

ფანჯ ნაჰარ „ხუთი პიროვნება“; და მისთ.

კუთვნილებითი ანუ ატრიბუტული მსაზღვრელი აღნიშნავს, თუ რას ან ვის მიეკუთვნება ან ეკუთვნის საზღვრული. ეს აღნიშნება როგორც დამოუკიდებელი სახელებით, ასევე ნაცვალსახელური ენკლიტიკებით.

მაგალითად: خانه من ჩენი სახლი“; منزل

شما მანზელე შომა „თქვენი ბინა/სახლი“; کتابم ჩემი

ნიგნი“; ميوه باغ „მისი ღიმილი“; لابلخندش

ბაყ „ბაღის ხილი“; *جنگل هوای* ჰავანე ჯანგალ „ტყის ჰაერი,,

(შდრ. ზევით დეტერმინაცია: სუფიქსიანი *جنگلی* ჯანგალი „ტყიური/ტყისა,,); და სხვა.

კუთვნილებით მსაზღვრელში იგულისხმება განზოგადოებული მიკუთვნებაც, მიკუთვნება ფართო გაგებით, როგორცაა: *دانشجو زندگی* ზენდეგე დანეშჯუ „სტუდენტის ცხოვრება“; *زبان کودکان* ზაბანე კუდაქან „ბავშვების/ბავშვთა ენა,,

(შდრ. ზევით დეტერმინაცია: სუფიქსიანი *کودی* კუდაქი „ბავშვური/საბავშვო,,); *سرود گرجیان* სორუდე გორჯიან „ქართველების/ქართველთა სიმღერა“;

موسیقی ایرانیان მუსიკიე ირანიან „ირანელთა მუსიკა“; *لباس دختران/دخترانه* ლებასე დოხთარან/დოხთარანე „ქალიშვილთა/გოგოების ტანისამოსი“;

და მისთ.

გ). ცალკე ჯგუფად გამოიყოფა **სახელწოდების, დასახელების, სახელდების, დანართული შინაარსის მსაზღვრელები**. მაგალითად: პირის, გეოგრაფიული, ასტრონომიული, თარიღის აღმნიშვნელი და სხვა. ფორმალურად დანართული ტიპის მსაზღვრელები პირველი ორი ჯგუფისგან განსხვავდება.

მაგალითად: *شهر تهران* შაჰრე თეჰრან „ქალაქი თეირანი“; *شهر تفلیس* შაჰრე თეფლის „ქალაქი თბილისი; შდრ.: „თბილისქალაქი“; *آقای حسن* აყანე ჰასან „ბატონი ჰასანი“; *خانم*

هلن ხანუმე ჰელენ „ქალბატონი ჰელენი“; ماہ آوریل მანკე

პერილ „აპრილის თვე“; شاه عباس ملكہ „შაჰ-აბასი“;

تامار მალექეჟე თამარ „თამარ მეფე/მეფე თამარი,, და მისთ.

(აქ შდრ. სახელდებითი სინტაგმის ორი წყობა ქართულშიც) (იხ. სახელდების სპეციალური კონსტრუქციაც).

ყველა სახის მსაზღვრელთა უმრავლესობა, – არა ყველა, – სპარსულში საზღვრულს **იზაფეთური კავშირით** უკავშირდება (იხ. იზაფეთი მორფოლოგიაში). მსაზღვრელ-საზღვრული ამგვარად იზაფეთური კავშირის საფუძველზე აყალიბებს **იზაფეთურ კონსტრუქციას**. იზაფეთური კავშირი და იზაფეთური კონსტრუქცია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთმიმართების გაფორმების **უნივერსალური საშუალებაა**, რადგან შეუძლია გამოხატოს მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ნებისმიერი სახის ურთიერთობა (იხ. მაგალითები ზევით).

მიუხედავად ამისა, იზაფეთი და იზაფეთური კავშირი, იზაფეთური კონსტრუქცია, არ არის მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ურთიერთობის გამოხატვის ერთადერთი საშუალება. გვაქვს **უიზაფეთო კავშირების ტიპებიც**. პირველ რიგში, ნაცვალსახელური ენკლიტიკური ელემენტების მეშვეობით გამოხატული კუთვნილება (იხ. ენკლიტიკები, ენკლიტიკების ფუნქციები). ამ შემთხვევაში ენკლიტიკა ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც იზაფეთური ნაცვალსახელი ან სხვა სახელი. ესაა კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელის ან სახელის გრამატიკული სინონიმი; ხოლო იზაფეთური **კუთვნილებითი სინტაგმა** მთლიანობაში სინტაქსურად ენკლიტიკური საზღვრულის

ტოლფარდია, მაგ., შდრ.: کتابش / او ქეთაბე უ/ქეთაბაშ

„მისი წიგნი“; کشورمان / کشور ქეშვარე მან/ქეშვარემან/ქეშ-

ვარემუნ „ჩვენი ქვეყანა“; دخترم / دخترم დობთა-

რამ/დობთარე მან „ჩემი ქალიშვილი,, და მისთ.

კუთვნილებითი მსაზვრელი ყოველთვის იზაფეთუ-
რია და შესაბამისად სიტყვათა რიგის მიხედვით საზღვრულის
მიმართ პოსტპოზიციურია ან ენკლიტიკური. იზაფეთური კონ-
სტრუქცია რიგით საზღვრული--მსაზღვრელი ან ენკლიტიკური
მსაზღვრელები კუთვნილების გამოხატვის ერთადერთი ფორ-
მაა. **თანამედროვე სპარსულის ნორმით**, ერთადერთი და ფიქსი-
რებულია აქ მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური რი-
გიც: **კუთვნილების მსაზღვრელი ანუ ატრიბუტული მსაზღვრე-
ლი მოსდევს საზღვრულს.**

გაცილებით უფრო რთულადაა საქმე **დეტერმინატული**
და **დანართული** მსაზღვრელის შემთხვევაში: აქ იზაფეთური
კავშირიც გვაქვს (უმეტესწილად) და გარკვეულ შემთხვევებში,
– უიზაფეთოც. შესაბამისად, რიგიც ორგვარი იქნება: იზაფე-
თური-პოსტპოზიციური (მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს)
და უიზაფეთო-პრეპოზიციური (მსაზღვრელი უსწრებს საზ-
ღვრულს).

მაგალითად: **بلند کوه کوه** ბოლანდ „მაღალი მთა“;

هلوی شیرین ჰოლუჲე შირინ „ტკბილი ატამი“; **کیف مادم** კიჲე

مَدَارَام „დედაჩემის ჩანთა“; **این مسافرت** ინ მოსაჲფერათ „ეს

მოგზაურობა“; **سی دانشجو** სი დანეშჯუ „ოცდაათი სტუდენ-

ტი“; **همه زن** ჰამე ზან „ყველა/ყოველი ქალი“; **هزینه** ჰარ

ბაჩ(ჩ)ე „ყოველი ბავშვი“; და მისთ.

უიზაფეთო ანუ პრეპოზიციული ნყობის მსაზღვრელ-
საზღვრულს (სინტაგმას) განაპირობებენ შემდეგი მსაზღვრე-
ლები: რაოდენობითი რიცხვითი სახელები, ჩვენებითი ნაცვალ-
სახელები; თვლის აღნიშვნა, ნუმერაცია; ზომა-წონის, სიგრძისა
და სხვა ერთეულები; კითხვითი ნაცვალსახელები; განსაზ-
ღვრებითი, განუსაზღვრელი, უარყოფითი ნაცვალსახელები;
ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხი ერთადერთობის

აღნიშვნის შემთხვევაში; امين ომინ- და اين ინ-სუფიქსიანი რიგობითი რიცხვითი სახელი; ზოგიერთი ზედსართავი, მათ შორის اين ინ-სუფიქსიანი;

ნორმატიულად უიზაფეთოა განსაზღვრებითი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელების დიდი ნაწილი; ჩვენებითი ნაცვალსახელები; კითხვითი, უარყოფითი ნაცვალსახელები და სხვა.

მაგალითები: پنج دانشجو ფანჯ დანეშჯუ „ხუთი სტუდენტი“; آن معلم ინ დანეშჯუ „ეს სტუდენტი“; *مواضعم* „ის ლექტორი/მასწავლებელი“; *داه نفر مسافر* დაჰ ნაჰარ მოსაჰერ „ათი (კაცი) მოგზაური“; *دو دانه /دونه // دو تا كيف* დო დანე/დუნე//დო თა ქიჰ „ორი (ცალი) ჩანთა“; *چهار كيلومتر* „სამი კილომეტრი“; *كدام شهر؟* „რომელი ქალაქი?“; *چند دلار؟* „რამდენი დოლარი?“; *چرا خبر؟* „რა ამბავი?“; *چرا خبره؟* „რა ამბავია?“; *هر چه* ჰარ ბაჩე „ყოველი ბავშვი“; *كس* „ყოველი ადამიანი“; *شب همه روز* „ყოველი ღამე, ყოველი ღამე; ყოველდღე, ყოველღამე“; *هيچ* „არავინ“; *بزرگترین شهر* ბოზორგთარინ შაჰრ

„უდიდესი//ყველაზე დიდი ქალაქი“; آثار قشنگترین ყაშანგთა-
 რინ ასარ „ულამაზესი ძეგლები“; درس پنجمين ფანჯომინ
 დარს „მეხუთე გაკვეთილი//ლექცია“; اولین دفعه ‘ავვა-
 ლინ ბარ, ავეალინ დაჭ’ე „პირველად/პირველ ჯერზე; პირველი
 ჯერი//შემთხვევა“; مرحله نخستين ნახოსთინ მარჰალე „პირ-
 ველი ეტაპი//ციკლი“; كار آخريں ახარინ ქარ „ბოლო//უკანას-
 კნელი საქმე“; اينجور // اينگونه // اينجورى لباس //
 აჯურ/ინჯური ლებას „ასეთი//ამგვარი//ასეთნაირი ტანსაცმე-
 ლი“; کدام كتاب ‘კდამ ქოდამ ქეთაბ? ქოდამ საბუნ?
 „რომელი წიგნი? რომელი საპონი?“; چه صابونى
 „რა/რომელი საპონი?“;
 იმავდროულად, ზოგი ელემენტი ამ ჩამონათვალიდან
მეორე ვარიანტსაც გვიჩვენებს: პოსტპოზიციურს, მაგ.: ნაც-
 ვალსახელი كدوم / کدام ქოდამ/ქოდუმ სასაუბრო ენაში: چراق
 ؟ كدومه؟ دزد كدومه؟ ჩერაყე ქოდუმე? დოზდე ქოდუმე? „რომე-
 ლი ნათურა(ა)? რომელი ქურდი(ა)?„ (იხ. ქვემოთ მაგალითები).
 მრავლობითი რიცხვის ნიშნებიც და განუსაზღვრელო-
 ბის არტიკლი – ی ი-ც საზღვრულს ერთვის პრეპოზიციული
 ნყობის პირობებში. მაგ., შდრ.: مرد خوب / مرد خوبى მარდი
 ხუბ/მარდე ხუბი „ერთი (ვინმე) კარგი კაცი“; داشجویى ممتاز

დანეშეუ'ი მომთაზ/დანეშეუე მომთაზი „ერთი (კარგი) წარ-
ჩინებული//გამორჩეული სტუდენტი“; *دختران زیبا* დობთარანე
ზიბან „მშვენიერი ქალიშვილები“; *مسجدهای قشنگ* მას-
ჯედჰანე ყაშანგ „ლამაზი მეჩეთები„.
მრავლობით რიცხვში მსაზღვრელის შეთანხმება ჩვეუ-
ლებრივ არ ხდება. მაგ.: *خوبی انسان* ენსანჰანე ხუბ „კარგი
ადამიანები“; *چشمهای سبز* ჩაშმჰანე საბზ „მწვანე თვალები“;
خانمان محترم ხანუმანე მოჰთარამ „პატივცემული ქალბატონე-
ბი„.

განუსაზღვრელი არტიკლი *ای/ی-* საზღვრულს თუ
ერთვის, იზაფეთი იკარგება, მაგრამ არტიკლის მსაზღვრელთან
გადასმის შემთხვევაში იზაფეთი აღდგება, არტიკლი კი მთლიან-
ნი სინტაგმის კუთვნილება ხდება. მაგ.: *انسان خوب / انسانی*
انسان خوبی / *انسان خوبی* > *ენსანე ხუბ* > *ენსანი ხუბ* > *ენსანე ხუბი*
„კარგი ადამიანი„.

იზაფეთური სინტაგმის *ای-*არტიკლი შეიძლება მტკიც-
ებშიც მონაწილეობდეს და უფრო გამოყოფას, გარკვეულო-
ბას უსვამდეს ხაზს. მაგ., ფრაზა: *دختر خیلی خوبی* დობთარე
ხელი ხუბიე „ძალიან კარგი გოგოა (ერთი/ერთგვარი)„. განუ-
საზღვრელის ნაცვლად აქ გარკვეული გვაქვს.
(იხ. იზაფეთი მორფოლოგიაში).

ზოგიერთი ტიპის მსაზღვრელ-საზღვრული მთლიანობა-
ში შეიძლება გარემოებაც იყოს წინადადებაში. ასეთებია, მაგ.:

روز همە ڤامه رههه, شب همە ڤامه ماب, صبح همە ڤامه سوڤڤ,

روز ڤاره رههه, ماه ڤاره ماب, سال ڤاره سالد „ყოველდღე,

ყოველდღე, ყოველ დღით, ყოველთვე, ყოველ წელიწადს“; და მისთ. ესაა იგივე მორფოლოგიური ზმნისართები, წინადადებაში გარემოებითი შინაარსის მატარებელი (იხ, შდრ.; გარემოებები).

მხოლოდ **ზოგადი წესებით** იზაფეთური თუ უიზაფეთო გამოყენების სურათი არ ამოიწურება. საცოდნელია ერთისა და იმავე სიტყვებისთვის **ორვარიანტული** ხმარების წესებიც და აგრეთვე სხვადასხვა სიტყვათა **სპეციფიკური პატარ-პატარა ჯგუფების** ან **ცალკეული სიტყვების** გამოყენების შემთხვევები (იხ. ქვემოთ).

საქმე ისაა, რომ **ნორმირებული უიზაფეთო პრეპოზიცი**, რომლის ძირითადი ზოგადი წესები ზემოთაა მოკლედ ჩამოთვლილი, მკვეთრად უნდა გავარჩიოთ და გავმიჯნოთ **ინვერსიისგან** ანუ ნორმირებული იზაფეთური პოსტპოზიციური წყობის დარღვევისაგან. რეალურად ინვერსია დასაშვებია პოეზიაში; არც თუ იშვიათად გვხვდება კლასიკურ მწერლობაში; ასევე შეიძლება შეგვხვდეს მხატვრულ პროზაში და სხვა ამგვარ შემთხვევებში. აგრეთვე არის წმინდა **სასაუბრო ენის** კუთვნილი **ინვერსიებიც**.

ჩვეულებრივ მეტყველებაში ნორმა უფრო ხშირად მტკიცედაა დაცული და არც სასაუბრო ენა გვიჩვენებს ამ მხრივ დიდ დარღვევებს. მეორეს მხრივ, რაც შეეხება ნორმით გათვალისწინებულ პრეპოზიციას, ფაქტობრივად ნორმირებული პრეპოზიციის **მირთვისთან** არის გათანაბრებული, რადგან პრეპოზიციური მსაზღვრელი **ყოველგვარი გაფორმების გარეშე** სინტაქსურად უკავშირდება საზღვრულს.

ზოგი სიტყვა **ორივე ვარიანტს** აწარმოებს, – **იზაფეთურ და უიზაფეთო სინტაგმას**. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი უცვლელი რჩება. აქ მსაზღვრელთა თუ საზღვრულთა სხვადასხვაგვარი ჯგუფები იგულისხმება. ასეთია, მაგალითად, დროის აღმნიშვნელი სხვადას-

ხვა სახელები და ზმნისართები, რიგი ნაცვალსახელებისა და სხვა.

მაგალითად: *پیش سال دو دو سال* ფიშ „ორი წლის წინ,,
(უიზაფეთო); *قبل سال دو دو سال* ყაბლ „ორი წინა წელი“;
پیش شش ماه შემ შმშ მანჷ ფიშ „ექვსი თვის წინ“; *قبل شش ماه* შემ
მანჷ ყაბლ „ექვსი წინა წელი“; *پنج هفته* ყანჯჷ ჰაჭთეჷ
ყაბლ „წინა ხუთი კვირა“; *پنج هفته پیش* ყანჯჷ ჰაჭთე ფიშ „ხუ-
თი კვირის წინ“; *بعد روز* რუზე ბა’დ „შემდეგი დღე“; *ده سال*
დაჷ სალ ბა’დ „შემდეგი ათი წელი“; *پیش روز* ფიშ „წინა ორი დღე“;
دو روز ფიშ „ორი დღის წინ“; *روز همه* ჰამეჷ რუზ „მთელი დღე“; *روز همه* ჰამე რუზ
„ყველა დღე/ყოველი დღე, ყოველდღე“; *همه کس* ჰამე ქას; *همه*
کارگر ჰამე ქარგარ „ყოველი ადამიანი; ყველა/ყოველი მუშა“;
همه کسان ჰამეჷ ქასან; *همه کارگران* ჰამეჷ ქარგარან „ყველა
ადამიანი; ყველა მუშა (ანუ: ყველანი და არა ყოველი)“; *بعض*
دانشجویان ბა’ზე დანეშჷჷჷჷჷჷჷ „ზოგი სტუდენტი//ნაწილი სტუ-
დენტებისა,, (იზაფეთური); *بعض اوقات* ბა’ზე ოჷყათ „ზოგ-

بزرگتر دو نمبره کوچکتر هغه نومبره ქუჩეკეთარ; დო ნომრე ბო-
ზორგთარ „ერთი ნომრით პატარა/ნაკლები; ორი ნომრით დი-
დი/მეტი“.

უიზაფეთო და პრეპოზიციულია განუსაზღვრელი ნაც-
ვალსახელი **فلان** **ڦولان** „მავანი, ვინმე, ვილაც“; მაგ.: **فلان مرد**
ڦولان მარდ „მავანი/ვილაც კაცი“;

იზაფეთური და პოსტპოზიციურია ზედსართავები **زياد**
ზიჲდ და **بسيار** **ბესჲარ** „ბევრი, მრავალი“; **زيد** **მარდომე**

ზიჲდ//ბესჲარ „ბევრი//მრავალი ხალხი“; იმავდროულად **بسيار**
ბესჲარ ზმნისართის მნიშვნელობით პრეპოზიციულია და უიზა-
ფეთო ანუ მირთული: **بسيار خوب** **ბესჲარ ხუბ** „ძალიან კარ-
გი//ძალიან კარგად“;

ხოლო ამავე მნიშვნელობის ზედსართავი **ხეღლი** პრეპო-
ზიციულია და უიზაფეთო, ამასთანავე გავრცელებულია თანა-
მედროვე სასაუბრო ენაში: **ا شخص خيلي ههღلي** **აშხას „მრავა-**

ლი ადამიანი/პიროვნება“; اجناس خيلي ههღلي „ბევრი სა-
ქონელი“; **خيلي ههღلي** **სოჰბათ** „ბევრი//დიდი ლაპარა-

კი, საუბარი“ (მაგ.: خيلي ههღلي **სოჰბათ** **ბუდ** „ბევ-
რი//დიდი ლაპარაკი იყო/შედეგა“); **خيلي ههღلي** **გამოიყენება**

მსაზღვრელის მსაზღვრელადაც: خيلي ههღلي **ბეჰთარ**

ხალხი“; *اشخاص كليه* ქოლლიფეჟე აშხას „ყველა ადამიანი/მთელი ხალხი“;

ასევე პრეპოზიციულია და იზაფეთური განსაზღვრებითი ნაცვალსახელი *عموم* ომუმ „მთელი//ზოგადი“; *اهالي* ომუჟე აჰალი „მთელი მოსახლეობა“;

ზედსართავი *كمى* ქამი „ცოტა,“ დაისმის საზღვრულის წინ და უიზაფეთოა: *كمى* ქამი ნან „ცოტა პური“; *آب* ქამი აბ „ცოტა წყალი“; მას შეიძლება დაერთოს წინ ასევე უიზაფეთოდ რაოდენობითი რიცხვითი სახელი *يه / يك* ექ/ეჟე „ერთი“, დამატებითი **მეორადი მსაზღვრელის** სახითა და მნიშვნელობით; შედეგად გამოდის **ორმაგი მსაზღვრელი**: *كمى* *يه* ეჟ ქამი „ცოტა/სულ ცოტა/რალაც ცოტა/ცოტაოდენი“; *كمى* *يه* ეჟ ქამი ნან „სულ ცოტა/ცოტაოდენი პური“; *كمى* ქამი-ს სინონიმი ამგვარ სინტაგმაში არის აგრეთვე ზედსართავი *خر* ხორდე „ცოტა, ცოტაოდენი,“ *خر* ხორდე ზედსართავსაც ასევე შეიძლება დაერთოს რიცხვითი სახელი *يه / يك* ექ/ეჟ: *يه / يك* *خر* ექ/ეჟ ხორდე „ცოტაოდენი,“ მაგ.: *يه* *خر* *ميوه* ეჟ ხორდე მივე „ცოტაოდენი ხილი,“.

كمى *يه* ეჟ ქამი და *خر* *يه* ეჟ ხორდე სინტაგმები გარე-

მოებებადაც გვევლინებიან: به (زبان)فارسی یہ خردہ حرف می
 یہ کمی بلم (ზაბანე) ჭარსი ეე ხორდე ჰარჭ მიზანამ;
 زبان عه ؤამი ბალადამ ზაბანე ჭარსირა;
 عه ؤამი/ეე ზაბანე ჭარსი فارسی یہ کمی / یہ خردہ می دونم
 ხორდე მიდუნამ; عه ხორდე ჰავან ბეად
 თუ; عه ؤამი სარმან ხორდამ „ცოტას ვლა-
 პარაკობ სპარსულად; ცოტა/ცოტაოდენი ვიცი სპარსული ენა;
 ცოტა ჰაერი შემოვიდეს; ცოტათი გავცივდი“;

მაგრამ იგივე სიტყვა کمی ؤამი სახელური მნიშვნელო-
 ბით „ცოტა რაოდენობა„ იზაფეთს ითხოვს იმავე პოზიცია-
 ში: عه ؤამიეე ფულ „ცოტა რაოდენობა ფულისა“;

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები فرد فرد
 ჭარდჭარდ, عه ؤამიეე „თვითოეული მათგანი„ წინ დაის-
 მის და იზაფეთურია: عه ؤამიეე „თვითოეული მათგანი“;
 عه ؤამიეე „თვითოეული მათგანი“;

შეიძლება პოსტპოზიციურიც იყოს: عه ؤამი
 „სრული/მთელი სამი საათი“;

მთელი რიგი ამგვარი ნაცვალსახელებისა და ზედსარ-
 თავებისა ან არსებითი სახელებისა, რიგს იცვლის სინტაგმაში

და ხან **მსაზღვრელად** გვევლინება, ხანაც **საზღვრულად**, მაგ., შდრ.: **احترام با کمال میل** 'ბა კამალე მიელ, ბა ქამალე ეჰთერაშ „სრული სურვილით/სიამოვნებით; სრული პატივისცემით“; **حد کمال به** ბეჰადდე ქამალ „სრული ზომით//საზღვრით (სრულიად, სავსებით)“; **اوقات اكثر اქსარე ოუყათ** „მეტი ხანი, მეტი დრო//მეტხანს, მეტნილად“; **اكثر اქსარიე დანშجويان** „სტუდენტთა უმრავლესობა//უმეტესობა“; **حد اكثر** ჰადდე აქსარ „უკიდურესი, უმეტესი ზომა//საზღვარი; ზედა ზღვარი“; **اكثر به** ბე ჰადდე აქსარ „უმეტესნილად, უმრავლესად; უკიდურესი ზომით, უმეტესი ზომით/საზღვრით; ზედა ზღვარზე/ზღვარით“; **عقلً اساتيد** აყალლე ასათიდ „პროფესორთა უმცირესობა“; **حد عقلً** ჰადდე აყალლ „უმცირესი ზომა/საზღვარი; ქვედა ზღვარი“; **عقلً به** ბე ჰადდე აყალლ „უმცირესად, უკიდურესად ნაკლები ზომით/საზღვრით; ქვედა ზღვარით/ზღვარზე“; და მისთ. **ორივე** ტიპის **ვარიანტი** აქ **იზაფეთურია**. შინაარსობლივად კი აღსანიშნავია, რომ მოყვანილი სინტაგმები ანარმოებენ როგორც **მსაზღვრ-საზღვრულებს მსაზღვრელისთვის**, ასევე **მსაზღვრელ-საზღვრულებს გარემოებისთვის** ანუ **გარემოებით მსაზღვრელ-საზღვრულებს**, მაგ., იხ.: **عقلً به حد اكثر** 'ბე ჰადდე აქსარ, ბე ჰადდე აყალლ „მაქსიმუმად/მაქსიმალურად; მინიმუმად/მინიმალურად“, და სხვა. **მსაზღვრელ-საზღვრულს** აქ **წინდებულიც** ერთვის ანუ ფიქსირ-

დება წინდებულური სინტაგმაც.

წინდებულურები: ‘ به ‘ از აზ, ბე, ანუ წინდებულნიანი მსაზღვრელი. მსაზღვრელი არა ოდენ იზაფეტიანი-უიზაფეთოა, არამედ წინდებულნიანიც: ‘ بعضی از ‘ برخی پس از

/ بعد از ‘ بیش از ‘ حد ‘ به ‘ از ‘ ბა ‘ ზი აზ, ბარხი აზ, ბე ჰადდ, ფიშ აზ, ბა ‘ დ/ფას აზ „ზოგი –თაგანი“; „ზომამდე; მანამდე, შემდეგ„. როგორც აქ ჩანს, სხვადასხვა წინდებულური შენაერთები ფრაზაში მსაზღვრელის გარდა გარემოებების სახითაც გამოიყენება.

პოსტპოზიციურია და იზაფეთური (იზაფეტური) ნაცვალსახელი ან ზედსართავი **دیگر/دیگر** დიგარ/დიგე „სხვა,

მეორე, სხვანაირი, შემდეგი, დანარჩენი„ და მისთ.: **روز دیگر** რუზე დიგარ „სხვა დღე; მეორე დღე, შემდეგი დღე„ (**მსაზღვრელის სინტაგმა**) ან „სხვა დღეს; მეორე/შემდეგ დღეს; ერთი დღის შემდეგ„ (**გარემოებითი მსაზღვრელის სინტაგმა**).

دیگر/دیگر დიგარ/დიგე-ით ნაწარმოები **გარემოებითი**

მსაზღვრელები (გარემოებითი შენაერთები): **یک / یه روز**

دو روز دیگر/دیگر დუ როზ დიგარ/დიგე, **سه** სე

دو ماه دیگر/دیگر დუ მაჰ დიგარ/დიგე, **ده سال دیگر/دیگر** დე

რუზე დიგარ/დიგე, **سه** სე ჰაჭთეჟე დიგარ/დიგე, **دو** დუ მანჰე დიგარ/დიგე, **دا** და ჰ სალე დიგარ/დიგე „ერთი დღის, ორი დღის, სამი კვირის, ორი თვის, ათი წლის შემდეგ/მერე„.

ამავე დროს იმავე სიტყვას აქვს სხვა მნიშვნელობებიც, როცა ის სახელების წინ პრეპოზიციულ ადგილს იკავებს

და მირთვის წესით უკავშირდება: **ჰიჯ დიგრ/დიგარ/დიგე**

ჰინ „სხვა არაფერი“; **ჰე/ჰიჯი ? დიგრ/დიგარ/დიგე ჰე/ჰი?**

„კიდევ რა?“; **ჰეტრ დიგრ/დიგარ/დიგე ბეჰთარ** „კიდევ

უკეთესი, უფრო კარგი“; (იხ. აგრ.: **დიგრ/დიგარ/დიგე** ნა-
წილაკის სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციები: იხ. წინადადებები
შინაარსის მიხედვით).

ამ სქემითვე, პრეპოზიციულადაა ნაწარმოები კომპოზი-
ტები **დიგრ/დიგარ გონე**, **დიგრ/დიგარ გონე**, **დიგარ გუნე**, **დიგარ გუნე**, „სხვანაირი,
სხვაგვარი (სხვანაირად, სხვაგვარად)„. რომლებიც უკვე ერთ
ცნებას გამოხატავენ.

ზოგიერთ მსაზღვრელურ და გარემოებით შენაერთებში

დიგრ/დიგარ დიგარ/დიგე უიზაფეთო პოსტპოზიციურ პოზიცი-

ასაც იკავენს: **ჰიჯ კს დიგრ/დიგარ** **ჰიჩქას**, **დიგარ/დი-**

გე, **ჰიჯ/დიგრ/დიგარ** **ჰერგზ/ჰიჩქაყთ** **დიგარ/დიგე**

„მეტად/მეტი არავინ, მეტად/მეტი არასდროს,, და მისთ. შდრ.
დასაშვები შებრუნებული რიგიც იმავე მნიშვნელობით:

ჰიჯ/დიგრ/დიგარ. საქმე ისიცაა, რომ **დიგრ/დიგარ** დი-

გარ/დიგე ნაცვალსახელი სხვადასხვა შინაარსის წინადადებებ-
ში **მრავალფუნქციურ მორფოსინტაქსურ ელემენტად**, **ნაწილა-**

კადაც გადაიქცევა (იხ. **დიგრ/დიგარ** **დიგარ/დიგე** ნაწილაკის სინ-

ტაქსური ფუნქციები: იხ. წინადადებები შინაარსის მიხედვით).

იმავდროულად, **ნაწილაკური მნიშვნელობის**

დღე/დღე დიგარ/დიგე ზოგჯერ იზაფეთს აჩენს, მაგ.:
დღე/დღე დიგარ/დიგე „კიდევ“: დღე/დღე დღე დაჰ დაჰ
დღე/დღე დიგარ/დიგე „კიდევ ათი დღე (სხვა ათი დღე-
რი)“; იგივე ფრაზა ასეც შეიძლება გამოითქვას: დღე და
დღე/დღე დიგარ/დიგე დაჰ დღე „კიდევ ათი დღე“, (უი-
ზაფეთო პრეპოზიცი: ნანილაკური დღე/დღე დიგარ/დიგე).

დღე/დღე დიგარ/დიგე ნანილაკისა და სხვა ამგვარ
ელემენტთა სხვადასხვა მნიშვნელობები დაწვრილებით აღწე-
რილია თავში: „ნინადადებები შინაარსის მიხედვით,“ (იხ.).

ზოგი სინტაგმა, რომელიც აშკარა ინვერსიულ რიგს ამ-
ჟღავნებს (მსაზღვრელ-საზღვრული), ფაქტობრივად გარკვეუ-
ლი ცნების გამომხატველ სიტყვათშენაერთადაა ქვეული, მაგ.:

روز نوره „ახალი წელი (სიტყვ. „ახალი დღე“; დღესასწა-
ლის სახელწოდება საკუთარ სახელადაა ქვეული ფაქტობრი-
ვად)“, (მდრ. ნორმატიული რიგი: روز نو ‘سال نو

ساله نو „ახალი წელი“); უკეთესი მაგალითებია چاله آوچه

ჩაყალე ალუჩე „მკუხე ალუჩა“; چاله بادم ჩაყალე ბადამ
„მკუხე ნუმი“.

კვირის, თვის, საუკუნის, წლის აღმნიშვნელი სახელები
გარემოებით შენაერთებში ლიტერატურული ნორმით ერთ-ერთ
ვარიანტში იზაფეთს იჩენენ, მეორეში კი უიზაფეთოა: يك قرن

قبل ექვ ყარნე ყაბლ „ერთი წინა საუკუნე“; **یک قرن پیش** ექვ
 ყარნ ფიშ „ერთი საუკუნის წინ“; **هزار سال بعد** ჰაზარ სალე
 ბა'დ „შემდგომი ათასი წელი“; **بعد هزار سال** ჰაზარ სალ ბა'დ
 „ათასი წლის შემდეგ“; **سه ماه قبل** სე მასჰე ყაბლ „წინა სამი
 თვე“; **پنج روز بعد** პანჯ როზ ბედ „სამი თვის წინ“; **پنج روز بعد**
 ფანჯ რუზე ბა'დ „შემდეგ/მომდევნო ხუთი დღე“; **پنج روز بعد**
 ფანჯ რუზ ბა'დ „ხუთი დღის შემდეგ/მერე“;
 დროის აღმნიშვნელ ამ სახელთა **დანართული სინტაგმე-**
ბი იზაფეთურია და თარიღების აღმნიშვნელი სახელები აქ ნორ-
 მატიულ საზღვრულებად გვევლინება: **روز جمعه** როზე ჯომ'ე
 „პარასკევი დღე//პარასკევი დღეს“; **یکشنبه** როზ როზე ექვ
 შამ(ნ)ბე „კვირა დღე//კვირა დღეს“; **ماه فروردین** მასჰე ფარვარ-
 დინ, **ماه آوریل** მასჰე ავრილ „ფარვარდინის თვე, აპრილის
 თვე“; **هفته سیزده به** ჰეფთე სიზდა ბე
 დარ ჰაჭთეჟე სიზდა ბე დარ „სიზდაბედარის (ცამეტი დღის გას-
 ტუმრების) კვირა“; და მისთ.

რეფლექსური (უკუქცევითი) ნაცვალსახელი **خود** ხოდ
 „თავად, თავისი, თვით“, სახელის წინ **იზაფეთს** მოითხოვს:
خودمان ხოდე მან „მე თავად/მე თვითონ“; **خودانشجو** ხოდე

დანეშჯუ „თავად სტუდენტი“; او خود ხოდე უ „ის თვი-
თონ/თვითონ ის“; استاد خود ხოდე ოსთად „თავად/თვით/თვი-
თონ პროფესორი“; და ა. შ.

ასეთი სინტაგმების ნყოზა შეიძლება იყოს საპირისპი-
როც და მაშინ უკუქცევითი ნაცვალსახელებიანი სინტაგმები
უიზაფეთოა, ხოლო უკუქცევით ნაცვალსახელები აუცილებ-
ლად ზუსტდება შესაბამისი ენკლიტიკებით: قد خود من მან ხო-
დამ, უ ხოდემ „მე თვითონ; ის თვითონ“; და ა. შ.

აღწერილი ვარიანტები არ ეხება ნაცვალსახელებს
خويش ხიშ და خويشتن ხიშთან (არქაული ნაცვ.) „თავისი“; چشم
خويشتن / خويش ჩაშმე ხიშ/ხიშთან „თავისი/საკუთარი თვა-
ლი“; چشم کتابت خويش ქეთაბე ხიშ „თავისი/საკუთარი წიგნი“;

კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუნქციითა და მნიშ-
ვნელობით خود ხოდ-ნაცვალსახელი აგრეთვე ჩვეულებრივი
მსაზღვრელის სახით პოსტპოზიციურია და იზაფეთური. ამას-
თან უფრო ხშირად ასეთ მსაზღვრელსაც შესაბამისი ენკლიტი-
კა აზუსტებს: خود دفتر დაჭთარე ხოდ „თავისი რვეული“; دفتر
خود დაჭთარე ხოდამ „ჩემი საკუთარი რვეული“; და მისთ.

ზოგიერთი ზედსართავი სინტაგმაში მსაზღვრელის
ორივე ვარიანტულ რიგს გვიჩვენებს, ამასთან ორივე ვარიანტი
უიზაფეთოა ან სასაუბრო ენაში ჩნდება იზაფეთიც: من مან
ბიჩარე, بيچاره من მანე ბიჩარე, بيچاره من ბიჩარე(დ) მან „მე

სანყალი, მესაცოდავი“; **بيچاره جنوبيها!** ბიჩარე ჯონუბიჰა!

„სანყალი სამხრეთელები“;

განსაზღვრებით-ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზედ-სართავები, როგორიცაა **اينجور(ی) / اینگونه** ინგურე, ინჯურ(ი)

„ასეთი, ამგვარი“, აგრეთვე **ორვარიანტულია**: პრეპოზიციური-ცაა და უიზაფეთო; პოსტპოზიციურიც და იზაფეთური.

მაგ.: **ازدواج اینگونه** ინგურე ეზდევაჯჰჰ „ამგვარი ქორწინებები“; **ازدواج اینگونه** ინგურე „ამგვარი ქორწინება“;

اینجوری لباس ინჯური ლებას „ასეთი ტანსაცმელი,“ (საუბ.);

لباس اینجوری ლებასე ინჯურ (ი) „ასეთი ტანსაცმელი“;

სასაუბრო ენაში კითხვითი ნაცვალსახელი **کدام** ქოდამ „რომელი,“ გვხვდება **პოსტპოზიციურ და იზაფეთურ** მდგომარეობაში: **چراق کدومه؟** ჩერაყე ქოდუმე? **دزد کدومه؟** დოზდე ქოდუმე? „რომელი ნათურა(ა)? რომელი ქურდი(ა)?,“ (იხ. ზემოთაც).

ფასის აღნიშვნა. ფასის აღმნიშვნელი სიტყვები პოსტპოზიციური იზაფეთურ მსაზღვრელის ადგილს იკავებს, მაგ.:

خانه سی هزار تومان ხანეჲე სი ჰეზარ თუმან „სამი ათას თუმ-

ნიანი სახლი“; **انگشتار چهل لاری** ანგოშთარე ჩეჰელ ლარი

„ორმოცლარიანი ბეჭედი“;

წინდებულისანი შენაერთი შეიძლება იყოს ჩართული, მაგ.: **در نتیجه** დარ ნათიჯე „შედეგად“; ასეთი **გარემოებითი**

ჩართული უიზაფეთოა. იგივე შენაერთი შეიძლება **იზაფეთური**

მსაზღვრელის როლში მოგვევლინოს: **در نتیجه کار کردن بسیار**

დარ ნათიჯეჟე ქარ ქარდანე ბესაარ „ბევრი მუშაობის შედეგად“; და მისთ.

რიგის იზაფეთის ყოფნა-არყოფნის **ორმაგ ვარიანტს** ამჟღავნებს აგრეთვე შემდეგი მწკრივის **დანართული სინტაგმები**:

آقا خانم ხანუმ, აღა სიტყვების შემცველი პირის სახელები;

მეფეთა და სხვადასხვა ისტორიულ, პოლიტიკურ პირთა სახელები; ქალაქებისა და ქვეყნების სახელები და სხვა მისთ. (იხ.

ზევითაც დანართული სინტაგმები). ასე, მაგ.: **مايا خانم ხანუმე**

მან „ხანუმი/ქალბატონი მაია“; **خانم مايا მან ხანუმ** „მაია ხა-

ნუმი/ქალბატონი; ქალბატონო მაია (მიმართვა)“; **خانم زيبا**

ხანუმე ზიბა, **خانم زيبا** **ზიბა ხანუმ** „ქალბატონი ზიბა, ზიბა

ხანუმი; ქალბატონო ზიბა (მიმართვა)“; **آقای جمشید** აღაიე ჯამ-

შიდ, **آقا جمشید** ჯამშიდ აღა „ბატონი ჯემშიდი; ბატონო ჯემ-

შიდ (მიმართვა)“; **آقا حاجی** ჰაჯი აღა „ჰაჯი ბატონი, ჰაჯი ბა-

ტონო,“ (ჰაჯი – მექაში ნამყოფი პირის საპატიო ეპითეტი, აქ უტოლდება მნიშვნელობით საკუთარ სახელს; როგორც წესი, ამ სახელის შემცველი სინტაგმა პრეპოზიციულია და უიზაფეთო);

شاه عباس შაჰე აბბას „შაჰ-აბასი,“ (იზაფეთური პოსტპოზი-

ცია); **شاه نادر** ნადერშაჰ „ნადირშაჰი,“ (უიზაფეთო პრეპოზი-

ცია); **شاه فتالی** ფათალიშაჰ „ფათალიშაჰი,“ (უიზაფეთო პრე-

პოზიცია); *شاه رضا ره‌ب‌ا ش‌ا* „რეზაშაჰი,“ (უიზაფეთო პრეპო-

ზიცია); *شهر تهران* შაჰრე თეჰრან „ქალაქი თეირანი,“ (იზაფე-

თური პოსტპოზიცია); (მდრ. ქართულშიც ორივე სხვადასხვა ნყოზის (პრეპოზიციული თუ პოსტპოზიციური) **სახელდებითი სინტაგმები**: მეფე ერეკლე და ერეკლე მეფე; თამარ მეფე; მეფე დავითი; ქალაქი თბილისი და თბილის-ქალაქი; ნანა მასწავლებელი და მასწავლებელი ნანა; ვაჟა ექიმი და სხვა).

ზოგჯერ რიგის შეცვლით იზაფეთური და უიზაფეთო სინტაგმები განსხვავებულ მნიშვნელობასაც გვიჩვენებენ, როგორც მაგალითად: *زمین ایران (سر)* (სარ) *ზამინე ირან* „ირანის მიწა-წყალი“; *زمین ایران* ირან *ზამინ* „ქვეყანა ირანი“; *زبان*

فارسی *ზაბანე ჭარსი* „სპარსული ენა“; *زبان فارسی* *ჭარსი*

ზაბან „სპარსულენოვანი“; *زمین مغرب* *მაყრებზამინ*, *مشرق*

زمین *მაშრეყზამინ* „დასავლეთი, აღმოსავლეთი“; *مغرب*

ზამინე მაყრებ, *زمین مشرق* *ზამინე მაშრეყ* „დასავლეთის მი-

წა, აღმოსავლეთის მიწა“;

აქ შევადართო ქართ.: თამარ მეფე, მეფე დავითი; ქალაქი თბილისი/თბილის-ქალაქი; სპარსული ენა/ენა სპარსული; ქართული ენა/ენა ქართული და სხვა მისთ. ორივე რიგის პარალელებს ვხედავთ სპარსულშიც.

ზოგი ასეთი სინტაგმა კომპოზიტსაც ქმნის, როგორც

მაგ.. *زبان فارسی* *ჭარსი* *ზაბან* „სპარსულენოვანი//სპარსულად

მოლაპარაკე“;

აქ საქმე ეხება პირველ რიგში პირის სახელებსა და გეოგრაფიულ სახელებს, მაგრამ ვრცელდება აგრეთვე

სხვა ჯგუფის სახელებზეც. ამგვარი პრეპოზიციული უიზაფეთო სინტაგმები გვხვდება არა მარტო კლასიკურ, არამედ თანამედროვე ლიტერატურულ ენაშიც. უფრო ხშირად ხმარებულ ნორმას, გარდა „ქალბატონის,, და „ბატონის,, შემცველი სინტაგმებისა, ჩვეულებრივ მაინც პოსტპოზიციური იზაფეთური წყობა შეადგენს. რაც შეეხება „ქალბატონისა,, და „ბატონის,, შემცველ დანართულ სინტაგმას, სასაუბრო ენაში და განსაკუთრებით **მიმართვაში, პრეპოზიციული უიზაფეთო ვარიანტი** სწორედ რომ **ხშირად ხმარებულ ნორმას** წარმოადგენს (ტიპი: **خانم زيبا** ზიბა ხანუმ, **آقا جمشيد** ჯამშიდ

آقا). სიტყვა **آقا** ალ(y)ა „ბატონის,, შემთხვევაში კი ფიქსირდება მესამე ვარიანტიც: სასაუბრო ენაში, განსაკუთრებით **მიმართვისას**, პოსტპოზიციური იზაფეთური წყობისას იზაფეთი შეიძლება ჩავარდეს (გამოტოვებულ იქნას), და მაშინ გვექნება პოსტპოზიციური უიზაფეთო ვარიანტი: **آقا حسين** ალ(y)ა ჰუ-

სეზნ, **آقا جمشيد** ალ(y)ა ჯამშიდ, **آقا رضا** ალ(y)ა რეზან (შდრ. ქართ.: დავით ბატონო და ბატონო დავით; ა. შ. (ქართულშიც ორივე წყობის **სახელდებითი მიმართვა** გამოიყენება)).

ზოგი სინტაგმური რთული სიტყვა,– კომპოზიტი, რომელიც ერთ ცნებას გამოხატავს, ამჟღავნებს საწყის ინვერსიულ პრეპოზიციულ უიზაფეთო წყობას, მაგალითად: **اردالو** ზარდალო „გარგარი, ჭერამი,, (სიტყვ. „ყვითელი ქლიავი“; შდრ.: **آله اوچه** ჩაყალო ალუჩე „მკუხე ალუჩა,,). გარდა ამისა, სასაუბრო ენაში და შესაბამისად, ნაწილობრივ ბეჭდურ ლიტერატურულ ენაშიც ფიქსირდება **მოძრავი იზაფეთების მოვლენაც. მოძრაობა** გულისხმობს ხშირად ერთი ცნების გამომხატველ სინტაგმაში იზაფეთის **ყოფნა-არყოფნის ორივე ვარიანტის** დაშვებას. ლექსიკონში ხშირად ასეთი იზაფეთი ფრჩხილებშია ჩას-

მული. მრავალი ამგვარი სინტაგმა ერთ ცნებას გამოხატავს, ანუ რთულ სიტყვას (კომპოზიტს) წარმოადგენს, მაგრამ მათი **სინტაგმურობა**, – **სინტაგმური წარმოშობა** და იზაფეთის „ჩაყლაპვა-ჩავარდნის“, „გამოტოვების“, პროცესი გამჭვირვალეა და თვალნათლივი. მაგალითად: **آبی اسب** ა**სბ(ე)** ა**ბი** „ბეჭემოტი

(წყლის ცხენი)“; **آب جو** ა**ბ(ე)** **ჯოუ** „ლუდი (ქერის წვენი)“;

كوهی گوربه **კოჰი** „ფოცხვერი (მთის კატა)“; **توت**

توت(ე) ჭარანგი „ხენდრო, მარწყვი (ფრანგული თუთა)“;

گوج فرنگی **გოუჯ(ე)** **ჭარანგი** „პომიდორი (ფრანგული ქლია-

ვი)“; **سبب زمینی** **სიბზამინი** (*<სიბე ზამინი) „კარტოფილი//მი-

ნის ვაშლი (სიტყვ. მიწის ვაშლი)“; **آلوی زرد** **ალუ(ე) ზარდ**,

آلوی سیاه **ალუ(ე) სიჰაჰ** „ყვითელი ქლიავი; შავი ქლიავი;“

(შდრ. **زردالو** **ზარდალუ** „გარგარი, ქერამი“, – ანალოგიური

სინტაგმის უიზაფეთო პრეპოზიცია მნიშვნელობას უცვლის

სინტაგმას); **گاو میش** **გაუ(ე) მიშ** „კამეჩი“; **پوز** **ფუზე**

ფალანგ „ლეოპარდი“; **گیره برقی** **გირე(ე) ბარყი** „ჩასარ-

თველი, შტეპსელი“;

ძალიან საგულისხმოა ანალოგიურ სინტაგმათა ისეთი წყვილები: ერთის მხრივ პოსტპოზიციურ-იზაფეთური და მეორეს მხრივ პრეპოზიციული უიზაფეთო წყვილები, როდესაც რიგისა და ტიპის ცვლილება სინტაგმათა მნიშვნელობის შეცვლასაც თვალნათლივ იწვევს. მაგ., შდრ.: თავისუფალი მსაზ-

ღვრელ-საზღვრულის სინტაგმა **زرد آلوده** ზარდ „ყვი-
თელი ქლიავი“, და ერთი ცნების აღმნიშვნელი კომპოზიტი
(რთული სიტყვა) **زرد آلوده** ზარდალუ „გარგარი, ჭერამი“; (იხ.
ზევითაც მაგალითები).

საზღვრულის ადგილს პოსტპოზიციური იზაფეთური
წყობის პრინციპით წინდებულებიც იკავებენ. მამასადამე, **წინ-
დებული იზაფეთურ კონსტრუქციაში ჯდება**. (იხ. აგრ. წინდებუ-
ლები და იზაფეთი). **პრეპოზიციული იზაფეთური წინდებული**
მრავალია: მარტივი და შედგენილი, პირველადი და ნასახელარი.
მაგალითები:

ტიპი: **جلو دیوار / جلوی** ჯელუფე/ჯელოვე დივარ „კედლის წინ“;

روی ლაფე..., **لای** სუფე..., **سوی** თუფე..., **توی** ბაყალე...,
بغل რუფე..., **به** მანზალეფე..., **منزله** ბე ბარაფე...,
برای მონასებათე..., **توی** აზ თუფე..., **پهلوی** ფაჰლუფე...,
پشت ფოშთე..., **بالای** ბალაფე..., **بی** ფე(ი)ფე..., **قريب** ყარიბე...,
مثل მეს-
له..., **در** დარ ფიფე..., **دور** დოურე..., **طرف** თარაჟე...,
در ათრაჟე..., **اطراف** ნაზდიქე..., **طول** თულე..., **دنبال** მეს-
دوم(ن)باله..., **گرد** გერდე..., **سراغ** სორაყე..., **به** ბე
سمت..., **از** აზ დას-
ت..., **دست** დასთე..., **دست** ბე თარაჟე..., **از** აზ
روی..., **زیر** ზირე..., **پائین** ფაინე..., **پیش** ფიშე...,
از აზ რუფე...

نزد ნაზდე... بيرون ბირუნე... داخل დაწხელე... مرحله به გე მარ-
 ჰალეფე... اصطلاح به გე ესთელაჰე... عنوان به გე ენგანე... بر
 خلاف ბარ ხალაჰე... از طرف خود... از طرف خود
 რაჰე ხოდ „თავისი მხრიდან“; نام به გე ნამე... نوبه به გე ნოუ-
 ბეფე... خود به გე ნოუბეფე ხოდ „თავისი გზით, ჯერით“; در
 طول დარ თულე... وسط (در) (დარ) ვასათე... توسط თავასსო-
 თე... وسيله به გე ვასილეფე... مخصوص مახსუსე... به خصوص
 خود مახსუსე ბეხოდ „სათავისო“; بين ბენე... میان
 მიანე... تحت თაჰთე... نظر تحت თაჰთე ნაზარ „რედაქტორო-
 ბით“; نظر تحت თაჰთე ნაზარ „ზედამხედველობით“; تحت
 عنوان თაჰთე ენგან „სათაურით“; مخصوص مახსუსე....
 گردش مახსუსე გარდემ „სეირნობისთვის განკუთ-
 ვნილი“; عهده به გე ოჰდეფე... „პასუხისმგებლობაზე, პასუხის-
 მგებლობით“; سر სარე... „თავში, თავზე, დასაწყისში...“ به جای
 გე ჯაჰე „ნაცვლად, მაგივრად, ადგილას...“ და სხვ. მრ.
 თანამედროვე სასაუბრო ენაში რიგ იზაფეთურ პრეპო-
 ზიციულ წინდებულს იზაფეთი ეკვეცებათ და ეყლაპებათ: **توی**

لا <رو> 'تو' <روی> 'თუ'; <رویه> 'რუე'; <لای> 'ლა';

მაგალითად: <کیف تو میز> „ჩანთაში“; <تو میز تو میز> „მაგიდაში (უჯრაში)“; <تو برنامه تو> „პროგრამაში“; <ذوق او زد> „ხასიათში ჩაარტყა (გუნება გაუფუჭა)“; <تو آب> „წყალში“; <تو دریا> „ზღვაში“; <تو تهران> „თეირანში“; <تو ایرا> „ოპერაში“; <تو میز> „ჯიბი“; <کیف تو میز> „ჩანთაში“; <تو میز> „მაგიდაში“; <تو دیگ> „ქვაბში“; <تو رو عکس> „ფოტოზე“; <تو میز> „მაგიდაზე“; და ა. შ. და მისთ. (თუ წინდებულის ადგილმდებარეობითი და მიმართულებითი ფუნქციები იხ. მართვაში).

ენკლიტიკები სასაუბრო ენაში სწორედ **იზაფეთმოკვეცილ** ფორმებს დაერთვის: <توش> „მასში“; <برام> „ჩემთვის“, და მისთ.

მსაზღვრელად შეიძლება **მთელი შენაერთი** იყოს გამოყენებული, რომელიც მთლიანად იქნება მოქცეული **იზაფეთურ სინტაგმაში**. მაგ.: ასეთია **მიმღობური** და **წინდებულური შენაერთები**. წინდებული აქ იზაფეთური მსაზღვრელის შემადგენელი ელემენტი იქნება. მაგალითად: <مردم اطاق پر از> „**ოთაყე** ფორ აზ მარდომ“ „ხალხით სავსე ოთახი“; <درخت پوشیده از برف>

რახთე ფუშიდე აზ ბარჭ „თოვლით დაფარული ხე“; مرد رسیده
از ایران მარდე რასიდე აზ ირან „ირანიდან ჩამოდნეული/ჩამო-
სული კაცი“; روزهای بدون باران რუზჰაჰიე ბედუნე ბარან
„დღეები ბარანის გარეშე“; ماشین به این کوچکی را نمی خرید
მაშინე ბე ინ ქ უჩექირა ნემიხარიდ „მანქანას ასეთი სიპატარა-
ვისა (ასეთ პატარას) არ ყიდულობდა“; کار کردن بی پول

ქარ ქარდანე ბი ფულ „უფულო მუშაობა“; آمدن بی نوبت
დანე ბი ნოუბათ „ურიგო მოსვლა“; და სხვა მისთ.

იზაფეთით შეიძლება სიტყვათა გრძელი მწკრივი იყოს
გაერთიანებული და ყველა დამხმარე ელემენტი გაიტანება იზა-
ფეთური შენაერთის ფარგლებს გარეთ, თუკი იგი მთელს შენა-
ერთს განეკუთვნება (წინდებული, თანდებული, ენკლიტიკა და
სხვა). მაგ.: თანდ. را ران: روی / را پشت بام / روی
برف آب شده روی پشت بام / را ران: روی / را پشت بام / روی

آوردن
თე ბამრა/რუჰე ფოშთე ბამ აზ შოდერა ფან მიანვარანდ „სა-
ხურავზე გამდნარი თოვლი დაბლა ჩამოაქვთ“;

საზღვრულად მიმღობაც გვხვდება: نوشتۀ او ნევეშთეჰე

უ „მისი ნაწერი/დანერილი“; من پخته‌ام ფოხთეჰე მან „ჩემი შემ-
წვარი/მოხარშული“; دوخته‌ام დუხთეჰე თო „შენი ნაკერი/შეკე-
რილი“; من کرده‌ام მან „ჩემი გაკეთებული“; და სხვა
მისთ. ასეთ სინტაგმებში მსაზღვრელი შესრულებული მოქმე-

დების შემსრულებელი ქვემდებარის გამომხატველია, მიმღეობა-საზღვრული კი მოქმედების შედეგს გამოხატავს.

საზღვრულის ადგილს ზოგიერთი ზედსართავი (შესაძლოა მიმღეობური წარმოშობისა) სახელიც იკავებს, მაგ.: **آما**

ك *ამადეე ქარ* „საქმისთვის მზადმყოფი, გამზადებული,

მზა“; **قابل هديه** *ყაბელე ჰადეე* „საჩუქრის ღირსი“; **قابل جايزه** *ყაბელე ჯაიზეზე* „პრემიის ღირსი“; ამ რიგის საზღვრულებს განეკუთვნება ზედსართავის ფუნქციის მქონე ბევრი არაბული მიმღეობის ფორმა, როგორცაა **قابل** *ყაბელ* „ღირსეული, ღირსი“, ასევე ხშირია წარმოშობით სპარსული მიმღეობებიც, როგორც **آما** *ამადე*.

იზაფეთური სინტაგმები, **შენაერთები და სიტყვათა გრძელი რიგები რთული ზმნების** ნორმატიულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს: **რთული ზმნის სახელური ნაწილი საზღვრულის ადგილს** იკავებს და **ჩაირთავს** სხვადასხვა სახის **იზაფეთურ მსაზღვრელებს**, მათ შორის სხვადასხვაგვარ შენაერთებსაც. მთლიანობაში მთელი ასეთი სახელური გაერთიანებები რთული ზმნის სახელურ მთლიანობას – ერთიანობას შეადგენს (იხ. რთული ზმნები; იხ. სიტყვათა რიგი).

საზოგადოდ, **რთული ზმნების სახელური ნაწილების ჩართვა იზაფეთურ კონსტრუქციაში ნორმატიული მოვლენაა: სახელური ნაწილი მიიბამს იზაფეთურ მსაზღვრელებს** ერთი, ორი ან მეტი სახელით; უკანასკნელი კი შეიძლება წინდებულებიან შენაერთებსაც შეიცავდეს. ამასთან ხშირად დასაშვებია რთული ზმნის უიზაფეთო, ალტერნატიული ვარიანტიც (იხ. რთული ზმნები). მაგალითად: **استاد مشغول کار شد** *ოსთად მაშყულე*

ქარ შოდ, استاد مشغول کار علمی خود شد

ქარე ელმიე ხოდ შოდ „პროფესორი შეუდგა საქმეს, პროფესორი შეუდგა თავის სამეცნიერო საქმეს“; همه آنها مشغول کار

ქამეე ანჰან მასყულე ქარე ელმი(ე) დარ რეშეთჰანე ხოდ მიბჰანდ „ყველა ისინი გართულნი არიან სამეცნიერო საქმით თავ-თავის დარგში“; محمود

محمود به وارد اطاق شد

მაჰმუდი ვარედ შოდ „მაჰმუდი ოთახში შევიდა“; آنها سوار آتاتور مهمان خانه شدند

ბე ათათორ სოარ შოდანდ (შდრ.: به آتاتور سوار شدند

ბე ასანსუ(ო)რ სავარ შოდანდ) „ისინი სასტუმროს ლიფტში შევიდნენ“; این کتاب شامل پنج بخش می باشد

ინ ქეთაბ შამელე ფანჯ ბახშ მიბჰანდ „ეს წიგნი ხუთ ნაწილს შეიცავს“; من سوار

من به اتوبوس شدم

მან ბე ოთობუს სავარ შოდამ) „მე ავტობუსში ავედი“; شناختی

შენახთიე ენთეზანი დარა მიბჰანდ (უი-ზაფეთო),

دارای شناختی انتزاعی می باشد

შდრ.: دارای شناختی انتزاعی می باشد

შენახთიე ენთეზანი მიბჰანდ „შემცველია/შეიცავს შეწყვეტის (აცილების) ცნობისა/ცნობას (ცნობადობას)“; این حزب دارای

عقلیت در پارلمان می باشد و آن حزب دارای اکثریت تام در

پارلمان می باشد *ინ ჰეზბ დარაჲე აყალლიჯათ დარ ფარლემან*

მიბაშად ვა ან ჰეზბ დარაჲე აქსარიჯათე თაშმე დარ ფარლემან მიბაშად „ეს პარტია უმცირესობას ფლობს პარლამენტში, ის პარტია კი პარლამენტში აბსოლუტურ უმრავლესობას ფლობს“;

جلگه ها دارای شبکه آبیاری کافی می باشد

ჯოლგეჰან დარაჲე შაბაქეჲე აბჰარიჲე ქაჭი მიბაშად „ველები

საკმაო სარწყავ ქსელს შეიცავს“;

های مختلف پرورش و نگاهداری دام ها از قبیل گاو و گاو میش

დამდარიჲე ნაჰიჲეჲე მან *გოსფნდ* ბზ ვ გირეჲეჲე მი / აშდ / ასტ

დარაჲე ბონგაჰჰჰანჲე მოხთალეჲე ფარვარემ ვა ნეგაჰჰდარიჲე დამჰან აზ ყაბილ განჲე ო განჲე მიშ, გუსჰანდ, ბოზ ვა ყეარე მიბაშად/ასტ „ჩვენი ოლქის მეცხოველეობა შემცველია ცხოველების მოვლა-პატრონობის სხვადასხვა დაწესებულებებისა, როგორცაა ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა და სხვა“; და სხვა მისთ.

იზაფეთური სინტაგმის ან უფრო ვრცელი კონსტრუქციის კომპონენტი სახელის მსგავსად ინფინიტივიც არის, – იქნება ეს მარტივი თუ რთული ზმნის ინფინიტივი. სხვა სიტყვებით, მივიღებთ ინფინიტურ სიტყვათშენაერთებს, სადაც იზაფეთური კავშირი ინფინიტურ ფორმებთან (სრული თუ მოკვეცილი ინფინიტივი) გვაძლევს მოქმედების სუბიექტისა და ობიექტის გაგებას. მაგალითად: *مدن و رفتن ما*

რატანე მან *ჩვენი მისვლა-მოსვლა*“; *آمد و شد آنها* ო

ბუდანე ვასაჲელე ნაყლიჲე „ტრანსპორტის საშუალებათა არარსებობა“; და სხვა მისთ.

იზაფეთური ინფინიტური სინტაგმები ან შენაერთები

წინდებულიანიც შეიძლება იყოს. მაგალითად: از دیدن ایشان

مردم خوشگل شدم აზ დიდანე იშა(უ)ნ ხოშგელ შოდამ „მისი (მრ.რ.)

ნახვით გავმხიარულდი“; برای ساختن خانه

ხანე „სახლის ასაშენებლად“; به پیدا کردن گوسواره

ქარდანე გუშეარე „საყურის მოსაძებნად“; და სხვა.

ისევე როგორც სახელურ სინტაგმებში, ინფინიტურ სინტაგმებშიც შესაბამისი პირის ენკლიტიკა იზაფეთური კავშირის გრამატიკული სინონიმი და მისი შემცველი შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევაში ინფინიტივზე დართული შესაბამისი ენკლიტიკა მოქმედების სუბიექტს ან ობიექტს გამოხატავს: رفتنش

რაფთანაშ „მისი წასვლა“; خواندنش ხანდანაშ „მისი კითხვა“;

صد کردنت „მისი მუშაობა“; کار کردنش

სედან ქარდანათ „შენი დაძახება“;

იზაფეთური სინტაგმების გარდა, რომელიც ძირითადად ორ წევრს (მსაზღვრელ-საზღვრულს) გულისხმობს, ფართოდ გამოიყენება ორი ან მეტი მსაზღვრელის შემცველი იზაფეთური კონსტრუქციებიც; ამასთანავე ეს შეიძლება სხვადასხვა სახის მსაზღვრელები იყოს: ზოგი სხვადასხვა მიმართების (მაგ.: მასალის, წარმოშობის და სხვა) გამომხატველი თვისების (დეტერმინატული), ზოგიც კუთვნილების გამომხატველი (ატრიბუტული) მსაზღვრელები. ერთ მსაზღვრელზე მეტი იზაფეთური მსაზღვრელის შემცველ კონსტრუქციას **იზაფეთური ჯაჭვი** ეწოდება. იზაფეთური ჯაჭვი სპარსულ წინადადებაში ძალიან გრძელი შეიძლება იყოს; შეიძლება მთელ წინადადებასაც მოი-

ცავდეს, მით უმეტეს, რომ ეს ჯაჭვი რთული ზმნის სახელურ ნაწილს შეიძლება მიემართებოდეს, ანუ მნიშვნელოვანწილად ემთხვეოდეს რთული ზმნით გამოხატული შემასმენლის ელასტიური ჩარჩოს საზღვრებსა და ფარგლებს (იხ რთული ზმნები).

მაგ.: *حسن وارد اطاق بزرگ منزل برادر خود شد*
ოთაყე ბოზორგე მანზელე ბარადარე ხოდ შოდ „ჰასანი თავისი ძმის ბინის დიდ ოთახში შევიდა“;
جهان گردان مشتاق بازديد

کردن از آثار تاریخی و هنری کشورهای مختلف همه دنیا هستند

ჯეჰანგარდან მოშთაყე ბაზდიდ ქარდან აზ ასარე თარიხი ო//ვა ჰონარიდე ქეშვარჰაჲე მოხთალეჲე ჰამე დონჲან ჰასთანდ „ტურისტები მისწრაფებული (მონადინებული) არიან მთელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ისტორიული და კულტურული ძეგლების მონახულებისა“.

ასეთი კონსტრუქციების განვრცობა კვლავაც შეიძლება თეორიულად უსასრულოდ ახალ-ახალი მსაზღვრელების დართვით. იზაფეთურ ჯაჭვებს და მათ სტრუქტურას სხვადასხვა დამხმარე ელემენტების ჩართვა ან დართვაც ართულებს: სპარსულს აქვს ტენდენცია იზაფეთურ კონსტრუქციაში მოაქციოს სხვადასხვა სახის სიტყვათშენაერთები, მაგალითად, წინდებულური შენაერთებიც, იმავდრიულად რ-რა-თანდებულდართული მთელი ჯაჭვებითურთ. მაგალითად:

موضوع های به زبان آلمانی را می توانم به کمک فرهنگ

მოუზუ'ჰაჲე ბე *ترجمه کتبی تحت اللفظی یا ترجمه آزاد نمایم*

ზაბანე ალმანირა მითავანამ ბეკომაჲე ჭარჰანგ თარჯომეჲე ქათბიჲე თაჰთოლლაჲეზი ეან თარჯომეჲე აზანდ ნემანამ „საკითხები გერმანულ ენაზე შემიძლია ლექსიკონის დახმარებით წერილობით სიტყვასიტყვით ან თავისუფლად ვთარგმნო“;
ماهیت

کرد ჰე'ათ ბისთ დანეშეჟეე მომთაზე სანლე ფანჯომე
დანეშეპჰრანენთებაჰ ქარდ „კომისიამ უნივერსიტეტის მეხუთე
კურსის ოცი წარჩინებული სტუდენტი შეარჩია„.

მაგრამ გარკვეული მხატვრული სტილის მიხედვით, რა –
რა- თანდებული შეიძლება გამეორდეს დანანევერებულ და დან-
ყვილებულ მსაზღვრელებთანაც. მაგალითად:

قالی بافان قالی های گوناگون و رنگارنگ را جالب و

ყალიბაჰან ყალიჰანე
ყუნაგუნ ვა რანგარანგრა, ჯალეზ ო ყაშანგრა, ნარმ ო მოჰ-
ქამრა, მიბაჰანდ „ხალიჩების მქსოველები სხვადასხვა და ფე-
რაადოვან, წარმტაც და ლამაზ, რბილ და გამძლე ხალიჩებს ქსო-
ვენ„.

ერთგვაროვანი მსაზღვრელები შეიძლება მძიმით ან –

ყა-, يا –ა- და სხვა მაერთებელი კავშირებით უკავშირედებო-
დეს ერთმანეთს. მაშინ იზაფეთური კავშირი მხოლოდ პირველ
(ერთ) მათგანს ექნება, რომელიც უშუალოდ მოსდევს საზ-
ღვრულს: قشنگ درخت سبز 'ყსნგ' დერახთე საბზ, ყაშანგ „მწვანე,

ლამაზი ხე“; قشنگ و درخت سبز 'ყსნგ' ო ყაშანგ

„მწვანე და ლამაზი ხე“; تأثیر منظومه ها و اشعار آزاد شعرای

تأثیر منظومه ها و اشعار آزاد شعرای

აროპია თა'სირე მანზუმეჰან ვა
აშ'არე აზანდე შო'არანე ორუფან დარ შე'რე ჯადიდე ჰარსი
ზიანდ ასთ „ევროპელი პოეტების პოემებისა და თავისუფალი
ლექსების გავლენა ახალ სპარსულ ლექსზე (პოეზიაზე) დიდია“;

„კარგი სტუდენტის წიგნი“; كتاب ممتاز استاد ქეთაბე მომთაზე

ოსთად „პროფესორის გამორჩეული წიგნი“; كتاب استاد ممتاز

ქეთაბე ოსთადე მომთაზ „გამორჩეული პროფესორის წიგნი“;

2. თუ **კუთვნილების მსაზღვრელს** თავისი დეტერმინატული ან ატრიბუტული **მიმყოლი მსაზღვრელიც** ახლავს, ისინიც შესაბამისად ამ მსაზღვრელს მოსდევენ:

ქუჩეჰჰა კოჰე ჰა ო ხიაბან ჰაი პაიტხტ ბზრგ კშორ ايران
ვა ხიჰაზნჰჰე ფჰითახთე ბოზორგე ქეშვარე ირან „ირანის ქვეყნის დიდი დედაქალაქის ქუჩები და გამზირები“; درخت

ბაღ მიუჰე მად ბზრგ
ვეჰე მჰდარბოზორგამ „ჩემი ბებიის ხილის ბაღის მაღალი ხეები“;

არ შეიძლება მსაზღვრელის მსაზღვრელი დაისვას საზღვრულის შემდეგ. ასეთი რიგი არასწორი იქნება. ყველა **მსაზღვრელი** უშუალოდ **იმ წევრს** უნდა მოსდევდეს, რომელსაც **განსაზღვრავს**.

იზაფეთური მსაზღვრელი შეიძლება სხვადასხვა გარემოებით სიტყვებსაც დაერთოს: **გარემოების მსაზღვრელი**. მაგალითად:

„ის-
ლაჰადელ ეპოქაში“; (დარ) (დარ) **სალე გოზაშთე**

„გასულ წელს“; (დარ) **სალჰაი აიანდე** „მო-
მავალ წლებში“; და მისთ. (იხ. გარემოებები).

როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, თანამედროვე ქართული ენის ნორმების შესაბამისად, სპარსული იზაფეთური ჯაჭვის შესატყვისი ქართულ თარგმანში სიტყვათა რიგის თვალსაზრი-

სით შებრუნებულია ანუ იზაფეთური ჯაჭვის თარგმნა ქართულად სპარსული ფრაზის ბოლოდან უნდა იწყებოდეს. მაგალითად:

کتاب های نادر کتابخانه دانشگاه ایران

რე ქეთაზხანე დანეშგაჰე თეჰრან „თეირანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის იშვიათი წიგნები“; და ა. შ. შესაბამისად ქართულიდან სპარსულად წინადადების თარგმნისას ანუ უკუთარგმანში ქართულ მსაზღვრელთა მწკრივის შესატყვისიც იზაფეთური ჯაჭვის სახით ბოლოდან აენყოზა. მაგ.:

„ირანის ქალაქების განთქმული ისტორიული ძეგლები,„

آثار تاریخی معروف شهر های ایران

შაჰრჰანე ირან;

სხვადასხვა სახის დეტერმინატული ან სხვადასხვა თვისებების გამომხატველი მსაზღვრელებიც იზაფეთური მწკრივის სახით უკავშირდებიან ერთმანეთს, თუმცა იმავე მსაზღვრელების მიძიმით გამოყოფა ან კავშირებით დაკავშირებაც ასევე შესაძლებელია:

درخت بلند سبزرنگ قشنگ

ყაშანგ/დერახთე ბოლანდ, (ვა) საბზ, (ვა) ყაშანგ „მაღალი ლამაზი მწვანე ხე“;

ასეთი მსაზღვრელების განლაგება არ არის მკაცრად ნორმირებული და მთქმელზეა დამოკიდებული, რადგან მათი გადაადგილებით ძირითადი საერთო აზრი არ იცვლება. არჩევა კონტექსტზეა დამოკიდებული. მაგალითად, შდრ.:

کتاب کوچک سرخ رنگ // قرمز

ხრანგ/ყერმეზ „პატარა წითელი წიგნი“; کتاب سرخ رنگ // قرمز

کتاب کوچک ქეთაზხანე/ყერმეზე ქუჩექ „წითელი პატარა წიგნი,„

წინდებულური სინტაგმების შემადგენელი მსაზღვრე-

ლები პოსტპოზიციურია და უიზაფეთო: *مسافرت با قطر* ‘

با اتوبوس ‘*با هواپیما* ‘*کشتی* მოსაჭერათ ბა ყათარ, ბა ქეშთი,

ბა ჰავანფემა, ბა ოთობუს „მოგზაურობა მატარებლით, გემით, თვითმფრინავით, ავტობუსით„.

უმცირეს სიტყვათშენაერთთა ძირითადი ტიპები

სიტყვათშენაერთთა ძირითადი ტიპები გამოიყოფა ძირითადი შინაარსობრივი (შინაარსით ძირითადი) სიტყვისა თუ მორფოსინტაქსური ელემენტის მიხედვით. ასეთი ტიპებია:

1. **იზაფეთური შენაერთი** ანუ **იზაფეთური სინტაგმა** და იზაფეთური ჯაჭვები. ამ სიტყვათშენაერთის ძირითადი ელემენტია იზაფეთი და იზაფეთური კავშირი, რაც გვაძლევს **მსაზღვრელ-საზღვრულთა** მარტივ (ორწევრიან) თუ რთულ (ორ- და მეტწევრიან, მრავალწევრიან) სტრუქტურებს. უმარტივესი იზაფეთური შენაერთები ცალკე განხილვის საგანია მორფოსინტაქსში (იხ. იზაფეთი, მისი სახეობები და გამოყენების წესები მორფოლოგიაში). **მსაზღვრელ-საზღვრული, გართულებული იზაფეთური სიტყვათშენაერთები, იზაფეთური და უიზაფეთი სინტაქსური კავშირი, იზაფეთური ჯაჭვები ფრაზებსა და წინადადებებში** მორფოსინტაქსისა და სინტაქსის სფეროს ეკუთვნის (იხ. დანვრილებით მსაზღვრელ-საზღვრული სინტაქსში). იზაფეთური შენაერთი გარემოებით სიტყვათშენაერთებშიც მონაწილეობს ანუ ემსახურება წინადადების გარემოებით სიტყვათა ჯგუფებსაც, მაგ.: *جلو/ جلوی من*

ჯელოვე/ჯელუდე მან „ჩემს წინ„, دیگر ی هفته ჰაჭთედე დი-

გარ „შემდეგ კვირას/ერთი კვირის შემდეგ„ *میز* *اروی* მიზ

„მაგიდაზე“, چایخانه بعل ბაყაღე ჩანახნე „ჩაიხანის გვერ-
დით“; خيابان/خيابون پائينتر ფანითარე ხიდაბუ(ან) „გამზირის
ქვემოთ,“ და მისთ.

2. იმისდა მიხედვით, სიტყვათშენაერთში რომელი ნეე-
რია მთავარი (ან ერთადერთი), გამოვყოფთ სხვადასხვა ჯგუ-
ფებს მეტყველების ნაწილთა საფუძველზე. იმავდროულად, ეს
შეიძლება სხვადასხვა სტრუქტურის სინტაგმები იყოს. მაგ.: სა-
ხელური (არს,სახ., რიცხვითი სახ., ა.შ.) სიტყვათშენაერთებია:

خانه ی قشنگ ხანეჲე ყაშანგ „ლამაზი სახლი,“ (სტრუქტურუ-
ლად იზაფეთური); آن قرن ან ყარნ „ის საუკუნე,“ (უიზაფეთო

კავშირი); دو سال „ორი წელი,“ کدام مرد ქოდაშ მარდ? „რომე-
ლი კაცი,“ چند کتاب ჩანდ ქეთაშ „რამდენიმე წიგნი,“ (უიზაფე-

თო); دخالت در عمر დეხალათ დარ ‘ომრ „ცხოვრებაში ჩარე-
ვა,“ (წინდებულიანი შენაერთი), هر دو/هر دو دانشجویان

ჰარ დუ(ო)ჲე/ჰარ დოვე ანჰა/დანეშჯუჲან „ორივე იმათგა-
ნი/სტუდენტთაგანი,“ (რიცხვითი სახელი); და ა. შ. მორფოსინ-
ტაქსური სტრუქტურით ასეთი შენაერთები სხვადასხვაგვარია.

3. იმავე წესით გამოყოფილი ზედსართაული შენაერთი,
სადაც მთავარია საზღვრულის როლში მყოფი ზედსართავი სა-
ხელი: آمدہ ی کار აშადეჲე ქარ „საქმის მზადმყოფი, მზად-

მყოფი საქმისთვის“; قابل ہدیہ ყაბელე ჰადეჲე „საჩუქრის ღირ-
სი“; مناسب شما მონასებე შომან „თქვენი შესაფერისი, ჯეროვა-

ნი, სათანადო“; ملاقات، مشافرت، حاضر به/برای

ბე/ბარადე მოსაწერათ, მოლაყათ „მზა, მზადმყოფი, მომზადებული მოგზაურობისთვის, შეხვედრისთვის (სამოგზაუროდ, შესახვედრად)“; معادل عبارت ها

ქმების ეკვივალენტი, შესატყვისი, შესაბამისი“; და მისთ. ზედსართავების როლს არაბული მიმღეობური ფორმებიც ასრულებენ.

4. **ნაცვალსახელური შენაერთი:** შინაარსით ძირითადია ნაცვალსახელური ელემენტი. من خود او، خود بخودე უ, ხოდე მან (იზაფეთური); او خودش

დაშ/ხოდეშ (უიზაფეთო, ენკლიტიკური) „თავად ის, თავად მე“; من بیچاره

ციფიკური ნაცვალსახელური სინტაგმებია (იხ. მართვა).

5. **ზმნისართული ანუ გარემოებითი:** შენაერთის სემანტიკური ბირთვია გარემოებითი სიტყვა. მაგ.: خیلی خوب

ლი ხუბ „ძალიან კარგად“; کم خیلی ხეღლი ქამ „ძალიან ნაკლებად“; خیلی خوب

ხეღლი მოსთანადანე „ძალიან დასაბუთებულად,“ تقریباً شخصاً

თაყრიბან შახსან „თითქმის პირადად, თავად,“ და მისთ. (იხ. მირთვა).

6. **მიმღეობური:** მთავარი შინაარსის მატარებელია მიმღეობა, მაგ.: ایران از آیده/آمده از ایران

აღარ გვექნება: رفتنش، آمدنش، دویدنت، რაჭთანამ, აშადა-
ნაშ, დავიდანათ „ჩემი წასვლა, მისი მოსვლა, შენი სირბილი“, და
სხვ.

8. **წინდებულიანი (წინდებულური) სიტყვათშენაერთე-
ბი.** წინდებულიანი ან წინდებულური სიტყვათშენაერთები ხასი-
ათდებიან აგებულების მიხედვით: ისინი აგებულნი არიან წინ-
დებულზე. **წინდებული ასეთი შენაერთების მორფოსინტაქსურ**

ღერძად გვევლინება. მაგ.: *مردم از مردم* „ხალხით

სავსე“, *شیرینی و میوه* „ხილითა

და ტკბილეულით სავსე“, *پوشیده از برف* „ფუშიდე აზ ბარჭ

„თოვლით დაფარული/დათოვლილი“, *برگ از برگ* „ბარგ

„ფოთლებით დაფარული/შეფოთლილი“, *نیکی* „ნი-

ქი „სიკეთით სავსე“, *آب خالی از آب* „წყლისგან ცარი-

ელი“, *دفاع از میهن* „აზ მიჰან „სამშობლოს დაცვა“, *دفاع*

علمی „ელმი „დისერტაციის დაცვა“, *دخالت در عمر* „დებხლათ დარ ‘ომრ

„ცხოვრებაში ჩარევა“, *صلح* „საზმანე ზანან

ბარაჲე სოლჰ „ქალთა საზოგადოება მშვიდობისათვია“,

მოყვანილი შენაერთები მსაზღვრელად იზაფეთურ სინ-

ტაგმაში ჩასმისას ერთი სიტყვის ეკვივალენტად გვევლინება,

მაგ.: *درخت پوشیده از برف* „დერახთე ფუშიდე აზ ბარჭ

„თოვლით დაფარული/დათოვლილი ხე“, مردم اتاق پر از مردم
ფორ აზ მარდომ „ხალხით სავსე ოთახი“, باغ پر از میوه
ფორ აზ მივე „ხილით სავსე ბაღი“, دوست رسیده از ایران
თე რასიდე აზ ირან „ირანიდან ჩამოსული მეგობარი“, და სხვ.
(იხ. მართვა).

წინდებულიანი შენაერთი ერთიანად ჯდება იზაფეთურ სინტაგმაში, როგორც ერთი სიტყვა.

ყველა ზემოჩამოთვლილ შენაერთთა ტიპები აგვერიოს მყარი (მუდმივი) სიტყვათშენაერთების ნიმუშებში, როგორიცაა რთული ზმნები, ფრაზეოლოგიური ერთეულები (ფრაზეოლოგიზმები), იდიომები, ზმნური და სახელური ფრაზეოლოგიზმები და სხვ. (იხ. რთული ზმნები). მყარი შენაერთები შინაარსობლივად ერთ განუყოფელ მთლიანობას შეადგენენ ანუ მათი სემანტიკა ერთიანია ლექსიკურად, ხოლო ლექსიკოგრაფიულად მზა სახითაა წარმოდგენილი ლექსიკონებში. მყარი შენაერთები ენის ვერტიკალური ძრილების კუთვნილებათაა. ამ პარაგრაფში კი განხილულია თავისუფალი მორფოსინტაქსური უმარტივესი სიტყვათშენაერთების ძირითადი ტიპები, რომელიც უმცირესი სინტაქსური ერთეულების ჩამოყალიბებას ემსახურება. ეს უკანასკნელი ხაზობრივი, ჰორიზონტალური ენობრივი კომბინაციების კუთვნილებათაა (ფრაზემები, ფრაზები, წინადადებები, ტექსტი, მეტყველების ნაკადი).

სინტაქსურ კავშირთა ტიპები

სინტაქსურ კავშირთა საშუალებები. ფრაზებსა და წინადადებებში სიტყვათა დაკავშირების საშუალებებია: 1. დამხმარე სიტყვები და მორფოსინტაქსური ელემენტები, როგორიცაა წინდებულები, თანდებული ს-რწ, ენკლიტიკები, კავშირები და მაკავშირებელი ელემენტები (იხ. ეს ელემენტები); 2. იზა-

ფეთი: მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთმიმართების გამომ-
ხატველი ძირითადი საშუალება (იხ. იზაფეთი); 3. სიტყვათა რი-
გი: სიტყვათა რიგის მემვეობით ზოგჯერ ნევრების განსაზ-
ღვრაც ხერხდება, თუ ისინი სხვა საშუალებით არ არის გაფორ-
მებული (იხ. სიტყვათა რიგი); 4. განკერძოება: განკერძოებული
სიტყვები, მორფოსინტაქსემები, დანართები (აპოზიციები), მი-
მართვა, ჩართული. მაგ., სახელდებითი დანართი, როგორი-
ცაა: *أسم او، اسم* / *به نام* ბე ნამე/ბე ესმე უ, *ესმამ...* „სახე-

ლად, მისი სახელი,, და სხვა (იხ. სახელდების კონსტრუქციები);
ამ ჯგუფსვე ეკუთვნის: ვინაობის, წარმომავლობა-წარმოშობის,
ნათესაობის, ნელთაღრიცხვის, დამატებითი ცნობების, აღწე-
რილობების კონსტრუქციები,

ყველა დასახელებული საშუალება **სინტაქსურ კავშირთა**
სხვადასხვა ტიპების გაფორმებას ემსახურება. ეს ტიპებია: 1.
თანაბარ, თანაფარდ ერთეულთა **შეერთება** ანუ თანწყობის, მა-
ერთებელი კავშირის პრინციპი. მაგ.: *من و تو* მან ო თო „მე და

შენ,, (კოპულატური, მაერთებელი კავშირის საშუალებით გამო-
ხატვა); 2. **დაქვემდებარება: შეთანხმება, მართვა და მირთვა.**
სამივე ამ კავშირში დაქვემდებარების პრინციპია წარმოდგენი-
ლი. დაქვემდებარებულ სინტაქსურ კავშირში იგულისხმება ერ-
თი სიტყვის მიერ მეორის დაქვემდებარება რაიმე ნიშნით ან ერ-
თდროულად ურთიერთდაქვემდებარება მორფოსინტაქსური
ნიშნების მიხედვით. მაგ.: შეთანხმებაში ითანხმებს, მართვაში
მართავს, მირთვაში მიირთავს ერთი სიტყვა (ნევრი) მეორეს
(ნევრს), ან ორივე ერთურთს. იზაფეთური კავშირის შემთხვევა-
ში დაქვემდებარება განსაზღვრაში გამოიხატება: დაქვემდებარ-
ებული სიტყვა განსაზღვრავს დამატქვემდებარებულს. იზაფე-
თურ კავშირზე ცალკეა საუბარი, მას საგანგებო ქვეთავი ეძ-
ღვნება (იხ. მსაზღვრელ-საზღვრული). აქ ქვემოთ შეთანხმება,
მართვა და მირთვაა განხილული.

შეთანხმება

შეთანხმება ხდება რიცხვში (სქესი სპარსულში არა გვაქვს), სახელსა და ზმნას შორის: სახელი წინადადებაში (ქვემდებარე) ითანხმებს ზმნას (შემასმენელს) რიცხვში. სახელებს შორის სპარსულში შეთანხმება არ ხდება. არც რიცხვითი სახელი არ ითანხმებს სახელს მრ. რ.-ში. არც არსებითი სახელი ითანხმებს მრ.რ.-ში ამა თუ იმ მსაზღვრელს, იქნება ეს იზაფეთური თუ უიზაფეთო მსაზღვრელ-საზღვრული, ზედსართავისა თუ ნაცვალსახელების სახით. მაგ.: دو نفر، ده دانشجو، دو هزار

دو نفر، ده دانشجو، دو هزار „ორი პიროვნება, ათი სტუდენტი, ორი ათასი დოქი“; آن دانشجویان
دانه‌شودان „ის სტუდენტები“; ممتاز انشجویان دانه‌ش-

چشم های سیاه، „წარჩინებული სტუდენტები“;

خانه های بزرگ، پسران خوب، ჩამშჰაღე სიღაჰ, ფესარანე ხუბ, ხანეჰაღე ბოზორგ „შავი თვალები, კარგი ბიჭები, დიდი სახლები,“ და ა. შ. ასევე არ ითანხმებს არსებითი სახელი განსაზღვრებით, განუსაზღვრელ ზედსართავებს; კითხვით, ჩვენებით, მიმართებით ნაცვალსახელებს მაგ.: کدام دانشجویان

چگونه „რომელი სტუდენტები?“, كيف ها;

چگونه „სწორედ ასეთი ჩანთები,“ და ა. შ.

შეფარდებითი სიმრავლისა და თვლის გამომხატველი სახელები მრავლობით რიცხვს მოითხოვენ მსაზღვრელისაგან, მაგრამ ეს ფაქტობრივად მართვად და არა შეთანხმება (იხ. მართვა). მაგ.: اكثر زنان „ქალთა უმეტესობა/უმრავ-

ლესობა„, *بعض دانشجویان* ბა'ზე დაწვეწჷან „სტუდენტთა ნაწილი, ზოგიერთი/ზოგი სტუდენტი„, *يكايك دانشمندان* *ექაექე დაწვეწჷან* „ყოველი (თითო-თითო) მეცნიერთაგანი„ და მისთ.

აღსანიშნავია კრებითი სახელების რიცხვიც: კრებითი სახელები ფორმით მხ.რ.-ში დგას და აგრეთვე მსაზღვრელსაც მრ.რ.-ში არ სვამს. მაგ.: *مردم* *მარდომე ზიდად* „ბევრი ხალხი“; (კლასიკურ ენაში გვაქვს მრ.რ.-ის ფორმაც: *مردمان* „ხალხი“); *گروه پلیس* *გორუჷე ფოლის* „პოლიციის (პოლიციელთა) ჯგუფი“; *خرمن گل*, *خرمن گندم* *ხარმანე გოლ*, *ხარმანე განდომ* „ყვავილების თაიგული„, „ხორბლის კონა„ და სხვ.

ზედსართავებს და ნაცვალსახელებს მხოლოდ გაარსებითების შემთხვევაში უჩნდებათ მრ.რ. მაგ.: *خیلی ها* *ხელიჷჷ* „ბევრნი„, *بعضی ها* *ბა'ზიჷჷ* „ზოგნი„.

ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება

არსებითად შეთანხმების საკითხი შეეხება **ქვემდებარის მიერ შემასმენლის შეთანხმებას რიცხვში**. ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმებას პირველ რიგში განსაზღვრავს **ქვემდებარის სულიერობა-უსულობა**. მთავარი წესი ასეთია: სულიერი ქვემდებარე მრ.რ.-ში ითანხმებს შემასმენელს, ხოლო უსულო სახელით გამოხატული ქვემდებარე მრ.რ.-ში შემასმენელს არ ითანხმებს ანუ შემასმენელი მხოლოდით რიცხვში დარჩება, ისევე როგორც მხ.რ.-ში მდგარ ქვემდებარესთან. მაგ.: *دانشجو*

დაწვეული თაჰსილ მიქონად „სტუდენტი სწავ-
ლობს“; دانشجویان تحصیل می کنند
ქონანდ „სტუდენტები სწავლობენ“; کتاب روی میز است
რუჟე მიზ ასთ „წიგნი მაგიდაზეა“; کتاب ها روی میز است
ქეთაჰჰარუჟე მიზ ასთ „წიგნები მაგიდაზეა“.

იმავდროულად, კრებითი სულიერი სახელებიც, ჩვეუ-
ლებრივ, მრავლობითში აყენებენ შემასმენელს, თუმცაღა ფორ-
მით ეს სახელები მხ.რ.-ში მდგარად ჩაითვლებიან: مردم در تئاتر

მარდომ დარ თეატორ ზიად ბუდანდ „თეატრში
ბევრი ხალხი იყო“; مردم آمدند მარდომ აშადანდ „ხალხი მო-
ვიდა„. კლასიკურ სპარსულში ამავე კრებით სახელს მრ.რ.-ის
ფორმაც გააჩნია: مردمان მარდომან „ხალხი“, რიცხვში შეთან-
ხმება აქ ფორმალურიცაა.

რიცხვითი სახელებით ან მრავლობითის გამომხატველი
სხვა სახელებით (ნაცვალსახელები, ზედსართავები) თანხლე-
ბული თუ გამობატული ქვემდებარული სულიერი სახელები
მრავლობით რიცხვში შეიწყობენ შემასმენელს, რადგან მრ.რ.-ში
დასამულ სახელებს უტოლდებიან: ده نفر آمدند، بیست و پنج

دانشجو به ایران می روند، چند گربه در آشپزخانه ماهی می
هر دو حاضر بودند
დაწვეული ბე ირან მირავანდ, ჩანდ გორბე დარ აშფაზხანე
მასი მიხორანდ, ჰარ დო ჰაზერ ბუდანდ, „ათი კაცი მოვიდა,

ოცდახუთი სტუდენტი ირანში მიემგზავრება, რამდენიმე კატა სამზარეულოში თევზს ჭამს, ორივე მზად იყო,» (სიტყვ.: მოვიდნენ, მიემგზავრებიან, ჭამენ, იყვნენ); **با هم می روند، با هم**

برویم ბაჰამ მირავანდ, ბაჰამ ბერავიმ „ერთად მიდიან, ერთად ნავიდეთ„. მრ.რ.-ის პირის ნაცვალსახელები შემასმენელს მრ.-ში შეინცობენ, ამასთანავე მრ.-შივე დაისმის შემასმენელი **ზრდილობის მრავლობითის** მე-3 პ.მრ.-ის ნაცვალსახელთან

ایشان / ایشان იშან/იშენ „იგი=ისინი“; ასევეა **თავაზიანი მრავლობითით** აღნიშნულ ნებისმიერ მხ.რ.-ში მდგომ სახელთან.

მაგ.: **پروفسور من تشریف می برند** ფროფესუ(ო)რე მან თაშრიფ მიბარანდ „ჩვენი პროფესორი მობრძანდება“; **این آقا به**

من /کمک کردند ინ აყა ბე მან (ბემ) ქომაქ ქარდანდ „ეს ბატონი დამეხმარა“; **خانم زیبا تشریف آوردند** ხანუმე ზიბა თაშრიფ ავარდანდ „ქალბატონი ზიბა მობრძანდა“;

ایشان میل دارند „მას სურს

بدهند იშან მეილ დარანდ დარს ბედეჰანდ „მას სურს ლექცია ჩაატაროს„ (სიტყვ.: მობრძანდებიან, დამეხმარნენ, სურთ ჩაატარონ) და ა. შ.

მაერთებელი (კოპულატური) კავშირით შეკავშირებული ორი ან მეტი სულიერი ქვემდებარე შემასმენელს მრ.-ში შეინცობს გამონაკლისის გარეშე. მაგ.: **من و تو به تأثر می رویم، من**

و او دانشجو هستیم، مادر و . دخترش به سینما خواهند رفت،

مستاند و گربه حیوان اهلی هستند

მან ვა უ დაწეშჯუ ჰასთიმ, მადარ ო დოხთარამ ბე სინემან
ხანდ რაჭთ, საგ ო გორბე ჰეივანე აჰლი ჰასთანდ „მე და შენ
თეატრში მივდივართ, მე და ის სტუდენტები ვართ, დედა და მი-
სი ქალიშვილი კინოში წავლენ, ძალლი და კატა შინაური ცხოვე-
ლებია (არიან),“ და ა. შ.

აქვეა აღსანიშნავი, რომ სახელური პრედიკატის (შედგე-
ნილი შემასმენლის) სახელური ნაწილი მრ.რ.-ში, როგორც წესი,
არ ეთანხმება მრ.-ის გამომხატველ თუ მრ.რ.-ში მდგომ ქვემდე-
ბარეს: მრ.რ.-ში მხოლოდ პრედიკატის ზმნური ნაწილი იქნება:

მაგ.: مادرم گياهشناس / گياه شناس بودند
რამ გიდაჰჰენანს ბუდანდ „მამაჩემი და დედაჩემი ბოტანიკოსები

(სიტყვ. ბოტანიკოსი) იყვენენ“; درنده هستند შირ ო

ბაბრ დარანდე ჰასთანდ „ლომი და ვეფხვი მტაცებლები

(სიტყვ. მტაცებელი) არიან“; آنها دانشمند اند / دانشمندان

დაწეშმანდ ანდ „ისინი მეცნიერები (სიტყვ. მეცნიერი) არიან“;

او دانشجو هستیم
მან ვა უ დაწეშჯუ ჰასთიმ, „მე და ის

სტუდენტები ვართ“; საგ ო گربه حیوان اهلی هستند

გორბე ჰეივანე აჰლი ჰასთანდ „ძალლი და კატა შინაური ცხო-
ველებია (არიან),“ და ა. შ.

ბა-ბან- წინდებულისან ერთზე მეტ ქვემდებარესთან შემას-

მენელი მხ.რ.-ში დგას და პირში მიემართება პირველ ქვემდება-

რეს (იხ. მართვა). მაგ.: من با مادرم به مسافرت می روم

მადარამ ბე მოსაჭერათ მირავამ „მე დედასთან ერთად სამოგ-

ზაუროდ მივდივარ“; تو با پسرت باید به تآتر بروی

სარათ ბადად ბე თეათორ ბერავი „შენ შენს ვაჟთან ერთად თე-
ატრში უნდა წახვიდე“.

მაცალკევებელ კავშირებთან და ნაწილაკებთან ერთად
ხმარებულ ქვემდებარებთან შემასმენელი მხ.რ.-ში დგას. მაგ.:

يا تو خواهی رفت يا من *და თო ხაჰი რაჰთ და მან* „ან შენ წახ-

ვალ ან მე“; *تو می روی یا او؟* „განა

შენ მიდიხარ, თუ ის?“; *او می رود هم او می* *ჰამ უ მირავად ჰამ*

მან „ისიც მიდის, და მეც“; *نه من می روم نه آنها* *ნა მან მირავამ*

ნა ანჰა „არც მე მივიდივარ, არც ისინი“. ასეთ მაგალითებში **შეო-
რე ქვემდებარის** (ერთგვარი ნევრის) **შესატყვისი შემასმენელი**
შეიძლება ჩავარდეს (გამოტოვება, ელიპსისი) და შესაბამისად
სახელური (ნომინალური) ფრაზემული (მორფოსინტაქსური)
ელემენტი ინვერსიულ სიტყვათა რიგს ქმნის. (იხ. ერთგვარი
ნევრები; სიტყვათა რიგი; სახელური ფრაზა და ელიპსისი).

უსულო ქვემდებარის შეთანხმების საკითხი დღევანდელ სპარსულში

რაც შეეხება დანვრილებით უსულო ქვემდებარეს, შეთან-
ხმების საკითხი გაცილებით უფრო რთულადაა, ვიდრე ამას
მთავარი წესი გვეუბნება ანუ ძირითადი ნორმა მიგვითითებს.

სინამდვილეში თანამედროვე ენაში საკმაოდ შეინიშნება
ტენდენცია მრავლობითი რიცხვის უსულო ქვემდებარის მიე-
რაც შემასმენლის შეთანხმებისკენ.

დასაშვებია ზოგჯერ **პარალელური ფორმებიც** ანუ შე-
მასმენელი ორივე ვარიანტით: მხოლოდით რიცხვშიც და მრავ-
ლობითშიც.

მაგალითები: *شکستند/شکست* *شاخه ها* *შახეჰა* *შექას-*

თანდ/შექასთ „ტოტები დატყდნენ/დატყდა“; *سیب ها از درخت*

افتاد / افتادند სიბჰან აზ დერახთ ოჭთადანდ/ოჭთად „ვაშლები
 ხიდან ჩამოცვივდენ/ჩამოცვივდა“; سیب و گلابی ارزان / ارزون
 ارزونه / هستند სიბ ო გოლაბი არზან ჰასთანდ/ასთ(არზუნე)
 „ვაშლი და მსხალი იაფია (არინ/არის)“; کتاب و دفترم روی میز
 بود/ بودند ქეთაბ ო დაჭთარამ რუფე მიზ ბუდანდ/ბუდ „ჩემი
 წიგნი და რვეული მაგიდაზე იდვენ/ილო„.

უმეტესად შეთანხმების აღრევა შემდეგნაირ სახელებს
 ახასიათებს: ბუნების ძალების გამომხატველი, პერსონიფიცი-
 რებული, გასულიერებული; მექანიზირებული; მოძრავი ტექნი-
 კური საგნების, იარაღების, ტექნიკური მასალების გამომხატვე-
 ლი; სიმრავლის შემცველი საგნების, სხვადასხვა სამეცნიერო
 კატეგორიების გამომხატველი სიტყვები და სხვ. მაგრამ ნიმუ-
 შები ცხადყოფს, რომ არც ეს დაკვირვებაა ამომწურავი.

ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტის მონაკვეთში ან ერთსა
 და იმავე წინადადებაში ფიქსირდება ანალოგიური ქვემდებარე:
**შემასმენლის შეთანხმებისა და შეუთანხმებლობის ორივე ვარი-
 ანტი. უსულო ქვემდებარის შემასმენელთან მრავლობით რიც-
 ხვში შეთანხმების ქვემომოყვანილი დიდძალი მასალა ძირითა-
 დად ამოღებულია უმაღლეს სასწავლებელთა ერთ-ერთი წამ-
 ყვანი სახელმძღვანელოდან, სადაც ის მოხვედრილია თავის
 მხრივ სხვადასხვა ირანული წყაროებიდან (იხ. ქვემოთ ლიტე-
 რატურის სიაში: გიუნაშვილი 1987). ეს ნიშანდობლივია.**

ნიმუშები: قطعات فلزی نیز از معادن تهیه و در کارخانه ها

می شوند
 დარ ქარხნებჰან სახთე მიშაგანდ „ლითონის ნაჭრებიც მადნეუ-
 ლიდან და ქარხნებში მზადდებიან“; سایر قسمت ها ی

ساختمان نیز در موءسسات مربوطه تهیه و آماده می گردند
საფრე ყესმათჰაე სახთემან ნიზ დარ მოასესსათე მარბუთე
თაჰიე ვა ამაღე მიგარდანდ „მშენებლობის დანარჩენი ნაწილე-
ბიც შესაბამის დანესებულებებში მზადდებიან“; مواد خام آن

شده و در کوره ها و کارخانه ها از زمین و معادن استخراج
მიეღე ხამე ან აზ ზამინ ვა მა'ადენ ესთეხრანჯე
შოდე ვა დარ ქურეჰან ვა ქარხანეჰან ამაღე მიშაგად „მისი ნედ-
ლი მასალა მიწიდან და წიაღისეულიდან მოიპოვება და ქურებსა
(ლუმელებში) და ქარხნებში მზადდება“; در حالی که در اوایل

مشروطیات بزرگترین روزنامه ها حدً اکثر در هزار نسخه
منظشر می شدند امروز تعداد نسخ یکی روزنامه به پنجاه هزار هم

დარ ჰალი ქე დარ ავანელე მაშრუთიდათ ბოზორ-
გთარინ რუზნამეჰან ჰადდე აქსარ დარ ჰეზარ ნოსხე მონთა-
შერ მიშოდანდ ემრუზ თე'ადდე ნოსახე ექი რუზნამე ჰე
ფანჯანჰე ჰეზარ ჰამ მირესად „მაშინ როდესაც კონსტიტუციური
მონარქიის დროს ყველაზე დიდი გაზეთები დიდი-დიდი ათას
ეგზემპლარად იბეჭდებოდნენ, დღეს ერთი გაზეთის ეგზემ-
პლართა რაოდენობა ორმოცდაათ ათასსაც აღწევს“; امروز

بیش از صد روزنامه در ایران منظشر می شود مهمترین آنها
დარ რუზნამე დარ რუზნამე დარ
კიჰან هستند
ირან მონთაშერ მიშაგად მოჰემთარინე ანჰან „ეთთელა'ათ, ვა
„ქეიჰან, ჰასთანდ „დღეს ას გაზეთზე მეტი იბეჭდება ირანში,

მათში „ეთელათი„ და „ქეიჰანი„ უმთავრესნი არიან“; ماه ها ی هستند
 ماهها ی ایرانی فصل زمستان کدام اند? „მანქანა ირანი ინჰან ჰასთანდ„ირანული თვე-
 ები ესენი არიან“; „ზამთრის სე-
 ზონის ირანული თვეები რომელი არიან?“; ماه ها ی ایرانی
 فصل بهار کدام اند? „გაზაფხულის სეზონის ირანული თვეები რომელი არიან? (რო-
 მელია)“; روزها ی هفته اینها هستند
 „კვირის დღეები ესენი არიან“; امریکا و انگلیس در امدر
 می کردند „ამერიკა და ინგლისი
 დახელით ირან დეხალათ მიქარდანდ „ამერიკა და ინგლისი
 ირანის შინაურ საქმეებში ერეოდნენ“; همسایه های ایران در
 قسطنطنیه و پاکستان و افغانستان و پاکستان
 „ირანის მეზობლები აღმოსავ-
 ლეთში ავღანეთი და პაკისტანი არიან“; انجمن های مخفی
 انجمن های مخفی سازماندهی شده و متشکل شدند
 „ფარულმა საზოგადოებებმა პროკლამაციები
 დაბეჭდეს“; این کارخانه ها با سرمایه ی دولتی و اعتبارات
 دولت وجود می آیند

موازات کدام خط کشیده شده اند
მაღარჳან ბე მოგზაზეთე ქოდამ
ხათთ ქეშიდე შოდე ანდე? „პარალელები რომელი ხაზის გას-
წვრიე არიან გავლუბული?“; کشورهای جهان کدام نصف النهار را

؟ انده شناخته اند؟
به عنوان نصف النهار مبداء، شناخته اند؟
ნესჳონნაჳარრა ბე 'ენგანე ნესჳონნაჳარრე მახდე' შენახთე
ანდე? „მსოფლიოს ქვეყნებმა რომელი მერიდიანი ცხეს სანყის
მერიდიანად?“; این مهم صنایع ایران کدام اند؟
„ირანის მრეწველობის
მნიშვნელოვანი დარგები რომელი არიან?“; در امتداد ضلع های

این مثلث رشته کوه های بلند قرار دارند
დარ ემთედადე
ზელ'ჳანე ინ მოსალლას რეშთეჳუჳჳანე ბოლანდ ყარარ
დარანდე „ამ სამკუთხედის კიდეების გასწვრიე მაღალმთიანი
ქედები მდებარეობენ?“; این رشته کوه ها لبه های فلات ایران را

تشکیل می دهند
ინ რეშთეჳუჳჳან ლაბეჳანე ჳელათე ირანრან
თაშქილ მიდეჳანდე „ეს მთები ირანის ზეგნის ნაპირებს ქმნიან“;
رشته کوه هایی که لبه های فلات ایران را تشکیل می دهند

؟ انده
رეშთეჳუჳჳანი ქე ლაბეჳანე ჳელათე ირანრან თაშ-
ქილ მიდეჳანდე ქოდამ ანდე? „მთის ჳაჳეები, რომლებიც ირანის
ზეგნის ნაპირებს ქმნიან, რომელი არიან?“; آب های جاری

؟ اورند
در کوهستان به وجود می آورند
ჩე თაყთირათი დარ ქუჳესთან ბე ვოჳუდ მიდგვარანდე? „გამ-

ლილი ნანილები ზღვაში [რომ] ჩაითრევიან, თანდათან ნალექად (შლამად) იქცევიან/ილექებიან“; این سیب ها کجا خریده شدند؟
ინ სიბჰან ქოჯან ხარადე შოდანდ? „ეს ვაშლები სად იქნენ/იყვნენ ნაყიდი?“; میوه ها دو جور اند: میوه های پادختی اینها هستند،

ფადერახთი ინჰან ჰასთანდ. მივეჰანე დო ჯურ ანდ, მივეჰანე ფადერახთი ინჰან ჰასთანდ. მივეჰანე სარდერახთი ინჰან ჰასთანდ „ხილი (სიტყვ. ხილები) ორგვარი არიან (ორგვარია), ხილი (ხილები) ხისქვემოთა (ბოსტნეული, მინის ხილი) ესენი არიან, ხილი (ხილები) ხისზემოთა (ხის ნაყოფი) ესენი არიან“; در بهار

درخت های باغ ما سبز می شوند დარ ბაჰარ დერახთჰანე ბაყე მან საბზ მიშავანდ „გაზაფხულზე ჩვენი ბალის ხეები მწვანდება“; ماه و ستارگان در آسمان می درخشند
სეთარეგან დარ ასმან მიდერახშანდ „მთვარე და ვარსკვლავები ცაზე ბრწყინავენ“; بادهای مرطوبی که در دوره ی سردسال از

شمال، شمال غربی و مغرب به طرف ایران می وزند عامل اصلی

ریزش باران در ناحیه ی صحرای و نیمه صحرای هستند

ბადჰანე მართუბი ქე დარ დოურედე სარდსალ აზ შემალ, შემალეყარბი ო მაყრებ ბე თარაჰე ირან მივაზანდ, ‘ამელე ასლიდე რიზეშე ბარან დარ ნაჰიდედე საჰრანი ო ნიმესაჰრანი ჰასთანდ „ნოტიო ქარები, რომლებიც ცივი წლების პერიოდში ჩრდილოეთიდან, ჩრდილოდასავლეთიდან და დასავლეთიდან ირანისკენ ქრან, უდაბნოების და ნახევარუდაბნოების უბანში ნვიმის მოსვლის ძირითადი ფაქტორი არიან“; და მისთ. მრ.

გამოკვეთილია შემასმენლების შეთანხმება მრ. რ.-ში, ისეთ უსულო არსებით სახელებთან, – ქვემდებარებთან რო-

გორიცაა: თვეები, კვირის დღეები, ქარები, ქვეები, ქვიშები, ხილი, მნათობები, მცენარეები, ქარხნები, ქვეყნები, მთები, წყლები, ტალღები, მხარეები, მერიდიანები, პარალელები, ხაზები, წრესაზები, ნაკვეთები, ქედები, ჯაჭვები, დარგები, დანესებულებები, საზოგადოებები, ჯურნალ-გაზეთები, პროცენტები, მეტნაკლებობა, ტექნიკური იარაღები, საშენი მასალა და სხვა მისთ.

ამგვარი შეთანხმება ლიტერატურულ ენაში უკვე მისაღები **ნორმის** ერთ-ერთი **ვარიანტია** და შეცდომას არ წარმოადგენს.

იმავდროულად შესაძლებელია შეგვხვდეს მეორემხრივი დარღვევაც: რიცხვითი სახელებით თანხლებული სულიერი ქვემდებარის შეუთანხმებლობა შემასმენელთან: **چهار دانشجو به**

رفت **شهر** **را** **ب** **شهر** **رفت** „ოთხი სტუდენტი ქა-

ლაქში წავიდა“; **چهار دانشجو ساحل دریا استراحت خواهد کرد**

را **ب** **شهر** **رفت** **شهر** **را** **ب** **شهر** **رفت** „ის ოთხი სტუდენტი ზღვაზე (ზღვის ნაპირზე) დაისვენებს„. ბეჭდურ ენაში ამგვარი მაგალითების გამოყენება აგრეთვე მიუთითებს იმაზე, რომ ესეც დასაშვები ვარიანტია, თუმცა ძირითადი

ნორმის ნიმუშები შემდეგნაირია: შდრ.: **دو نفر دانشجو در روز**

رفتند **آن** **نویسنده** **رفتند** „გუშინ ორი სტუდენტი იმ მწერალთან წა-

ვიდნენ„.

შემასმენლის სულიერ ქვემდებარესთან შეთანხმება და უსულო ქვემდებარესთან შეუთანხმებლობა მრ. რ.-ში მაინც ძირითად საორიენტაციო წესად რჩება, მაგრამ ჩამოთვლილი ტიპის უსულო საგნების აღმნიშვნელ ქვემდებარებთანაც **დასაშვებია შემასმენლის** რიცხვში **შეთანხმება**. ეს საკითხი უცხო არ არის დღევანდელი ქართული ენისთვისაც, ამდენად გასაგები უნდა იყოს მკითხველისთვის (იხ. შდრ. უსულო ქვემდებარეს-

თან შემასმენლის შეთანხმების საკითხი ქართულშიც).

მართვა

წინადადების ერთი წევრი მართავს მეორეს გარკვეული მორფოსინტაქსური ნიშნით, რომლის მიხედვითაც თავად საერთოდ ან მოცემულ შემთხვევაში არ იცვლება. ზოგადი სურათი სპარსულ ენაში ასეთია: ზმნა (შემასმენელი) მართავს სახელე-ბით გამოხატულ წევრებს (ქვემდებარე, სხვადასხვა დამატებე-ბი) წინდებულების, ენკლიტიკური ელემენტების საშუალებით; თავის მხრივ სახელებიც (ქვემდებარე, დამატებები) მართავენ შემასმენელს სათანადო პირში პირის ნიშნებისა და ენკლიტიკე-ბის მეშვეობით. გარდა ამისა, სახელიც მართავს სახელს; ინფი-ნიტივი ზმნას და ზმნა ინფინიტივს, როცა ინფინიტივი გამოხა-ტავს წინადადებაში ქვემდებარეს ან დამატებას; წინდებული მართავს წინდებულს. იზაფეთურ კავშირში ჩართული მართუ-ლი სახელები ერთეებიან მართვაში თავისი მიმყოლი სიტყვები-თურთ, იქნება ეს სინტაგმა თუ უფრო გრძელი იზაფეთური ჯაჭვი. იგივე პრინციპი ვრცელდება მართულ და იზაფეთურ კონსტრუქციაში ჩართულ ინფინიტივებზე და წინდებულებზეც. უკანასკნელნი ქცევით სახელებს უტოლდებიან.

ქვემდებარე მართავს შემასმენელს (ზმნას) პირში: შემასმენელი (ზმნა) იღებს იმ პირს, რომელსაც შეესაბამება ქვემდებარული სახელი; მართვა ხორციელდება სპეციალური პირის ნიშნებით, ან ზოგიერთ შემთხვევაში, – ენკლიტიკები-თაც. ამავდროულად წესისამებრ მიმდინარეობს ქვემდებარეს-თან რიცხვში შემასმენლის შეთანხმება. მაგ.: *من رفت، دختر*

آنها/اینها رفتند، این را بخر، دوختار را بخر، این کتاب را بخر

რაჭთანდ „მე წავედი, ქალიშვილი წავიდა, ესენი/ისინი წავიდ-ნენ„. ენკლიტიკური მართვის ნიმუშები უმეტესად სასაუბრო ენის კუთვნილებაა: ლაპარაკია **გარდაუვალი ზმნების ენკლიტი-**

კურ მართვაზე პირში, მაგ.: هشتش، نیستش، رفتش، آمدش

وجود نیستش، موجود هشتش، بوداش *ამადაშ, რაჭთაშ, ჰას-*

თეშ, ნისთეშ, ბუდაშ, მოუჯუდ ჰასთეშ, მოუჯუდ ნისთეშ „მოვიდა-ის, წავიდა-ის, არის/არსებობს-ის, არ არის/არ არსებობს-ის, იყო-ის,“ და ა.შ. ეს კლიტიკური მორფიც არსებითად პირის ნიშანია.

პირდაპირი დამატება მართავს ზმნას-შემასმენელს პირში. ამგვარი მართვა ხორციელდება ენკლიტიკების --კლიტიკური მორფების, პირის ნიშნების, პირის მარკერების მეშვეობით და დღევანდელი სასაუბრო ენის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. თუმცაღა ხაზგასასმელია, რომ პირდაპირი დამატების (ობიექტის) ენკლიტიკურად ზმნაში გამოხატვა კლასიკური ლიტერატურული ენიდანვე მომდინარე, ნაცვალსახელური კლიტიკების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. პირდაპირი დამატება ანუ პირდაპირი ობიექტი შესაბამისი პირისა და რიცხვის ენკლიტიკებით გამოიხატება უშუალოდ ზმნაში, ზმნურ ფორმაში, ფაქტობრივად ობიექტური პირის ნიშნების (პირის მარკერების) სახით. წინადადებაში ენკლიტიკური პირდაპირობიექტური მარკერები 1-რნ-თანდებულიანი პირდაპირი ობიექტის გრამატიკულ სინონიმადაც გვევლინება, რადგან ჩვენაცვლება პირველს. მაგ.: *من او را دیدم / من دیدمش* მან ურნ დიდაშ/მან დიდაშ „მე ის ვნახე/მე ვნახე-ის,“. ენკლიტიკური გამოხატვის შემთხვევაში 1-რნ- თანდებული აღარ იხმარება და პირდაპირი დამატების გამომხატველი სახელის მიმართ ენკლიტიკა ანტეცედენტის პიზიციიში დგება: პირისპირ მდგომი ენკლიტიკა. მაგ.: *حسن بردندش* ჰასან ბორდანდაშ „ჰასანი წაიყვანეს“; *من می بردم* მან მიბარანდაშ „მე მიყვავარ (მათ)“; *تو*

می بینمت თო მიბინამათ „შენ გნახავ„ და მისთ. ენკლიტიკური პირის ნიშნებით (მარკერებით) შემასმენელს მართავს თანაბრად სულიერი და უსულო პირდაპირი დამატება (ობიექტი). მაგრამ აქ გასარჩევია მარტივი და რთული ზმნები: მარტივ ზმნას პირდაპირობიექტური ენკლიტიკა უშუალოდ მიერთვის, ხოლო რთულ ზმნებში იგი უმეტესად ნორმირებულად მიერთვის ზმნის სახელურ ნაწილს. მაგ.: *كُن صداس سهداშ ქონ* „დაუძახე მას“; *زهداناش كړند* „ის დააპატიმრეს“.

მაგრამ თანამედროვე ენაშიც გვხვდება რთული ზმნის ზმნურ ნაწილს მიერთებული ობიექტური პირის ნიშანი. მაგ.: *می*

آوردش پاءین მიღწევარდაშ ფა'ინ „ძირს ჩამოჰყავდა ის“; *دوست*

دارمش დუსთ დარამაშ „მიყვარს ის„ და სხვა. ასეთი გამოყენება კიდევ უფრო ხშირია კლასიკურ ენაში.

მიმდებარე რთულ დროებში, როგორცაა ნამყო შედეგობითი, ნამყო წინარე წარსული, ნამყო კავშირებითი, პირდაპირდამატებითი ენკლიტიკური მარკერები დამხმარე ზმნის პირიელ ფორმას მიერთვის, ხოლო აღწერიითი მომავლის ფორმაში, – ძირითადი ზმნის ნამყოს ფუძის ფორმას. მაგ.: *ندیده*

خواهم دیدش „არ მენახა (მე ის)“; *بناودمش* ხაჰამ დიდაშ „ვნახავ (მე მას)„ (იხ. პირდაპირი დამატება წინად. ნევრებში).

დამატებით (ობიექტურ) პირის ნიშნებს სპარსულად უწოდებენ ობიექტურ ნაცვალსახელებს: *مفعول* ზამირე მაჭ'ული.

პირდაპირობიექტური პირის მარკერთა ნიმუშები:
 بېخورش ბეხო-რაშ, می گیرمش می მიგირამაშ, ییگرش
 می میბინამეშ, می بینمشان, نادیديش? ნადიდიშაშ?
 چرا მიბინამათ, بودمت نشناخته ნაშენაშთე ბუდამათ,
 نمی شناختمش?, هیرد بَداد ბეშენაშამათ?, باید بشناسامت?
 მიშენაშთამაშ, می شویمش می خواندمش, ხანდამაშ,
 تارجمه اش/ترجمش کردند, تارჯომეაშ/თარჯომეშ ქარდანდ,
 خوابم دردم گرفت, سهدام صدام کرد, دარდამ გერეჭთ,
 تشفیقم می کند, داد, فربیش داد, بربد, بربدამ ბორდ,
 درستش, می گیرد, حصرم می گيرد, მიჭიყაშ მიქონად,
 می کن, کاربردش می کنند, دოროსთაშ ქონ, کن
 می برمتان خانه/خونه, შექარეშ ქონიდ, شكارش کنید,
 ნემიხაშათამ, می خواستم بکشمش, ხანე/ხუნე, ბარამეთა(უ)ნ
 ბექოშამაშ, می کنم, ველათ მიქონამ, დარდამ گرفت,
 بردندشان پاریس, بربیدمان ایران, გეზარიდემუნ ირან,
 ბორდანდემუნ ფარის „აილე ის, ვილე მას, ჭამე ის, არ ნახე
 ის?, გხედავ, გხედავთ, არ გიცნობდით, რატომ უნდა გიცნობდე,
 არ ვიცნობდი-მას, დიდი ხანი იყო არ მენახა, წაიკითხე ეს!, წავი-
 კითხე, ვრეცხავ-მას, თარგმნეს ის, ღამიძახა, ტკივილმა შემიპ-

ყრო, ძილმა ნამილო, მოატყუა, მაბრაზებს, ბრაზი მერევა, გაას-
ნორე/შეაკეთე/დაამზადე-ის, იყენებენ-მას, აცდუნებს- მას, და-
აპატიმრეს-ის, მოინადირეთ-ის, ნაგვიყვანთ შინ, არ მინდოდა
მომეკლა-ის, ტკივილმა შემიპყრო/ამტკივდა, ნაგვიყვანეთ ირან-
ში, ნაიყვანეს ისინი პარიზში,, და სხვა მრ. ამ ნიმუშებს შორის
რთულზმნური ფრაზეოლოგიზმებიცაა წარმოდგენილი, მაგ.:

بر خوبم خوابم بود, دردم گرفت

ჩემს კერსამ მივირად „ძილმა ნამილო/ჩამეძინა, ტკივილმა
შემიპყრო, სიხარბე მიპყრობს,, და სხვა.

ასეთი პირდაპირობიექტური მართვა ცალსახად შედარე-
ბადია ტიპოლოგიურად ქართული ენის მართვასთან: **ზმნაში
პირის ნიშნების გაჩენა** (იხ. მაგალითები თარგმანებითურთ).
შედეგად პირდაპირი დამატება ჩაითვლება **წინადადების მთა-
ვარ წევრად** ქართულის მსგავსად: პირდაპირი ობიექტი **გამო-
ხატულია შემასმენელში**.

ირიბი დამატება მართავს შემასმენელს პირში. პირ-
დაპირობიექტური ენკლიტიკური მართვის სავსებით ანალოგი-
ური ვითარება გვაქვს ირიბდამატებითი (ირიბობიექტური) ენ-
კლიტიკური მართვის შემთხვევაში: ირიბ დამატებას შეუძლია
ენკლიტიკის მეშვეობით შესაბამისი პირის გამოხატვის მართვა
მარტივსა და რთულზმნურ ფორმაში. ისევე როგორც პირდაპი-
რი დამატების შემთხვევაში, ირიბდამატებითი ენკლიტიკა უშუ-
ალოდ მარტივი ზმნის ფორმას და რთული ზმნის სახელურ ნა-
წილს მიერთვის. შემასმენელში ენკლიტიკური პირის ნიშნით
(მარკერით) გამოხატული ირიბი დამატება იმავდროულად წინა-
დადებაში აღარ გამოიხატება **ჟ-ბე-** წინდებულისანი ნაცვალსა-

ხელით ანუ ირიბობიექტური ენკლიტიკური მარკერი **ჟ-ბე-** წინ-
დებულის გრამატიკულ სინონიმად გვევლინება მსგავსად იმი-
სა, რომ პირდაპირდამატებითი ენკლიტიკური მარკერი გვევლი-
ნება **რ-წ-თანდებულის** მორფოსინტაქსურ სინონიმად. მაგ.:

შდრ.: *من به او گفتمش/من گفتمش* მან ბე უ გოჭთამ//მან

გოჭთამაშ „მე მას ვუთხარი“; *حسن به او جواب داد/حسن*

جوابش داد ჰასან ბე უ ჯავაშ დად//ჰასან ჯავაშაშ დად
„ჰასანმა მას უპასუხა/პასუხი გასცა,“ (იხ. ირიბი დამატება).

ირიბობიექტური პირის მარკერთა ნიმუშები: *گفتش*

გოჭთაშ, *چه کارش*, *گفتمش* გოჭთამაშ, *کن* კომაქამ ქონ,

کردی ჩე ქარეშ ქარდი?, *ممنوعش کردم* მამნუ'აშ ქარდამ,

خبرت می دهم/می ხერტ მი დემ, *نشانم بدهید/بدهید* ნეშანამ ბედეჰიდ/ბედიდ,

اطلاعتان بدهم/بدم ეთლა'ეთუნ მიდეჰამ/მიდამ,

خودا عمرت بدهد ბედეჰამ/ბედამ, *خودا 'ومرات* ბედეჰად,

جوابشان می دهیم/می دیم ჯავაშეშუნ მიდეჰიმ/მიდიმ,

کمکان کردند ქომაქემუნ ქარდანდ, „უთხრა, მითხრა, დამეხ-

მარე, რა უქენი-მას?, ავუკრძალე-მას, გამაგებინეთ/მიმითითეთ, გაგაგებინებ/შეგატყობინებ, გაცნობოთ/შეგატყობინოთ, ღმერთმა სიცოცხლე მოგცეს, ვუპასუხებთ-მათ/პასუხს გავცემთ-მათ, დაგვეხმარნენ,“ და მრ. სხვა.

ირიბდამატებითი ენკლიტიკური მართვა, ისევე როგორც პირდაპიდამატებითი მართვა, თანამედროვე სასაუბრო ენის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს, მაგრამ ისევე როგორც პირდაპირდამატებითი ენკლიტიკა, ირიბდამატებითი ენკლიტიკაც კლასიკური სპარსული ენის ძირითადი ენკლიტიკური ფუნქციების მემკვიდრეობაა.

ირიბდამატებითი ენკლიტიკა მონაწილეობს რთულ-
ზმნურ ფრაზეოლოგიზმებშიც, მაგ.: **گيرش نيامد** გირაშ ნაამად
„ხელთ არ ჩაუვარდა-მას“, **گيرت نيامد** გირათ ნაამად „ხელში
არ ჩაგივარდა“, **آمد گيرم** გირამ ამად „ხელში ჩამივარდა,
და მისთ.

ასეთი ირიბობიექტური მართვა ცალსახად შედარებადი
ტიპოლოგიურად ქართული ენის მართვასთან: **ზმნაში პირის
ნიშნების გაჩენა** (იხ. მაგალითები თარგმანებითურთ). შედე-
გად ირიბი დამატება ჩაითვლება **წინადადების მთავარ ნევრად**
ქართულის მსგავსად: **ირიბი ობიექტი (დამატება) გამოხატუ-**
ლია შემასმენელში, პირდაპირი ობიექტის (დამატების) დარად.
შემასმენელი ფორმდება ორპირიანად.

პირდაპირი და ირიბი ობიექტის ნიშანთა (მორფთა, მარ-
კერთა) შეხვედრა ზმნაში (შემასმენლის ფორმაში). ობიექტურ
ნიშანთა რიგი.

სპარსულში მოქმედებს მტკიცედ შემდეგი წესი:

ობიექტური პირის ნიშნებით (კლიტიკური მარკერებით,
მორფებით) ზმნაში პირდაპირი და ირიბი დამატება ერთდროუ-
ლად არ აღინიშნება: გარდამავალ ზმნაში გამოხატულია ან ერ-
თი, ან მეორე.

არსებითად, ეს პრინციპიც მოქმედებს ქართულშიც:
ორი ობიექტური პირის შეხვედრისას ქართულში წესისამებრ
იმარჯვებს ირიბი ობიექტის პირის ნიშანი (მარკერი).

ორივე ობიექტის შეხვედრისას გარდამავალ ზმნაში ჩვე-
ულებრივ აჯობებს ირიბი ობიექტის მარკერი ან პირდაპირი
ობიექტის მარკერი გამოიხატება ზმნაში, ირიბობიექტური კლი-
ტიკა კი **ჰ-ბე-წინდებულს** მიერთვის და ზმნის გარეთ გავა. ეს
ვარიანტები ტექსტისა და მეტყველების პრაგმატული კონტექ-
სტებით ანუ მათი შინაარსით განისაზღვრება. მაგ.: **من نوشتمش**

მან ნევეშთამაშ „მე დავწერე-ის,, ან „მე მივწერე-მას,, من
 او خواندش / مانش მან დადამაშ ბეთ „მე მოგეცი-ის შენ“;
 მე „م گفتش უ ხანდაშ/გოჭთაშ ბემ „მან ნამიკითხა/მიოხრა-ის
 بدهمش ბედ(ეჭ)ამაშ ბეთ, بتون/بتان ბედ(ეჭ)ამაშ ბეთუნ,
 بدهمش/بشان/بشون ბედ(ეჭ)ამაშ/ ბეშუნ „მიეცი-ის მას, მომეცი-
 ის მე, მოგეცი-ის შენ, მოგეცი-ის თქვენ, მიეცი-ის მათ,, და სხვა.

მაგრამ არ იხმარება, მაგალითად, ასეთი სამმარკერიანი
 ფორმა: *نوشتمش *گفتمش ნევეშთამაშათ, გოჭთამაშათ

„*დაგინერე-ის-შენ, გითხარი-ის-შენ,, და მისთ. (თუმცა სამმარ-
 კერიანი სამპირიანი ფორმები თეორიულად, ვირტუალურად,
 ფორმალურ-მორფოლოგიურად დაშვებადია).

რთულ ზმნასთანაც შესაძლებელია **ორი ობიექტის** ნიშან-
 თა განაწილება: ერთი უშუალოდ ზმნაში და ერთიც მის გარეთ,
 მაგ.: مانش بت تبریک می فاش დადამაშ, ბეთ თაბრიქ მიგამაშ „მასდავუბრუნე-ის; შენ გილოცავ-მას,, და
 ა.შ.

უცილობელი წესია **ობიექტური პირის ნიშანთა ადგილი**
 ზმნაში: **ობიექტური მორფი (მარკერი) ყოველთვის მოსდევს სუ-**
ბიექტური პირის ნიშანს. ამდენად, **სუბიექტურ და ობიექტურ**
მართვაში გარკვეული რიგია დაცული და შედეგად გვაქვს **პი-**
რის ნიშანთა ორი მწკრივი: ჯერ სუბიექტური, მერე კი ობიექ-
 ტური პირის ნიშანი ზმნაში. მაგ.: مانش گفتش გოჭთა-ამ-აშ „გუთხა-

რი-მე-მას,, مانش დადამაშ „მიეცი-მე-მას,, და ა. შ.

შემასმენელი მართავს: ქვემდებარეს და ყველა დამატებას – პირდაპირს, ირიბს, უბრალოს, -- სათანადო წინდებულებიან, თანდებულებიან, ენკლიტიკურ თუ პირდაპირფუძისეულ ფორმაში. ყველა ჩამოთვლილი წევრის ამ გაფორმებას განსაზღვრავს ზმნა-შემასმენელი. მთლიანობაში აქ ზმნა მართავს სახელს ან მის შემცვლელ მორფოსინტაქსურ ელემენტებს (მაგ., ენკლიტიკებს).

შემასმენელი მართავს ქვემდებარეს. ქვემდებარე სხვადასხვა სახისაა და სხვადასხვაგვარად გამოიხატება. ამ სხვადასხვაგვარ გამოხატვას შემასმენელი განსაზღვრავს. ყველაზე მარტივი და ჩვეულებრივია ქვემდებარის მართვა პირდაპირ ფუძისეულ ფორმაში. ასეთია მოქმედი (აქტიური) ქვემდებარე და პასიური ზმნის სუბიექტი (პასიური ქვემდებარე). მაგ.:

مقاله نوشته شد / مرد مارتد ნევეშთ „კაცმა დაწერა“;

شده مაცალე ნევეშთე შოდ „სტატია დაიწერა“.

სპარსულში ბევრია **ქვემდებარის უფრო რთული** გამოხატვის **ფორმებიც**, – **სპეციფიკური ქვემდებარეები**: ენკლიტიკური, ენკლიტიკური ანტიცედენტი, წინდებულებიანი, კლასიკურ სპარსულში, – **რ-რწ-თანდებულებიანი ქვემდებარე და სხვა**. ყველა ეს ფორმა შესაბამისი ზმნური ფორმებით ანუ შემასმენლებით იმართება და დაწვრილებით განიხილება ნაკვეთში „ქვემდებარე“, (იხ. ქვემდებარე, ქვემდებარის რთული ფორმები).

მაგ.: تو سردت / من گرم شد (მან) გარმამ შოდ „(მე) დამცხა“;

او تشنه، گشنه است (თო) სარდათ ასთ „(შენ) გცივა“;

فکرمان/فکرمون ما (უ) თაშნაშე, გოშნაშე „(მას) სწყურია, შია“;

(მა) ჭექერემუნ მიად „(ჩვენ) ვფიქრობთ/გვეფიქრება“;

فكره/است (მან) ჭექრამ ასთ/ჭექრამე „(მე) ვფიქრობ/მეფიქრება“; شما خوابتان/خوابتون كمه (შომან ხაბეთუნ ქამე? „(თქვენ) ძილი გეცოტავებათ/ცოტა გძინავთ?“; / ايسان آيد (იშუნ) ხაბეშუნ მიად „(მათ) ეძინებათ/ძილი მოსდით“; مهمانان خوششان/خوششون مي آيد (მეჰმანან ხოშეშუნ მიად „(სტუმრებს) მოსწონთ“; بچه نه سالشه (ბავშვი) ნოჰ სალაშ ასთ/ნოჰ სალეშე „(ბავშვი) ცხრა წლისაა“; ما پولمان/پولمون (მა) ფულემუნ ქამე „(ჩვენ) ცოტა ფული გვაქვს“; და სხვა. ესაა **ენკლიტიკური ან ენკლიტიკურ-ანტიცედენტური (მოპირდაპირე, პირისპირმდგომი) ქვემდებარე.**

ქვემდებარის გართულებულ ფორმებთან დაკავშირებით გამოიყოფა ფრაზემათა ცალკეული **სპეციალური ჯგუფები** სემანტიკის (შინაარსის, მნიშვნელობის) მიხედვით, როგორცაა: გრძნობა, გუნება-განწყობის, შეგრძნების, აღქმა-გონების, კონსტრუქციები; სახელდების, ასაკის, კუთვნილების (პოსესიური) გამოხატვის მორფოსინტაქსემები. ამათში შესაბამისად ვარჩევთ „მგრძნობელ, განმცდელ, აღმქმელ, მოაზრივნი ქვემდებარეს,, „მფლობელ ქვემდებარეს,, „ასაკის მქონე ქვემდებარეს,, და მისთ. ქვემდებარის ეს ჯგუფები დანვრილებით განიხილება სათანადო პარაგრაფებში (იხ.: სპეციალური (სპეციფიკური) კონსტრუქციები)

რაც შეეხება „ფსიქოლოგიური სუბიექტის,, ცნებას, ეს არსებითად და ფაქტობრივად ფსევდოქვემდებარეა ანუ „ყალბი ქვემდებარე,,. უკანასკნელი აგრეთვე იყენებს სხვადასხვა წევრების შესატყვის ენკლიტიკურ ანტიცედენტებს, რითაც ემ-

სგავსება ფორმალური აგებულებით ზემოჩამოთვლილი რთული, მაგრამ ნამდვილი ირიბი ქვემდებარეების სხვადასხვა ჯგუფებს. **ფსიქოლოგიური სუბიექტი** უნდა განსხვავავით **სპეციფიკური რთული ქვემდებარისგან** და მისი შემცველი **სპეციალური კონსტრუქციებისაგან** (იხ. ფსიქოლოგიური სუბიექტი).

შენიშვნა. მართვის თვალსაზრისით გასარჩევია და **არ უნდა ავურიოთ** ენკლიტიკები ზმნაში-შემასმენელში, როდესაც **სახელი მართავს ზმნას** (დამატებები მართავენ ზმნას ენკლიტიკური მორფების საშუალებით) და ენკლიტიკები სახელებთან, როდესაც **ზმნა-შემასმენელი მართავს ქვემდებარეს** ენკლიტიკურ ფორმაში, როგორცაა, მაგ.: **سرد شد، گرم است/گرممه**;

سرد شد، گرم است/گرممه *სარდამ შოდ, გარმამ აიდ*
ასთ/გარმამე, გოშნამე, თაშნამე, ბადამ მიდნად/მიანდ, ხოშამ მიდნად/მიანდ „შემცივდა, მცხელა, მშია, მწყურია, არ მომნონს, მომნონს, და სხვა მისთ.

მთლიანობაშია მართული შემასმენლით ისეთი ენკლიტიკური შენაერთებიც, როგორცაა: **من خودم** *მან ხოდამ* (=იზა-

ფეთურ შენაერთს **خود من** *ხოდე მან*) „მე თვითონ„. მაგ.:

معلوم می کنم *მან ხოდამ (ხოდე მან)*

تو خودت/خود تو „(მე) თავად გამოვარკვევ“;

گفتی (تو) خودت/ხოდე თო „(შენ) თვითონ თქვი“;

خودش *ხოდეშე* „თვითონაა“; და მისთ. აქ **ქვემდებარული შენაერთები იმართება შემასმენლით** სათანადო ფორმების გათვალისწინებით. ამგვარად მართული შეიძლება იყოს არა მარტო ერთი სიტყვა ან ელემენტი, არამედ სიტყვათა ჯგუფი, სიტყვათშენაერთიც და მორფოსინტაქსურ ელემენტთა ჯგუფიც,

ერთობლიობა (იხ. სიტყვათშენაერთები).

შემასმენელი მართავს პირდაპირ დამატებას. პირდაპირ დამატებას სათანადო ფორმაში მართავს შემასმენელი. ეს სათანადო ფორმა ძირითადად ორია: პირდაპირი დამატება პირდაპირი ფუძისეული ფორმითა და პირდაპირი დამატება, მართული და გაფორმებული 1-რნ თანდებულის მეშვეობით.

მაგრამ თვით 1-რნ თანდებულის ხმარება-არხმარების საკითხს წყვეტს თავად პირდაპირი დამატების აღმნიშვნელი სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სემანტიკური ფაქტორი ანუ ფართო კონტექსტის პრაგმატულ-შინაარსობლივი ფაქტორი. განსაზღვრულობის თუ განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორია, აგრეთვე გარკვეულობა-გამოყოფის დამატებითი სემანტიკური ნიუანსები, ისევე როგორც 1-რნ-თანდებულის გამოყენების კონკრეტული წესები თანამედროვე სპარსულში სპეციალურ განაკვეთებში აღინერება (იხ. 1-რნ თანდებული მორფოლოგიაში; იხ. პირდაპირი დამატება და 1-რნ-თანდებულის ხმარების წესები სინტაქსში; იხ. 1-რნ თანდებულის სპეციფიკაციები).

ვინაიდან თანამედროვე სპარსულში 1-რნ-თანდებული, როგორც წესი და ნორმა, ოდენ პირდაპირი დამატების გაფორმების საშუალებაა, მისი გამოჩენა წინადადებაში თავისთავად უმეტესწილად პირდაპირი დამატების ამოცნობის საშუალებაა. შდრ., მაგ.,: *كتاب می خوانم/می خونم* ქეთაბ მიხანამ/მიხუნამ „[რალაც] წიგნს ვკითხულობ„ ან „[ზოგადად] წიგნს ვკითხულობ„ და *آن کتاب را می خوانم* ან ქეთაბრან მიხანამ/მიხუნამ „იმ წიგნს ვკითხულობ„. უკანასკნელ შემთხვე-

ვაში წიგნი გარკვეულია და ცნობილია მოლაპარაკეთათვის.

რ-რ- თანდებულის ნაცვალსახელით გამოხატული პირ-
დაპირი დამატების სინონიმური მორფოსინტაქსური გამოხატუ-
ლებაა პირდაპირ ზმნაში-შემასმენელში ენკლიტიკური ნიშნით და-
ფიქსირებული პირდაპირი დამატების შესაბამისი პირი ანუ, პირუ-
კუ, პირდაპირი დამატების მიერ ენკლიტიკით მართული ზმნა.
მაგ., خدا حافظ کند // خدا حافظ کند

ხოდან ურან ჰეფზ ქონად // ხოდან ურან ჰეფზ ქონად „ღმერთმა დაიფაროს იგი“; من اورا

من اورا // من اورا მან ურანადიდე ბუდამ//მან ნადი-

დე ბუდამამ „მე ის არ მენახა“; من اورا // من اورا

მან ურან მიბინამ//მან მიბინამამ „მე მას ვხედავ“ და მისთ.

შემასმენელი მართავს ირიბ ობიექტს. შემასმენელი მარ-
თავს ირიბ დამატებას (ობიექტს) პირველ რიგში და უმეტესად
ჰ-ბე-წინდებულის საშუალებით, მაგრამ ირიბ ობიექტად ზოგი
სხვა წინდებულთა გაფორმებული წევრიც მოიაზრება. ასეთია
წინდ. برای / برا ბარანდე/ბარან „თვის“, بر ბარ „ზე“, از აზ „გან“,
და სხვა გარემოებითი წინდებულები. კლასიკურ სპარსულში
გვხვდება წინდ. با ბა „თან“.

გარდა ამისა, კლასიკურ ლიტერატურაში, ფოლკლორში,
პოეზიაში, ანდაზებში რ-რ-თანდებულის ირიბი ობიექტის მარ-
თვა ერთ-ერთი ნორმაა. ამ ძველი ნორმის მემკვიდრეობა იშვიათად
თანამედროვე ლიტერატურულ და სასაუბრო ენაშიც იჩენს თავს.

ნორმატიულად ირიბი ობიექტი ჰ-ბე-წინდებულის საშუა-

ლებით იმართება: *دانشجو کتاب را به دانشجو دادم* -
გუ დამად „ნიგნი სტუდენტს მივეცი“; *به دوست نامه فرستادم* -
ბე დუსთ ნამე ჭერესთამად „მეგობარს წერილი გაუგზავნე“;
می توانم به به بچه گفتم „ბავშვს ვუთხარი“.

სასაუბრო ენაში ზე-ბე წინდებულის მეშვეობით იმართება
ენკლიტიკური ნაცვალსახელებით გამოსატული ირიბი ობიექ-
ტიც, რაც წარმოდგენილია წინდებულთან ენკლიტიკის მიერთე-
ბის, შერწყმის სახით. მაგ., შდრ.: *می تواند به او کمک کند* //

می تواند به او کمک کند მითავანად ბე უ ქომაქ ქო-
ნად//*میتواند به او کمک کند* მითუნად/მითუნე ბეჰემ (ბემ) ქომაქ ქონად
„შეუძლია დაეხმაროს მას“; *آنها چی بهتر/بتر گفتند؟*

آنها چی بهتر/بتر گفتند؟ ბეჰეთუნ (ბეთუნ) გოჭთანდ? „მათ რა გითხრეს თქვენ?“; *شما*
بهبش/بشون چی گفتید؟ შომან ბეჰემუნ (ბემუნ) ჩი გოჭთიდ?

چرا هیچی نمی گویی؟ „თქვენ მათ რა უთხარი?“; *چرا هیچی نمی گویی؟*
بمون بگید! „რატომ არაფერს მეუბნები?“;

بهبش/بش بدهید/بدید ბე-
ბემუნ ბეგიდ „ჩვენ გვითხარი!“; *ده تومان به داد، می*

ده تومان به داد، می ბედეჰიდ (ბედიდ) „მას მიეცით“; *دو تومان بهش/بش بدهم/بدم*
دو تومان بهش/بش بدهم/بدم დაჰ თუმან ბემ დად,
دو تومان بهش/بش بدهم/بدم მინასთამ დო თუმან ბეჰემ (ბემ) ბედეჰამ (ბედამ) „ათი თუმანი

მომცა, მინდოდა მისთვის ორი თუმანი მიმეცა“; چندان احترامی
 نگذاشتند بهش/بش ჩენდაჲ ეჭთერაჲმი ბეჰეშ (ბეშ) ნაგოზაშ-
 თანდ „ისეთი პატივი მას არ დასდეს“; بت ბეთ მიგამ „შენ გეტ-
 ყვი“; بمون، بشون، بفرست بشان، بمان ბეჭერესთ ბეშუნ
 ბეშუნ; می فرستم بتون მიჭერესთამ ბეთუნ „გაუგზავნე მათ,
 გამოგვიგზავნე ჩვენ; გამოგიგზავნით თქვენ„
 აღსანიშნავია ასეთი შერწყმული ირიბი ობიექტის მიდრე-
 კილება ინვერსიული რიგისკენ, ზმნის-შემასმენლის შემდეგ
 პოსტპოზიციისკენ: بش بدهید/بديد بش ბედეჰ, ბედეჰიდ (ბე-
 დიდ) ბეშ „მიეცი, მიეცით მას“; بشو بگو، بگويد ბეშ
 „უთხარი, უთხარით მას„ (იხ. სიტყვათა რიგი).

გამოთქმაში ამგვარი ენკლიტიკურ-წინდებულური პოს-
 ტპოზიციური ირიბი ობიექტი ზოგჯერ კარგავს ენკლიტიკას და
 მხოლოდ წინდებულნი ა-ბე- რჩება არსებითად ირიბი ობიექტის

აღსანიშნავად: به بگو به، بده بده ბედე ბე, ბეგუ ბე და მისთ.

სასაუბრო ენაში სხვა ელემენტებსაც ერწყმის ირიბობი-
 ექტური ენკლიტიკა: მაგალითად, სხვა ნაცვალსახელებს (კით-
 ხვით, უარყოფით ნაცვალსახელებს), ხოლო კლასიკურ სპარ-
 სულში კი კავშირებსაც და სხვა დამხმარე სიტყვებსაც. მაგ.:

؟شده اش /چه شده؟ ჩიშ შოდე? (ჩე აშ შოდე?) „რა მოუვი-
 და მას?“; هيجچيش/هيچچي اش منى شه ჰიჩჩიშ (ჰიჩ ჩი აშ)

ნემიშე „მას არაფერი მოსდის (ემართება)„
 წინდებულისანი ენკლიტიკა ყველა ამ შემთხვევაში წინდე-

ბულიანი ნაცვალსახელის შემცვლელი სინონიმია ირიბი ობიექტის ფუნქციით: به من // بم، به تو // بت، به او // بش، به ما // بمون، به ایشان // بهشون
 უ=ბეშ, ბე მან=ბემ, ბე თო=ბეთ, ბე შმა//ბტონ, ბე აიშან//ბეშონ „მე, შენ, მას, ჩვენ, თქვენ, მათ„.

რ-რან- თანდებული იშვიათ შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს თანამედროვე სასაუბრო ენაში წმინდა ირიბობიექტური ფუნქციით, რაც კლასიკური სპარსულისთვის ერთ-ერთი ნორმაა. მაგ.: ایشان را چی شده؟ იშანრან ჩი შოდე? „მათ/მას რა

მოუვიდა?„. ასეთ ნიმუშებში რ-რან- თანდებული ჰ-ბე-წინდებულის ან ირიბი ენკლიტიკური მორფების სინონიმია ანალოგიურ ფრაზებში, როგორცაა: هیچچیش شده؟
 შოდე, ჰიჩჩიშ ნემიშე „მას რა მოუვიდა/დაემართა?, მას არაფერი მოსდის/ემართება„ (იხ. -რან-თანდებულის სპეციფიკაციები).

წინდებულთაგან ირიბი დამატების (ობიექტის) ძირითადი მახასიათებელია ჰ-ბე-, მაგრამ ირიბ დამატებად მოიაზრება ზოგჯერ ისეთი ზოგი სხვა წინდებულთაგან დაფორმებული დამატებებიც, რომელიც საზოგადოდ უბრალო დამატებებისა და გარემოებითი დამატებების, გარემოებითი სიტყვებისა და გარემოებების გამფორმებლად გვევლინება. ასეთებია: برای/بر،

از, ბარანდე/ბარან, აზ, იშვიათად بر ბარ, და შესაძლოა სხვაც შეგვხვდეს, მით უმეტეს ლიტერატურაში. აქაც დასაშვებია შერწყმული წინდებულის-ენკლიტიკური ფორმებიც, რაც ძალიან დამახასიათებელია თანამედროვე სასაუბრო ენისთვის. ენკლიტიკური მორფი ამ შემთხვევაში ნაცვალსახელისა ან სხვა სახე-

ლის სინონიმად გვევლინება და ფრაზაში გრაფიკულადაც წინ-
დებულთან ერთად შერწყმული სახით განცალკევებით იწერება.

მაგ.: *برات / تو / برا / برای* ბარანე/ბარან თო/ბარათ ხარიდამ

„შენ გიყიდე/შენთვის ვიყიდე“; *برای / برا شما / براتون می خوانم*
ბარანე/ბარან შომან/ბარანთუნ მიხანამ „თქვენ გიკით-
ხავთ/თქვენთვის ვკითხულობ“; *براش خواندم* ბარან ხანდამ „მას
წავუკითხე“; *ازش پرسیدم* აზაშ ფორსიდამ, *پرسید* აზაშ
ბეფორსიდ „მას ვკითხე/მისგან ვიკითხე, მას ვკითხეთ“; *ترسیم*
ازت / از تو می ترسیم აზაშ/აზაშ თარსიდამ, *ترسیم*
აზათ/აზ თო მითარსამ „მისი შემეშინდა, შენი მეშინია“; *خدا*
رحمت کند بر او / به او // خدا رحمتش کند
ნად ბარ უ (ბე უ) // ხოდან რაჰმათაშ ქონად „ღმერთმა შეუნდოს
მას„.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა წინდებულების ამგვარ
გამოყენებას თავად ზმნების-შემასმენლების ლექსიკური სემან-
ტიკა (მნიშვნელობა) განსაზღვრავს.

სხვადასხვა ირიბობიექტური წინდებულებისა და იმავ-
დროულად პარალელურად *را-რან-* თანდებულის გამოყენება
ნათლად ვლინდება სპეციალურ გამოთქმებში, შენაერთებში,
მათ შორის, – რთულ ზმნებში. მაგ.: *را*, *از*, *مواظبت کردن*
از درخت მოვანებათ ქარდან (აზ, რა) „მოვლა ვისი/რისი“:

مواظبت می کند აზ დერახთ მოგაზებათ მიქონად „ხეს უვლის,,

და მრ. სხვა (იხ. ლექსიკონი).

ერთზე მეტწინდებულისანი (ორი და მეტი) პარალელური სინონიმური მართვა რთულ ზმნებში საკმაოდ გავრცელებულია: **ბე ბე** და **ბრ ბარ**, **ბე ბე** და **რ-რ-თანდ.**, (მასთან, **რ-რ-თანდებული** პირდაპირი დამატებაც შეიძლება იყოს და ირიბიც); **ბე ბე** და **აზ აზ**; **აზ აზ**, **ბე ბე** და **რა რა**; და სხვა (იხ. ლექსიკონი; იხ. მართვა რთულ ზმნებში). ამ წინდებულურ-თანდებულურ ვარიანტებში ირიბი ობიექტიც მონაწილეობს.

ენკლიტიკურ შერწყმულ ფორმებში წინდებული მართავს ენკლიტიკას, ანუ ენკლიტიკასთან ერთად შერწყმული სახით გამოხატავს ირიბი დამატების (ირიბი ობიექტის) ფორმას.

ირიბი დამატება **სახელს დართული** წმინდა, სუფთა **ენკლიტიკაც** გამოიხატება, რაც კლასიკურ ენაში ერთ-ერთი ნორმია, მაგრამ თანამედროვე ენაშიც გვხვდება, მეტად, მხატვრულ ლიტერატურაში ან სპეციალურ გამოთქმებში, ფორმულებში. სუფთა **ირიბობიექტური ენკლიტიკა ერთვის სახელს**, სხვა წევრს, მაგ., პირდაპირ დამატებას: **پولت می دهم** *ფულათ მიდე-*

ჰამ „ფულს-შენ მოგცემ“; **خدا عمرت بدهد** *ხოდ ომრ-ათ ბედე-*

ჰად „ღმერთმა ცხოვრება-შენ მოგცეს (გაცოცხლოს)„.

სახელს დართული **ირიბობიექტური კლიტიკები სასაუბრო ენაშიც გვაქვს**. ამის ნიმუშებია შემდეგი ფრაზები, სადაც ქვემდებარის აღმნიშვნელ ნაცვალსახელებზე მირთულია ირიბი ობიექტის გამომხატველი კლიტიკები: **چیش شده/هیچچیش نمی**

ش *ჩიშ შოდე*, *ჰიჩჩიშ ნემიშე* „რა-მას მოუვიდა/დაემართა? არა-ფერი-მას არ მოსდის/არ ემართება„.

იმავედროულად, შემასმენლისგან ირიბი ობიექტის მარ-

თვის ყველა ზემოჩამოთვლილ თუ სხვა შესაძლო ვარიანტს გა-
აჩნია გამოსატვის კიდევ ერთი **ალტერნატიული ფორმა**: როდე-
საც ირიბი ობიექტი ენკლიტიკის მეშვეობით აღინიშნება უშუა-
ლოდ შემასმენლურ ზმნაში შესაბამისი პირის სახით. ამ შემ-
თხვევაში **პირუკუ მართვაა: ირიბი ობიექტი** მართავს შემასმენ-
ლის ზმნურ ფორმას პირში კლიტიკური მორფების, – **პირის**

ნიშნების ანუ პირის მარკერების საშუალებით. მაგ.: **كَمْ كَنْ**

ქომაქამ ქონ „დამეხმარე“; جوابش بده ჯავაბშ ბედეჰ „უპა-

სუხე, პასუხი გაეცი“; خدا رحمتش کند ხოდა რაჰმათაშ ქონად

„ღმერთმა შეუნდოს“; گفتمش გოჭთამაშ „ვეუთხარი-მას“;

*دادمش დადამაშ „მივეცი-მას; „ (იხ. ზევით ირიბი დამატების
მართვა).*

მართვა რთულ ზმნებში. განსაკუთრებულ ყურადღებას
მოითხოვს სხვადასხვა დამატებების მართვა რთულ ზმნებში.
გამომდინარე რთულ ზმნათა კომპონენტების ლექსიკური მნიშ-
ვნელობის, მორფოლოგიური ფორმებისა და სხვადასხვა გრამა-
ტიკული კატეგორიებიდან, აგრეთვე გამომდინარე მთლიანად
რთულზმნური შენაერთის საერთო მნიშვნელობიდან და
სტრუქტურულიდან, პირდაპირი, ირიბი თუ უბრალო და გარემოე-
ბითი დამატებები ამა თუ იმ რთულ ზმნას სპეციფიკურად შეენ-
ყოებიან. არსებითად აქ ლაპარაკია **რთულ ზმნათა შინაგან მარ-
თვაზე.** ეს მართული თუ მართვადი დამატებები, ისევე როგორც
სხვა წევრები და ელემენტები (მაგ., ჩართული ან ჩართვადი
კლიტიკები), რთულ **ზმნათა ჩარჩოების** (მინიმალური ჩარჩოსე-
ბური სტრუქტურის, ჩარჩოსებური კონსტრუქციის) ფარგლებ-
ში შედის. ყველა შემავალი ელემენტი რთული ზმნის სტაბილუ-
რი სტრუქტურის **მუდმივი** ან **ფაკულტატური, მყარი ან მონაც-
ვლე წევრებია.**

საკმაო სირთულეს შეადგენს პირდაპირი, ირიბი ან/და
უბრალო დამატებების მართული ფორმების განსაზღვრა და

რომლებიც ამა თუ იმ დამატებას ერთზე მეტი პარალელური სინონიმური ფორმებით შეიწყობენ: პარალელურად და სინონიმურად გამოყენებადია რამდენიმე წინდებული ან თანდებული რ-რნ-. ძირითადად ფიქსირებადია **ორი** ან იშვიათად **სამი პარალელური** ფორმა: ორი წინდებული, წინდებული და თანდებული, ორი წინდებული და თანდებული.

მაგ.: مواظبت می کند از درخت / مواظبت می کند درخت را :

მოვაზებათ მიქონად აზ დერახთ/მოვაზებათ მიქონად დერახთრ „უვლის ხეს„. აქ დამატების ერთი ვარიანტი ირიბი გამოდის, მეორე კი პირდაპირი. უფრო მეტად იხმარება პირველი (ჯ-აზ).

უმეტესად ზმნისთვის უახლოესი დამატებების გამფორმებელია წინდებულები بر, از, به, ب, აზ, ბარ, და თანდებული რ-რნ-. ზოგჯერ კი **წინდებულის შეცვლით მთლიანად იცვლება ზმნური შენაერთის მნიშვნელობა**. მაგ.: راضی شدن بودن از

რაზი შოდან/ბუდან (ჯ-აზ) „მონონება, კმაყოფილება (რამის, ვინმესი; რამით, ვინმეთი)“; راضی شدن بودن به „დათანხმება (რამეს, ვინმეს)„ (იხ. რთულ ზმნათა ვერტიკალები ლექსიკონში, სადაც მართვა აღინიშნება).

საკმაოდ ბევრია **სინონიმური, პარალელური** გამოყენებაც: ერთ წინდებულზე მეტი ერთი მნიშვნელობით ერთ და იმავე ზმნასთან.

სპეციფიკური მართვა წესებს არ ექვემდებარება: ყველა რთული ზმნა თავისებურად შეიწყობს ამა თუ იმ წინდებულით და თანდებულით მართულ დამატებას. ამიტომაც ეს მართული ფორმები **ლექსიკოგრაფიულადაა** დაფიქსირებული და დიდ ლექსიკონებში მითითებულია რთული ზმნის, თუ აუცილებელია, – მარტივი ზმნის ბუდეშიც, თუ რომელი წინდებულებით

ან თანდებულთ უნდა იხმარებოდეს დამატება კონკრეტულ ზმნურ შენაერთთან თუ რთულზმნურ ფრაზეოლოგიზმთან. ასეთ შემთხვევებში მართვის ფორმები ანუ ზმნებთან შეწყობილი დამატებები თვით რთული ზმნებისგან განუყოფლად უნდა დავიხსოვოთ, როგორც ერთიანი სტრუქტურული ერთეული. მით უფრო, რომ წინდებულის შეცვლით ზოგჯერ მთლიანად შენაერთის მნიშვნელობა სრულებით იცვლება. წინდებულთა არჩევანი კონკრეტულ ზმნასთან კონკრეტულ ხასიათს ატარებს და სემანტიკურადაც და სტრუქტურულადაც შეზღუდულია. გარდა ამისა, ბევრ რთულ ზმნასთან წინდებულის პარალელურად რ-რნ- თანდებულთაც იხმარება ანუ პარალელურ-სინონიმურ მართვასაც აქვს ადგილი. ზოგჯერ კი ეს პარალელიზმი გარკვეულ სემანტიკურ სხვაობასაც გვაძლევს, თუნდაც ნიუანსობრივს. (იხ. მაგალითებში).

მაგალითები: *از این کتاب استفاره می کنم* აზ ინ ქეთაბ ესთეფარე მიქონამ „ვიყენებ ამ წიგნს/ვსარგებლობ ამ წიგნით“; *دارم به این کتاب احتیاج* ბე ინ ქეთაბ ეჰთიძაჯე დარამ „ეს წიგნი მჭირდება“; *ایشون احتیاج دارند به مترجم* იშუნ ეჰთიძაჯე დარანდ ბე მოთარჯემ „მას/მათ სჭირდებათ თარჯიმანი“; *از این باغ مواظبت می کنم* აზ ბაყ მოვაზებათ მიქონამ „ბაღს ვუვლი“; *محتاجم به چیزی* მოჰთაჯამ ბე ჩიზი „მჭირდება რამე/ვსაჭიროებ რამეს“; *قانع هستم به چیزی* ყანე' ჰასთამ ბე ჩიზი „კმაყოფილი ვარ რაიმით“; *از شما سپاسگذاری می کنم* აზ შმა სპასგძარი მიქონამ „გმადლობთ/მადლობას გიხდით“; *از لطف شما سپاسگذارم* აზ ლოთჰე შომან სეფაზგოზარამ

„თქვენი კეთილგანწყობისთვის მადლობელი ვარ“; **از شما**
متشكرم აზ **შომან მოთეშაქქერამ** „მადლობელი ვარ თქვენი“;
سرتان را درد ندهم „არ შეგანუ-
 ხებთ/თავს არ აგიტკივებთ“; **ازت ممنونم** აზათ **მამნუნამ** „შენი
 მადლობელი ვარ“; **من ایش راضی هستم** აზ **ნემანდემ რაზი** ჰას-
 თამ „სპექტაკლი მომენონა/სპექტაკლის კმაყოფილი ვარ“; **به**
شما راضی هستم ბე **შომან რაზი** ჰასთამ „თქვენ გეთანხმებით“;
خدا رحمت „იმათ კი/ხომ არ ეთანხმება“; **او/بر او/برو** „ღმერ-
 თმა შეუნდოს“; **به مسافرت خیلی علاقه دارم//علاقمندم** ბე
მოსაფერათ ხეღლი ‘**الایعه** დარამ „მოგზაურობა ძალიან მიტა-
 ცებს, მიზიდავს/მოგზაურობა ძალიან მაინტერესებს//დაინტე-
 რესებული ვარ“; **این شهر از بسیاری ضروریات شهری محروم**
است ინ შაჰრ აზ ბესდარი ზარურდიდათე შაჰრი მაჰრუმ ასთ
 „ეს ქალაქი მოკლებულია ბევრ პირველად საქალაქო საჭიროე-
 ბას“; **در این موضوع نظر گرفته شد** ინ მოუზუ’ დარ ნაზარ გე-
 რეფთე შოდ „ეს საკითხი მიღებულ იქნა მხედველობაში“; **از این**
کار سر در نمی آورم აზ ინ ქარ სარ დარ ნემიანვარამ „ამ საქ-

მეს თავს ვერ ვართმევ/ვერ ვაბამ“; از موزه ها / موزه هارا

„მუზეუმები და ვათვალისწინებ“; از مادر بزرگم بازديد كردم

„ბები ჩემი მოვინახულე/ბებია ჩემს ვენწივ“; از/با استاد ديدار كرديم

„პროფესორს შევხვდით, პროფესორი ვნახეთ“; از تأثر ديدار كردم

„თეატრ დიდარ ქარდ“ „თეატრს ეწვია (თეატრში იყო)“; از/با

ديدار مي كردم خواهرم

„ჩემს დას ვნახულობდი [ხოლმე] (ჩემს დასთან დავდიოვი)“; از رساله // رساله ی علمی / رساله را دفاع // مدافعت // مدافعه می کند

„დისერტაციას ელმი/რესალერა“

„დასაჯივ“; از/با

معاون ایشان پذيرايی ای كرديم

„ელჩი და მისი მოადგილე-ები მივიღეთ“; از مهمان محترم / مهمان محترم را پذيرايی کردند

„საპატიო სტუმრები მიიღეს/ისტუმრეს“; და მრ სხვა (იხ. ლექსიკონი).

რთულზმნურ მართვას განეკუთვნება დამატებათა ენ-კლიტიკური გამოსატვაც რთულ ზმნათა ფორმებში, მაგრამ ეს განიხილება დამატებათაგან ზმნათა ენკლიტიკური მართვის საკითხებთან (იხ. ზევით მართვა: პირდაპირი და ირიბი დამატე-

ბები).

შემასწავლებელი მართავს უბრალო დამატებებს. შემასწავლებელი მართავს უბრალო დამატებებს უამრავი სხვადასხვა წინდებულისა და ზოგჯერ 1-რწ თანდებულის საშუალებით;

კლასიკურ სპარსულში კი 1-რწ თანდებული უბრალო დამატე-

ბის გაფორმების ერთ-ერთი ნორმაა. წინდებულებში აქ იგულისხმება როგორც მარტივი, ისე რთულშემადგენლიანი (შედგენილი) წინდებულები; როგორც პირველადი, ასევე მეორადი ნასახელარი წინდებულები, რომელთა რიცხვიც ფაქტობრივად დღევანდელ ენაში ზრდის ცოცხალ დინამიკურ პროცესში იმყოფება (იხ. წინდებულები მორფოლოგიაში).

გარდა ამისა, ერთგვარი სირთულეა, რომ შინაარსობრივად **ირიბი და უბრალო დამატებები** ზოგჯერ ძალიან უახლოვდებიან და ფორმობრივადაც ემთხვევიან ერთმანეთს წინდებულებითა და თანდებულით. ადგილი აქვს **სხვადასხვა წევრთა შინაარსობრივ შერწყმას ანუ სინკრეტიზმს**. მაგრამ თავად მართვისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს: მთავარია ვიცოდეთ, ესა თუ ის ზმნა ამა თუ იმ მნიშვნელობის დამატებით სიტყვას რომელი წინდებულის (ზოგჯერ კი თანდებულის) მეშვეობით შეინცობს. აქ საზოგადოდ საცოდნელია კარგად თვით წინდებულთა პირველადი და ძირითადი მნიშვნელობები. ერთ წინდებულს კი ხშირად ერთზე მეტი. რამდენიმე ან მრავალი მნიშვნელობა აქვს. მრავალფუნქციურია ზოგადად 1-რწ- თანდებულიც.

რაც შეეხება **წევრთა კვალიფიკაციას და კოდიფიკაციას**, ეს სინტაქსური ანალიზის საკითხია. დამატებათა ზუსტი განსაზღვრა განსაკუთრებით **რთულდება რთული ზმნების ჩარჩოების ფარგლებში**. ამ ჩარჩოებში **წევრთა სპეციფიკური გადააზრებაც** ხდება.

სხვადასხვა სახის მართული უბრალო დამატებების მაგალითები.: **میدم (ازش) او میوه از او (აზაშ) ხარიდამ**

სუფრა შეუკვეთე მისთვის, (ბარანდე/ბარან, ენკლ.); دو بلیت را
 برام تهیه کردند / برای من / برای دو بلیتორان ბარანდე
 მან/ბარანდამ/ბარანმ თაჰიდე ქარდანდ „ორი ბილეთი მიშოვეს,“
 (ბარანდე/ბარან, ენკლ.); با نهائیتی آبرومندی از مهمانها پذیرایی
 کردند ბანეჰნათი აბრუმანდი აზ მეჰმანჰან ფაზირანი ქარ-
 დანდ „უკიდურესად ღირსეულად მიიღეს სტუმრები,“ (აზ); ازت
 ممنونم دوست عزیز „შენი მად-
ადრეულ ისტორიულ ძეგლებში; ინვერსიის, განსაკუთრებით პოსტპრედიკატულობის (პოსტზმნურობის, პოსტშემასმენლურობის) საინტერესო ტენდენციებს მწერლობა გვთავაზობს შედარებით მოგვიანო შუასაუკუნეების ძეგლებშიც; თანმიმდევრული სტაბილიზაცია მკაცრი რიგისკენ, ბოლოკიდური ზმნით, იკვეთება მე-17, მე-18 სკ.სკ.-ების ტექსტებში; მე-19 სკ.-ის ტექსტებიდან და მე-20 სკ.-ის დასაწყისიდან კვლავ **ციკლურად** აქტიურდება სპეციფიკური ინვერსიული გამოყენება (მაგ., დამატებათა და გარემოებათა ბოლოკიდურობა ზმნის შემდგომ); ეს უკანასკნელი ტენდენცია სხვადასხვა ვარიანტებითა და მეტნაკლები ხარისხით ვითარდება შემდგომშიც დღემდე. რაც შეეხება პირველ რიგში სასაუბრო ენას, ცოცხალი მეტყველების ნაკადს (დისკურსს) და აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო ლიტერატურასა თუ სხვადასხვა ჟანრის სხვა ტექსტურ ნაკადებს: ყველაზე სტაბილურია, ნორმატიული რიგის თვალსაზრისით ოფიციალური პრესა; აგრეთვე სტაბილურია ძირითადად სხვადასხვა ოფიციალური გამოსვლების ტექსტური ნაკადები; მეორეს მხრივ, თავისუფალი რიგი საკმაოდ მაღალი ხარისხით მოქმედებს სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში, ფილმებში, თეატრში, ციფრულ კომუნიკაციებში (მობილური კავშირები, შეტყობინებები, მრავალფეროვანი ინტერნეტსივრცე) და ა. შ.

გამოყოფადია ინვერსიული ან თავისუფალი რიგის სხვადასხვა **ხარისხები** (ამ დებულების ავტორია წინამდებარე მონოგრაფიის ავტორი: იხ. შრომები); **მაგ.**, უმაღლესი ხარისხისაა სუბიექტისა და ზმნის რიგის შენაცვლება ანუ ქვემდებარე შემასმენლის (ზმნის) შემდეგ; პირველი ხარისხისაა სხვადასხვა დამატებათა გადანაცვლება ზმნის შემდეგ (დამატებათა ბოლოკიდურობა); მეორე ხარისხისაა გარემოებათა გადანევა ზმნის მერე, გარემოებათა ბოლოკიდურობა; პირველი ან მეორე ხარისხის ინვერსიად ჩაითვლება შედგენილი სახელური პრედიკატის (შემასმენლის) სახელურ ნაწილთა (კომპონენტთა) გადანაცვლებაც ზმნის (ზმნური კომპონენტის) შემდგომ. შემასმენლის (ზმნის) გარდა, დანარჩენ წევრთა უერთიერთგადანაცვლება ნაკლები ხარისხისაა; მაგ., ქვემდებარე და დამატება, გარემოებათა მოძრაობა და სხვა, მიეკუთვნება მესამე, მეოთხე ხა-

რისხის მობილურობას და ა. შ. ამდენად, უმნიშვნელოვანესი ინვერსიები აღინიშნება წევრთა მიმართებით შემასმენელთან (ზმნასთან). ამგვარად, შეგვიძლია გამოვიყვანოთ თავისუფალ რიგთა და სხვადასხვა ხარისხობრივ ინვერსიათა ძირითადი სქემები, გრაფიკული შკალებიც (ნახაზები).

მთავარი ნორმატივია ქვემდებარის და შემასმენლის რიგი: ქვემდებარე+შემასმენელი ანუ SP (სუბიექტ-პრედიკატი); დამატების დართვისას ნორმა SO (სუბიექტ-ობიექტი); სამი მთავარი წევრი ლაგდება, ამდენად, სქემით SOP. ახალსპარსულ ენაში სიტყვათა რიგის წამყვანი ნორმატიული ბირთვია SOP. გადანაცვლებათა ზემოდასახელებული დამკვებების შედეგად სქემებში გვექნება შესაბამისი ცვლილებები.

აქ მოგვყავს სტანდარტული სიტყვათგანლაგების ძირითადი წამყვანი ნორმატიული ფორმულა-სქემა, რომლის მიღებული სიმბოლოებია შემდეგი:

At- დროის გარემოება; S-ქვემდებარე; Od-პირდაპირი დამატება; Oid-ირიბი დამატება; Oext-უბელო დამატება; Ap-ადგილის გარემოება; Ac-მიზეზის გარემოება; Apurp-მიზნის გარემოება; Aoth-სხვად სხვადასხვა გარემოებანი; Asirc-ვითარების გარემოება; Attr-მსაზღვრელი; P-შემასმენელი, პრედიკატი.

შესაბამისად, სიმბოლოთა გამოყენებით სქემა-ფორმულა ასე გამოიყურება:

At- S- Od- Oid- Oext- Ap- Ac- Apurp- Aoth- Asirc- Attr- P

Attr

მსაზღვრელი ნაგულისხმევია ნებისმიერი სახელური წევრისთვის და გარემოებისთვის, მათ შორის. იგულისხმება აგრეთვე მსაზღვრელის მსაზღვრელი და მსაზღვრელთა მწკრივი. სქემაში მსაზღვრელი მიებმის საზღვრულ წევრს ვერტიკალურად; ხაზი მიანიშნებს ყველა წევრს **P-ს** გარდა.

მაგრამ ეს მხოლოდ პირობითი სამუშაო, აბსტრაქტული სქემაა. იგი ასახავს დღესდღეობით არსებულ წამყვან ნორმებს, მაგრამ სინამდვილეში ცოცხალ ენაში ყველაფერი გაცილებით რთულადაა.

სიტყვათგანლაგების ნებისმიერ ანალიზს, აღწერას, შესწავლას, განხილვას და დახასიათებას, კვალიფიკაციას, განსაზ-

თვრას და კოდიფიკაციას ართულებს შემდეგი ფაქტორებიც:

რთული ზმნები თავისი ჩარჩოთი, იზაფეთი და იზაფეთური ჯაჭვები, **ორ(მრავალ-)პრედიკატული** კონსტრუქციები თავისი ჩარჩოთი, **არაბული** მიმღობები მიმყოლი სიტყვებითურთ, სტანდარტული **შედგენილი** შემასმენელი (სახელური პრედიკატი), **სახელური** (ნომინალური) სტილი, **კოპულა** და მისი **ელიპსისი**, სხვადასხვა **საკვები** და **ელემენტები** და ა. შ. სხვ.

ამ თავში ყველა საკითხის თავმოყრა ძნელია და დეტალიზაციები თუ გამონვლილვითი სპეციფიკაციები, თავისებურებანი აგრეთვე გაბნეულია ამიტომ **სხვადასხვა თავებში საკითხთა შესაბამისად.**

რიგის საკითხებისადმი ამ კურსის ავტორს მიღწილი აქვს გამონვლილვითი სპეციალური ნაშრომების სერია (მწკრივი); გარდა ამისა, მრავალ სხვა საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებშიც ფიგურირებს სათანადოდ და შესაბამისად რიგის საკითხიც (იხ. მ. სახოკიას შრომები, სია).

სიტყვათგანლაგების ძირითადი სურათი თანამედროვე სპარსულში

სიტყვათა რიგი წინადადებაში თანამედროვე სპარსულში ძირითად წამყვან ფიქსირებულ ნორმას ექვემდებარება, მაგრამ რეალურად როგორც სასაუბრო ენაში ასევე მხატვრულ ლიტერატურაში ხშირია სხვადასხვა ხარისხის ინვერსიის ნიმუშები. ამდენად, წამყვან ნორმატიულ სქემატურ მოდელებს რეალურად თავისუფალი რიგის ტენდენცია ენაცვლება.

ამასთანავე გასარჩევია: ერთის მხრივ ზოგადი ანუ სტანდარტული რიგი და მეორეს მხრივ სპეციალური რიგი ანუ სპეციფიკური, სპეციალური კონსტრუქციების სიტყვათგანლაგების ვარიანტები (იხ. სპეც. კონსტრუქც.).

სიტყვათა რიგის მიმართებით გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები: სიტყვათგანლაგების ძირითადი მოდელები, **სტანდარტული რიგი**, **ნორმა** და **ტენდენცია**, **სტაბილური რიგი** და **ინვერსია**, ინვერსიის **ხარისხები**, **თავისუფალი რიგის** ნიმუშები, რიგი სტანდარტულ წინადადებასა და სპეციალურ კონსტრუქციებში; **სპეციალური კონსტრუქციების** ნორმა და

ინვერსია და სხვა დეტალები.

თანამედროვე სპარსულის **სტანდარტული რიგი** ძირითადად ნორმირებულად სტაბილურია, რაც ზოგადი სქემით გულისხმობს წინადადებაში ნევრთა გარკვეულ განლაგებას **ბირთვული რიგით ქვემდებარე-დამატება-ზმნა (შემასმენელი)** (იხ. ქვემოთ).

სიტყვათა რიგი: ნორმა, ტენდენცია და ინვერსია. წამყვანი ნორმის თანახმად, თანამედროვე სპარსულში ზოგადი ანუ სტანდარტული სიტყვათა რიგი ძირითადად ფიქსირებულია და გარკვეული წესებით მიხედვით სტაბილურია. ეს წესები ძალიან ზოგადი სქემით შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

At- S- Od- Oid- Oext- Ap- Ac- Apurp- Aoth- Asirc- Attr- P

Attr

დროის გარემოება-ქვემდებარე-პირდაპირი დამატება-ირიბი დამატება-უბრალო დამატება ადგილის გარემოება-მიზეზის გარემოება-მიზნის გარემოება-ვითარების გარემოება-შემასმენელი (პრედიკატი) ან მისი ზმნური ნაწილი (რთული ზმნის შემთხვევაში სახელური და ზმნური ნაწილი შეიძლება გაიყოს). ძირითადი ნორმაა ქვემდებარე-ობიექტი-შემასმენელი (პრედიკატი), თუმცა ამ წესს ართულებენ რთული ზმნები.

თავისთავად, სქემა გულისხმობს რთული ზმნების ფაქტორთა გათვალისწინებას. შემასმენელი ანუ **პრედიკატი რთული ზმნების სახით უპირატესია სპარსულში**. ასეთ შემთხვევაში ეს რთულზმნური შემასმენელი ხშირად **გაყოფილია სახელურ და ზმნურ ნაწილებად** და მათ შორის წინადადების სხვა ნევრებია **ჩართული** (დანვრ. იხ. შემასმენელი წინადადების ნევრებში და რთული ზმნები სპეციალურ კონსტრუქციებში).

ასევე გასათვალისწინებელია **ორ (მრავალ) პრედიკატული** ანუ **ორ (მრავალ) ზმნიანი შემასმენლების შემთხვევებიც**, როცა ორპრედიკატული შემასმენელი აგრეთვე შეიძლება **ინელებოდეს ჩარჩოს სახით** და ირთავდეს წინადადების სხვა ნევრებს **ორ ძირითად პოლუსს** შორის (იხ. ორპრედიკატული კონსტრუქცია სპეციალურ კონსტრუქციებში).

გარდა რთულზმნური და მრავალპრედიკატული სტრუქტურებისა, იდეალურ რიგს გაართულებენ **იზაფეთური სინტაგ-**

მები და ჯაჭვები, აგრეთვე **უიზაფეთო მსაზღვრელებიც**. იზაფეთური თუ უიზაფეთო მსაზღვრელი ყველა სქემაში ჩამოთვლილ ყველა სახელურ ნევრთან იგულისხმება. ნებისმიერ სახელურ ნევრს თავისთავად შეიძლება დაერთოს მისი მიმყოლი მსაზღვრელი ან მსაზღვრელთა მწკრივი, მათ შორის გარემოებებსა და გარემოებით სიტყვებსაც. გარდა ამისა, საერთო ქსელში ერთგებიან სხვადასხვა მიმყოლი წინდებულ-თანდებულებიანი შენაერთები, დანართები და სხვა. ასე რომ, ზემოთ წარმოდგენილი **იდეალური სქემა** მხოლოდ ერთგვარი **ჩონჩხის** ფუნქციას ასრულებს, სინამდვილეში კი **სიტყვათა რიგი ვარიაციულია, ძალზე ცვალებადი და მრავალფეროვანი**.

ამის გარდა, მხედველობაში მისაღება აგრეთვე **ელიპსირებული ზმნის** შემთხვევები და ნომინალური სტილის ანუ **ნომინალური (უზმნო)** ფრაზების რიგისა და ინვერსიის სხვადასხვა ვარიანტები (იხ. ნომინალური სპკ სპეციალურ კონსტრუქციებში). რიგზე აისახება არაბული ფორმებიც.

საერთოდ, ზემოთ მოყვანილი ზოგადი სქემა ძალიან პირობითია. სინამდვილეში, როგორც სასაუბრო ენაში, ისევე მხატვრულ ლიტერატურაში და ენის სხვა სფეროებშიც, რიგი საკმაოდ თავისუფალია. განსაკუთრებით ეს შეეხება სალაპარაკო ენას ანუ ცოცხალი მეტყველების ნებისმიერ ნაკადს. შედარებითი სტაბილურობით ხასიათდება პრესა, ოფიციალური საბუთები, დოკუმენტაცია და სხვა მისთ., რაც აგრეთვე არ არის აბსოლუტური.

ძირითადი ბირთვის სიტყვათგანლაგება: **ქვემდებარე-დამატება-პრედიკატი** მაინც წამყვან ნორმად ჩაითვლება, ხოლო ზემოთ მოყვანილი სქემაც მთლიანობაში ძირითადად ტენდენცია უფროა, ვიდრე აბსოლუტური ნორმა, თუმცა პირობითად იგი შეიძლება **პირობითად ნორმად** მივიღოთ. შესაბამისად, აღნიშნული სქემის ძირითადი პარამეტრების დარღვევა შეიძლება მივიჩნიოთ **ინვერსიად**. ინვერსია პირველ რიგში შეეხება ნებისმიერი ნევრის **შემასმენლის შემდგომ, პოსტპრედიკატულ პოზიციას**.

რაც მთავარი, სალაპარაკო ენის ნაკადში (گفتاری)

გოჭთარი) ძალიან გავრცელებულია ინვერსიის შემთხვევები, რომელთა სიხშირე ზოგადად თავისუფალი რიგის ხარისხს უახლოვდება. იმავდროულად ეს ვითარება ბექდურ ენაშიც (نوشتاری *ნევეშთარიშიც*) საკმარისად იჩენს თავს.

პრედიკატის ანუ შემასმენლის ბოლოკიდურობა პირობითად ძირითადი ნორმაა, ხოლო წევრების ბოლოკიდურობის მიხედვით შეიძლება გამოიყოს *ინვერსიის* სხვადასხვა ხარისხები. მაგ., ქვემდებარის ბოლოკიდური ანუ პოსტპრედიკატული პოზიცია შეიძლება ჩაითვალოს უმაღლესი ხარისხის ინვერსიად, რადგან მიღებული ნორმის მიხედვით, რიგი *ქვემდებარე-პრედიკატი* ძირითადი ბირთვის ნორმაა. ასეთი ინვერსია შედარებით იშვიათია, მაგრამ ლიტერატურაშიც გვხვდება. შემდგომი ხარისხის ინვერსიები იქნება დამატებების (პირდაპირი, ირიბი, უბრალო), გარემოებების ბოლოკიდურობა, რაც მთლიანობაში შედარებით უფრო ხშირია, ვიდრე ქვემდებარის პოსტპრედიკატულობა. მაგ., პირდაპირი დამატების ინვერსია უფრო იშვიათია და ხარისხით უფრო მაღალია, ვიდრე სხვა სახის დამატებებისა, როგორც ირიბი და უბრალო დამატება, და ა. შ. მაღალ ხარისხად ჩაითვლება სახელური (შედგენილი) პრედიკატის ნაწილთა პოსტპრედიკატულობაც, თუმცა მეტად გავრცელებულია, ხშირია.

სინტაგმების კომპონენტები ერთმანეთს ვერ მოწყდებიან, თქმულს უნდა დაემატოს კიდევ იზაფეთისა და იზაფეთური ჯაჭვების ფაქტორი ანუ იმ მსაზღვრელების ადგილები, რომელიც ნებისმიერი სახელური წევრის მიმყოლი წევრის სახით შეიძლება იყოს ჩართული წინადადებაში. ეს **მიმყოლი** მსაზღვრელი გარემოებით წევრებსაც შეეხება. მსაზღვრელ-საზღვრულის საერთო პოზიცია სტაბილური იქნება იმ გაგებით, რომ ამ სინტაგმების კომპონენტები ერთმანეთს ვერ მოწყდებიან; ამ საზღვრულის ადგილი წინადადებაში განსაზღვრავს მსაზღვრელის ადგილსაც (იხ. მსაზღვრელ-საზღვრული მორფოლოგიაში და მსაზღვრელი სინტაქსში).

ინვერსია ანუ იდეალური რიგიდან გადახვევა სხვადასხვა ხარისხისაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვისობრივად

უმაღლესი ხარისხის ინვერსია: პრედიკატი+ქვემდებარე ანუ ქვემდებარის პოსტპრედიკატული (ბოლოკიდური, ზმნის/შემას-მენლის შემდგომი) პოზიცია. ეს ყველაზე იშვიათი ინვერსიაა.

მაგ. „*من سربازم* სარბაზამ მან „ჯარისკაცი ვარ მე“; *بيچاره*

خوب ბიჩარე ჰასთამ მან „საწყალი/საბრალო ვარ მე“;

کو؟ ხუბ ჰასთიდ შმა? „კარგად ხართ თქვენ?“;

تا زبر نشه يا؟ „სად[აა] საპონი?!“; *چو صابون؟* ზებ

خوبه حرکتش خیلی ნაშე ფა „რათა არ გახეხემდეს ფეხი“;

ხელი ხუბე ჰარაქათაშ „ძალიან კარგია მისი მოძრაობა„. შემდგომ ხარისხობრივად პირველ ადგილზეა **პირდაპირი და/ან ირიბი დამატების პოსტპრედიკატული პოზიცია**. ასეთ დამატებათა ბოლოკიდურობა საკმარისად ხშირია და გავრცელებული.

მაგ. „*این کتاب را خواندم* ხანდამ ინ ქეთაბრა „წავიკითხე ეს წიგ-

ნი“; *من را/من بوده* ნაბლან ნადიდე ბუდე

مانرا/مانرش „ადრე არ ვენახე მე“; *گفتم* გოჭთამ ბეშ „ვუთ-

ხარი მას“; *بم کردند* ბეშ ბედიდ ბეშ „მომეცით მე“;

ქომაქ ქარდანდ ბემ/ბე მან „დამეხმარნენ მე“; ხარისხით უფრო დაბალია შემდგომ უბრალო დამატების, სხვადასხვა დამატებითი და გარემოებითი სიტყვებისა და გარემოებების ბოლოკიდურობა, რაც ძალიან ხშირია. დამატებისა და ქვემდებარის ადგილების ურთიერთშენაცვლებაც მაღალი ხარისხის, პირველი რიგის ინვერსიას განეკუთვნება. **მაგ.** *این کتاب را/من*

من خواندم ხანდამ ქეთაზრან მან/ქეთაზრან მან ხანდამ... „ნავი-

კითხე წიგნი მე/წიგნი მე ნავიკითხე“. დანარჩენი წევრების ურთიერთგადანაცვლება იდეალურ სქემასთან შედარებით, ნაკლები მნიშვნელობისაა, დაბალი ხარისხის ინვერსიაა და შესაბამისად უფრო ხშირია. ზოგადად. ჯამში გამოდის, რაც უფრო მაღალია ინვერსიის ხარისხი ანუ მისი განსაკუთრებულობა, მით უფრო იშვიათია იგი; რაც უფრო დაბალია ინვერსიის ხარისხი, მით მეტია სიხშირე. ძალიან ხშირად ბოლოკიდურობს აგრეთვე **შედგენილი (სახელური) პრედიკატის/შემასმენლის სახელური ნაწილი**, მრავალთაგან ყველა სახელური ნაწილი, რამდენიმე სახელურ ნაწილთაგან ერთ-ერთი ან მრავალი; ზოგჯერ კი ამგვარი შემასმენლის მრავალი სახელური ნაწილიდან ერთი რჩება პრეპოზიციულ პოზიციაში, დანარჩენი კი მწკრივად გადადის პოსტპრედიკატულ ადგილზე სხვადასხვა ვარიანტებით,

მაგ., *ميوه شیرین است و خوشمزه* მივე შირინ ასთ ვა ხოშმაზე

„ხილი ტკბილია და გემრიელი“, და ა. შ.; ასეთი ინვერსიაც **მაღალი ხარისხის** ინვერსიას განეკუთვნება, რადგან **სახელური ნაწილები აქ პოსტპრედიკატულია**; იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ **სახელური (შედგენილი) პრედიკატის სახელურ ნაწილთა პოსტპრედიკატულობა საკმაოდ გავრცელებული და ხშირი ინვერსიაა სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში**, მათ შორის, მაგალითისთვის, სახელმძღვანელოებსა და საკითხავ სასწავლო წიგნებშიც (იხ. მაგალითები ქვემოთ). ინვერსიული ანუ პოსტპრედიკატული შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის დანართი ან მისი ნაწილი მხოლოდ, იზაფეთური ჯაჭვის ნაწილი, აგრეთვე წინადადების რომელიმე განმეორებული წევრი, მათ შორის რთული ზმნების სახელური ნაწილებიც, მიმყოლი განსაზღვრებითი სიტყვებითა თუ პასაჟებით, უკავშირო ფსევდო(კვაზი-) ქვენწყობის ნაწილები, განკერძოებული სიტყვები, ჩართულები და სხვა მრ. (იხ. მაგალითები ქვემოთ; იხ. განკერძოების თავიც).

რაც შეეხება კლასიკურ სპარსულ მწერლობას, **თავისუფალი რიგი განსაკუთრებულად აღინიშნება ადრეულ კლასიკურ მწერლობაში**, კერძოდ, ისტორიოგრაფიულ პროზაში. რიგის

თავისუფლების ხარისხი ზოგადად ნელ-ნელა და თანმიმდევრულად კლებულობს მიმართულებით ძველიდან ახლისკენ, მაგრამ თანამედროვე ენაში კვლავ ახალი ძალით იჩენს თავს.

მხატვრულ ლიტერატურაში ინვერსია ხშირად მეტადაა მოტივირებული და ემსახურება გარკვეული ნევრების გამოყოფისა და ხაზგასმის პრინციპს, მაგრამ ზოგადად, განსაკუთრებით სასაუბრო ენაში, პოსტპრედიკატულობა და ბოლოკიდურობა უფრო თავისუფალი რიგის ტენდენციას აჩვენებს, ვიდრე ვინრო, სპეციალური მოტივირებისა.

ინვერსიის შემთხვევები, როცა მსაზღვრელთა ნაწილი პოსტპრედიკატულობს. მაგ.: این میوه شیرین است و مفید. آن

كتاب جالب است و جدید و معاصر

ინ მივე შირინ ასთ ო მოჭიდ, ან ქეთაზ ჯალეზ ასთ ო ჯადიდ ო მო'ასერ „ეს ხილი ტკბილია და სასარგებლო; ის წიგნი საინტერესოა და ახალი და თანამედროვე“. სახელური პრედიკატის კომპონენტთა ბოლოკიდურობა ინვერსიის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი, გავრცელებული სახეობაა, განსაკუთრებით სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურაში.

იმავდროულად, სალაპარაკო ენის (گفتاری) ნაკადში საკმარისადაა გავრცელებული ინვერსიის შემთხვევები, რომელთა სიხშირე თავისუფალი რიგის ხარისხს უახლოვდება. نوشتاری

گفتاری) იჩენს თავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია უმაღლესი ხარისხის ინვერსია, – პრედიკატი-ქვემდებარე და პირველი ხარისხის ინვერსია პრედიკატი-პირდაპირი ობიექტი. შემდეგი, უფრო დაბალი (მეორე, მესამე) ხარისხის ინვერსიებია სხვა სახის ობიექტები (ირიბი, უბრალო) და გარემოებები. დაბალი ხარისხის ინვერსიები უფრო ხშირია და ჩვეულებრივი, ვიდრე მაღალი ხარისხისა. ძალიან ხშირია სახელური პრედიკატების სახელური ნაწილის ინვერსია (პოსტპრედიკატულობა) კოპულის მიმართ, განსაკუთრებით მრავალწევრიანი პრედიკატის

შემთხვევაში. ჩვეულებრივ, ხშირია ერთი სახელური ნაწილის კოპიის წინ დასმა და დანარჩენი ერთგვარი სახელური წევრების (ერთი, ორი ან მეტი) ბოლოკიდურობა. ეს უკანასკნელი ტიპი საკმაოდ მაღალი ხარისხის ინვერსიად ჩაითვლება: უტოლდება პირველი ან მეორე ხარისხის ინვერსიას. ინვერსიის კლების ხარისხი პირდაპირ პროპორციულია სიხშირისა და ჩვეულებრივი ხმარების ხარისხისა: რაც უფრო იშვიათია ინვერსია, მით მაღალია მისი ხარისხი და პირიქით. მაგ., ქვემდებარე შეიძლება სახელური პრედიკატის მერეც ბოლოკიდურობდეს, რაც უფრო იშვიათია და მაღალი ხარისხის ინვერსიად ჩაითვლება. მაგ., შევადაროთ სხვადასხვა ინვერსიულ ქვემდებარეთა ნიმუშები: *من سربازم* სარბაზამ მან „ჯარისკაცი ვარ მე“;

حرکتش خیلی خوبه ხეფლი ხუბე ჰარაქათაშ „ძალიან კარგია

მისი მოძრაობა“; *تو؟ می ری کجا می تویی؟* „სად მიდი-

ხარ შენ?“; *زیر نشه پا* ზებრ ნაშე ფა „არ გაუხეშდეს ფეხი“;

حوب ბიჩარე ჰასთამ მან „საწყალი ვარ მე“; *من هستم*

کو؟ „კარგად ხართ თქვენ?“; *شما؟*

کجا میری تو؟ „სად[აა] საპონი?“; *تو؟* „სად[აა] საპონი?“;

چند نفر نگشت شمار „სად წავიდე მე?“; *چند نفر نگشت شمار*

ნაჰარ ნაგაშთ შომარ „რამდენიმე კაცის გარდა არ შედგა ანგარიში/რაოდენობა/რიცხვი“; და სხვა მრ. (იხ. ამ ტიპის და სხვა სახის თავისუფალი რიგის მაგალითთა მეტი ჩამონათვალი ქვემოთ).

ამდენად, უნდა ითქვას: სტაბილური და ფიქსირებული რიგი ძირითადი წამყვანი წესია, მაგრამ არა აბსოლუტური ნორმა. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით თანამედროვე

ენაში ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია ერთდროულად და ურთიერთგამწონასწორებლად მოქმედებს: ტენდენცია ნორმისა და ტენდენცია ინვერსიულობისა ან თავისუფალი რიგისა. აღნიშნული ნორმისა და ინვერსიის პროპორციული შეფარდება და თავისუფალი რიგის ტენდენცია ზოგადად ცვალებადია და არათანაბარი სხვადასხვა შემთხვევებში, მაგრამ სასაუბრო ენის ნაკადში თავისუფალი რიგის ტენდენცია საკმაოდ ძლიერია. ჯამურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინვერსიულობა თუ თავისუფალი რიგი მისაღები ნორმის ერთი ვარიანტია.

მაგალითები:

სხვადასხვა სახის ინვერსიისა და თავისუფალი რიგის მაგალითებია: من سربازم سარბაზამ მან „ჯარისკაცი ვარ მე“; تا

پا زبر نشه تان ზებრ ნაშე ფან „რათა არ გახეხემდეს ფეხი“;

خوب بیکاره هستم ბიკარე ჰასთამ მან „საწყალი ვარ მე“;

خیلی؟ کارگاد ხაროთ თქვენ? „კარგად ხაროთ თქვენ?“;

خوبه حرکتش ხეღლი ხუბე ჰარაქათაშ „ძალიან კარგია მისი

მოძრაობა“; بودم سینما დირუზ დიროზ რაჭთე ბუდამ სინე-

ნემან „გუშინ წასული ვიყავი კინოში“; بر گشت خانه من ბარ

გაშთ ხანედე მან „დაბრუნდა ჩემს სახლში“; الآن برید فروشگاه

აღან ბერიდ ჭორუშგაჰ „ახლავე ნადით უნივერმაღში“; ایران

کشور است دارای حکومت جمهوری اسلامی

დარანდე ჰოქუმათე ჯომჰურიდე ესლამი „ირანი ქვეყანაა ისლამური

რესპუბლიკური ხელისუფლების მქონე“; جز چند نفر

نگشت شمار ჯოზ ჩანდ ნაჭარ ნაგაშთ შომარ „რამდენიმე კა-
 ცის გარდა არ მოსულა/არ შესრულდა/არ შედგა ანგარიში“; كو
 ჩე چه كار كنند بستنی را؟ „სად[აა] საპონი?“; چو صابون؟
 ქარ ქონანდ ბასთანირა „რა უყონ ნაყინს“; خوب بلدند زبان
 را ხუბ ბალადანდ ზაბანე ჭარსირა „კარგად იციან
 სპარსული ენა“; کمک کردند به من ქომაქ ქარდანდ ბე მან
 „დამეხმარნენ მე“; آمدن پائین „ჩამოვედი ძირს“;
 دادم دستش „ჩამოვართვი ხელი“; بگذار کنار
 بگویند ქენარ „გადექი/გადაინიე გვერდზე“; بریم آنجا
 „წავიდეთ იქ“; رفتیم دکان „წავიდეთ რაჭთიმ
 დოქან „ავდექით წავედით ღუქანში“; پیشنهاد کرد که برویم
 رستوران ფიშნეჰად ქარდ ქე ბერავიმ რესტორან „წინადადება
 მოგვცა წავსულიყავით რესტორანში“; داخل شدیم به دکان
 „შევედით ღუქანში“; الآن میرم منزل „აღახე შოდიმ ბე დოქან
 „ახლავე მივდივარ სახლში“; بعد از دو روز
 دکان باز آمدیم ہم با'د აზ დო რუზ ჰამ ბაზ ამადიმ დოქან

„ორი დღის შემდეგაც კვლავ მივედით ღუქანში“; *می بریم تو*
میروم توی მიზარამ თუ თეჰრან „მიმაქვს თეირანში“;
آب می ریزیم تو მირავამ თუღე აბ „მივდივარ წყალში“;
امشب می აბ დიგ „მირიზიმ თუ დიგ „წყალს ვასხამთ ქვაბში“;
تو ایرا ამ შაბ მირიმ თუ ოფერან „ამ სააღამოს მივდივართ
 ოპერაში“; *دوی بیفتی توش* დავი ბეგოჭთი თუშ „მეგონა მირბიხარ, ჩახტე შიგ“;
چه کار რა უქენი ჩემს *کردی پسرم را?* ჩე ქარ ქარდი ფესარამრა?
بیفتی? რა *کار کردند کیفم را?* ჩე ქარ ქარდანდ ქიჭამრა?
 უქენეს ჩემს ჩანთას?“; *پدر بدود* ბაღეშ „მამა(მისი) დაედევნოს/დაედევნება კვალდაკვალ“;
این ინ ფირანჰან ყაშანგთარ აზ ან „ეს კაბა უფ-
 რო ლამაზი[ა] იმაზე“; *این میز جدیدم است کلفتتر قشنگتر و*
گرونتر ინ მიზე ჯადიდამ ასთ ქოლოჭთთარ, ყაშანგთარ ვა გე-
 რუნთარ „ეს ჩემი ახალი მაგიდაა, უფრო მსხვილი, უფრო ლამა-
 ზი და უფრო ძვირი“; *می کند* خواننده های مارا این کلمات گیج می کند;
مژده ინ ქალამათ გიჯ მიქონად „ჩვენს მკითხვე-

ლებს ეს სიტყვები აგიჟებენ/აოგნებენ“; خواندم این کتاب را
 ხანდამ ინ ქეთაბრა „წავიკითხე ეს წიგნი“ من /را/ من
 ნიდე بوده من /را/ من „ადრე არ ვენახე“;
 قبلاً رو ყაბლან ნადიდე ბუდე მანრა/მანრუ „ადრე არ ვენახე“;
 გოჭთამ ბეშ „ვუთხარი მას“; بش
 „მიეცით მას“; من /به/ من
 კოდნდ كمك ქომაქ ქარდანდ ბემ//ბე
 მან „დამეხმარნენ მე“; آن /اون/
 خواندم آن /اون/ كتاب را/رو ' آن /اون/
 ნ/უნ ქეთაბრა(უ); ნ/უნ
 ქეთაბრა ხანდამ მან „წავიკითხე ის წიგნი /ის წიგნი წავიკითხე
 მე“; سينما
 გუ- შინ ნასული ვიყავი კინოში“; را
 چہ کارش کنم بچہ را
 „რა ვუქნა ბავშვს?“; و
 این میوه شیرین است
 „ეს ხილი ტკბილია და
 გემრიელი“; جالب
 و آن کتاب قشنگه
 „ეს წიგნი ლამაზია და საინტერესო“; هم
 حوشمزست هم
 „ეს საჭმელიც გემრიე-
 ლიცაა და მარგებელიც“; با
 با استعداد و
 „ეს სწავლის
 ბანთაჯრო-
 تجربه
 بآزمون
 ენსაწისთ 'აყელ, ბანესთე'დად
 ბანთაჯრო-

ბე ჰამ „ბაჰრამი ქუკიანი ადამიანია, ნიჭიერი და თანაც გამოცდილი“; *کاریست سترگ و برون از توانایی یک فرد*; „საქმეა დიდი/მძიმე და აღემატება ერთი ადამიანის შესაძლებლობას“; *همان خدمت*

به ملک . میهن و ملت است و لا غیر მიჰან ო მელლათ ასთ ვა ლაყეო „იგივე სამსახური მეფისაა და სამშობლოსი ხალხისა და არა სხვა რამ“; *فقط جوهر و اساس هنر*

دراماتیک را در بر گیرد نه انواع بی شمار هنرهای نمایشی را ჭყათ ჯოუჰარ ო ასანე ჰონარე დერამათიქრან დარ ბარ გირად ნე ანვანე ბიშომარე ჰონარჰანე ნემანეშირან „მხოლოდ დრამატული ხელოვნების საფუძვლები და ღირებულება ჩაიხუტოს/მოიცვას, არა თეატრალური ხელოვნების უთვალავი სახეობები“; *برابر حجم پیشین و نام تازه کاریست با افزایش 4*

تاریخ تاتر ایران ქარისტ ბანაჰზანეშე 4 ბარაბარე ჰაჯმე ფიშინ ვა ნანმე თანზე თარხე თეატრე ირან „საქმე არის ოთხჯერ მეტი წინანდელ მოცულობაზე და ახალი სახელწოდებით „ირანის თეატრის ისტორია“; *در آنجا رسیدگی بهتر می شود تا جای*

دیگر დარ ანჯან რასიდეგი ბეჰთარ მიშავად თან ჯანე დიგარ „იქ უკეთ აღწევს ხმა/აკუსტიკა უკეთესია, ვიდრე სხვაგან“; *یک*

این დიდმ ჯალბტრ აზ აინ *بهرام زود*; „ერთი ფილმი ვნახე, ამაზე უფრო საინტერესო“;

فريب می خورد فريب تمجيد های دروغين آدم های ناصالح و

فريبندە باقراڤم ზუდ ჭარიბ მიხორად, ჭარიბე

თამჯიდჰანდე დორუყინე ადამჰანდე ნასალეჰ ო ჭარიბდუს-
თიჰანდე ჭარიბანდე „ბაჰრამი სწრაფად ჭამს ტყუილს/ტყუევდე-
ბა, მატყუარა მლიქვნელი ხოტბის ტყუილით უნმინდური ადამი-
ანებისა და ცრუჰენტელა/მატყუარა ცრუმეგობრებით“; من

سال هاست با بهرام دوست هستم این بازیگر دارای اندام و صدای

بسیار مناسبی است مخصوصاً برای اجرای نقش های کلاسیک

მან სალჰანსთ ბა ბაჰრამ დუსთ ჰასთამ ინ ბაზიგარ დარანდე
ანდამ ო სედანდე ბესიძარ მონასეპი ასთ, მახსუსან ბარანდე
ეჯრანდე ნაყშჰანდე ქელასიქ „მე დიდი ხანია ბაჰრამთან ვმეგობ-
რობ, ამ მსახიობს ძალიან შესაფერისი აღნაგობა და ხმა აქვს,
განსაკუთრებით კლასიკური როლების შესასრულებლად“; خط

تاریخی جدید است این سراسری خاتمه سارآساری این

თარის ასთ თარისი ჯადიდ „ხაზი თავიდან ბოლომდე ეს ისტო-

რიაა, ახალი ისტორია“; „از اینا می خواهید/می خایید یا از اینا“;

აზ ინა (ინჰა) მიხაჰიდ/მიხაიდ და აზ ინა (ინჰა)? „აქედან

(ამათგან) გინდათ თუ იქიდან (იმათგან)?“; „بايد بروند يك جایی“;

ბაად ბერავანდ ექე ჯანი „უნდა წავიდნენ სადმე/ერთ ადგი-

ლას“; „بریز بერიږ توه“ „ჩაყარე, ჩააგდე, ჩაუშვი (შიგ)“;

تو؟ اجازت بیاآم توه? „შეიძლება შემოვიდე

(შიგ, შინ)“; *دود دنبالش* ფედარაშ მიდავად დონბა-
ლეს „მამამისი დარბის მის კვალზე; ეძებს, დასდევს“; *کجا میری*
? *در* *ქოჯან მირი თო?! „სად//საით მიდიხარ,“?; მიდიხარ შენ?“;*
دیگر *آنجا رسیدگی بهتر می شود تا جای دیگر*
ბეჭთარ მიშავად თან ჯანე დიგარ „იქ შემონმება (კონტროლი)
უკეთესია (ხდება), ვიდრე სხვა ადგილას“; და სხვა მრ., – **სხვა-**
დასხვა წევრით; მათ შორის, მოცილებადი ნასახელარი პრევერ-
ბითაც (იხ. მაგ.: *تو* თუ).

ინვერსიული შეიძლება იყოს გრძელი პასაჟები სხვადასხვა
(ერთგვარ თუ განსხვავებულ) წევრთა მწკრივებით. **მაგ.:** *آنجا*

مهمانی بود تازه از ایران رسیده و به جاهای دیدنی ما خیلی علاقه
مند *آنجا* *مეჭმანი* ბუდ თაზე აზ *ირან* რასიდე ვა ბე *ჯანაე*
დიდანთე მან ხელი აღაყემანდ „იქ ერთი სტუმარი იყო, ირანი-
დან ახლად ჩამოსული და ჩვენი სანახაობებით ძალიან დაინტე-
რესებული“; *این هدیه به شماست به نظرم خیلی مرغوب قشنگ و*

مفيد *ინ* ჰადაე ბე შომანსთ ბე ნაზარამ ხელი მარყუბ, ყაშანგ
ვა მოჭიდ „ეს საჩუქარი თქვენია, ჩემი აზრით ძალიან მოსაწო-
ნი/მოღური, ლამაზი და სასარგებლო/გამოსადეგი“; *دیروز یک*

خانم را دیدم از کارمندان عالی رتبه دولت و از دوستان خواهرم
დიროუზ *აექ ხანუმონ* დიდამ აზ *ქარმანდანე* 'აღიროთბეე
დოულათ ვა აზ დუსთანე ხაჰარამ „გუშინ ერთი ქალბატონი

ვნახე, მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეთაგანი და ჩემი დის მეგობართაგანი“; کتابی را خواندم از این کتاب

این میز جدیدم است کلفتتر این بزرگتر/بزرگتر از این
გთარ/ბოზორგთარ აზ ინ „ერთი წიგნი წავეკითხე, ამ წიგნზე
უფრო დიდი/უფრო დიდი ამაზე“; فقط جوهر و اساس هنر

گرونتر و قشنگتر این მიზე ჯადიდამ ასთ ქოლოჭთთარ ყაშან-
გთარ ვა გერუნთარ „ეს ჩემი ახალი მაგიდაა, უფრო მსხვილი,
უფრო ლამაზი და უფრო ძვირი“; فقط جوهر و اساس هنر

دراماتیک را در بر گیرد نه انراغ بی شمار هنرهای نمایشی را

ფაცათ ჯოუჭარ ო ასასე ჰონარე დრამათიქრან დარ ბარ გირად
ნე ანგა“ე ბიშომარე ჰონარჰანე ნემანეშირან „მხოლოდ დრამა-
ტული ხელოვნების საფუძვლები და ღირებულება ჩაიხუ-
ტოს/მოიცვას, არა თეატრალური ხელოვნების უთვალავი სახე-
ობები“; 4 برابر هجم پیشین و نام تازه کاریست با افزایش

تاریخ تاتر ایران چاریست ბანაფზანეშე 4 ბარაბარე ჰაჯმე ფიშინ

ვა ნამე თაზე: თარისხე თეატრე ირან „საქმე არის ოთხჯერ მე-
ტი წინანდელ მოცულობაზე და ახალი სახელწოდებით „ირანის
თეატრის ისტორია“; همان خدمت به مالک و میهن و ملت است و

لا غير სამან ხედმათ ბე მალექ ო მიჰან ო მელლათ ასთ ვა
ლანყედრ „იგივე სამსახური მეფისაა და სამშობლოსი ხალხისა
და არა სხვა რამ“; خط سراسری این تاریخ است تاریخی که هنر

در دراماتیک را در بر گیرد خاتمه سارنسااری ინ თარის ასთ
თარისი ქე ჰონარე დერამნთიქრან დარ ბარ გირად „ხაზი თავი-
დან ბოლომდე ეს ისტორიაა, ახალი ისტორია“; **یک برگه دستمال**

که برای خودم کشیده بودم بیرون اما به کارم نیامده بود را دادم
.**دستمش** .**هفت** **بازگه(ده)** **داستمال** **ქე** **ბარანე** **ხოდამ** **ქეშიდე** **ბუ-**

დამ **ბირუნ** **ამმან** **ბე** **ქარამ** **ნაჰაშადე** **ბუდრან** **დადამ** **დასთე(ა)შ**
„ერთი ხელი ხელსახოცები, რომელიც ჩემთვის მქონდა ამოღე-
ბული, მაგრამ არ დამჭირვებოდა/საქმეში არ გამომდგომოდა
(რან ზმნა „**მოსვლა**“-სთან), მივეცი ხელში,“ (იხ. რან-ს სპეციფიკა-
ციები); **بعد** **ბა’დ** **ჰამ** **گفته** **که** **دیگته** **اش** **را** **شده** **هفته**;

გოჭთე **ქე** **დიქთე** **აშრან** **შოდ** **ჰაჭთდე(ჰ)** „შემდეგ კი თქვა, რომ
მისმა კარნახმა მიიღო („**გახდა**“) ჩვიდმეტი,“ ; და ა.შ. მისთ მრ.

მოყვანილი მაგალითებით ვხედავთ, რომ თანამედროვე
ენაში მართლაც მოქმედებს ორი ურთიერთსაპირისპირო ტენ-
დენცია ერთდროულად და ურთიერთგამანონასნორებლად:
ტენდენცია ნორმისა და ტენდენცია ინვერსიულობისა ან თავი-
სუფალი რიგისა. სასაუბრო ენის ნაკადში თავისუფალი რიგის
ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერია. **ინვერსიულობა თუ თავ-
ვისუფალი რიგი ნორმისთვის მისაღები ვარიანტებია.**

ცალკე აღსანიშნავია **სპეციალური კონსტრუქციების**
(სპკ) რიგები. რიგის **ნორმა** და **ინვერსია** ყველა სპეციალურ
კონსტრუქციას (სპკ) თავისი აქვს, შინაგანი (იხ. ქვემოთ: სპკ).
მაგ., რთული . ზმნების სიტყვათა რიგის ნორმაა **სახელური ნა-
ნილი+ზმნა**, მაგრამ შედარებით იშვიათად გვაქვს შებრუნებუ-
ლი რიგის შემთხვევებიც. **მაგ.**, **بزن** **بالا**. **بزن** **از** **زديم** **می** **زنىم** **کنار** .

بگير **بخواب**. **بگيرند** **شمار**. **کنديم** **از** **بالا**. **بکن** **از** **بالا**. **افتاده**

دنبالم. بکش/بکشم کنار. بگذار کنار. برو جلو. آمد بالا. بنزین نمی
آد بالا. رفت دنبال. بفرماید تو. بیاد/بیام تو. آمدم پائین. دادم
. سوفيو رفت بیرون.

ქენარ, ბეგირ ბე ხაბ, ბეგირანდ შომარ, ქანდიმ/ბექანიმ აზ
ბალა, ბექან აზ ბალა. ოჭთანდე დომბალამ, ბექაშ/ბექაშამ
ქენარ, ბეგოზარ ქენარ, ბორო ჯელოუ, აშად ბალა, ბენზინ ნე-
მიად ბალა; რაჭთ დომბალ, ბეჭარმადიდ თუ, ბიად/ბეშ თუ,
აშადამ ფა'ინ; დადამ დასთაშ; სოფიო რაჭთ ბირუნ „აიტანე
ზევით; გადექი/გავდექით/გავდივართ გვერდზე; დაიძინე; დათ-
ვლიან/აიღებენ სათვალავს; ჩამოვხსენით/ჩამოვხსნათ ზევიდან;
ჩამოხსენი ზევიდან; კვალდაკვალ დამედევენა; განიე/გავნიო
გვერდზე; დააყენე გვერდზე; წადი წინ; ამოვიდა ზევით; ბენზინ-
ი არ ამოდის მალლა; გაყვა/მიჰყვა; შემობრძანდით; შემოვა/შე-
მოვიდე; ჩამოვართვი ხელი; სოფიო გავიდა გარეთ“ (იხ. სპკ-
რთული ზმნა).

ასევე ორპრედიკატული სპკ-ს მიმართ: ნორმაა რიგი **დამ-
ხმარე ზმნა+ძირითადი ზმნა**, მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს საპი-
რისპირო რიგიც, პირველ რიგში პოეზიაში.

ოკ-სპკ-ში ინფინიტური ძირითადი ზმნა, თან ზოგჯერ
ნინდებულურიც, ინვეეს ხშირად პოსტპრედიკაციას. **მაგ., شروع**

شروع کرد 'ქარდ ხანდან „დაიწყო კითხვა“;

شروع کرد 'ქარდ ბე მო'აენე ქარდან „დაიწყო/შეუდ-
გა შესწავლას“ (იხ. სპკ-ორპრედიკატული).

სიტყვათა რიგის მნიშვნელოვანი ინვერსიული ნიმუშები
გვხვდება **ნომინალური სტილის** ანუ **უზმნო ფრაზებშიც**, სადაც
ზმნა ელიპსირებულია, მაგრამ მისი ადგილი აღდგენადია. გარ-
და ამისა, **ნომინალურ უზმნო ფრაზებში** ერთმანეთის მიმართ
სხვა წევრებიც შეიძლება იყოს ინვერსიული. მაგ., სახეზეა

უმადლესი ხარისხის ინვერსიის ამგვარი ნიმუში: ინვერსიული, ბოლოკიდური ქვემდებარე მოსდევს გარემოებასაც და ელიპსი-

რებულ ზმნა-კოპულასაც. მაგ.: ؟ كو صابون؟ „სად[აა]

საპონი?“ და სხვა მისთ. (იხ. შდრ. სპეციალურ კონსტრუქციათა (სპკ) რიგი; იხ. ნომინალური სტილი, ნომინალური ინვერსია, ფსევდოინვერსია და ნანილობრივი ინვერსია ნომინალური სტილის სპკ-ში; რიგი და ინვერსიის სახეობები სპკ-ებში). სხვადასხვა სახის **ინვერსიული ნიმუშები** გაბნეულია აგრეთვე ამ მონოგრაფიის სხვა ნაკვეთებში და მუხლებში წარმოდგენილ მაგალითებშიც, მათ შორის **სპეციალური კონსტრუქციების** პარაგრაფებშიც (იხ. სპკ). ინვერსიის ნიმუშები აქტიურადაა ჩაბმული ცოცხალი სალაპარაკო ენის სამეტყველო ნაკადში, რაც თავისუფალი რიგის დინამიკურ ტენდენციურ ნიშნებს აჩენს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების გარდა წინამდებარე მონოგრაფიაში მრავლადაა საინტერესო ინვერსიებისა და თავისუფალი რიგის სხვა საგულისხმო ნიმუშებიც. უკანასკნელნი გაბნეულია სხვადასხვა შინაარსის პარაგრაფებში (იხ.). მკითხველს შეუძლია დააკვირდეს რიგის საკითხებს ზოგადად მოცემული მასალის საფუძველზე და საერთოდ ენის ნაკადებში.

ერთგვარი წევრები ანუ შერწყმული წინადადება

ერთგვარი წევრების სახით წინადადების ნებისმიერი წევრი შეიძლება იყოს წარმოდგენილი: ქვემდებარე, შემასმენელი, მსაზღვრელი, საზღვრული, დამატებები, გარემოებები, აგრეთვე განკერძოებული სიტყვებიც, როგორიცაა დანართები, ჩართულები, სხვა განკერძოებული წევრები (იხ. განკერძოებული სიტყვები). ერთგვარი (ერთნაირი, თანაბარმნიშვნელოვანი) წევრების შემცველ წინადადებას სპარსულში შერწყმულ წინადადებას ვუწოდებთ. ერთგვარი შეიძლება იყოს ერთი ან მეტი წევრი, რაოდენობით კი, – ორი ან ორზე უსასრულოდ მეტი. შე-

საბამისად შეფარდება-გადანაწილებაც შერწყმულ წინადადება-ში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგ.: ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელი, ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარე; ან ერთდროულად რამდენიმე ქვემდებარე და რამდენიმე შემასმენელი. ორზე მეტი დამატება ერთ შემასმენელთან (პირდაპირი, ირიბი, უბრალო), რამდენიმე სხვადასხვა გარემოება და ა. შ. ერთგვარობა შეეხება შედგენილი სახელური პრედიკატის (შემასმენლის) აგებულებასაც და რთული ზმნების სტრუქტურასაც. მაგ.: რამდენიმე სახელური ნაწილი შეიძლება ერთგვარობდეს ერთ კოპულატურ ზმნასთან (კოპულასთან); ასევე ორი ან ორზე მეტი სახელური ნაწილი შეიძლება უკავშირდებოდეს ერთ დამხმარე პასივის მანარმოებელ ზმნას (მაგ.,

شَدن შოდან „გახდომა“). რთული ზმნების სტრუქტურაში კი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი ან მეტი სახელური კომპონენტი ერთ ზმნურ კომპონენტთან, ან პირიქით, რამდენიმე ზმნა ერთ სახელთან, ან ორივე ერთად. შესაბამისად წინადადების შემასმენელიც ერთგვარწევრიანი გამოვა. რაც შეეხება ორი ან მეტი მსაზღვრელის მწკრივს ერთ ან მეტ საზღვრულთან, თავად მსაზღვრელთა ერთგვარობის მიხედვით აქ მივიღებთ იზაფეთური კავშირის შემთხვევაში იზაფეთურ ჯაჭვებს, თუმცაღა იზაფეთური ჯაჭვი შეიძლება არაერთგვარი მსაზღვრელებისგანაც შედგებოდეს. ერთგვარად ითვლება მხოლოდ სრულად ერთნაირი კატეგორიის მსაზღვრელი, მაგ.: ორიდან ორივე განსაზღვრებითი (დეტერმინატული), – ვითარებითი, მიმართებითი უნდა იყოს ან ორივე კუთვნილებითი (ატრიბუტული); სხვადასხვაგვარი მსაზღვრელი ერთგვარობის კატეგორიაში ვერ მოხვდება (იხ. პრედიკატული სახელური შემასმენელი, რთული ზმნები, იზაფეთი და იზაფეთური კავშირი); და ა. შ.

შერწყმული წინადადება მთლიანობაში მარტივი წინადადების ფარგლებში განიხილება. მას ახასიათებს გარკვეული **ეკონომიურობაც**. მაგალითად, შედგენილი შემასმენლის საერთო დამხმარე ზმნა შეიძლება მხოლოდ ერთხელ იქნეს გამოყენებული.

من داخل دانشگاه و به خواندن برنامهُ درس ها

مشغول شدن მან დახელე დაწეშგაჰ ვა ბე ხანდანე ბარნაშეღე
 დარსჰან მაშყულ შოღამ „მე უნივერსიტეტში შევედი და მეცა-
 დინეობათა ცხრილის კითხვას შევუდექი„. شدن შოღან ვიხმა-
 რეთ მხოლოდ ერთხელ ორ დამოუკიდებელ რთულ ზმნასთან:
 شدن, مشغول شدن, د اخل شدن დახელე შოღან; მაშყულ შოღან „შეს-
 ვლა; გართობა/შედეგომა„. სახელური ნევრები (ქვემდებარე, და-
 მატებები, მსაზღვრელები) ერთგვაროვანი ჯგუფების სახით
 ერთიანდებიან უკავშიროდ (და/ან გრაფიკულად მძიმით) ან კავ-
 შირების მეშვეობით. შერწყმულ წინადადებაში გამოიყენება
 იგივე კავშირები, რაც რთულ თანწყობილ წინადადებაში (იხ.
 თანწყობა; კავშირები იხ. მორფოლოგიაში). შერწყმულ წინადა-
 დებაშიც გამოიყენება მადრთებელი, მაცალკევებელი და მაჰი-
 რისპირებელი, აგრეთვე კაუზალური კავშირები, როგორცაა:

و، یا، یا-یا، و یا، خواه-خواه، اه-هم، هم-چه، چه-نه، نه، بلکه

ვა/ო, ძა, ძა-ძა, ვა ძა, ხაჰ-ხაჰ, ჰამ-ჰამ, ჩე-ჩე, ნა-ნა, ბალქე და
 სხვა. კავშირი შეიძლება ყოველ ნევრთან იხმარებოდეს ან მხო-

ლოდ ბოლო ნევრთან. მაგ.: کرمان و یزد شهر

های ایران هستند ესჰაჰან ო შირაზ ო ქერმან ო აზდ
 შაჰრჰანე ირან ჰასთანდ „ისფაჰანი და შირაზი და ქერმანი და
 იაზდი ირანის ქალაქებია“; کرمان, شیراز, یزد

شهرهای ایران هستند ესჰაჰან, შირაზ, ქერმან ვა/ო აზდ
 შაჰრჰანე ირან ჰასთანდ „ისფაჰანი, შირაზი, ქერმანი და იაზდი
 ირანის ქალაქებია“; კავშირი و-ო განსაკუთრებით მჭიდრო ში-

ნაარსობრივი ერთიანობით გაერთიანებულ ნევრებს-სიტყვებს
 აკავშირებს. ასეთ შემთხვევაში მრავლობითობას შეიძლება

მხოლოდ ბოლო წვერი გამოხატავდეს, რომლის წინაც დგას ერთადერთი კავშირი. მაგ.: *دفترها خردم و کتاب* ქეთაბ ო დაჭთარჰან ხარიდამ „წიგნები და რვეულები ვიყიდე“; *کتاب*

دفتر و نواریها خردم ქეთაბ, დაჭთარ ო ნავარჰან ხარიდამ „წიგნები, რვეულები და კასეტები ვიყიდე,“ (მრავლობითი ყველა წვერისთვისაა).

ერთგვარწვერიანი ფრაზები რიგის თვალსაზრისით ინვერსიულ სიტყვათგანლაგებასაც ქმნიან, მაგ.: ერთი ერთგვარი წვერი ზმნამდე დგას, დანარჩენი კი (ერთი ან მეტი), – ზმნის მერე დგას ანუ პოსტპოზიციურია (იხ. სიტყვათა რიგი). ეს ფაქტორი ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებაზეც მოქმედებს: სტანდარტული (ზმნის მიმართ პრეპოზიციული) განლაგების შემთხვევაში შემასმენელი მრავლობით რიცხვში დგას, ინვერსიის (პოსტპოზიციის) შემთხვევაში კი, – მხოლობითში (იხ. შეთანხმება).

მაგალითები: *من و تو دانشجو هستی* მან ო თო დანეშჯო

ჰასთიმ „მე და შენ სტუდენტები ვართ“; *من و خواهرم به تاتر*

می رویم მან ო ხაჰარამ ბე თეატრ მირავიმ „მე და ჩემი და

თეატრში მივდივართ“; *آیا تو می روی یا من؟*

آیا تو می روی یا من؟ „შენ მიდიხარ თუ მე?“; *آیا او می رود یا من؟*

آیا او می رود یا من، یا او می „ის მიდის თუ მე?“; *آیا او می*

آیا او می رود „ან ის მი-

დის, ან მე“; „ან ის მიდის, ან შენ“; *آیا او می رود* „ან ის მი-

მირავამ ჰამ თო „მეც მივდივარ, (და) შენც“; هم تو می روی

او هم ჰამ თო მირავი ჰამ უ „შენც მიდიხარ, (და) ისიც“; نه تو

نه من می روی نه او, نه من می روی نه تو
ნა თო მირავი ნა უ, ნა მან
მირავამ ნა თო „არც შენ მიდიხარ, არც ის“; „არც მე მივდივარ,
არც შენ„.

იმავედროულად მხოლოდ ზმნის წინამავალი წევრი მარ-
თავს ზმნას პირში (იხ. მართვა).

ერთგვარი წევრები (ორი და მეტი) გვხვდება არა მარტო
სტანდარტულ წინადადებებში, არამედ **სპეციალური კონ-
სტრუქციების (სპკ)** ფარგლებშიც, მაგ.: იხ. ერთგვარი წევრები
(სახელური თუ ზმნური კომპონენტები) რთული ზმნების ჩარ-
ჩოში; ასევე სხვადასხვა კომპონენტები ორპტრდიკატულ (ოკ),
ორზმნიან კონსტრუქციებში და ა. შ. მრ. (იხ. ქვემოთ სპეცია-
ლური კონსტრუქციები (სპკ)); ეს ცალკე სპკ-ების **შინაგანი
შერწყმა**.

სპეციალური (სპეციფიკური) კონსტრუქციები (სპკ)

წინათქმა. სპკ ცნება განპირობებულია სხვადასხვა
სახის სპეციფიკაციებით. თავის მხრივ სპეციფიკაციები (თავი-
სებურებანი) განისაზღვრება **გრამატიკული** (ფორმალურ-
სტრუქტურული, კატეგორიალური) ან **სემანტიკური**
(სინტაქსური შინაარსი, ლექსიკური მნიშვნელობა,
სინტაქსური როლები და სხვა) ნიშნებით, მახასიათებლებით.
ამდენად, სპკ-თა ცნების განმსაზღვრელია **გრამატიკულ-
სემანტიკური ან/და სემანტიკური არგუმენტები, ფაქტორები**.
სპკ სპარსულში საკმაოდ ბევრია და საგანგებო განხილვას მო-
ითხოვს, რაც არის წინამდებარე თავის საგანი. სპეციალურ
კონსტრუქციათა აღწერა **საავტორო ხედვითა და კვლევით**
ცალკე ქვეთავებადაა წარმოდგებილი (იხ.).

1. ფსიქოლოგიური სუბიექტი: სიტუაციური სინტაქსი

ფსიქოლოგიური სუბიექტის შემცველი კონსტრუქცია (წინადადების წყობა, აგებულება) სპარსული ენის სინტაქსის ერთ-ერთი სპეციფიკური გამოვლინებაა. **წინადადების თავში** დაისმის წევრი, რომელიც **სინამდვილეში არ არის ქვემდებარე**, არამედ **ნამდვილ ქვემდებარესთან** აქვს ძირითადად **კუთვნილების მიმართება**. თუ **ნამდვილი ქვემდებარე ინფინიტივით** გამოიხატება, აღნიშნულ **ფსევდოქვემდებარესთან** მას სხვა მიმართებაც ექნება: **სუბიექტური ან ობიექტური** (იხ. ინფინიტივი სუბიექტი და ობიექტი სიტყვათშენაერთებში). **ფსევდოქვემდებარე რეალურად ცალკე მდგომი წევრია და წინადადების წარმოქმნას ინტონაციური პაუზით გამოიყოფა**. გრაფიკულად ის შეიძლება **მძიმითაც** გამოყვით. ფსიქოლოგიური ქვემდებარე (ან ფსიქოლოგიური სუბიექტი) კი მას იმიტომ ეწოდა, რომ **საკომუნიკაციო** თვალსაზრისით ხდება **მის მიერ აღნიშნული პირის აქტუალური ხაზგასმა, გამოყოფა** მეტყველების თუ ტექსტის ნაკადში. ამდენად, ფსიქოლოგიური ფსევდოქვემდებარის, ფსიქოლოგიური სუბიექტის მოვლენა **პრაგმატული მნიშვნელობის** შემცველია, პრაგმატული სემანტიკის მატარებელია ანუ **სიტუაციური სინტაქსის** სფეროს განეკუთვნება. ასეთ შემთხვევაში **სიტუაციები** იმგვარია, რომ მოლაპარაკე, მოსაუბრე განსაკუთრებით **გამოყოფს** რეალურ ქვემდებარესთან გარკვეულ მიმართებაში მყოფ **ფსევდოქვემდებარეს**, რითაც იქმნება უკანასკნელის **ქვემდებარულობის ფსიქოლოგიური შთაბეჭდილება**.

მოცემულ პარაგრაფში აღწერილი ფსიქოლოგიური სუბიექტი (ქვემდებარე) უთუოდ უნდა გავარჩიოთ და გავმიჯნოთ **ირიბი სუბიექტის** (ირიბი ქვემდებარის) სხვადასხვა მორფოსინტქსურ-სემანტიკური (ენკლიტიკური და სხვა) ჯგუფებისგან (იხ. შდრ.: ქვემდებარის რთული ფორმები; იხ. შდრ. აქვე: ირიბ-სუბიექტური სპკ-ჯგუფები). არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში **ფსევდოქვემდებარე და რეალური ირიბი სუბიექტი**.

აქ მოყვანილ მაგალითებში ადვილად გავარჩევთ **კუთვნი-**

ლების მიმართებასაც და ინფინიტურ სუბიექტ-ობიექტურ მიმართებასაც, აგრეთვე სხვა წევრთა, სხვადასხვა დამატებათა, მიმართებებს რეალურ ქვემდებარესა და ფსიქოლოგიურ ფსევ-დოქვემდებარეს შორის (იხ. ქვემდებარე, დამატება).

მაგალითები: خواهرم تلویزیونش خراب شده

თელევიზიონამ ხარაბ შოდე ასთ „ჩემი დის ტელევიზორი გაფუჭდა/ჩემს დას ტელევიზორი გაუფუჭდა (სიტყვ.: ჩემი და, მისი ტელევიზორი გაფუჭდა)“;

زنى عموميم خبرنگارست
ზანამ ხაბარნეგარასთ „ბიძაჩემის ცოლი (ჩემი ბიცოლა/ბიცოლაჩემი) კორესპონდენტია (სიტყვ.: ბიძაჩემი, მისი ცოლი კორესპონდენტია)“;

این باغ میوه اش شیرین و خوشمزه است
ბაყ, მივეამ შირინ ო ხოშმაზე ასთ/ხოშმაზასთ „ამ ბაღის ხილი ტკბილი და გემრიელია (სიტყვ.: ეს ბაღი, მისი ხილი ტკბილია და გემრიელი)“;

اصفهان مسجدهای قشنگش مشهور و معروف است
ესფაჰან, მასჯედჰაეე ყაშანგაშ მაშჰურ ო მა'რუფჰ ასთ/მა'რუფჰე „ისფაჰანის ლამაზი მეჩეთები სახელგანთქმულია და ცნობილი (სიტყვ.: ისფაჰანი, მისი ლამაზი მეჩეთები სახელგანთქმული და ცნობილია)“;

سال سنم از ایشان کمتر است
პანზე მან, ფანზდაჰ სალ სენნამ აზ იშან ქამთარ ასთ/ქამთარე „მე მასზე/მათზე თხუთმეტი წლით უმცროსი ვარ (სიტყვ.: მე, თხუთმეტი წელი ჩემი ასაკი მასზე ნაკლებია)“;

قارچ ها خوردنشان خطرناک است
ინ ყარჩჰა ხორდანეშან ხათარნაჟ ასთ/ხათარნაჟე „ამ სოკოების ჭამა სახიფათოა (სიტყვ. ეს სოკოები, მათი ჭამა სახიფათოა; ინფინიტურ-დამატებიანი ქვემდებარე)“;

რაჭთანამ ბე დანეშგაჰ ლაზემ ასთ „სტუდენტის წასვლა უნივერსიტეტში აუცილებელია (სტუდენტი, მისი წასვლა უნივერსიტეტში აუცილებელია; (ინფინიტური ქვემდებარე)“; آهو

دماش كوتاه, დომამ ქუთაჰ „შვლის კუდი მოკლე(ა) (შველი,

این چسب چه جور از آن استفاده کنم?;“; მისი კუდი მოკლე(ა);“;

ინ ჩასბ, ჩეჯურ აზ ან ესთეჟადე ქონამ? „ამ წებოთი როგორ ვისარგებლო? (ეს წებო, როგორ გამოვიყენო ის?(უბრალო დამატება));“;

ممن این را/اینو می شناختم;“; მან იეჟ

ქეთაჰი ბუდ, ასლან ნა ინრაინო მიშენახთამ „მე ერთი წიგნი მქონდა (მე, იყო ერთი წიგნი), სრულებით ვერ ვგებულობდი

მას“ (იხ, ფლობა-კუთვნილების სპკ); تماشاچیان در سال های

اخیر تاتری نبوده که بتواند قشر پیرو و روشنفکر این کشور را به

این هنر علاقه مند سازد

თეათრი ნაბუდე ქე ბეთავანად ყეშრე ფეეროუ ვა როუშანჟეერე ინ ქეშვარრა ბე ინ ჰონარ 'ალაყემანდ საზად „რაც შეეხება მაყურებელს/მაყურებლებს რაც შეეხება, ბოლო წლებში არ იყო არც ერთი თეატრი, რომელიც ამ ქვეყნის ინტელი-

გენტურ ფენას ამ ხელოვნებისკენ მიიზიდავდა“; منتقدین چندی

بیش من مجموعه انتقاد هاییرا که از تاتر آناهیتا و نمایشنامه اتلو

کردم

ენთეყადჰანირა ქე აზ თეათრე ანაჰითა ვა ნემადეშნამეღოთელო შოდე ბუდ მოთალე'ე ქარდამ „რაც შეეხება კრიტიკოსებს/კრიტიკოსებზე კი მოგახსენებთ, რამდენიმე ხნის წინ

კრიტიკული კრებული, ანაჰიტას თეატრისა და ოტელოს შესახებ შევისწავლე/წავიკითხე“; *مجلات و روزنامه ها همه اورا*

بهرترین بازیگر نمایش نامیده اند

ურან ბეჰთარინ ბაზიგარე ნემანემ ნამიდე ანდ „ჟურნალებმა და გაზეთებმა, ყველამ მას სპექტაკლის საუკეთესო მსახიობი უწოდეს“; და მისთ.

ფსიქოლოგიურსუბიექტიანი წყობა არსებითად სასაუბრო ენის კუთვნილებაა. იმავდროულად იგი უნდა გავმიჯნოთ და არ ავურიოთ სხვადასხვა სახის კონსტრუქციებში, სადაც შემდეგ წევრთა განმეორებასა აქვს ადგილი: ა) გრძობა-გუნებისა და მენტალობის ანტიცედენტური ირიბი ქვემდებარე (ექსპერიენცერი); ბ) მფლობელი ქვემდებარე, ფლობის ირიბი ანტიცედენტური ქვემდებარე (პოსესორი); გ) ასაკის ირიბი ანტიცედენტური ქვემდებარე (ასაკის მქონე); დ) გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე, ზმნაში მეორადი სუბიექტური კლიტიკური მარკერით; ე) პირდაპირი ან ირიბი ობიექტი ზმნაში ობიექტური პირის კლიტიკური მარკერით; და სხვა ნებისმიერი კონსტრუქცია, სადაც წინადადების წევრი მისივე შესატყვისი სინტაქსური მნიშვნელობის ელემენტის სახით მეორდება (იხ. ქვემდებარის რთული ფორმები, ობიექტები, კლიტიკური მორფები-პირის მარკერები, სპეციალური კონსტრუქციები, მობილურ კლიტიკურ ელემენტთა სპეციფიკაციები).

ასეთი მაგალითებია: *حسن رفتش* ჰასან რაჭთაშ „ჰასანი

წავიდა“, *حسن آمدش* ჰასან ამდაშ „ჰასანი მოვიდა“;

این کفش ჰასან ბორდანდაშ „ჰასანი წაიყვანეს“;

می گیرمش ინ ქაჭმ მიგირამაშ „ამ ფეხსაცმელს ვიღებ/ვყიდუ-

ლობ“; *چه کارش کردی؟* კოზე მენ/ბეჟე მენ/ბაჩედე ქუზედე მან/ბაჩედე

მან ჩე ქარეშ ქარდი „ჩემს კოკას/ჩემს ბავშვს რა უყავი?“; تو هم
 مسافری گیرت نیامد თო ჰამ მოსაჭერი გირათ ნაამად „შენც
 მგზავრი არ შეგხვდა“; چیزیش نبود پدرم ფედარამ ჩიზიამშ
 ნაბუდ „მამაჩემს არაფერი ჰქონდა/სჭირდა“; حسن لباس نیمدار
 بود تشش ჰასან ლებასე ნიმდარ თანამ ბუდ „ჰასანს ნახმარი
 ტანსაცმელი ეცვა“; من سردم نیست მე არ
 მცივა“; من گشنمه/تشنمه მან გარმამე „მე მცხებლა“;
 مان گوშნამე/თაშნამე „მე მშია/მწყურია“; مان خوشم میآد
 ხოშამ მიად „მე მომწონს“; او یادم رفت „იგი
 დამავიწყდა“; داود گفتمش „დაუდს ვუთხა-
 რი“; آن داود دادم بش „დაუდს მივეცი“;
 من کتاب خریدمش „ის წიგნი ვიყიდე“;
 من سی سالم مان ბისთ სალემე „მე ოცი წლისა ვარ“;
 او سی مან სი სალამ ბუდ „მე ოცდაათი წლის ვიყავი“;
 من یک کتابی بود „ის ოცდაათი წლისაა“;
 مان اصلاً نه این را/ اینو می شناختم
 ინრა/ინო მიშენახტამ „მე ერთი წიგნი მქონდა, ის სულ არ მეს-

მოდა“ (ეს წინადადება სპეციფიკური ფლობის წყობითაა აგებული); და სხვა მისთ.

ჩამოთვლილი ნიმუშები ავლენენ გარეგნულ სტრუქტურულ მსგავსებას წმინდა ფსიქოლოგიურ სუბიექტთან, მაგრამ შინაარსით ეს სხვა მოვლენებია: ნაწილი აქ რეალურად სუბიექტია, აღნიშნული ფორმალურად ზმნაში ან მობილური (მოძრავი) ზმნისგარეთა მორფით (ირიბი ქვემდებარე, -მფლობელი, განმცდელი, ასაკის; გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე), ნაწილი კი ობიექტებია (პირდაპირი, ირიბი), რომელიც აგრეთვე მორფოლოგიურად გამოიხატება ზმნაში პირის კლიტიკური მარკერით ან ზმნისგარეთა მობილური (მოძრავი) მორფით. **ფსიქოლოგიურ სუბიექტთან აქ საერთოა წინადადებაში განმეორადობა, ინტონაციური გამოყოფა და ლოგიკურ-აზრობრივი ხაზგასმა. პირის მორფით გამოხატული პირის გამეორება ანტიცედენტურია და ყოველთვის უკავშირდება ამ პირის ნიშნის არსებობას.**

საბოლოო ვაშში, აღწერილი **ფსიქოლოგიური სუბიექტის პრაგმატული მნიშვნელობა** მეტყველებაში (დისკურსში) თუ ტექსტში უტოლდება დაახლოებით ისეთ ქართულ გამოთქმებს, როგორიცაა: „აი ის შენ რომ იცი; ჩემი მეზობელი რომაა; იმას ხომ იცნობ? აი ის, აი ეს; ის რომ არის (რომაა)“ და სხვა მისთ. ფრაზისა თუ წინადადების დასაწყისში ამგვარი გამონათქვამები მიუთითებენ იმ ძირითად სათქმელზე, რომელიც მათ მოსდევთ; ინტონაციურად აქაც გვაქვს გამოყოფა და პაუზა (ტექსტური სასვენი ნიშანი, მძიმე). მთქმელს შემოყავს პერსონაჟი ან შემოაქვს საგანი, რის შემდეგაც გვანვდის მთავარ ინფორმაციას მათ შესახებ.

2. აქე-კავშირული ნაწილაკი

**თანამედროვე
სალაპარაკო ენაში და მისი ადგილი
წინადადებაში
(სიტუაციური სინტაქსი)**

აქ ქე – კავშირისაგან ნაწარმოებია კავშირული ნაწი-

ლაკი, რომელიც თავისებურად იხმარება დღევანდელ სალაპარაკო ენაში და ქმნის წინადადების სპეციფიკურ წყობას (იხ. კავშირები). **აქ ქე** – ამ შემთხვევაში კავშირი კი არ არის, არამედ ამა თუ იმ წევრის (მათ შორის ზმნის-შემასმენლის) **დანამატია**, ხაზს უსვამს ამ წევრს, აძლიერებს მას და სიტუაციურად **გამოყოფს** წინადადებიდან. ამდენად კავშირული ნაწილაკი **აქ ქე** წევრებს მიემართება და არა მთელ წინადადებას. ეს **წევრი სიტუაციის პრაგმატული სემანტიკისთვის** (შინაარსისთვის) მნიშვნელოვანია და **მისი გამოყოფით წინადადება სპეციფიკურ გარკვეულ მოდალურ ელფერს იძენს**. სტანდარტული შინაარსის მიხედვით ასეთი წინადადება შეიძლება იყოს ძახითი, იმპერატიული, მოდალური და სხვა. ფორმალურად **აქ ქე** კავშირული ნაწილაკის **ადგილი** სავსებით **ფიქსირებულია**: იგი აუცილებლად დაისმის იმ წევრის შემდეგ უშუალოდ, რომელსაც მიემართება, რომელსაც ეკუთვნის. ნაწილაკის გადასმით შესაბამისად შეიცვლება წინადადებაში სიტუაციურ-ლოგიკური აქცენტებიც. კონტექსტის მიხედვით **აქ ქე** – ნაწილაკი სხვადასხვა ქართული ნაწილაკების მნიშვნელობას შეესატყვისება და ძირითადად შეიძლება შემდეგნაირად ითარგმნოს: „ხომ, რომ (ნან.), და (ნან.), აკი, კი არ, კი არა, არა, რა (დაახლ.: შდრ.: შენ რომ ჩემთვის არ მოგიტანია; არაფერი გითქვამს და; მე ხომ არ დავუპატიჟებვარ და მისთ.); ზოგჯერ შეიძლება სულაც არ აისახოს თარგმანში. **აქ ქე** – ნაწილაკისა და მთლიანად ფრაზის თარგმანი, ქართული შესატყვისი ზუსტდება **ფართო კონტექსტში**. **აქ ქე** – მიერთვის ნებისმიერ წევრს. **მაგალითები**:

ქვემდებარესთან: این که کار مهمی است

მოჭემი ასთ//მოჭემისთ „ეს ხომ/ეს რომ მნიშვნელოვანი საქ-

მეა“; *یک سلیقه ندارند* „ყველას ხომ ერთი გემოვნება არა აქვს“; *شما که خودتان // خودتون بایستی به ما اطلاع داده باشید* „დეთან/ხოდეთუნ ბადესთი ბე მან ეთლან დანდე ბაშიდ „თქვენ ხომ/რომ თვითონ უნდა გეცნობებინათ ჩვენთვის“; *آن کتاب درسی را بیارید شما که خریدید* „შომან ქე ხარიდიდ „ის სახელმძღვანელო მოიტანეთ, თქვენ რომ/ხომ იყიდეთ“; *ما محمود که از این موضوع ها خبر ندارد* „მაჰმუდმა ხომ/რომ ამ საკითხებზე არაფერი იცის“; *خواهرم که به خارج رفته است* „ხაჰარამ ქე ბე ხარეჯ რაჭთე ასთ „ჩემი და ხომ/რომ საზღვარგარეთაა წასული“; *شما که شاعر قدیمی هستید* „ყადიმი ჰასთიდ „თქვენ ხომ/კი ძველი პოეტი ხართ“ და ა. შ.

სხვადასხვა დამატებებთან: *هنوز به ما که حقوق نداده*

اند „ჰანუზ ბე მან ქე ჰოყუყ ნადანდე ანდ „ჩვენთვის ხომ/რომ/ხოლო/კი ჯერ კიდევ ხელფასი არ მოუციათ!“; *ایشان/ایشون مارا* „მათ რომ/ხომ ჩვენ არ დაუჰპატიჟებინებართ?“; *هیچ چیز از من* „ნეჰჩიზიზ აზ მან ქე ნაფორსიდ „ჩემგან კი/რომ/ხომ

არაფერი უკითხავს (და)“; *او به آثار تاریخی که علاقه مخصوصی*

دارد უ ბე ანარე თარიხი ქე 'ალაყეე მახსუსი დარად „მას ისტორიული ძეგლების მიმართ ხომ განსაკუთრებული ინტერესი აქვს“; *پارسال خوانده بودم این کتاب را که* ინ ქეთაბრან ქე ფარსალ ხანდე ბუდამ „ეს ნიგნი ხომ შარშანვე მქონდა ნაკითხული“; და მისთ.

გარემოებებთან: *خواهرم فردا که نمی یاند دو سه ماه*

گردد მანკარამ ჭარდან ქე ნემიანდ დო სე დიგარ//დიგე ბარ მიგარდად „ჩემი და ხვალ კი/ხომ არ ჩამოდის, ორი-სამი თვის შემდეგ ბრუნდება“; *در این نزدیکی ها که*

منزل ندارد დარ ინ ნაზდიქიჰან ქე მანზელ ნადარად „ამ სიახლოვეში კი/ხომ არ ცხოვრობს“; *با دقت که نخوانده ای دو سه بار*

بخوان/بخون ბან დეყყათ ქე ნახანდე ი დო სე ბარე დიგარ ჰამ ბეხან/ბეხუნ „ყურადღებით რომ/ხომ არ ნაგიკითხავს, ორჯერ-სამჯერ კიდევ ნაიკითხე“; *در تفلیس که برف به ندرت*

می بارد დარ თეჭლის ქე ბარჭ ბე ნოდრათ მიბარად „თბილისში ხომ/რომ იშვიათად თოვს/მოდის თოვლი“; *یادت هست*

دو هفته دیگر//دیگه که زمستان است/زمستونه ანდათ ჰანსთ დო ჰაჭთეღე დიგარ ქე ზემესთან ასთ „(თუ) გახსოვს, ორი კვირის

შემდეგ რომ/ხომ ზამთარია“; *تند تندند که حرف می زند* თონ-
დთონდ ქე ჰარჭ მიზანად „სწრაფად რომ/ხომ ლაპარაკობს“;
نمی بینمش ზოდ კე ნემიზინამაშ „ხშირად
კი არ ვხედავ მას/ხშირად რომ/ხომ არ ვხედავ მას?!“; და მისთ.

შემასმენელთან:

კოპულატური კე ქე, ანუ კე ქე კოპულატურ-სახელურ

პრედიკატთან. *კე ქე* – ნაწილაკი მოსდევს პრედიკატის სახე-
ლურ ნაწილს: *من مریض که هستم* მან მარიზ ქე ჰასთამ „მე ხომ
ავად ვარ/მე ავად ვარ და!“; *من زشت که نیستم قشنگم* მან
ზეშთ ქე ნისთამ ყაშანგამ „მე მახინჯი ხომ/რომ არა ვარ, ლამა-
ზი ვარ“; *من صد ساله که نیستم جوانم* მან სად სალე ქე ნისთამ
ჯავანამ „ასი წლის ხომ არა ვარ, ახალგაზრდა ვარ“; *سر وقت*
სარე ვაყთ აშადიმ დირ ქე ნისთ „დროზე
მოვედით, გვიან ხომ არ არის“;

ზმნურ შემასმენელთან, ზმნასთან: *که رفتیم* რაჭთიმ ქე

„წავედით და/კი წავედით/ხომ წავედით“; *که خبر نداشتیم* ხაბარ
ნადაშთიმ ქე „არ ვიცოდით, ინფორმაცია არ გვექონდა, და/არ
ვიცოდით ხომ/ხომ არ ვიცოდით/არ კი ვიცოდით“; *ما را دعوت*
نکردید მარა და'ვათ ნაქარდიდ ქე „არ დაგიპატიუებევართ

კუთრებით ყურადსაღებია 4^კ ქე – ნაწილაკის ფაქტობრივი პოსტპოზიცია ზმნის-შემასმენლის მიმართ, რაც რიგის ინვერსიის ერთგვარ სახეობადაც შეიძლება მივიჩნიოთ (იხ. სიტყვათა რიგი).

3. გრძნობა-გუნებისა (აფექტური) და ალქმა-მენტალობის კონსტრუქციები: მგრძნობელი, განმცდელი ირიბი ქვემდებარე, ექსპერიენცერი

გრძნობა-გუნების, განცდის (აფექტური) და მენტალური კონსტრუქციები. განცდის ან მენტალობის მორფო-სინტაქსემების სპეციფიკურობა მდგომარეობს ძირითადად იმაში, რომ მათი გარკვეული, დიდი ნორმატიული ჯგუფი გულისხმობს ირიბ ქვემდებარეს და ეს მგრძნობელი და მოაზროვნე ირიბი ქვემდებარე გამოიხატება უმეტესწილად ენკლიტიკით. ცალკეულ შემთხვევებში, უფრო იშვიათად, ფიქსირდება ამ კონსტრუქციებში წინდებულებისა და |_რ-რ_წ თანდებულის ჩარ-

თვაც. ენკლიტიკა გამოხატავს ქვემდებარის პირსა და რიცხვს. იმავდროულად ქვემდებარის გამომხატველი სახელი უფრო ხშირად გამოტოვებულია, მით უფრო სასაუბრო ენაში. ენკლიტიკური ნიშანი (მარკერი) გვამცნობს ქვემდებარის პირსა და რიცხვს სახელის გარეშეც. თუ ქვემდებარის (ქვემდებარული) სახელი წინადადებაში ფორმალურად წარმოდგენილია, მაშინ ქვემდებარის აღნიშვნა **ორმაგი** იქნება: სახელით გამოხატული ქვემდებარე ფაქტობრივად გამეორდება ფრაზაში (წინადადებაში) ენკლიტიკის სახით. ამგვარად ქვემდებარე ორჯერ აღინიშნება, ხოლო ასეთ ენკლიტიკას **ანტეცედენტი** ანუ „წინამდგომს, წინამდებარეს“ ვუწოდებთ. **ანტეცედენტი ქვემდებარული სახელის კორელატია.**

მგრძნობელი, განმცდელი (აფექტური) ენკლიტიკური ქვემდებარე ან ქვემდებარული ენკლიტიკა წაიკითხება გარკვეულ ზმნებთან სინთეზში და ზმნათა სხვადასხვა ჯგუფებთან

ქმნის ერთიან განუყოფელ **ზმნურ-ენკლიტიკურ ერთეულებს, ფრაზემებს (მორფოსინტაქსემებს)**. ეს ზმნებია ძირითადად:

بودن هستن ბუდან, ჰასთან „ყოფნა“, شدن შოდან „გახდომა“,

آمدن آمدت „მოსვლა“, رفتن რაჟთან „ნასვლა“, და სხვ.

„ყოფნა“ ზმნასთან ერთად ენკლიტიკა არსებითად „გრძნობის, გუნების, განცდის, განწყობის მფლობელობას“ ასახავს. მაგალითები: من سردم است / سردمه (მან) სარდამ ასთ

(სარდამე) „(მე) მცივა“, او گرمش است / گرمشه (მე) გარმამ

ასთ (გარმამე) „მას ცხელა“. تشنمه თაშნამე [თაშნე ამ ასთ]

„მწყურია“, گشنشه გოშნაშე [გოშნე აშ ასთ] „მას შია“, دردم

دردمه / است დარდამ ასთ/დარდამე „მტკივა“, فکرم

فكرمه / است ჭექრამ ასთ/ფექრამე „მეფიქრება, ვფიქრობ“,

بچه ها / خوابم است / خوابمه ხაბამ ასთ (ხაბამე) „მეძინება“,

باشن / گشنشون بود باش(ი)ეჰან გოშნეშან (გოშნეშუნ) ბუდ

„ბავშვებს შიოდათ“, مسافرين / تشنشان / تشنشون بود მოსაჟერინ

თაშნეშან (თაშნეშუნ) ბუდ „მოგზაურებს სწყუროდათ“, چه مه

چه شونه [ჩე ამ ასთ], چه ته چه شه چه مونه چه تونه [ჩე ამ ასთ],

ჩეთე [ჩე ათ ასთ], ჩეშე, ჩემუნე, ჩეთუნე, ჩეშუნე „რა

მჭირს/გჭირს/სჭირს/გვჭირს/გჭირთ/სჭირთ?“,

چیزی

چیزی اش / ჩიზი(ა)შ ბუდ „რალაც სჭირდა“,

پدرم ჩიზი(ა)შ ნისტ „არაფერი მჭირს“,

چیزی اش نبود ფედარამ ჩიზი(ა)შ ნაბუდ „მამაჩემს არაფერი სჭირდა“.

ამდენად, ენკლიტიკა-სუბიექტი ანუ განმცდელი ქვემდებარე, (ექსპერიენცერი) შეიცვლება პირ-რიცხვთა შესაბამისად, ხოლო „ყოფნა“ ზმნა ნებისმიერ დრო-კილოთა მიხედვით მუდმივად მე-3 პ. მხ. რ.-ის ფორმაში იქნება.

ჰ-ბე- და რ-რ-ს **დუბლირება ობიექტთან** ზოგადად მრავალ
როთულ ზმნას ახასიათებს, რაც ხაზს უსვამს რ-რ-ს ს **ირი-
ბულობას** (ირიბი ობიექტის სტატუსს). **დუბლირება** აისახება
ლექსიკონის ბუდეებში. იმავდროულად, არის გაფორმების მე-
სამე გზაც, ზმნური ანუ კლიტიკური ობიექტური მორფები
ზმნაში, როგორც მაგ.: **دادش نام نام داند** „სახელი მისცა-
მას“. **კლიტიკური მორფი ორივე ობიექტს** გამოხატავს, – **პირ-
დაპირსაც და ირიბსაც**, მაგრამ ზმნაში **داد نام نام დან** უფ-
რო **ირიბია** სავარაუდო, რაც **ჰ-ბე- წინდებულისა** და **რ-რ-ს
ირიბი თანდებულის ალტერნატივა** (იხ. კლიტიკური მორფები;
იხ. ობიექტები-დამატებები წინადადების წევრებში).

რ-რ-ს თანდებულისანი დამატება იმთავითვე წარმოშობით
ირიბი ობიექტია ისეთი როთული ზმნების **მართვის სისტემაში**,
სადაც დამხმარე ზმნა არის **داد دან** „მიცემა“, **گفتن**
გოჭთან „თქმა“, **زد** ზადან „ცემა/დარტყმა“, **فرستادن**
ჭერესთან „გაგზავნა“ და სხვა მისთ. **მაგ.**: **او ادبیت را شکل**
داد **او ادبیت را شکل** **او ادبیت را شکل** **او ادبیت را شکل** **او ادبیت را شکل**
უ ადაბიდათრან შექელ მიდეჰად „ის ლიტერატურას

ფორმას აძლევს“; *آموزگار دانش آموز را پند داد* „მასწავლებელმა მოწაფეს რჩევა მისცა“; *مسافران را جا دادند* *მოსაჭერანრან ჯანდდანდ* „მოგზაურებს/მგზავრებს ადგილი მისცეს“. ასეთ შემთხვევებშიც *ر-რ-* თანდებული **ირიბია** და **ირიბ დამატებას** აფორმებს სპეციფიკურად, თუმცა ხდება მისი პირდაპირ დამატებად გადააზრებაც.

არქაული გაყინული ფორმები. გარდა ცოცხალი შემთხვევებისა, ენაში არსებობს *ر-რ-* – თანდებულიანი გაყინული არქაული ფორმებიც, რომელიც ჩვეულად, ნორმატიულად გამოიყენება. **მაგ.:** *چرا* ჩერან რისთვის, „რატომ?“; *را خدا* ხოდარან „ღვთის გულისათვის“ (უბრალო დამატება); და სხვა.

ბ) *ر-რ-*-ს ახლებური გამოყენება:

სიახლეები ანუ ინოვაციები.

თანამედროვე სასაუბრო ენის სამეტყველო ნაკადში, აგრეთვე ბოლო ხანებში, – მაღალპროფესიულ მხატვრულ ლიტერატურულ პროზაში თუ სხვა ტექსტებშიც (ფილმები, პერიოდიკა, თეატრი და ა. შ.), გამოიყოფა *ر-რ-*თანდებულის სხვადას-

ხვა **არასტანდარტული, არატრადიციული და არანორმატიული ვარიაციული** გამოყენების შემთხვევები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ქვემოთ წარმოდგენილი რამდენიმე ახლადმოძიებული ტიპის **სიახლე, ინოვაცია:**

1) **-რნ-თანდებული კლიტიკის სახით მიერთვის უშუალოდ ზმნურ ფორმას**, თუმცა წინადადების **საერთო კონტექსტიდან** გამომდინარე, **გარდამავალი ზმნის** შემთხვევაში, შეგვიძლია ის **პირდაპირ დამატებას** მივაკუთვნოთ. ზმნასთან მირთული

კლიტიკური *ر* რ^ა გვხვდება როგორც **გარდამავალ**. ისე **გარდა-**
უვალ ზმნებთანაც. ორივე შემთხვევაში ძირითადად საქმე
გვაქვს **მინიშნებასთან, მითითებასთან, (გადა)მისამართებასთან,**
მიმართებასთან, (მიმართულებასთან), ვილაცის ან რალაცის ხაზ-
გასმასთან; წინადადების წევრის მნიშვნელობის, შინაარსის
გაძლიერებასთან, მონიშვნასთან, დაზუსტებასთან, გარკვევას-
თან და მისთ., რაც თავისთავად, თავის მხრივ აძლიერებს წინა-
დადების საერთო მთავარ დედააზრს. სინამდვილეში, საბოლოო
ჯამში, *ر* რ^ა თანდებული გრამატიკულ-სემანტიკურად მაინც

სახელს მიემართება, სახელს ეკუთვნის, სახელით გამოხატულ
წინადადების წევრზე მიუთითებს, მაგრამ მორფოლოგიურად
ზმნის კლიტიკურ ნაწილად (მორფულ ელემენტად) იქცევა. ეს
უკვე **ზმნური კლიტიკაა** და არა თანდებული. გარდამავალი
ზმნის შემთხვევაში ჩვეულებრივ ლაპარაკია **პირდაპირი ობიექ-**
ტის მითითებაზე, ხოლო გარდაუვალი ზმნის შემთხვევაში კლი-
ტიკური მორფი *ر* რ^ა უფრო ხშირად **გარდაუვალი ზმნის სუბი-**
ექტს მიემართება, მათ შორის **პასიური ზმნის სუბიექტიცაა**
(ზმნა شدن შოდან-ით ნაწარმოები ფორმები). **გარდაუვალ ზმნა-**

თავან ამ ეტაპზე აღინიშნება შემდეგი ლექსემები: بود ბუდან

„ყოფნა“, آمدن აშადან „მოსვლა“, شدن შოდან „გახდომა“,

(პასივის მანარმოებელი დამხმარე ზმნა ან დამოუკიდებელი

ზმნა), რთული ზმნა **خاک خوردن** ხაქ ხორდან „დამტვერიანე-

ბა, და სხვა. ცალკე სათქმელია და აღსანიშნავია კლიტიკური

ر რ^ა-ს გამოყენება: داشتند დაშთან „ქონა-ყოლა“, ზმნასთანაც;

პოსესიურ, ქონა-ყოლის, კუთვნილების, მფლობელობის გამომ-
ხატველ ზმნასთან ეს კლიტიკა მიუთითებს ან **საფლობ** (ფლო-

ბის, ქონა-ყოლის) ობიექტზე (იხ. ქვეთავები მფლობელობის გამოხატვის შესახებ) ან, რთული ზმნის შემთხვევაში, – კვლავ **გარდაუვალ სუბიექტზე** ან სხვა წევრზე. **| რწ** შეიძლება **სახელთანაც** დაჯდეს და **ზმნასთანაც** ანუ **გამეორდეს ორჯერ** ერთ წინადადებაში (ამათგან **სახელთან გამოყენება ნორმატიულია**) (მაგ., გარდამავალი ზმნა, პირდაპირი დამატება და ა. შ.). **| რწ-ს** სპეციფიკურ გამოყენებაში ჩართული ზმნები **მარტივიცაა** და **რთულიც**. განსაკუთრებით საყურადღებოა სახელბთან **რწ-ს სამჯერ გამეორების** შემთხვევებიც ერთ წინადადებაში (ამათგან **ერთი გამოყენება ნორმატიულია**). მაგ.: **| რწ** შეიძლება იდგეს **მსაზღვრელურ ფსიქოლოგიურ სუბიექტებთან** (იხ. ფსიქოლოგიური სუბიექტი), შემდგომ კი **პირდაპირ** ან **ირიბ დამატებებთან** ან **დამატებით მსაზღვრელებთან**. ხაზგასასმელია აგრეთვე აღნიშნულ ვარიანტებში **| რწ** თანდებულის **შერწყმა კლიტიკებთან** და **შერწყმულად** გამოყენება; თავისთავად, იგულისხმება **| რწ** თანდებულის წარმოდგენა **სასაუბრო ფონეტიკური ფორმებითაც** (ო. უ. ო), – თუ კლიტიკასთან სინთეზში,

თუ **დამოუკიდებლად** (იხ. ქვემოთ ნიმუშები).

აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოაღწერილი შემთხვევები მოიცავს სხვადასხვა დროით ფორმებს ანუ მოცემული ინოვაციური გამოყენებანი არა არის შეზღუდული გარკვეულ დროკილოთა ფორმებისა თუ წინადადების სხვადასხვა შინაარსის კუთხით. ფიქსირდება როგორც მარტივ, ისე რთულ ზმნათა მონანიღეობა ამ მოვლენებში (იხ. ქვემოთ ნიმუშები). წინასწარვე შევნიშნოთ, რომ ქვემომოყვანილი ნიმუშების ტიპისა და აქ აღწერილი ვარიანტების გარდა, ცოცხალ სამეტყველო ნაკადში ან ტექსტებში შეიძლება შეგვხვდეს სხვაგვარი ახალი გამოყენებაც, რომელიც ჯერ არ აღგვინუსხავს.

چند تا قاب چینی که سال تا سال

توی صندوق خاک می خورد را بر داشت و بر گشت

ყაბე ჩინი ქე სალ თა სალ თუაე სანდუყ **ხაქ მიხორდრა** ბარ დაშთ ვა ბარ გაშთ „რამდენიმე ფაიფურის სინი, რომელიც წლიდან წლამდე ზანდუეკში იმტვერებოდა,/მტვერს ყლაპავდა

امیدوارم اموال فرهنگی کشور“; (را-რა), ამოიღო და გამობრუნდა“;

که به طور بی قانونی از مملکت خارج شده است را باز پس

ომიდევარამ ამვალე ჭარჰანგიდე ქეშვარ ქე ბე თოურე

ბი ყანუნი აზ მამლაქათ **ხარეჯ შოდე ასთრა** ბაზ ფას ბეგირიბ

„ჩვენ ვიმედოვნებთ, ქვეყნის საგანძურებს, რომელიც გატანილი

იყო (რა-რა) უკანონოდ, კვლავ დავიბრუნებთ“; به خاطر اینکه

شما و گروهتان روز 9 اکتبر به مرز آستارا می رساند لطفاً لیست

اسامی افرادی که می خواهند با هم در اطاق 3 تخته باشند را

ბეხათერე ინქე შომან ვა გორუჰეთან რუზე 9 ოქტობრ

ბე მარზე ასთარა მირესანად ლოთჰან ლისტე ასამიდე

აჭრადი ქე მიხაჰანდ ბა ჰამ დარ ოთაყე 3 თახთე **ბაშანდრა**

ბეჭერსთიდ „იმის გამო/იმისთვის რომ თქვენ და თქვენი ჯგუ-

ფი 9 ოქტომბერს ასტარის საზღვარს მიაღწევს, გეთაყვათ, იმ

პირების სახელების სია, რომელთაც სურთ, სამსახროლიან

ოთახში ერთად იყონ (რა-რა), გამოგვიგზავნეთ“; نگارنده راه

مستقلی در پیش گرفت و برای اجاره سینمااطلس که سودی برای

کرد نداشت آن شرکای نگه‌دارنده را با هیئت مدیره باز کرد

მოსთაყყელი დარ ფიშ გერეჭთ ვა ბარანე ეჯარედე სინემნათლას, ქე სუდი ბარანე შორაქანე ან ნადშორან, ბანჷე'ათ მოდირე ბანჷ ქარდ „მწერალი დამოუკიდებელ გზას დაადგა და კინოატლასის დაქირავებისთვის, რომელსაც მისი მენილეებისთვის არავითარი სარგებელი (მო)ჰქონდა (არ-რანჷმნა „ქონა-ყოლა“-სთან), კოლეგიის (კოლეგიასთან ერთად) ოფისი გახსნა“; حضور بیگانگان منفعتی برای کشور های منطقه نداشته;

რა ჰოზურე ბიგანეგან მანჭათი ბარანე ქეშვარჷანე მანთაყე ნადშორან ასორან „მავანთა ყოფნას არანაირი სარგებელი რეგიონის ქვეყნებისთვის არა აქვს,“ (რან ჷმნა „ქონა-ყოლა“-სთან); یک برگه دستمال که برای خودم کشیده بودم بیرون اما به;

دادم دستش. این سایتو برو بین.

დასთმალ ქე ბარანე ხოდამ ქეშიდე ბუდამ ბირუნ ამმან ბე ქარამ ნადშორან ბუდრან დადამ დასთე(ა)შ „ერთი ხელი ხელსახოცები, რომელიც ჩემთვის მქონდა ამოღებული, მაგრამ არ დამჭირვებოდა/საქმეში არ გამომდგომოდა (რან ჷმნა „მოსვლა“-სთან), მივეცი ხელში“; ინ სანთუ ბოროუ ბინ „ეს საიტი მიდი ნახე,“ (ეს ბოლო ნიმუში კითხვის ქვეშაა: თითქოს გარდამავალი ჷმნის კუთვნილი პირდ. დამ.-ის რან მირთულია გარდ. ჷმნის

წინამავალ გარდაუვალ ჷმნას: ამით ერთგვარად მიანიშნებს, აკონკრეტებს სწორედ იმ სამოქმედო ობიექტს); فصلی که از

زمان "آقای الف" منتشر شده است را فراموش کنید. بعد هم گفته

دیکته اش را شده هفته

მონთაშერ შოდე ასორან ჭარამუშ ქონიდ. ბა'დ ჰამ გოჭთე ქე დიქთე აშრან შოდ ჰაჭთდე(ჰ) „ნაკვეთი, რომელიც „ბატონ ალექსის მერე დაბეჭდილა (რან), დაივიწყეთ. შემდეგ კი თქვა, რომ მისმა კარნახმა (რან) მიიღო („გახდა,“) ჩვიდმეტი,“ (რან „გახდომა,“ ზმნასთან, პასივში; მეორე რან ირიბი ობიექტის აღმნიშვნელია **დამოუკიდებელი ზმნისთვის „გახდომა,“**; სიტყვ.: **კარნახს მოუხდა/გაუხდა**);

لطفاً آدرس کسی را که ما با او کلاس داشتیم و قرار شد به ما گواهی بدهد را به من بدهید. آنها بی که

اورا گرفتہ بودند را به کناری پرت کرد. **ლოთჲან ადრესე ქასირან ქე მან ბან უ ქელას დაშთიმ ვა ყარანრ შოდ ბე მან გავანჰი ბედეჰადრან** ბე მან ბედეჰიდ. **ანჰანი ქე ურან გერეჭთე ბუდანდრან** ბე ქენარი ფართ ქარდ „თუ შეიძლება, იმ პირის მისამართი, ვისთანაც მეცადინეობა გექონდა და დადგინდა, ჩვენთვის ეცნობებინა (რან), შეგვატყობინეთ,“ (ორი რან: სახელთან (განსაზღვრებითი **ისი** რან) და შემდეგ მეორე რან ზმნასთან); „ისინი, ვისაც ის წაეყვანათ (რან), მიაგდო გვერდზე,“ (ორი რან: რან ნორმატიულად სახელთან (პირდ. დამ.) და მერე ზმნასთანაც).

2) ორ-სამჯერადი რან სახელებთან ერთ წინადადებაში. რა

რან შერწყმულია ნაცვალსახელურ კლიტიკასთან, შესაძლოა სასაუბრო ფონეტიკური ფორმით; ერთი გამოყენება მსაზღვრელური ფსიქოლოგიური სუბიექტისთვისაა (იხ. ფსიქოლოგიური სუბიექტი) ერთხელაც, – დამატებასთან ნორმატიულია.

دگمه ی پیراهن بچه رو دوختم. بچه رو پیراهن شو دگمه

شو دوختم.

ბაჩჩერუ ფირანჰანე დოგმეჲ ფირანჰანე ბაჩჩერუ დუხთამ.

ბაჩჩერუ ფირანჰანეშუ დოგმეშუ დუხთამ. ალირუ ლებასეშუ მოსთამ „ბავშვის პერანგის ღილი დავაკერე. სიტყვ.: ბავშვი(ს) (რან), მისი პერანგის (რან), მისი ღილი (რან) დავაკერე/დავუკერე; ალი (რან), მისი სამოსი (რან) გავრეცხე/გავურეცხე.“

აქ, ამ წინადადებებში გვაქვს 1 რან მსაზღვრელებთან: ორ-ჯერ ან სამჯერადად, – ფსიქოლოგიური სუბიექტის (ერთ-ერთი მსაზღვრელის), ჩათვლით; ერთხელაც პირდაპირ დამატებას-თან, – 1 რან აქ ნორმატიულია.

ამგვარი უჩვეულო გამოყენებანი აღიბეჭდება სასაუბრო მეტყველებაში, ინტერნეტულ ტექსტებში, ელექტრონულ საფოსტო გზავნილებში, და რაც მნიშვნელოვანია, მხატვრულ ლიტერატურაში, მათ შორის ავტორისეულ (მწერლისეულ) ტექსტებში და ა. შ.

ნორმის თვალსაზრისით ზმნასთან 1-რან გამოყენება ზმნაზე უშუალო დართვით ზოგი მკვლევრის თვალსაზრისით, ითვლება **შეცდომადაც**, მაგრამ ასეთი შემთხვევების არსებობა **ავტორიტეტულ წყაროებში ფაქტია** და ამდენად საცოდნელია. ამ წყაროთაგან საკმარისია აღიარებულ მწერალთა თხზულებების ტექსტური მონაცემებიც (ჩვენთან წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიის სია არ შეიცავს მხატვრულ ლიტერატურას; ძირითადი წყაროები მოკლედ სახელდება ბოლოთქმამში, იხ.).

3) 1-რან- თანდებული გარდაუვალი ზმნის ქვემდებარესთან

შემოკლებულ რთულ წინადადებაში. არანორმატიული და ერთი შეხედვით **მცდარია** მეორეგვარი ინოვაციაც: პირდაპირი დამატების 1-რან გადასმულია **გარდამავალი ზმნის ველიდან გარ-**

დაუვალი ზმნის ველში, გადასმულია მთავარ წინადადებაში განსაზღვრებითი რთული ქვეწყობილი წინადადების განსაზღვრებით-დამოკიდებული წინადადებიდან.

მაგალითები: است کتابی را که من روی می گذارم سنگین است
ქეთაშირან ქე მან რუჟე მიზ მიგოზარამ, **სანგინ ასთ** „წიგნი (რან), რომელსაც მაგიდაზე ვდებ, მძიმეა“; **مردی را که تو می بینی**

است پدرم دوست **მარდირან** ქე თო მიზინი **დუსთე ფედარამ ასთ**
„კაცი (რან), რომელსაც ხედავ, მამაჩემის მეგობარია“; **کتابی را**

است مال بهرام **ქეთაშირან** ქე მან ბე თო დანდამ, **მანლე ბაჰრამ ასთ** „წიგნი (რან), რომელიც მოგეცი, ბაჰრამისაა“;

مردی را که در خیابان می بینی **მარდირან** ქე დარ **ხიდაჰან მიზინი ფირ ასთ** „კაცი (რან), რომელსაც გამზირზე ხედავ, მოხუცია“; **غیر از رعدی** **است**. **غیر از رعدی** **است**. **غیر از رعدی** **است**.

زنی را که دیروز دیدم اینجا **است**. **غیر از رعدی** **است**. **غیر از رعدی** **است**.

خانمی را که دیروز در کافه دیده بودم **نیز حضور** **داشت**.
ქე დირუზ დიდამ, ინჯან ასთ „ქალი (რან), რომელიც გუშინ ვნახე, აქაა“; **ყეჟრ აზ რა'დი ხანუშირან** ქე დირუზ დარ **ქანჭე დიდე ბუდამ ნიზ ჰოზურ დამთ** „რაცდის გარდა, ის ქალბატონიც (რან), გუშინ რომ კაფეში მყავდა ნანახი, ესწრებოდა“; **کتاب ها یی را** .

کتاب ها یی را **که هدایت می داد** **بخوانم** **شبیخ** **کتاب** **ها یی** **نبود** **که** **ترجمه** **می**

شد **ქეთაჰჰაშირან** ქე ჰედანათ მიდად **ბეხანამ შაბიჰე**

ქეთაჰჰაში ნაბუდ ქე **თარჯომე მიშოდ** „წიგნები (ირან), რომელსაც მხელმძღვანელობდა წამეკითხა, იმ [სხვა რალაც] წიგნების

(-ი) მსგავსი არ იყო, რომელიც ითარგმნებოდა“; და სხვა მისთ.

სინამდვილეში, **ერთიანობა** **ყ** და **რ** მოცემულ ნიმუშებში **ქვეწყობითაა** განპირობებული: განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებიდან მთავარ წინადადებაში გადანაცვლებული **რ** რწ **ყ** ი-არტიკლთან ერთად ქმნის ზემოთ წარმოდგენილ **ელემენტთა**

ერთიანობას **რ** **ყ**/**არ** **ირწ**-ს, – მთავარი წინადადების გარდაუვა-

ლი ზმნის (შემასმენლის) ქვემდებარესთან; მაგრამ თავად **ირწ**-ს ერთობის მოვლენა საგანგებოდ განიხილება ცალკე პარაგრაფში (იხ. პარ. 15 ქვემოთ). არ უნდა ავურიოთ ერთურთში: **ირწ** მარტივ წინადადებაში და **ირწ** ქვეწყობაში. მოცემულ პარაგრაფში **ირწ** ერთობის ქცევა არანორმატიულია, სპეციფიკურია: რწ ერთვის განსაზღვრებითობის (მითითების) არტიკლს **ყ** ი-ს მთავარი წინადა-

დების ქვემდებარესთან; ამდენად, შეიძლება ითქვას, სახეზეა **უნესო (არანესიერი)** ქვეწყობა (შდრ. ნესიერი, ნორმატიული ქვეწყობა: იხ. რთული ქვეწყობილი წინადადება, განსაზღვრების დამოკიდებულებიანი ქვეწყობა). **ნესიერი ქვეწყობის ირწ თუ რწ (მთავარი წინადადების გარდამავალი ზმნის პირდ. ობიექტისთვის) უნდა გავარჩიოთ მარტივ წინადადებაში არსებულ სპეციფიკურ ირწ ერთობისგან** (იხ. პარ. 15 ში).

ამგვარად, მოცემულ პარაგრაფში წარმოდგენილია რწ/ირწ-ს სპეციფიკაცია ქვეწყობილ სტრუქტურაში. ფიქსირდება და აღინიშნება ნორმატიული და არანორმატიული ქვეწყობა. გვაქვს ორი სახის ქვეწყობა: ნორმა და სპეციფიკაცია (იხ. შდრ. ნორმატიული ქვეწყობილი წინადადება).

სწორედ თავად რწ-ს სპეციფიკაცია განაპირობებს ჯამში მთლიანად ქვეწყობის სახეობის სპეციფიურობას. აქ სახეზეა **რ** რწ-ს გადაადგილება ნორმატიული პოზიციიდან ინოვაციურზე:

პიედაპირი დამატების 1 რწ მიერთვის გარდაუვალი ზმნის (სუ-

ბიექტს) ქვემდებარეს; ქვეწყობილი წინადადების სისტემაში **დამოკიდებული** წინადადებიდან გადაინაცვლებს **მთავარ** წინადადებაში.

ესაა **წინადადების შემოკლების ტენდენცია**, მეორეს მხრივ კი საგნის **გამოყოფა და ხაზგასმა**, რაც იწვევს ამ არანორმატიულ წყობას. ასეთი სტრუქტურა შეიძლება შეგვხვდეს არა მარტო **სასაუბრო ენაში**, არამედ **ბეჭდურ, სამწერლობო ენაშიც**, მათ შორის სახელმძღვანელოებში თუ მხატვრულ ლიტერატურაში და ა. შ. ბოლო წლებში ეს მოვლენა მატულობს.

ორივე ეს ძირითადი ინოვაცია **სამეტყველო ნაკადიდან უკვე შეიჭრა ბეჭდური ენის სხვადასხვა სფეროებში და ამდენად გასათვალისწინებელია.**

4) **გარემოებითი 1 რწ-**. გარემოებითი 1 რწ- აქტიურად გვხვდება მე-20 სკ-ის დასაწყისიდან (მაგ., მოგზაურობის ყანრის პროზაში); აღინიშნება ხალხური მეტყველების ლექსიკონში და დღევანდელ ირანულ თუ სხვა სახელმძღვანელოებში. 1 რწ-თანდებულის ეს ფუნქცია აგრეთვე ზოგ გრამატიკულ აღწერაშიც გვხვდება. რაც მთავარია, 1 რწ-თანდებულის გარემოებითი ფუნქციით ფართო გამოყენება ფიქსირდება თანამედროვე **სასაუბრო ენაში** და აღიბეჭდება **ლექსიკონთა ვერტიკალურ ბუდეებში**, კერძოდ, მოცემულ ლექსიკონშიც (იხ. ლექსიკონის ვერტიკალი; იხ. ბიბლიოგრაფია). ამ მხრივ გამოკვეთილია 1 რწ-თანდებულის **დროისა და ადგილის გარემოებათა გაფორმების** საკმაოდ ჩვეული შემთხვევები, რაც შეგვხვდება თანამედროვე ენის ყველა დონეზე და სახელმძღვანელოებშიც. გვხვდება აგრეთვე **ვითარების გარემოებების** სხვადასხვა სახეობებიც.

მაგალითები: امروز را منزل هستم. امسال را ایران می مونم.

امشب را انجا باش! كجارا/كجارو نگاه می كنی؟ آنجارا ترك كرده.

كجارا/كجارو در نظر گرفته اید؟ كجارو می بینی؟ اینجارو ببین!

ემოუზრან მანზელ ჰასთამ, ემსალრან ირან მიმუნამ, ემშაბრან ინჯან ბან! ქოჯარან/ქოჯარო ნეგანჰ მიქონი? *ა(უ)ნჯარან* თორქ ქარდე; *ქოჯარან/ქოჯარუ* დარ ნაზარ გერეჟთე იდ? *ქოჯარუ* მიბინი? *ინჯარუ* ბებინ! „დღეს სახლში ვარ; წელს ირანში ვრჩები; ამაღამ აქ იყავი; საით იყურები?; იქაურობა გაათურქეს; საით აპირებთ?; სად იყურები?; აქ იყურე/შეხედე“; *میراب که قدیم*

ها آن قدر دوست داشت که تا صبح را کنارش باشم دیگر برایم میراب نیست. باید بروند یک جایی و یک مدت را با هم باشند.

მირან ქე ყა-დიმჰან ან ყადრ დუსთ დანთ ქე თან სობჰრან ქენარემ ბანამ დიგარ ბარანამ მირან ნისტ; ბანად ბერავანდ ექე ჯანო ვა ექე მოდდათრან ბან ჰამ ბანანდ; ინ სიმარუ რაჟთი; თანჰანირან ბე თაჯრობე ნეშასთ. „მირაბი რომელიც ძველ დროში იმდენად უყვარდა, რომ დიღამდე (რან)მის გვერდით ვიყო, ჩემთვის მირაბი არაა; უნდა წავიდნენ სადმე და ერთხანს (რან) ერთად იყონ; ამგვარად (რან) მიდიოდა ხოლმე; განმარტოებით (რან) გამოსაცდელად დაჯდა“; და მისტ.

საერთო შინაარსობრივ-ფუნქციური მოტივაცია: მინიშნება, დაზუსტება, მითითება, საზგასმა, გამოყოფა, მინიშნება, გარკვევა და მისტ.

ასეთი გამოყენება სასაუბრო ენიდან მომდინარეობს და ადრეულ ანუ კლასიკურ მწერლობას არ ახასიათებს. შესაბამისად, ერთის მხრივ ეს ადრინდელი ხმარებაა ხალხური მეტყველებიდან მომდინარე, მეორეს მხრივ, სიახლეა ლიტერატურული ენისთვის. ჯამში, თანამედროვე ენის დონეზე გარემოებითი

1-რ-ს საცხებით ნორმატიულია, თუმცა არ არის სავალდებულო და საყოველთაო: გარემოებით სიტყვას 1-რ-ს შეიძლება დაერთოს ან არ დაერთოს. უფრო ხშირია გარემოება 1-რ-ს გარეშე, ეს ნორმაა. თანდებულებანი გარემოება ჩაითვლება ნორმის ერთ ვარიანტად.

5) სხვა სპეციფიკაციები. გარდა ზემოთ დახასიათებული ინოვაციური ვარიანტებისა იშვიათად სხვადასხვა თანამედროვე ტექსტებში (მაგ., სამეცნიერო ლიტერატურაში) გვხვდება აგრეთვე 1-რ-ს თანდებულის სხვადასხვა უჩვეულო და ერთი შეხედვით ზოგჯერ სრულიად უფუნქციო თუ ჩვეული სტრუქტურის დამრღვევი გამოყენების სხვა ვარიანტებიც.

მაგალითად: گروه های موجّه و کارساز مخالف دیکتاتوری
را در یکی از تالار های پاریس سازماندهی کرد و برنامه مفهوم
توسط دانشجویان از آن جمله دانشجویان رشته های مختلف
کنسرواتوار هنر های دراماتیک فارسی را جاذبه والا سبب شد

გორუჭმანე მოვაჯჯაჰ ო ქარსაზე მოხალეჭე დიქტატორირან
დარ იეჟი აზ თანღარჭმანე ფარის სანზმანდაჰი ქარდ ვა
ბარნამეჟე მაჭჰუმ (ე), თავასსოთე დანემუჯუჟან, აზ ან ჯომ-
ლე, დანემუჯუჟანე რემთეჭმანე მოხთალეჭე ქონსერვანთუარე
ჰონარჭმანე დერამანთიქე ჭარსირან, ჯანზებეჟე ვალან საბაბ

შოდ; „საპატივცემულო და დიქტატურის (1-რ-ს) ოპოზიციის ხელშემწყობმა კომპანიებმა პარიზის ერთ დარბაზში ორგანიზება გაუკეთა და გასაგები/მისაღები/გარკვეული პროგრამა სტუდენტთა მემკვიდრით, მათ შორის კონსერვატორიის სპარსული დრამატული ხელოვნებების სხვადასხვა დარგის სტუდენტებისა

(არ-რ), გახდა მიზეზი დიდი ფაქტორისა (დიდი მიმზიდველი ძალისა); აქ თითქოს ჩანს **გამოყოფა-მიითითება** მხოლოდ; **თანდებულიანი სახელები ობიექტი არ არის და ზმნასთან არაა უშუალო კავშირში**; უფრო, შესაძლოა, წააგავს შინაარსით კვლავ **ირიბ ობიექტს (იხ.)**.

გვხვდება არ-რ თანდებულის (არტიკლის) თავისებური, არანორმირებული გამოყენება სხვადასხვა **გართულებულ სინტაქსურ სტრუქტურებშიც**.

მაგალითად: عكسالعمل های تدریجی و نفرت عمومی در

از کشور نسبت به رژیم را زیادتیر نمود داخل و خارج

სოლ'ამალჰანდე თადრიჯი ვა ნეჭრათე 'ომუმი, დარ დახელ ო ხარეჯ აზ ქეშვარ ნესბათ ბე რეჟიმრან ზიდადთარ ნემუდ; (

აბე-ნინდებულთან **ერთდროული** გამოყენება, აგრეთვე იკვეთება **მიითითება** და თანდებულის სიტყვა წინადადებაში **ირიბი ობიექტია**, რომელსაც თითქოს **ხაზი ესმება**) „თანდათანობითმა წინააღმდეგობებმა და საერთო სიძულვილმა ქვეყნის შეგნით და გარეთ რეჟიმის მიმართ (არ-რ) მეტად იჩინა თავი (გაიზარ-

და)“; کتاب جالبتر از این را پیدا نکردم ქეთაბე ჯალბეტარ აზ

ინ-რან ფედად ნაქარდამ „ამაზე უფრო (არ-რ) საინტერესო

ნიგნი არ აღმომიჩენია“ (იზაფეთში ჩამჯდარი რელატიური არ-

რ-თანდებულის შენაერთი); هنرمندان این تماشاخانه به

خصوص در دهه بیست را می توان دستهبات متعدد تقسیم نمود

ჰონარმანდანე ინ თამაშახანე, ბე ხოსუს დარ დაჰედე ბისტ-

რწ, მითავან დასთეჯათე მოთე'ადედ თაყსიმ ნემუდ „ამ თეატრის ხელოვანები, განსაკუთრებით 20-იან წლებში (1-რწ), შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს“ (თითქოს 1-რწ პირდ. დამ. ისაა, მაგრამ **იზაფეთურ-წინდებულიან გარემოებით დამატებას-თანაა** გადასული, თანაც ეს უკანასკნელი **ჩართული** ფრაზა გამოდის, 1-რწ კი **ძირითადი** წინადადებისაა); (იხ. სპკ-რელატივები; შედარებითი ხარისხი იხ. მორფოლოგიაში; იხ. იზაფეთი, წინდებულები, ჩართული; იხ. წინ. ნევრები).

სხვა სპეციფიკაციებში აღსანიშნავია აგრეთვე ფორმა **من**

1-რწ-რწ. პირველი პირის მხ. რ. – ის ნაცვალსახელის **სრულად**

წარმოდგენა 1-რწ თანდებულთ თანდართვისას **ახალი მოვლენაა**, რომელიც უფრო ძველ (კლასიკურ) შემოკლებულ ფორმას ჩაანაცვლებს ხოლმე: **رو من<را من<ما-რწ>მანრწ/მანრო/მანრუ.** ეს ფორმაც **სასაუბრო ენიდან** მოდის დღევანდელ ვითარებაში და **შეჭრილია ბეჭდურ** ენაში. 1-რწ თანდებული ერთვის სრულ პირველი პირის ნაცვალსახელს **من<مان, „მე“**, შეკვეცის გარეშე (შეკვ. **ما<مارა**), რაც გვხვდება თანამედროვე ენის ორივე ძირითად დონეზე: **სასაუბრო და ლიტერატურულ სპარსულში. მაგ.: من رو نمی بینی؟ من را به**

مانرئو ნემიბინი? მანრწ ბე მწ'მურიდათ

ჭერესტანდან „მე ვერ მხედავ? მე მივლინებაში გამაგზავნეს“; და სხვა. ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე ენაში ძველი შეკ-

ვეცილი ფორმაც სახეზეა: შდრ.: *مرا می گویی* *მარან მიგუი?*
„ჩემზე ამბობ?/მე მეუბნები?“; *مرا برد* *მარან ბორდ* „მე წამიყვა-
ნა“ და ა. შ. (იხ. *را-რან* -ს სინტაქსური როლები აქვე; იხ. დამატე-
ბები ნ. ნევრებში).

را-რან თანდებულის სპეციფიკაციები თავს იჩენს აგრეთ-
ვე: *را + یی+რან* **ფორმანტების ერთობლიობაში** (*ی-ი-ს* და *را-
რან*-ს ერთდროულ გამოყენებაში) და **შერეულ ანუ ალტერნატი-
ულ მარკირებაში** (*را-რან* და ზმნური ობიექტური მარკერი ერ-
თდროულად) (იხ. პუნქტები 15 და 16, იხ. ეს სპკ-ები აქვე; იხ.
წინადადების წევრები; იხ. დამატებები, უბრალო დამატება).

ვიმერობთ, ამგვარი უჩვეულო გამოყენებანი აღიბეჭდება
სასაუბრო მეტყველებაში, ინტერნეტულ ტექსტებში, ელექ-
ტრონულ საფოსტო გზავნილებში, და რაც მნიშვნელოვანია,
მხატვრულ ლიტერატურაში, მათ შორის ავტორისეულ (მწერ-
ლისეულ) ტექსტში და ა. შ. ესაა ყურადსაღები.

უთუოდ შეგვხვდება ენის სხვადასხვა დონეზე *را-რან*-ს კი-
დეე სხვა ახალი სხვადასხვა ინოვაციები, უჩვეულო გამოყენება
და სპეციფიკაციები. ამ ტენდენციას გარკვეული ხარისხით
ადასტურებს *را-რან* -ს ბოლო ხანების მრავალსახა დინამიკა.

უთუოდ ჯერ ზოგიერთი სპეციფიკაცია არ არის აღნიშნული,
კლასიფიცირებული და კოდიფიცირებული; შესაბამისად, ზოგი
სიახლე, შესაძლოა, არც იყოს წარმოდგენილი მოცემულ პარაგ-
რაფში; თუმცა აქ წარმოჩენილი ზოგადი სურათი *را-რან*-ს **არას-**

ტანდარტული ხმარების **ტიპური ნიმუშებისა**, ჩანს, სამომავ-
ლოდ საკმარისი გზამკვლევაა.

რ რნ-ს სხვა ტიპის სპეციფიკაციები ვლინდება აგრეთვე
ც ი და რ რნ-ს ერთობაში (ერთიან, ერთდროულ გამოყენებაში)
და შერეულ (ალტერნატიულ, ორმაგ) მარკირებაში (იხ. აქვე ქვე-
მოთ პარაგრაფები 15, 16).

**15. ც ი+ რ რნ ერთად: განუსაზღვრელობა-
გამოყოფის ც ი-სუფიქსისა და რ რნ-
თანდებულის ერთდროული ხმარება პირდაპირ
დამატებასთან მარტივ წინადადებაში (რ რნ თან-
დებულის ერთ-ერთი სპეციფიკაცია)**

ც ი+ რ რნ მოდელი სპეციალურ და არანორმატიულ შემ-
თხვევებს განეკუთვნება. რ რნ თანდებული ზოგჯერ გვხვდე-
ბა პირდაპირ დამატებასთან განუსაზღვრელობის ც ი-სუფიქ-
სთან ერთად. ვიღებთ **შერეულ აღნიშვნას**: თითქოსდა ურთი-
ერთგამომრიცხველი და საპირისპირო კატეგორიალური ნიშნე-
ბის ერთდროული გამოყენება. საქმე ისაა, ც ი-სუფიქსს **გამო-
ყოფის** ფუნქციაც აქვს, რაც სწორედ ამ შემთხვევებში ვლინდე-
ბა: ობიექტი **გარკვეულიცაა** და **გამოყოფილიც** (მითითებული,
ხაზგასმული) ერთდროულად; ანუ დაზუსტებულია. ასეთი ხმა-
რება კლასიკურ სპარსულშიც გვხვდება იშვიათად, ხოლო თანა-
მედროვე სპარსულში უფრო გახშირებულია და გააქტიურებუ-
ლი, — **გოჭთარიშიც (სასაუბრო)** და **ნევეშთარიშიც (სამწერლო-
ბო)**. ერთი გარკვეული საგნის თუ პირის სახით (პირდაპირი და-
მატების) გამოყოფა მრავლიდან და მისი ამგვარი განსაზღვრა

ხორციელდება გამოყოფის ა-ი- არტიკლის დამატებითი გამო-
ყენებით ზოგადად განსაზღვრულ (განსაზღვრებით) რ-რ-არ-
ტიკლთან ერთდროულად. ამით „ეს ერთი საგანი/პირი“ კიდევ
უფრო მეტად გამოიყოფა და კონკრეტდება.

მაგალითები: داد با بعد از سه چهار دقیقه شماره ای را داد
აზ სე ჩაჰარ დაყიყე შომარეიროდ დად „სამი-ოთხი წუთის მერე
ერთი [რალაც გარკვეული] ნომერი(ირნ) მომცა“; به جای وی
مانیبد نماید را منصوب دیگری شخص به چه از بعد از سه چهار دقیقه
მანსუბ ნემნად „მის ადგილას სხვა პირი [ერთი რომელიღაც
გარკვეული](ირნ) დანიშნოს“; خانم شما چه زبان های می
داند؟ ხანუმ, შომან ჩე ზაბანჰანდირნ მიდანიდ? „ქალბატონო,
თქვენ რა ენები [რალაც გარკვეული](ირნ) იცით?“; کسی را نمی
شناسی? ნემიბინად „ვერავის [გარკვეულს](ირნ) ხედავს“;
دیدم. این را دیدم. مجله ای را آورد. این را دیدم. این را دیدم
დიდ „ერთი [გარკვეული] წიგნი(ირნ) მოიტანა, ერთი [გარკვეუ-
ლი](ირნ) ჟურნალი დაინახა“; یک کتابی را نگاه می کردم نمی
خواندم. این را دیدم. این را دیدم. این را دیدم „ერთ წიგნს
[გარკვეულს](ირნ) ვუყურებდი, არ ვკითხულობდი“; چنین چیزی
در این کتاب نیست. این را دیدم. این را دیدم. این را دیدم „ისე-

თი რალაცეები [გარკვეული](ირწ) მასში დაინახოს“; *مردی را*
بینی *مردی را می بینی*. *მარდირწ* დიდ, *მარდირწ* მიბინი „ერთი კა-
ცი(ირწ) დაინახა, ერთ კაცს(ირწ) ხედავ [გარკვეული, გარკვე-
ულს]“; *من کتابی را خریدم* *მან ქეთაბირწ* ხარიდამ „მე ის ერთი
გარკვეული წიგნი (ირწ) ვიყიდე“; *را داشتند* *ჩონინ*
تارჭირწ დაშთანდ „ერთი ასეთი გარკვეული გეგმა(ირწ) ჰქონ-
დათ“; *کسی را دوست داشته باشد* *ქექერ* *ნაქონამ* ქა-
სირწ დუსთ დაშთე ბაშად „არ მგონია, ვინმე(ირწ) უყვარდეს“;
من نمی دانستم *او می* *را* *که* *ندیده* *بودم* *چگونه* *در* *میان* *این* *همه*
ممن *پیدا* *کنم* *صورت* *ممن* *نهمیدانستام* *უდირწ* *ქე* *ნადიდე* *ბუდამ*
ჩეგუნე *დარ* *მიდანე* *ინ* *ჰამე* *სურათ* *ფედან* *ქონამ* „მე არ ვიცო-
დი, ის(აი ის, სწორედ ის)(ირწ) რომ არ მენახა, სად ვნახავ-
დი/ვიცნობდი ამ ვითარებაში“; *نظارت بانکی را می* *خواستند*
ნაზარათე *ბანქირწ* *მიხაშთანდ* „ერთი (რომელიღაც გარკვეუ-
ლი) ბანკის (ირწ) ზედამხედველობა უნდოდათ“; *انتظار دارند*
چنین چیزها می *را* *در* *آن* *ببینند* *انگار* *که* *تمام* *چیزها* *می* *قشنگ*
اند *اینجا* *جمع* *کرده* *اند*
ბებინანდ, *ენგარ* *ქე* *თამამ* *ჩიზჰაი* *ყაშანგ* *ინჯან* *ჯამ* *ქარდე*
ანდ „ელიან, ერთი ისეთი რამეები(ირწ) დაინახონ მასში, თით-
ქოსდა ყველა ლამაზი საგანი აქ შეუკრებავთ“; *دستروشان یکی*

دند می تو مان می دند
 تومن می داند „ხელზე მოვაჭრენი ერთ ცალს(ირა) ორას თუმ-
 ნად ყიდიან“; همان شب یک روزنامه ای را نگاه می کردم نمی
 خواندم *ჰამან შაბ დეჟ რუზნამეტირან ნეგაჰ მიქარდამ, ნე-
 მიხანდამ* „იმავე ღამეს ერთ გაზეთს(ირა) ვათვალიერებდი, არ
 ვკითხულობდი“; من مایلی را خریدم *მან მობაიელირან ხარიდამ*
 „მე ერთი (გარკვეული) მობილური(ირა) ვიყიდე“; زنی را دید
 نیران *დიდ* „ერთი ქალი (გარკვეული) (ირა) დაინახა“; این زنجیر
 در *ზანჯირი* اسرارمیزی که واقعه ای را به واقه بعدی پیوند می داد
რე ასრარამიზი ქე ვაყე'ეტირან ბე ვაყე'ეჟე ბა'დი ფეივანდ
მიდად „ეს იღუმალი ჯაჭვი, რომელიც ერთ რომელიღაც ვითა-
 რებას(ირა) შემდგომ მოვლენას აბამდა/აკავშირებდა“; مسئله ای

ما را در زبان فارسی دید. چیزی رو دیدی؟ کسی را/و دیدی?
სალეჟირან დარ ზაბანე ჭარსი დიდ; ჩიზირუ დიდი? ქასირუ/რან
დიდი? „ერთი რალაც საკითხი (საკითხავი)(რა) დაინახა სპარ-
 საულ ენაში; რამე (ერთი გარკვეული)(რა) დაინახე? ვინმე (ვინ-
 მე ერთი გარკვეული)(რა) დაინახე?“; اگر راهی نیس راهی را
 بساز *აგარ რაჰი ნის (ნისთ) რაჰირან ბესაზ* „თუ გზა არაა, რამე
 (ერთი რამე გარკვეული) გზა გამონახე (შექმენი)“; და სხვა მრ.
 ეს ტენდენცია ძლიერდება.

ჯამურად აქ ყალიბდება შემდეგი **სემანტიკური სქემა:**
ფსევდოგანუსაზღვრელობა > განსაზღვრელობა, გარკვეულო-

ბა: „ერთი რომელიღაცა, თუმცა გარკვეული„. ორმხრივი, ერთგვარად ორაზროვანი, **ორმნიშვნელიანი ელემენტი** (ე.წ. არტიკლი); **را رن სძენს გამოყოფა-გარკვეულობას, ძლიერდება კონკრეტული მითითების, მინიშნების აზრი.**

სახეზეა: **გამყოფა-მითითება-მინიშნება-გარკვეულობა-საზგასმა; ა.შ.**

იგივე ეფექტი აქვს და ზუსტად **იგივე კოდიფიკაცია** უნდა მიეცეს **يك اءء** განუსაზღვრელ ნაცვალსახელად ქცეული

რიცხვითი სახელისა და -**را رن-ს ერთდროულ** ხმარებასაც (იხ.

მორფოლოგიაშიც). **მაგ.:** **اما اين يك شلووار را /رو هم ذراى**

بيند/مى **مى زيادى** **من /برام** **اممذ** **ინ** **ءءء** **შალღარრძ/-რო/-**
რუ **ჰამ ბარნდე მან/ბარშ** **ზიდადი მიბინად/მიბინე** „ამას კი ერთი შარვალიც ჩემთვის ზედმეტი ერვენება“; **اين يك پاجين**

بيند/مى **مى زيادى** **من /برام** **براى هم** **را /رو** **ინ** **ءءء**
ფაჩინრძ/-რუ **ჰამ ბარნდე მან/ბარშ** **ზიდადი მიბინად/მიბინე**
„ეს კი ერთ ფეხსაცმელსაც ჩემთვის ზედმეტად მიიჩნევს“; ?

چرا يك شلووار را /رو هم براى من /برام **زيادى** **مى بيند/مى**
ჩერა **ءءء** **შალღარრძ/-რუ** **ჰამ ბარნდე მან** **ზიდად მიბინად** „რატომ ერთი შარვალიც ჩემთვის ზედმეტი ერვენება?!“; **يك چارك**

ءءء **ჩარაქ ნანრა** **فانڭ** **ყერან** **مى قران** **پنج** **نان** **را**
მიჭორუშანდ „ერთ ჩარექ პურს ხუთ ყრანად ყიდიან“; და სხვა.

يٰۤاۤی ۱۰-ის გრამატიკული სინონიმი, შეფას-
დება იგივენივით რა -რ- თან ერთობლიობაში მოდელით:
يٰۤاۤی + ۱۰ რ- ამ შეხამებასაც იგივე ფუნქცია აკისრია.

რიცხვითი სახელი يٰۤاۤی იქვე განუსაზღვრელი ნაცვალსახე-
ლის ფუნქციით შეიძლება ერთდროულად ۱۰ + ۱۰ რ- ერთობ-
ლიობასთან ერთადაც იხმარებოდეს ანუ „ერთადერთობის“ აღ-
ნიშვნა ორმაგია, დუბლირებულია يٰۤاۤی ۱۰ ნაცვალსახელისა
და ۱۰-ი სუფიქსის სინონიმური გამოყენებით. მაგ.: همان شب
چون که کتابی را نگاه می کردم „იმავლე ღამეს ერთ რაღაც წიგნს ვათვალიერებდი“; და
სხვა. ამგვარი სქემა (ფორმულა) შედარებით იშვიათია.

۱۰-ი და ۱-რ- შეიძლება ერთდროულად, მაგრამ გაყო-
ფილად (გათიშულად) იხმარებოდეს. მაგ.: من یک کتابی بود

این را (و) // اینو მან ۱۰-ი ქეთაში ბუდ, ასლან ნა
ინო/ინო მიშენახთამ „მე, ერთი წიგნი იყო (მქონდა), მე ის
სრულებით არ მესმოდა“ (აქ უარყოფის ნაწილაკიც ცალკეა).

۱۰ + ۱ რ- მარტივ წინადადებაში არ უნდა ავუროთ
განსაზღვრებით ქვენყობილ წინადადებაში ამ ელემენტთა ნორ-
მატიულ, ნორმირებულ გამოყენებასთან. არ ავუროთ მარტივ
წინადადებაში ۱۰ + ۱ რ- ერთობლიობის გამოყენება რთულ

ქვენყობაში $ای-ი$ - და $را-რ$ -ს შეხვედრასთან; იქ ეს ნორმატიულია. კერძოდ, მთავარი წინადადების $ای-ი$ - სუფიქსს განმარტავს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც **მაგ.:** *بازدید می‌کنم تا آنکه نان خشک می‌خورند* დიდ, *چه نامه‌ها می‌خواندند* „ბავშვები დაინახა, რომლებიც ხმელ პურს ჭამდნენ“; *کتابی را که دیروز در بازاره اش حرف می‌زدیم* *ქეთაბირან ქე დირუზ დარ ბარეაშ/ბარაშ ჰარფ მიზადიმ ხარიდამ* „ის წიგნი, რომელზედაც გუშინ ვსაუბრობდით, ვიყიდე“; *مردی را دیدم که وارد دانشگاه شد* *ვარედე დანეშგაჰ შოდ* „ერთი კაცი დავინახე, რომელიც უნივერსიტეტში შევიდა“ და სხვა მისთ. (იხ. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება რთულ ქვენყობილ წინადადებაში; სუფიქსები, $را$ რ-თანდებული (არტიკლი), რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები იხ. მორფოლოგიაში).

არსებითად, $ای/یک$ $هفت+را$ რ-ერთობლიობაც დღეს

$را$ -რ-თანდებულის დამახასიათებელ **სპეციფიკაციების კატე-**

გორიას განეკუთვნება პირველ რიგში (იხ. $را$ -რ-თანდებულის სპეციფიკაციაში აქვე, პუნქტი).

ცალკე განხილულია და საცოდნელია **ქვენყობაში ჩართული** (ან, შესაძლოა, ქვენყობასთან ახლო მდგომი ორაზროვანი) **სტრუქტურები**, სადაც $را+ای$ ი+რ-ს ერთიანობა ჩვეული ქვენყობილი განსაზღვრის ნორმატიულობაა და არა სპეციფი-

კური განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სპეციფიკურივე შერწყმა (იხ. ქვენყობილი წინადადება).

შდრ. მაგ.: کسی را که دیروز آنجا حضور داشت خواهرم

سناسد می چასირან ქე დირუზ ანჯა ჰოზურ დამთ ხაჰარამ მი-
შენასად „იმ მავანს, გუშინ რომ (რომელიც) იქ ესწრებოდა, ჩემი
და იცნობს“; (ნორმატიული განსაზღვრებით-დამოკიდებული
ქვენყობილი წინადადების ერთ-ერთი სახეობა);

کتاب ها ایی را که هدایت می داد بخوانم شیبیح کتاب ها ایی

შედაბჰაირან ქე ჰედამათ მიდად ბეხანამ
می شد

შაბიჰე ქეთაბჰაირან ნაბუდ ქე თარჯომე მიშოდ „ნიგნები (ირან),
რომელსაც მხელმძღვანელობდა წამეკითხა, იმ [სხვა რალაც]
ნიგნების (-ი) მსგავსი არ იყო, რომელიც ითარგმნებოდა,“ (ირან-ს
სპეციფიკაცია ქვენყობილ სტრუქტურაში).

უკანასკნელ ნიმუშში რ+ ირან-ს სპეციფიკაცია ასე-

თია: ირან-დართული სახელი ეკუთვნის მთავარ წინადადებას
გარდაუვალი ზმნის (შემასმენლის) ქვემდებარის სახით; ორმა-
გი ქვენყობა, სადაც მთავარ წინადადებას მოსდევას მეორე გან-
საზღვრებითი დამოკიდებული ფრაზა პასივში,–მთავარი წინა-
დადების უბრალო განსაზღვრებითი დამატების განმსაზღვრე-
ლი პასივში; ისევე როგორც ზემოთ განხილული გვაქვს სპეცი-
ფიკაცია, სადაც აღნიშნულია მარტო რ რან (ი-ს გარეშე) რომე-
ლიც იკავებს ამ პოზიციას: მთავარი წინადადების გარდაუვალი
ზმნის (შემასმენლის) ქვემდებარესთან (იხ. ზევით პარ. 14, მუხ-
ლი 3) ნიმუშებით).

ამგვარად, ჯამურად გასარჩევია: ირან-ს მოქმედება ქვენყო-
ბაში (არანორმატიულ, არანესიერ ქვენყობაში) და ირან-ს ქცევა
მარტივ წინადადებაში მორფოსინტაქსურ ელემენტთა სპეციფი-
კური გრამატიკულ-სემანტიკური ერთობის სახით. თავის

მხრივ, პირველ რიგში გასამიჯნია *ირპ/რპ ნორმატიულ (ნესიერ) ქვენყობაში და არანორმატიულ (უნესო, არანესიერ) ქვენყობაში* (ამაზე იხ. პარ. 14 და შდრ. რთული ქვენყობილი წინადადება, განსაზღვრების დამოკიდებულიანი ქვენყობა). შემდგომ კი გასამიჯნია სწორედ ეს ზემოხსენებული *არანორმატიული (არანესიერი, უნესო) ქვენყობის ირპ მოცემულ პარაგრაფში განხილული მარტივი წინადადების თუ მოკლე ფრაზების ირპ-გან* (იხ. შდრ. პარ. 14).

რ + ყ ი + რპ ერთობა ჯამში დიდწილად რპ-ს ერთ-ერთი

სპეციფიკაცია: ელემენტთა ერთობაში მთავარია აქ ყ ი, ხოლო ერთვის რა მას რპ, ჰმატებს ახალ შინაარსს. სპეციფიკა, თავისებურება აქ რ რპ-ს შეეხება, რ რპ-ს ქცევას ახასიათებს, ხოლო მთლიანობაში ვიღებთ სიახლეს და თავისებურ გაფორმებას განსაკუთრებული მორფოსინტაქსური ფუნქციით (შდრ. პარ. 14 და 16). რ + ყ ი + რპ-ს გამოყენება კლასიკურ სპარსულშიც გვხვდება უფრო იშვიათად.

16. შერეული და ალტერნატიული მარკირება (აღნიშვნა) (რ რპ თანდებულის მორიგი სპეციფიკაცია)

შერეული, ორმაგი და ალტერნატიული მარკირება ობიექტური პირის ზმნური მორფების – ნიშნების (მარკერების) ალტერნატივას წარმოადგენს. ზმნური მორფების (პირის ნიშნების) ალტერნატივაა -რპ- თანდებულის პირდაპირი დამატებისთვის (ობიექტისთვის) და -ბე- წინდებულის ირიბი დამატებისთვის (ობიექტიცთვის) (იხ. ობიექტური პირის ნიშნები წინადადების წევრებში: პირდაპირი და ირიბი დამატება). მაგრამ ეს ალტერნატივა არ არის აბსოლუტური, – გვაქვს შერეული მარ-

კირების საინტერესო შემთხვევები ორი ვარიანტის სახით: ა) **მორფი-მარკერი და თანდებული 1-რნ- ერთდროულად გამოიყენება ზმნურ ფორმაში;** ბ) **ერთდროულად გამოიყენება ზმნაში მორფი-მარკერი (პირის ნიშანი) და სახელთან (დამატებასთან) 1-რნ-თანდებული.** ასეთი ნიმუშები ცოტაა და არანორმატიულია, მაგრამ გამოკვეთილად აღიბეჭდება სამეტყველო ნაკადსა და ავტორიტეტული სახელმძღვანელოების საკითხავ ტექსტებში, ჩვეულებრივ, – კოდიფიკაციისა და კომენტარების გარეშე; გვხვდება ტელევიზიაში, კინოფილმებში და ა. შ. მსგავსი ფაქტები კვლევებშიც აღინიშნება (იხ. ბიბლ. სიები).

მაგალითები: در آينده عوضش را می کنيد *დარ აინდე*

’ავაზაშრან მიქონიდ „მომავალში ჩანაცვლებთ მას“; حرفشو

ჰარჭეშო ნაზანიდ „ამას ნუ ილაპარაკებთ“; فکرتشو

ჭექრეშო/უ ნაქონიდ „ამას ნუ იფიქრებთ/ნუ ფიქრობთ“;

*چه کارش کنم بچه را؟ ჩე კარშ ქონამ ბაჩჩერან „რა ვუყო ბავშვს?“; (შდრ. უალტერნატივო, შეურეველი ნორმატიული ვარიანტი: ؟ کار کردی؟) پسرم را چه کار کردی? *ფესარამრან ჩე ქარ ქარდი?**

*„ჩემ ვაჟს რა უქენი?“; از کجا گرفتی راستشو بگو *რეჭთი რასთეშუ ბეგუ „საიდან იცი?სიმართლე ქვი!(-შუ)“; და სხვა**

სიტყვათა რიგიც ასრულებს აქ განმსაზღვრელი ფაქტორის როლს. მაგ., **ბოლოკიდური ანუ პოსტპრედიკატული დამატება** ზოგჯერ დაირთავს ალტერნატიულ დამატებით ზმნურ ნიშანს, **პრეპოზიციური დამატება** კი, – არა. მაგ., შდრ.: **چاه**

რი პირის ზმნურ ნიშანს (იხ. დამატების, ობიექტის გამობატვა და ობიექტური პირის ნიშნები ზმნაში; იხ. აგრ. სპკ-პარაგრაფი 17 – კლიტიკური მორფების სპეციფიკაციები, პირის მარკერები და მობილური მორფები.). ამგვარ სიახლეს თავად ორნ-თანდებულის ქცევა განაპირობებს. ამიტომაც შერეული, ორმაგი, ალტერნატიული მარკირებაც ორნ-თანდებულის სპეციფიკაციათა, თავისებურებათა, ინოვაციათა სიაშია (იხ. -რნ- თანდებულის სპეციფიკაციათა აქვე (მუხლი (პარაგრ.)14, შდრ.:15; იხ. პარ.17).

დასკვნები:

საერთო დასკვნითი შენიშვნა ორნ ს სპეციფიკაციებს: პა-

რაგრაფებში 14–15–16 მთავარია ორნ-ს ზმნებთან მირთულობის მოვლენა. მოყვანილი მასალის მიხედვით ჯერ-ჯერობით ესაა შემდეგი კონკრეტული ზმნები: გარდაუვალი آمدن رفتن, შმადან, რაჭთან „მოსვლა“, „ნასვლა“, بودن ბუდან „ყოფნა“, شدن შოდაბ „გახდომა“, (პასივში დამხმარე ზმნადაც და დამოუკიდებლადაც), خاك خوردن ხაქ ხორდან „დამტვერიანება“, და სხვ.; გარდამავალი: گرفتن گერეჭთან, დანდან „აღება“, „მიცემა“; და ა. შ. ასეთ სხვადასხვა ტიპის ზმნებთან ორნ, – ყველაზე ყურადსაღები ინოვაციური მოვლენაა. ზმნებში იგულისხმება როგორც მარტივი, ისე რთული ზმნები. რთულ

ზმნებში *ს* რწ სახელურ ნაწილს მიერთვის კლიტიკურ მორფთან ერთად (მდრ. ალტერნატიული, შერეული, ორმაგი მარკირება აქვე: კლიტიკა და *ს* რწ ერთად რთული ზმნის სახელურ კომპონენტთან, იხ. აქ პარ. 16).

ძირითადი ზოგადი სპეციფიკური ქცევები: რწ-ს ინოვაციების მთავარი საერთო ღერძია *ს* რწ-ს გადაადგილება, გადანაცვლება, მობილურობა, მოძრაობა; ინოვაციური ფუნქციობა, სემანტიკური ძვრა, ტრანსპოზიცია, კლიტიკური მირთვები. რწ გადაადგილდება ჩვეული, ნორმირებული პოზიციიდან სხვა რომელიმე პოზიციაში, რასაც თან სდევს სემანტიკური ძვრაც, – ჯამში მივიღებთ ნორმისგან განსხვავებულ ტრანსპოზიციას.

მე-14 პარაგრაფში საქმე ეხება საკუთრივ მარტო ცალკე რწ-ს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება შერწყმული იყოს ნაცვალ-სახელურ კლიტიკასთანაც; მე-16 პარაგრაფში მთავარი ელემენტია მარკერული კლიტიკა, – ზმნური მორფი, რომელსაც მიერთვის გადაადგილებული სახელური წარმოშობის რწ; ხოლო მე-15 პარაგრაფში მთავარი ელემენტია ი-არტიკლი, რომელსაც აგრეთვე მიერთო ობიექტური რწ.

ყველა ზემოთ წარმოდგენილი თავისებურებების გარდა, შესაძლებელია ცოცხალ ენაში შეგვხვდეს ახალ-ახალი ჯერეთ ალუნუსხავი სპეციფიკაციებიც. ენის მიმდინარე დინამიკა იძლევა ამგვარი ვარაუდისა და დაშვების შესაძლებლობასა და საფუძველს. მკითხველებს თავად შეუძლიათ აღმოაჩინონ *ს* რწ თანდებულის ამგვარი სიახლეები, – საკუთრივი თუ სხვა ელემენტებთან კავშირში.

17. კლიტიკური მორფების

სპეციფიკაციები. პირის მარკერები და მობილური მორფები.

ენკლიტიკურ (კლიტიკურ) ნაცვალსახელურ ელემენტებს, სახელური კუთვნილების წამყვანი ძირითადი ფუნქციის გარდა, თანამედროვე და კლასიკურ ენაშიც გააჩნია მრავალი სპეციალური. ნაწილობრივი თუ იშვიათი, კერძო **სპეციფიკაცია**, რომელიც სინამდვილეში ძალიან მნიშვნელოვანია სრული ცოდნისთვის.

1. ამათში უპირველესია **პირის მარკერები** ანუ **ზმნური მორფები**. ესაა პირიელ ზმნაში წარმოდგენილი **ობიექტური პირის ნიშნები**: პირდაპირი და ირიბი დამატების.ობიექტის გამომხატველი ზმნურ ფორმაში, რის შედეგადაც ვიღებთ პირის ნიშანთა ორ მწკრივს (სუბიექტურსა და ობიექტურს). კლიტიკური მორფებით-მარკერებით ობიექტთა გამოხატვა არ არის სავალდებულო და ერთადერთი საშუალება, მაგრამ თანამედროვე სპარსულში, მეტადრე სასაუბრო ენაში. ძალიან გავრცელებულია და ზოგადად წარმოაჩენს ენის **ერთ-ერთ, წამყვან ნაწილობრივ ნორმას**. მაგალითად: / *می شناسمش / می شناسمت*

/ *بگمت / دیده بودمش / جوابمون داد / کمکم کرده است* /

دعوتتون می کنم / فرستادمشون / می گیرمشون / بردندم / می

ندیدمت *بریدتون شیراز / صدات می کردند / تویی که ندیدمت*

გოჭთამამ, მიშენასამათ, ბეგამათ, დიდე ბუდამამ, ჯავაბემუნ დად, ქომაქამ ქარდე ასთ, და ვათეთუნ მიქონამ, ჭერესთადამეშუნ, მიგირამეშუნ, ბორდანდამ, მიბარიდეთუნ შირაზ, სედათ მიქარდანდ; თუი ქე ნადიდამათ (განს. მორფი) „ვნახეის, ვუთხარი-მას, გ-იცნობ, გ-ითხრა, მენახა-ის, პასუხი მო-გვცეს, და-მ-ხმარებია, გ-ეპატიჟებით, გავაგზავნე-ისინი, ვიღებ-მათ, წა-მი-იყვანეს, წა-გიყვანდენ შირაზში, გ-ეძახდენ, შენა

ხარ, ვინც არ მინახი-ხარ“; پرسیدمش. بود ندیده بودمش.

მოდდათი ბუდ ნგაჰმ მი კნი? پاسخ داد چرا باید بشناسمت?

ნადიდე ბუდამამ; ფორსიდამამ: ნეგაჰამ მიქონი? ფასოხამ დად: ჩერა ბად ბეშენასამათ? „რალაც ხანი იყო, იგი არ მენახა; ვკითხე: მხედავ/მიყურებ? მიპასუხა: რატომ უნდა გიცნობდე?“; და სხვა მრ. (იხ. დანვრილებით პირდაპირი და ირიბი ობიექტი წინადადების წევრებში).

ზოგადად ობიექტური მარკერები შეიძლება შეგვხვდეს ყველა დრო-კილოთა ფორმებში და ყველა პირ-რიცხვში, ოღონდ სუბიექტის და ობიექტის პირი ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდეს. ობიექტური პირის მორფების ნორმატიული ხასიათი **თანაბრად** შეეხება **მარტივსა და რთულ ზმნებს**. რთულ ზმნებში ობიექტური მორფი-ნიშანი სახელურ ნაწილსაც ერთვის და ზმნურსაც. მაგ.: შდრ.: دوست دارند // دوست دارند დუსთამ

დარანდ/დუსთ დარანდამ „უყვართ“. თანამედროვე ენისთვის, **სიხშირის** მიხედვით, წამყვანი ნორმაა ობიექტური პირის მორფული ნიშნის დართვა **სახელურ** ნაწილზე. ობიექტური პირის ნიშნები დანვრილებით აღწერილია და განხილული სათანადო პარაგრაფებში, წინადადების წევრებში (იხ. წინადადების წევრები: პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება). განხილული მორფოსინტაქსური ფორმები სპეციფიკურია (სპკ).

ზმნური მორფების მეორე პატარა ბლოკია **გარდაუვალი ზმნის** სუბიექტური პირის გამოხატვა, ჯერ-ჯერობით აღინიშნება მხოლოდ მე-3 პირის მხ. რ.-ის მორფი. ესაა ტიპი: / هستش

ჰას-ჰას-ჰას / موجود هستش / موجود نیستش. آمدش / رفتش

თემ, ნისთემ, მოუჯუდ ჰასთემ, მოუჯუდ ნისთემ, ანადამ, რაჭთამ. „არის,არ არის, არსებობს, არ არსებობს, მოვიდა, წავიდა“. ეს ტიპი გვხვდება სემანტიკურად და მორფოსინტაქსურად შეზღუდული რაოდენობის ფორმათა ჯგუფში, მაგრამ სა-

საუბრო ენისთვის მეტადრე, ეს ჯგუფიც მნიშვნელოვანია და საცოდნელი. გარდაუვალი ზმნის სუბიექტური მორფული კლიტიკური პირის ნიშანი დანვრილებით აღწერილია ქვემდებარის რთულ ფორმებში. ის ქმნის აგრეთვე დამოუკიდებელ სპეციალურ კონსტრუქციას (იხ. ქვემდებარის რთული ფორმები; იხ. გარდაუვალი ზმნის კლიტიკური სპე აქვე; ზოგადად ენკლიტიკური ნაცვალსახცელური ელემენტები იხ. აგრ. მორფოლოგიაში).

სასაუბრო ენაში, იშვიათად გვხვდება **ალტერნატიული, შერეული** მორფები: ობიექტური პირის ნიშანი ზმნაში **რ -რჲ თანდებულთან ერთად**. ლაპარაკია რთული ზმნების ასეთ შემთხვევებზე: **عوضش را نکنید. حرفشو نزنید. فکرشو نکنید** 'ავაზაშრჲ ნაქონიდ, ჰარჭეშუ (ჰარჭაშრჲ) ნაზანიდ, ჭექრეშუ (ჭექრაშრჲ ნაქონიდ) „ნუ გადაცვლით, ნუ ილაპარაკებთ, ნუ იფიქრებთ//არ გადაცვალოთ-ე(ი)ს, არ ილაპარაკოთ-ეს, არ იფიქროთ-ეს“ (იხ. ალტერნატიული და შერეული მარკირების სპე აქვე; იხ. **რ -რჲ** თანდებულის სპეციფიკაციები აქვე; შდრ. მოძრავი, მობილური მორფების სპე აქვე; იხ. წინადადების წევრები; **რ -რჲ**- თანდებული იხ. აგრ. მორფოლოგიაშიც).

2. ეს რაც შეეხება ზმნურ კლიტიკურ მორფებს ანუ პირის ნიშნებს (პირის მარკერებს). ზმნური მორფების გარდა, კლიტიკური მორფები ქმნიან **მოძრავი, მობილური მორფების** დიდ მრავალფეროვან ბლოკსაც, რომელიც შეიცავს სხვადასხვა სემანტიკურ-გრამატიკულ ჯგუფს. მოძრავი ანუ მობილური მორფები არსებითად ჯამში **სახელურია**, იმდენად რამდენადაც მიერთვის სხვადასხვა სახელებსა და სხვა დამხმარე ელემენტებს, თუმცა ფუნქციურად ეს მორფები ძირითადად **ზმნებს მიემართება ანუ მართულია ზმნისგან**. ასეთი მორფოსინტაქსური ერთეულები ავლენს მრავალ სპეციფიკაციას და შესაბამისად ლაგდება მობილური მორფების ცალკე გამოყოფილ ბლოგში შემავალი სპეციალური კონსტრუქციების სხვადასხვა ჯგუფების სახით (იხ. მო-

ბილურ კლიტიკათა სპკ-ჯგუფები აქვე ქვემოთ).

სპარსულ ობიექტურ კლიტიკურ მორფთა ტიპოლოგიური პარალელიზმი ქართულ ობიექტურ ნყოფასთან, ობიექტურ უღლებასთან თვალნათლივია. უფრო მეტიც: სწორედ ქართული ენობრივი მოცემულობის გამოყენების შედეგადაა შესაძლებელი სპარსული ენის განხილვად ფაქტთა სწორი მართებული ინტერპრეტაცია და ლინგვისტური შეფასება (დეფინიცია). ამიტომაც სპარსულ კლიტიკურ მორფთა სისტემა უნდა განისაზღვროს (დაკვალიფიცირდეს, დაკოდიფიცირდეს) როგორც ობიექტურ ზმნურ პირის ნიშანთა (მარკერთა) სისტემა, რომელიც იძლევა ობიექტურ უღლებას, მარკერულ დამატებებს წინადადების მთავარ წევრებად და შესაბამის ორმხრივ მართვას,-- ქართული ენის მსგავსად (იხ. თავები).

18. მობილურ კლიტიკათა სემანტიკური ჯგუფები

მოძრავი ანუ მობილური კლიტიკური მორფები, ზმნური მარკერებისგან განსხვავებით, ერთვიან სხვადასხვა სახელებს და დამხმარე ელემენტებს და ქმნიან მრავალ სხვადასხვა სემანტიკურ თუ გრამატიკულ ჯგუფს. ყველა ეს შემთხვევა-ტიპი საკმაოდ სპეციფიკურია და განაპირობებს სპეციალური კონსტრუქციების ჩამოყალიბებას.

1) ბევრი შემთხვევა-ტიპი ემთხვევა სხვა ნიშნითაც ისედაც გამოყოფად სპეციალურ კონსტრუქციასაც. ასეთებია:

1. კუთვნილების, ფლობის, ქონა-ყოლის სპკ-სტრუქტურები. გვაქვს სხვადასხვა ვარიანტები, როგორიცაა ტიპები:

.. وازم پول نيست. پدرم چیزی اش نبود. من هم چیزی ام نيست..

چیزی ات نيست. چیزی اش نيست. خوابم كمه. پولمون كمه. چه

?چشونه؟

ბუდ, მან ჰამ ჩიზიამ ნისტ, ჩიზიამთ ნისტ, ჩიზიამ ნისტ, ხაბამ ქამე, ფულემუნ ქამე; ჩე თე, ჩე ბე თე, ჩეშუნე? (ზოგი

გამოთქმა აქ შინაარსობრივად განცდა-მდგომარეობასაც უკავ-შირდება); „კვლავ ფული არ მაქვს; მამაჩემს არაფერი ჰქონ-და/ჭირდა; მეც არაფერი მაქვს/მჭირს; არაფერი მაქვს, არაფერი გაქვს; ძილი ცოტა მაქვს/ცოტა მძინავს; ცოტა ფული გვაქვს; რა გჭირს? რა სჭირთ? “. (იხ. ქვემდ. რთული ფორმები; იხ. ფლობის სპკ; იხ. გრძნობის სპკ).

2. გრძნობა-გუნების და მენტალობის სპკ, ირიბი გან-მცდელი სუბიექტით. სტრუქტურულად აქაც გვაქვს სხვადას-ხვა ტიპები.

მაგ.: سر دمه. گرممه. فكرمه. گشمنمه. تشنمه. چه ته. چه به

ته. چشونه. خوشم می یآد. بدم می یآد. یادم رفت. یادم آمد. یادم

آمد خوابم نیست. یادم ناست. یادم ناست. خوابم نیست.

გოშნამე, თაშნამე; ჩე თე, ჩე ბე თე, ჩეშუნე; ხოშამ მიძად, ბა-დამ მიძად; ადამ რაჭთ; ადამ აშად, ადამ ასთ, ადამ ნისთ; ხაბამ აშად; „მცივა, მცხელა, მგონია, მშია, მწყურია, რა გჭირს, რა სჭირთ, მომწონს, არ მომწონს, დამავიწყდა, გამახსენდა, მახ-სოვს, არ მახსოვს, დამეძინა“ და სხვა მისთ. (იხ. უმარტივესი გა-მონათქვამები; იხ. შემასმენელი; იხ. ქვემდებარის რთული ფორ-მები; იხ. გრძნობა-გუნების სპკ, ფლობის სპკ).

3. ასაკის სპკ. چند سالته؟ چند سالتونہ؟ چند سالشہ؟

ჩანდ სალეთე? ჩანდ სალეთე? ჩანდ სალეთე? ჩანდ სალეთე? ჩანდ სალეთე.

ჩანდ სალეთე? ჩანდ სალეთე? ბისთ სალეთე, ჩეჰელ სალეთუნე, დაჰ სალეთუნე. „რამდენი წლის ხარ? რამდენი წლისა ხართ? რამდენი წლისაა? ოცი წლისა ვარ; ორმოცი წლისა არიან, ათი წლისა ვართ“ და ა. შ.. ასაკის გამოხატვის სემანტიკური ჯგუფი დანვრილებით აღწერილია სათანადო პარაგრაფებში (იხ. ასაკის სპკ აქვე; იხ. ასაკის სემანტიკური ჯგუფი ქვემდებარის რთულ ფორმებში, წინადადების ნევრებში)..

ჯამში, მოძრავ (მობილურ) მორფებში ირიბი სუბიექტია

ბევრი და ამდენად ასეთი კლიტიკური მორფები ქვემდებარის რთულ ფორმებს ეკუთვნის. ირიბსუბიექტური სხვადასხვა ბლოკები ამ ნიშნით ცალკეც შეიძლება გამოიყოს და მასში იგულისხმება ყველა სპეციალური კონსტრუქცია (სპკ) და ცალკეული სპეციფიკაცია, რაც აქ წარმოდგენილია სხვადასხვა პარაგრაფებსა და შესაბამის სემანტიკურ-გრამატიკულ ჯგუფებში (იხ. აქვე სხვადასხვა სპეციალური კონსტრუქციები (სპკ); იხ. ქვემდებარის რთული ფორმები წინადადების წევრებში)..

2) მრავალგვარია აგრეთვე სხვადასხვა აქტანტური პირების (სუბიექტი, ობიექტები) გამოხატვა მოძრავი, მობილური კლიტიკური მორფებით, სხვადასხვა სემანტიკურ-გრამატიკულ ჯგუფებში. აქ გამოყოფადია შემდეგი ტიპები და შემთხვევები:

1. გარდაუვალი სუბიექტი

هیچ پیدات نیست. همش خوبه. همش خوشمزه. همشوم

گرفتار شدیم. هرگز پیدایش می شد. همشون بلدند. همتون قَدْبَلند

هستید/قَدْبَلندید. هممون مهربونیم. همش قشنگه. خودشه. اکجاش

..? كوتاه؟

მუნ გერეჭთარ შოდიმ, ჰორმოზ ფეიდაემ მიშოდ, ჰამეშუნ ბალადანდ, ჰამეთუნ ყადდბოლანდ ჰასთიდ/ყადდბოლანდიდ, ჰამემუნ მეჭრებუნიმ, ჰამაშ ყაშანგე, ხოდეშე, აქჯაშ ქუთაჰე? „სულ არ ჩანხარ; ყველაფერი კარგია; ყველაფერი გემრილია; ყველანი ჩავცვივდით; ჰორმოზი ჩნდებოდა; მათ ყველამ იციან; ყველანი მალღები ხართ; ყველანი მოსიყვარულენი ვართ; ყველაფერი ლამაზია; თავადაა/თითონაა; სადაა მოკლე?“ და მისთ. (იხ. აგრ. შდრ.: გარდაუვალი სუბიექტის სპკ აქვე; იხ. კლიტიკური მორფების სპეციფიკაციები აქვე; იხ. ქვემდებარის რთული ფორმები წინადადების წევრებში).

2. გარდამავალი სუბიექტის აღმნიშვნელი მორფი (იშვი-

ათი სპეციფიკაციები): სანიშუმო ტიპები: همش کار خانه را می

کرد. چرا همشون دست بیکی کردند؟ همش خواب های آشفته

.بود. ჰამაშ ქარე ხანერა მიქარდ; ჩერა ჰამეშუნ დასთ ბე

დექი ქარდანდ? ჰამაშ ხანჰანდე აშოქთე დიდე ბუდ „ის სულ სახლის საქმეს აკეთებდა; რატომ ყველამ პირი შეეკრა? ის სულ მშფოთვარე სიზმრებს ხედავდა“.

3. ობიექტური პირის მორფები (პირდაპირი და ირიბი

ობიექტი), მაგრამ არა ზმნური, არამედ **ზმნის გარეთა**, სხვადას-
ხვა ვარიანტებით:

همش می آرم. همش می ترسم. بت بکم. بديد بيم. (بديد به).

.ბითარსამ, ბეთ ბეგამ, ბედიდ ბემ. (ბედიდ ბე), ბედეჰ ბემ, დად
ბემ, ბემ გოჭთ, ბეგუ ბემ, გოჭთამ ბეთ „ყველაფერს მოვიტან;

სულ მეშინია ამის; მომეცით; გეტყვი/გითხრა; მიეცი მას; მომცა
მე; მითხრა; მას ვკითხე; უთხარი მას; გითხარი“;

چيش شده؟ هيچ

چيش نميسه. پولى مى دهى. چطور گذاشت بت؟ خوش گذاشت

بت/بتون؟ بى خيلى خوش مى گذارد/مى گذاره. خوش مى گذارد

ჩიშ ბმონ. فرستاد بهش/بش. بهش اصلاً پاره و شكافته نمى شود

შოდე, ჰიჩჩიშ ნემიშე, ფულათ მიდეჰამ, ჩეთოურ გოზაშთ ბეთ?
ხოშ გოზაშთ ბეთ/ბეთუნ? ბემ ხეალი ხოშ მიგოზარად/მიგზარე,
ხოშ მიგოზარად ბემუნ; ჭერესთანდ ბეჰემ/ბემ, ბეჰემ ასლან
ფარე ო შექაჭთე ნემიშავად „რა მოუვიდა მას? არაფერი არ მოს-
დის/არ ემართება; ფულს მოგცემ; როგორ ჩაიარა შენთვის? კარ-
გად ჩაიარა შენთვის/თქვენთვის? მე ძალიან კარგ დროს ვატა-
რებ/ჩემთვის კარგად მიდის; კარგად გამოგვდის; გაუგზავნა მას;
მას სრულებით არ მოსდის დახვევა და გაფხრენა: ის სრულებით არ

იხევა და არ იფხრინება“; და მისთ. (იხ. აგრ. შდრ.: პირდაპირი და ირიბი ობიექტი წინადადების წევრებში; იხ. ზმნური კლიტიკური მორფების სპეციფიკაციები აქვე: ობიექტური პირის ნიშნები).

4. გარემოებითი: *بعدهش. بعدش می خریم یعنی؟ آخرش.*

بعدهش. عقبش. اولش. قبلش. ბა'დემ; ბა'დომ მიხარობ, და'ნი?

ახერიშ, ყაბლიშ, ავეალიშ, 'აყაბაშ, ბა'დიშე „მას შემდეგ; აბა მას შემდეგ ვიყიდით, მამ?; მის ბოლოს; მის წინ, მანამდე, ადრე; თავდაპირველად; იმის/ამის, მას უკან, მის შემდეგ; ამის/იმის შემდეგია“; და მისთ. (იხ. გარემოებები წინადადების წევრებში).

5. უბრალოდამატებითი, გარემოებითდამატებითი,

يکیش. هر دوش. هر سهش. სხვადასხვა სახის დამატებითი:

چهارم. پیشش. جلوش. پشتش. بغلش. همش/همه اش.

დომ, ჰარ სემ, ფიშაშ, ჯელოვამ, ფომთამ, ბაყალიშ, ჰამამ/ჰამ-მეამ „ერთი მათგანი; ორივე, სამივე მათგანი; მის წინაშე, მის წინ, მის უკან, ამის/იმის გვერდით; ყველა(ნი) ამათგან/ამათათ-განი, ყველაფერი ამის/იმისი (აქედან/იქიდან)“; და სხვა მისთ. (იხ. უბრალო დამატება წინადადების წევრებში).

6. სხვადასხვა სახის დამატებითი, გარემოებითი, მსაზღვრელგარემოებითი და ორაზროვანი, ბუნდოვანი სემანტიკა. შეცვლილი სტრუქტურა ან ორაზროვანი სტრუქტურული მნიშვნელობა.

ა) გრძნობა-გუნებისა და მენტალური ან მოდალური მორფოსინტაქსემები, შეცვლილი სტრუქტურით: *یادم رفت/از یادم*

میرفت. یادم آمد/از یادم آمد. یادم است/در یادم است.

რაჭთ ([აზ] ადამ რაჭთ); ადამ ამად ([ბე] ადამ ამად, ადამ ასთ ([დარ] ადამ ასთ, ადამ ნისთ ([დარ] ადამ ნისთ) „დამავიწყდა, გამახსენდა, მახსოვს, არ მახსოვს“ (იხ. უმარტივესი ფრაზები; იხ. შემასმენელი; იხ. გრძნობა-გუნების სპე აქვე;

იხ. მოდალური ფრაზემები შემასმენელში; იხ. გრძნობა-გუნების ფრაზემები მობილური მორფების სპკ-ში, აქვე).

ბ) **მსაზღვრელგარემოებითი** მორფი: **მსაზღვრელივითაა** ან **გარემოებივითაა**, მაგრამ **პირზეც** გადადის. მაგ.: جای

؟کند می درد کجایتون درد می کند؟ *ჯანდე დიგარეთუნ დარდ მიქონად? ქოჯანდეთუნ დარდ მიქონად?* „სხვაგან სადმე გტკივათ? რა ადგილას გტკივათ?“ (ობიექტივით); **جایتون درد**

؟کند می *ჯანდეთუნ* **درد نمی کند. اکجاش کوتاهه?** *დარდ მიქონად? ჰიჩ ჯაიმ درد نمی کند. اکجاش کوتاهه?* „რამე ადგილას გტკივათ? არსად მტკივა, სადაა/რა ადგილასაა მოკლე?“ (გარდაუვალი სუბიექტივით) (იხ. მსაზღვრელი, გარემოება და გარემოებითი დამატება წინადადების ნევრებში; იხ. სუბიექტი-ქვემდებარე, ობიექტები-დამატებები).

გ) **ალტერნატიული, შერეული** მორფები თანდებულთან ერთად. სასაუბრო ენაში, იშვიათად გვხვდება ალტერნატიული, შერეული მორფები: **ობიექტური პირის ნიშანი** ზმნაში **რ-რ-თანდებულთან ერთად**. ლაპარაკია რთული ზმნების ასეთ შემთხვევებზე: **عوضش را نکنید. حرفشو/حرفش را ننید.**

فکرشو/فکرش را نکنید. *ჰარჭეშუ (ჰარჭამრა) ნაზანიდ, ჭექრეშუ (ჭექრამრა ნაქონიდ).* ეს ზმნური ობიექტური პირის ნიშნებია, მაგრამ **რ-რ-თანდებულთან** პირის მარკერთა **ერთდროული** ხმარება ცალკე მდგომ ნიმუშებს ავლენს და ერთგვარად მობილურ, მოძრავ კლიტიკებთან აახლოებს ასეთ მორფებს. გარდა ამისა, შესაძლებელია ზოგი ნიმუშის ალტერნატიული გაგებაც. მაგ.: **حرفشو ننید.**

فكر شو نكئيد. ჰარჭეშუ ნაზანიდ, ჭექრეშუ ნაქონიდ „ამას ნუ

ლაპარაკობთ, ამას ნუ ფიქრობთ“ შეიძლება ასეც გავიგოთ: „ამაზე (ამის) ფიქრს ნუ ფიქრობ, ამაზე (ამის) ნუ ლაპარაკობ“. მარკირების მნიშვნელობა აქ ერთგვარად **ორაზროვანია**, მაგრამ ჯამში ეს ნიმუშები მაინც უფრო მეტად **ზმნური მორფებია**.

(იხ. ალტერნატიული და შერეული მარკირების სპკ აქვე; იხ. 1-რ- თანდებულის სპეციფიკაციები აქვე; შდრ. ზმნური მორფების სპკ აქვე; იხ. წინადადების წევრები; 1-რ- თანდებული იხ.

მორფოლოგიაშიც).

შეგვხვდება სხვა სხვადასხვა მნიშვნელობისა და სტრუქტურის მობილური, მოძრავი მორფებიც, მათ შორის ბუნდოვანიც ან ორაზროვანიც.

მობილური (მოძრავი) კლიტიკური კონსტრუქციები ტიპოლოგიურად დიდწილად შედარებადია ქართულ ინვერსიულ ნყობასთან (იხ. ნიმუშები, ნიმუშთა თარგმანები).

19. გარდაუვალი ზმნის ქვემდებარული (სუბიექტური) ნიშანი-მორფი. ზმნური და სახელური მორფების სპეციფიკაციები

ბაში თავად ენობრივი მდგომარეობა უკარნახებს ლინგვისტებს, შერაცხონ *ინოვაციები* ან *ნორმის ვარიანტებად*. ან სხვა ფა-კულტატურ მოვლენებად. სწორედ ასეთ აზრს გამოთქვამს და-ახლოებით ი. რუბინჩიკი თავისი აკადემიური გრამატიკის ეპი-ლოგში: -რწ-თანდებული კვლავ და კვლავ მოითხოვს შესწავლას და აღწერას თავისი მრავალფეროვანი ახალ-ახალი ფუნქციე-ბით. ვფიქრობთ, ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით ადრევე ვა-ნარმოებდით კვლევებს, ამ ეტაპზე კი მოცემულ მონოგრაფიაში არსებული სპეციალური ქვეთავები ჯერ-ჯერობით სრულად ასახავენ დღემდე ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებას. ნი-ნამდებარე კურსში თავმოყრილია -რწ-თანდებულის შესახებ და გარშემო ჩვენს ხელთ არსებული სრული მასალა და კვლევათა შედეგები დასკვნებითურთ, დებულებებითურთ, ჰიპოთეზები-თურთ, მოსაზრებებითურთ (იხ. მ. სახოკიას შრომები). იმავე-დროულად, უნდა ითქვას, ჩვენ კვლავ ვაპირებთ ფუნდამენტუ-რი კვლევების გზით ანალიზის განხორციელებას ამავე მიმარ-თულებით, რადგან ბევრი ფაქტი მოითხოვს სხვადასხვა ლინ-გვისტური მეთოდებით კოდიფიკაციათა (შეფასებათა. კვალიფი-კაცია-კლასიფიკაციათა) დაზუსტებებს. *მასალობრივად* -რწ-თანდებულის ქცევათა *ინოვაციური ნიმუშები* (თუ *ინოვაციურ ქცევათა* ნიმუშები) დიდწილად *ავტორისეულია* (სხვადასხვა წყაროები, მათ შორის ცოცხალი მეტყველების ნაკადი), ნაწილი მონოდებულია კოლეგების მიერ (რისთვისაც მადლობას ვუხ-დით), ნაწილიც ამოღებულია სხვა ავტორთა სამეცნიერო კვლე-ვითი ნაშრომებიდან, სათანადო მოსაზრებებითურთ. ასეთი ავ-ტორი საკმაოდ ბევრია, აქ ვასახელებთ *ინოვაციური* მაგალითე-ბის თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეულს, ხოლო თე-მატურ საკითხზე მეტი ავტორის დასახელებანი იხილეთ აქვე ბოლოთქმაში პუნქტში: „საკითხები და ავტორები,“ (მასალობრი-ვი და ინოვაციური თვალსაზრისით იხ.: ა. ვერეტენიკოვი, ა. ვიდრინი, ო. ხადარცევი, ა. ნაჯაფი, მ. ბასირი, მ. სახოკია და სხვა; А. А. Веретенников, А. П. Выдрин, О. А. Хадарцев, М. S. Basiri, М. М. Сахокия М. S. Sakhokia და სხვა მრ.).

დღესდღეობით ჩვენი დასკვნა ასეთია: -რწ-ელემენტი უკვე აღარ არის მხოლოდ თანდებული, არც ოდენ სახელთა კუთვნი-

ლი; -რწ-ელემენტი უკვე ზმნური კლიტიკაცაა და ზმნური სფეროს კუთვნილება; როგორც სახელურ, ასევე ზმნურ სივრცეში -რწ-ელემენტის ენობრივი დინამიკა დღეს ავლენს ახალ-ახალ მოულოდნელ და ინოვაციურ ქცევებს, რისი უმაღლესი დასტურია, - სასაუბრო მეტყველების გარდა, - მოდერნული (და მოდერნისტული) თანამედროვე მხატვრული სპარსული ლიტერატურა. ჩვენ ვაგრძელებს -რწ-კლიტიკის ფუნდამენტურ კვლევას.

გ. როთულ წინადადებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად დავეყრდენით ს. ამინ-მადანისა და დ. ლუტციის ფრამატიკულ კურსს, მაგრამ თემები შევსებულია ავტორისეული დეტალიზაციებით, რაც სათანადო თავის ქვესათაურებშიც ნათლად ჩანს. დაზუსტებულია ქვენყობათა სტრუქტურები, ვარიანტები და შემთხვევათა მრავალგვარობა, მრავალფეროვნება. განსაკუთრებით გამოსაყოფია პირობითი წინადადების ადგილი და მნიშვნელობა: გამოწველივით განიხილება რეალური და ირეალური პირობის საკითხები, კომბინაციები და მათი ქართული შესატყვისები (გრამატიკულ-ტიპოლოგიური თუ თავისუფალი თარგმანის ფარგლებში დასაშვები). ტექსტი თანხლებულია სპარსულ-ქართულ შესაბამისობათა ტაბულებით (სქემებით) და თანდართული მაგალითების ვრცელი კორპუსებით (ბლოგებით), რომელიც მოზიდულია სხვადასხვა სარწმუნო წყაროებიდან, მათ შორის ცოცხალი მეტყველების ნაკადებიდან. ხაზგასასმელია რიგი ინოვაციური მონაცემისა: კერძოდ, ავტორის მიერ აღიარებულია რეალური პირობისთვის არა ოდენ ნორმატიული ანმყო-მომავლის კავშირებითის გამოყენება, არამედ ნორმის ვარიანტად გარკვეულ კონტექსტებში ანმყო-მომავლის მწკრივის გამოყენებაც (მაგ., იმედიალური მყისიერი მომავლისთვის ან ზოგადი სამომავლო მოქმედებისთვის). ამის შესახებ არსებული კვლევებიც (მ. სახოკია, ვ. პანოვა В. Н. Панова) ადასტურებს ასეთ ფაქტთა სისწორეს. გარდა ამისა, დაფიქსირებულია არაერთი არასტანდარტული, არანორმატიული ინოვაციური კომბინაციები (სხვადასხვა სარწმუნო სანდო წყაროებში ახალი, ახლად დაფიქსირებული აგებულებანი), რაც შეტანილია ტაბულებში სათანადო ქართული შესატყვისებით. აღინიშნება რამდე-

ნიმე უფრო საეჭვო ან კითხვის ქვეშ მყოფი შემთხვევები, რომელთაც დასმული აქვთ კიდევაც კითხვის ნიშნები, მაგრამ მასალიდან ამოღებული არ არის, თანახმად მოცემული კურსის პრინციპისა. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინოვაციურ მონაცემებს განეკუთვნება აგრეთვე ე. წ. *ჰაბიტუალური (ყოფითი, ჩვეული, ჩვეულებრივი, ტრადიციული, ისტორიული) უწყვეტლის მწკრივის გამოყენება ირეალური პირობის სტრუქტურაში* გარკვეულ ფართო კონტექსტებში; *ჰაბიტუალური უწყვეტელი ჩვეულებრივ უწყვეტელს გამოხატავს, ნაცვლად ირეალური პირობითობისა* (ტერმინთა დამატებანი ჩვენეულია მ. ს.). ამ შემთხვევაში *შეუსრულებადი მოქმედების ნაცვლად გვაქვს, პირიქით, „ჩვეული მოქმედება, ჩვეული ქცევა, ჩვეული ვითარება,, წარსულში (უსრული ნამყო) . ეს უკანასკნელი მონაცემები აღებულია სხვა ავტორის ბოლო წლების კვლევებიდან თავისივე მაგალითებით (ვ. პანოვა В. Н. Панова). არის სხვა საინტერესო თუ სამსჯელო შემთხვევები და დაზუსტებანი. სპარსული ენის პირობით წინადადებაზე თავად ავტორს *მაია სახოკიას* აქვს სპეციალური ნაშრომები, კვლევები, რაც აისახება წინამდებარე კურსის მონაცემებში (იხ. მ. სახოკიას შრომები; იხ. ქვეთავი: პირობითი წინადადება). ყოველივე ზემოთქმული დეტალურად განმარტებულია ტექსტში, ტაბულებში, შენიშვნებსა და კომენტარებში (იხ. რთული წინადადებები).*

დ. ამ კურსში პირველად განიხილება ცალკე *ზერთული წინადადება*ც (იხ. *ზერთული წინადადება*). .

ე. დაახლოებით იგივე ითქმის *ირეალობის* გამოხატვის თემაზე, რასაც ცალკე თავი აქვს გამოყოფილი. დებულებათა და მაგალითთა ნაწილი ათვისებულია ს. ამინ-მადანისა და დ. ლუტცის კურსიდან, მაგრამ დიდად გამდიდრებულია სხვადასხვა დეტალიზაციებით, სხვადასხვა სახის წინადადებათა მოხმობით (პირობა, ნატვრა, მოდალობა და სხვა) და, რაც მთავარია, მოცემული თემატიკისთვის სპეციალურად შეთხზულია სპეკულატური სავარჯიშო, პრაქტიკულად გათამაშებადი სიუჟეტები და სცენარები. თავის დროზე ეს სცენარები გამოიყენებოდა პრაქტიკული სინტაქსის კურსის ფარგლებში სავარჯიშოდ, რაც კვლავაც გამოიყენება (და კიდევაც გამოიყენება) მკითხველ-

თა სურვილისამებრ. ჩვენი მსჯელობა ირეალობაზე ძირითადად ფოკუსირებულია სპარსულ-ქართულ გრამატიკულ შესატყვის-თა რთულ სემანტიკაზე (იხ. ირეალობა).

ვ. რთული ზმნების საკითხში ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ი. რუბინჩიკის სპეციულურ კვლევათა შედეგებს და თითქმის სავსებით ვეყრდნობით მის მიერ დამუშავებულ სქემებსა და მოდელებს (იხ. ი. რუბინჩიკი Ю. А. Рубинчик). ი. რუბინჩიკისეული *ლექსიკოლოგიური და ფრაზეოლოგიური*, აგრეთვე *ლექსიკოგრაფიული* საკითხები ჩვენთან ვითარდება *მორფოსინტაქსური* და *სინტაქსური* მიმართულებით: რთული ზმნები განიხილება როგორც ჰორიზონტალურ სინტაქსურ (და არა ვერტიკალურ) სისტემაში მოქცეული მორფოსინტაქსური ერთეულები, რომელნიც წინადადებაში *პრედიკატის (შემასმენლის)* ფუნქციას ასრულებენ. ამდენად, განხილვის საგნად იქცევა *რთულ-ზმნურ შემასმენელთა ჩარჩოსებური პრინციპის, მოძრავი (მობილური) ელასტიური პრედიკატული ჩარჩოს ქცევისა და მოქმედების მექანიზმები*. გათვალისწინებულია სხვადასხვა ავტორთა შრომებიც (ლ. პეისიკოვი და სხვა; იხ. თემათა და ავტორთა სია აქვე ბოლოთქმაში). მთავარი ამოსავალი ინოვაციური პარამეტრი ამ საკითხთა გაშუქებაში არის რთულზმნური ერთეულის დანახვა *ლექსიკოლოგიისა და მორფოსინტაქსის* ზღვარზე, მათ გადაკვეთაზე; ამიტომ ამ *რთულზმნურ ერთეულთა* ორი სფეროს შეხვედრა მ. სახოკიას შრომებში კუთხის გრაფიკული გამოსახვითაც გამოიხატება. *რთული ზმნები-შემასმენლები* მოქცეულია *ავტორისეულ სპეციალურ კონსტრუქციათა (სპკ) სისტემაში* (იხ. სპკ; იხ რთული ზმნები). თავად ავტორს *მაია სახოკიას* რთულ ზმნებზეც აქვს სპეციალური კვლევები, რაც ასახულია მოცემულ კურსში (იხ. მ. სახოკიას შრომები).

სრულ ბიბლიოგრაფიულ სიაში შეტანილია ი. რუბინჩიკის თემატური მონოგრაფიაც „სპარსული ენის ფრაზეოლოგიის საფუძვლები“, რომელიც თავისი ხასიათითა და მასალით *სპეციალურ კურსად* შეიძლება ჩაითვალოს. იგივე ითქმის ლ. პეისიკოვის ნაშრომაზეც „სპარსული ენის ლექსიკოლოგია“, რომელიც აგრეთვე მოხვდა სრულ სიაში (იხ. ბიბლ.სია).

ზ. დიდნილად დავეყრდენით ი. რუბინჩიკს აგრეთვე სიტ-

ყვათშენაერთთა კლასიფიკაციაში, რომელიც ჩვენი მხრიდან შევავსეთ და განვავითარეთ გარკვეული ცვლილებებით.

თ. საფუძვლად ავიღეთ აგრეთვე ამ ავტორის სინტაქსურ კავშირთა ტიპები, მაგრამ ჩვენს გადმოცემაში სრულად სახეცვლილია ისეთი თემები, როგორიცაა მართვა და მართვის სახეები: იმის გამოისობით, რომ ზმნური მორფები პირის მარკერებად (პირის ნიშნებად) მივიჩნიეთ, შესაბამისად მართულია ზმნის მიერ ობიექტები და ობიექტთა მიერ მართულია პირში ზმნა-შემასმენელიც. იქმნება ქართული (ქართველური) ენის მსგავსი ვითარება მრავალპირიანობისა, ობიექტური უღლებისა და ობიექტ-დამატებათა ქცევისა მთავარ ნევრთა შესაბამისად. მოცემულ მონოგრაფიაში ეს თემები ტიპოლოგიური ხედვის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო საგანია და ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოვლენაა.

ი. „უმარტივესი გამონათქვამები,, სრულიად საავტორო მონაგონია. ასეთი თავით კურსის დაწყება, ცხადია, ზოგადი ენათმეცნიერების სამყაროდან მომდინარე, ე. ბენვენისტისეული (E. Benveniste) ცნების დამსახურებაა: „უმარტივეს გამონათქვამთა აგებულებისათვის,, (les structures élémentaires des énoncés) (იხ. შტრ.: E. Benveniste, Problèmes de linguistique générale. Paris, 1966; Э. Бенвенист, Общая лингвистика, Москва, 1974; და სხვ.); თუმცა აქ ე. ბენვენისტის სხვა სირთულისა და დონის გამონათქვამების გარჩევა კი არ დაგვიწყია, არამედ განვახორციელეთ სასწავლო მონოგრაფიისთვის უპრიანი „შესვლა,, მარტივი წინადადების (როგორც ჩვეული სინტაქსური ერთეულის ცნების) აგებულებაში, სისტემაში (სტრუქტურაში) უფრო სადა და მარტივი, ყოველდღიური ყოფითი გამონათქვამების გზით. ამით ერთდროულად თითქოს კარი შევალეთ მკითხველისთვის თავად სპარსული ენის სამყაროშიც და ერთგვარ ზოგადენათმეცნიერულ, უფრო აბსტრაგირებულ აზროვნებასაც მივეცით ბიძგი. ასეთია ჩვენი მოსაზრება. ამ თავის აგებულება და მასალა სავსებით ავტორისეულია: ჩანაფიქრით, ესაა გაუვრცობელი მარტივი წინადადების საფუძვლები, რასაც მოსდევს პრაგმატულ-სემანტიკური შევსება და შემდგომი გავრცობის ვარიანტებიც.

კ. ინოვაციური და ავტორისეულია აგრეთვე წინადადების წევრთა კოდიფიკაციები: ქვემდებარის რთული ფორმები, პირდაპირი და ირიბი დამატების ზმნაში აღნიშვნა პირის მარკერთა (ნიშანთა) სახით, მრავალპირიანობის აღიარება, პირდაპირი და ირიბი დამატების (ობიექტის) გამოცხადება მთავარ წევრებად (როცა პირიელად გამოიხატებიან ზმნაში), ურალო დამატების ცნება და ირიბი დამატებისგან გამიჯვნა, დამატებითი გარემოებები, გარემოებითი მსაზღვრელები, გარემოებითი დამატებები, მსაზღვრელური გარემოებები და დამატებები; სინტაქსურ კავშირთა საკითხები: ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება, სახელთა და ზმნის ორმხრივ ურთიერთმართვის ახალი ხედვები და მრავალი სხვა დეტალიზაცია (იხ. წევრები). ამ საკითხებზეც მ. სახოკიას გამოქვეყნებული აქვს არაერთი გამოკვლევა (იხ). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ინოვაციურია, ხაზგასასმელი და ყურადსაღებია პირველად ნაწილობრივი ობიექტური უღლების კოდიფიცირება სპარსულში და ზმნის ორ(მრავალ)პირიანობის აღიარება.

ლ. საავტორო საკითხია -თუ-წინდებულისა და -დარ- წინდებულის ფუნქციური ანალიზიც, რომელიც ავლენს ერთის მხრივ თავად ენობრივ სიახლეებს ენის დინამიკაში, მეორეს მხრივ, - სიახლეს მათ ავტორისეულ კოდიფიკაციაში (იხ. მ. სახოკიას შრომები). საზოგადოდ წინდებულთა დახასიათება ერთის მხრივ წინადადების წევრთა კლასიფიკაცია-კვალიფიკაციას უკავშირდება, მეორეს მხრივ, - გარკვეულ სპეციალურ კონსტრუქციებსაც, მაგ., წარმოშობა-ნათესაობის სპკ (იხ. წევრები, იხ. სპკ).

მ. პრიორიტეტულია ავტორისთვის აგრეთვე სიტყვათა რიგის საკითხი, რისთვისაც მიძღვნილი აქვს სპეციალური შრომები; მ. სახოკიას მიერ შესწავლილია ახალსპარსულის სიტყვათა რიგის დინამიკა კლასიკური ენის დასაბამიდან დაწყებული დღემდე (იხ.). ნაშრომთა დებულებები და დასკვნები წარმოჩენილია სათანადო თავში (იხ. სიტყვათა რიგი).

ნ. დასასრულ უნდა ითქვას, არსად ყოფილა სისავსით წარმოჩენილი განკერძოებული სიტყვები სპარსულ სინტაქსში, როგორც ეს შესრულდა მოცემულ კურსში განკერძოებული გან-

საზღვრების, დანართის, მიმართვის, ჩართულისა და სასრული ფრაზების აღწერის სახით. ცალკე განიხილება აგრეთვე დიალოგური მეტყველების ნიშნები (იხ. განკერძოება; იხ. დიალოგი და სასრული ფრაზები).

მთლიანობაში ყველა თემა და საკითხი გამდიდრებულია ავტორისეული დებულებებით, მასალით, ტიპოლოგიური თვალთახედვებით, ქართულ შესატყვისთა გამოვლენის პრიორიტეტული მიმართულებით, ელემენტური დეტალიზაციებით, იშვიათ შემთხვევათა და გამონაკლისთა აღნიშვნით, ენობრივ სიახლეთა მოძიებითა და უკანასკნელთა ინოვაციური კოდიფიკაციებით; ნორმის ვარიანტთა ჩამოყალიბებითა და არასტანდარტულ ფაქტთა ჩვენება-მითითებით.

ჯამურად. ავტორის ტიპოლოგიური თვალთახედვა, ტიპოლოგიური მიდგომები დიდწილად განსაზღვრავენ მოცემული კურსის ასევე ტიპოლოგიურ პარამეტრებს. შედეგები ეფექტურია აღწერის ენისთვის.

დროები და ტერმინები. დრო-კილოთა სინტაქსურ ფუნქციებთან, მათ პრაგმატულ და ინფორმაციულ, საკომუნიკაციო და აქტუალურ სემანტიკასთან დაკავშირებით აუცილებელია დამატებით რიგი ახსნა-განმარტების მოცემა, რაც უპრიანია სწორედ ბოლოთქმაში. დასახელებულ თემას ცალკე ვრცელი თავი დავუთმეთ (იხ. თავი). თავად ამგვარი თავის იდეა და საყრდენი სქემა აღებული გვაქვს გრამატიკულ კურსთა საფუძვლების ერთ-ერთი წამყვანი წყაროდან, რომელიც ქვემოთ შეტანილია ძირითადი ლიტერატურის სიაში. ესაა ს. ამინ-მადანისა და დ. ლუტცის გერმანულენოვანი სპარსული ენის გრამატიკა გერმანულენოვანთათვის (S. Amin-Madani, D. Lutz 1972). ცხადია, ჩვენს მონოგრაფიაში თემა ავტორისეულადაა შევსებული და განვითარებული; პირველ რიგში, საკითხთა თხრობა ექვემდებარება ქართულენოვანთათვის შექმნილი გრამატიკის პრინციპებს და ითვალისწინებს ქართული შესატყვისების ერთ-ერთ უმთავრეს თემატიკას. აღნიშნულ თავში დრო-კილოთა ფორმების კორპუსი განყოფილია მომავალი „სამი ავტორის გრამატიკის“, მორფოლოგიური ნაკვეთის ავტორის, ინგა კალაძის მიერ ჩამოყალიბებული უღლების პარადიგმის მიხედვით. ამ

პარადიგმის სქემაში დრო-კილოთა და გვართა სპარსული დასახელებანიც იქნება წარმოდგენილი. ჩვენ ვიმეორებთ ი. კალაძისეულ ქართულ სახელწოდებებს, ხოლო ზოგიერთი დროითი ფორმისთვის ტექსტში (და არა სათაურებში) მოგვყავს სპარსული სახელწოდებანიც, რადგანაც განსახილველი დროითი ფორმებიდან ნაწილი ახალია, *ინოვაციურია*, მეორე ნაწილი კი შედარებით *იშვიათია* (იშვიათად გამოყენებადია) და სემანტიკურად თუ ფუნქციურად უფრო რთულია. უკანასკნელნი საჭიროებენ როგორც შინაარსობრივ, ასევე ლიტერატურულ კომენტარს (სამეცნიერო სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ კვლევითი ხასიათის ანალიზს).

მთლიანობაში, ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დრო-კილოთა სახელწოდებებს შესაბამისი ქვეთავების ქვესათაურებში ჩვენი მხრიდანაც ვუმატებთ ყველგან დამატებით ტერმინებსაც, რათა დავხატოთ არსებული ქართული ტერმინოლოგიის სრული სურათი. ი. კალაძისეულ პარადიგმაში ჩასმულია *داشتن* დაშთან „ქონა-ყოლა“, დამხმარე ზმნი-

ანი ახალი ფორმები: კონკრეტული ანმყო *مضارع مشخص*

[მოზარე'ე მოშახხას] და კონკრეტული ნამყო *ماضي*

م مشخص [მწიფე მოშახხას]. აღნიშნულ ქართულ ტერმინოლოგიას ვუმატებთ სხვადასხვა წყაროებში არსებულ ტერმინებსაც: კონკრეტული ანმყო, პროგრესივი, ინტენსივი; იმედი-ალური, უშუალო, მყისიერი ანმყო; კონკრეტული ნამყო, პროგრესივი, ინტენსივი (იხ. დროები). აღსანიშნავია, რომ განხილვადი დროები ნებისმიერ გრამატიკულ კურსსა თუ სახელმძღვანელოში როდია წარმოდგენილი! ამდენად, მნიშვნელოვანია ამ ფორმათა ჩართვა მორფოლოგიურ პარადიგმაშიც და შესაბამისად სინტაქსური სისტემების ანალიზშიც. ასევე საკმაოდ *ინოვაციურია* და *ლირსსაცნობი ხოლმეობითი, მრავალგზისი პერფექტული რიგების წარმოჩენაც* უღლების პარადიგმაში (ი. კალაძე) და სინტაქსური ფუნქციების სისტემაში

(ბლოგში) (მ. სახოკია). არც ეს დროები შეგვხვდებათ ყველა სახელმძღვანელოსა და გრამატიკულ ნარკვევში. ეს რიგებია: ხოლმეობითი ნამყო შედეგობითი *ماضى استمرارى نقلی* [მწზიდე ესთემრწრიდე ნაყლი] და ხოლმეობითი წინარე ნამყო *ماضى استمرارى بعيد* [მწზიდე ესთემრწრიდე ბაიდ].

ჩვენ მიერ შევსებული ტერმინოლოგიით: ხოლმეობითი ნამყო შედეგობითი, განგრძობითი მრავალგზისი პერფექტი და ხოლმეობითი წინარე ნამყო, განგრძობითი მრავალგზისი პლუსკვამპერფექტი. თავისთავად, ყველა ჩამოთვლილ ფორმებს გააჩნიათ როგორც მოქმედებითი გვარი, ასევე ვნებითი და პარადიგმა თანაბრად მოიცავს გარდამავალ თუ გარდაუვალ ზმნებს. შესაბამისად, მოტანილ *მწკრივთა რაოდენობა ვერტიკალში* ორმაგდება (ორჯერ მეტია, გაორმაგებულია). ყველა დასახელებულ მწკრივთა წარმოდგენა უღლების პარადიგმასა და სინტაქსურ სისტემაში მოცემული კურსის პლუსად მიგვაჩნია.

პერფექტული რიგი საჭიროებს დამატებით ცნობებს. სხვადასხვა გამოკვლევასა თუ ნარკვევში მოძიებადია ნამყო ხოლმეობითი მრავალგზისი პერფექტის (შედეგობითის) ჯამურად თავმოყრილად კიდევ შემდეგი ტერმინოლოგიური სახელწოდება (ზოგიერთი განმარტებითურთ): ნამყო სრული განგრძობითი, ნამყო რეზულტატური მი-წინსართით, მი-პრეფიქსიანი ნამყო შედეგობითი; რთული (შედგენილი) იმპერფექტი (ინარმოება პერფექტის ფორმებზე მი-პრეფიქსის დართვით), ნამყო თხრობითი (ნარატიული) განგრძობითი, ნამყო-ანამყო განგრძობითი – ინარმოება ნამყო-ანამყო დროისგან (прошедше-настоящее) მიმღეობაზე მი-პრეფიქსის დართვით; რთული იმპერფექტი. შესაბამისი ინგლისური ტერმინი: Present Perfect Continuous.

განგრძობითი პერფექტი ან ნამყო შედეგობით-განგრძობითი; მი-პრეფიქსიანი ნამყო შედეგობითი; ნამყო სრული განგრძობითი, ნამყო ისტორიული (თხრობითი, თურმეობითი) განგრძობითი, და სხვა. ფრანგულად: l'imparfait composé; ინგლისურად: The Narrative Continuous. Past Narrative Continuous,

Present Perfect (Narrative) Continuous. რუსულად: Прошедше-
настоящее длительное. საკუთრივ სპარსული სახელწოდებანი:

گذشته نقلی ماضی نقلی استمراری, *მშზიდე ნაყლიდე ესთემრარი,*

استمراری გოზაშთიდე ნაყლიდე ესთემრარი: ნამყო ისტორიუ-
ლი (თხრობითი, თურმეობითი) განგრძობითი – ნამყო შედეგო-
ბითი + ნამყო უწყვეტელი (მი + ნამყოს მიმლეობა + პირის და-
ბოლოება); می მი + ნამყოს მიმლეობა + „ყოფნა,, ზმნის დაბო-
ლოებები; می მი + ნამყოს მიმლეობა + „ყოფნა,,.

აქ შევადაროთ და მივაქციოთ ყურადღება მცირე გან-
სხვავებებს ი. კალაძისეულ სახელწოდებებში, აგრეთვე შდრ.
ჩვენეული დასახელებანი.

მკვლევრები ხაზს უსვამენ, რომ ესაა მოქმედება თუ ვითარება,
რომელიც გრძელდებოდა და მეორდებოდა წარსულში და
დღემდე ინარჩუნებს ისტორიულ ღირებულებას. გამოიხატება
მოქმედება ან მდგომარეობა, რომელიც გრძელდებოდა ან მე-
ორდებოდა წარსულში. აღინიშნება, რომ თანამედროვე ენაში
დიდი გავრცელება ვერ ჰპოვა, ცალკე მდგომი მწკრივია და გად-
მოცემს დაახლოებით ასეთ ნათქვამთა ტიპს: گویی می خواسته

است چیزی بگوید *გუდი მიხასთე ასთ ჩიზი ბეგუდად „თითქოს
უნდოდა რალაც ეთქვა, რალაცის თქმა უნდოდა,,.*

როგორც ვხედავთ, განსაზღვრებებიცა და ტერმინებიც
ბევრია. ჩვენს მორფოლოგიურ სქემაში ი. კალაძე გზისობას უს-
ვამს ხაზს და უფარდებს ქართულ აღწერით პერფექტულ რი-
გებს (ტიპი: მას გაგზავნილი აქვს და ა. შ.), რომელსაც უპირა-
ტესობას ანიჭებს თურმეობითის ფორმებთან შედარებით. ჩვენ
ვიზიარებთ ქართული აღწერითი პერფექტების გამოყენებას ამ
შემთხვევაში, თუმცა თურმეობითებიც ასევე ბუნებრივი ქარ-
თული შესატყვისია. ქვეთავში ჩვენ ჩამოთვლილი გვაქვს გან-
ხილვადი სპარსული განგრძობითი პერფექტის მრავალი დასაშ-

ვები ქართული შესატყვისი, რომელთაგან ზოგი ტიპოლოგიურია, ზოგიც თავისუფალი შემოქმედებითი ან მხატვრული თარგმანის კუთვნილება შეიძლება იყოს (იხ. სათანადო ქვეთავი). ქართული აღწერითი პერფექტები თავისთავად ამ მონოგრაფიის ავტორის საავტორო თემატიკაა (იხ. მაია სახოკიას შრომები) და ეს ფორმები მართლაც სპარსული მრავალგზისი ნამყო შედეგობითის ერთ-ერთ ტიპოლოგიურ შესაბამისობად უნდა ჩაითვალოს.

მი-პრეფიქსიანი ნამყო განგრძობითი მრავალგზისი შედეგობითი კლასიკურ სპარსულშიცაა ცნობილი. იმავდროულად, კლასიკურ სპარსულში გვაქვს 4 ბე-წინსართიანი (პრეფიქსიანი) პერფექტიც. მართებულად ითვლება, რომ ეს ორი ფორმა თავისი წინსართებით ურთიერთოპოზიციურია (დაპირისპირებულია), რადგან ბე-წინსართი მოქმედების დასრულებულობას, წყვეტილობას გამოხატავს, ხოლო მი-წინსართი აღნიშნავს უწყვეტობას, უწყვეტელობას, დაუსრულებლობას, უსრულ განმეორადობას. ასევე ცნობილია, რომ ბე-წინსართიანი პერფექტები გაქრნენ და თანამედროვე სპარსულში არ ფიქსირდებიან, მი-პრეფიქსიანი ნამყო შედეგობითი კი განვითარდა, ბე-პრეფიქსიანი ფორმები განდევნა და თანამედროვე სპარსულშიც დამკვიდრდა.

ქართული ტერმინოლოგიისთვის გამოსადეგია ძველ ქართულში არსებული ხოლმეობითობა, გზისობა. სწორედ ძველ ქართულს შეგვიძლია დავეყრდნოთ განსახილველ სპარსულ ფორმათათვის ქართული ტერმინების შერჩევაში. აქ გასათვალისწინებელი ისიცაა, რომ ქართული მესამე სერიის მსგავსად, სპარსულ პერფექტულ რიგებსაც ზოგადად, და კერძოდ ხოლმეობითი ნამყო შედეგობითის მწკრივსაც ახასიათებს ხშირად უნახაობის, თურმეობითობის კატეგორიის სემანტიკაც. უმეტესწილად ეს ფართო ან შედარებით მცირე სინტაქსური კონტექსტებით განისაზღვრება. ამგვარად, ნამყო შედეგობით-განგრძობითი შეიძლება იყოს მტკიცებითიც (კატეგორიული) და უნახაობის (თურმეობითის) მნიშვნელობის შემცველიც (იხ. ქვეთავები).

შედეგად, ჯამში ნამყო ხოლმეობით შედეგობითს ქარ-

თულში შეესაბამება: პირველი და მეორე თურმეობითი, წყვეტილი; აღწერითი პერფექტები; აგრეთვე ხოლმეობითის მწკრივი, მესამე კავშირებითი, საერთოდ ყველა სხვა მწკრივიც, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა კონტექსტში ნამყო (წარსული დროის) გაგება. ძველი ქართულის შემთხვევაში ესაა ხოლმეობითი, წყვეტილის ხოლმეობითი; ახალი ქართულისთვის კი ძირითადი ნამყო, წყვეტილი, აორისტი. ი. კალაძისეული შესატყვისები ახალქართული აღწერითი პერფექტებია (ტიპი: „ხშირად მაქვს გაგზავნილი“), რომელსაც გვერდით შეიძლება დაუდგეს აგრეთვე პირველი თურმეობითიც, მით უფრო, თუ სახეზეა უნახაობის (თურმეობის, თურმეობითობის) სემანტიკაც: *გამიგზავნი, მიგზავნი ხშირად; თურმე ხშირად (გა) უგზავნი ხოლმე*. ი. კალაძისეულ სქემაში დამხმარე სიტყვად გამოიყენება სიტყვა „ხშირად“, რაც სავსებით მისაღებია. ეს ერთერთი დამხმარე, დამატებითი ლექსემაა, რომელიც ქართულ თარგმანში შეგვიძლია მოვიხმოთ ხოლმე ხოლმეობითობის გადმოსაცემად. ასევე შეგვიძლია დავიხმაროთ სხვადასხვა ლექსემები, როგორცაა: *ხოლმე, ჩვეულებრივ, წესისამებრ* და სხვა. უნახაობის შემთხვევაში, ამის გარდა, ვუმატებთ ნაწილაკს „თურმე“, სრული ინფორმაცია ამაზე წარმოდგენილია კურსის ტექსტში (იხ. ქვეთავები).

განსახილველი ფორმებისა და შესაბამისად შესატყვისი ტერმინოლოგიის საკითხთა თემაზე კიდევ დასაზუსტებელია და გასათვალისწინებელია შემდეგი: ა) უნახაობის. თურმეობის (თურმეობითობის) ტერმინები სხვა ენებზე: რუსული – повествовательный, неочевидный, заглазный, повествовательность, неочевидность, заглазность; ინგლისური – Historical, Traditional, Narrative, Inferential, Inferentiality; ბ) გზისობა (Repeated) – ე. წ. იტერატივი (Iterative Итеративный). იტერატივი არის წყვეტილიც და უწყვეტელიც ანუ სრულიც და უსრულიც (ტელიკი/ატელიკი Telic/Atelic). აღინიშნება, რომ გზისობა (განმეორადობა, გამეორება) ახასიათებს საერთოდ რეზულტატივს, შედეგობრიობას. ამდენად, ყველა ეს ცნება: რეზულტატივი, პერფექტულობა, განგრძობითობა, დურატიულობა, უწყვეტელობა, (მო)თხრობი-

თობა (სპარსული *تقلى* ნაყლი), გზისობა, და ა. შ. მისთ., თავ-

მოყრილია ამ ერთი-ორი ფორმის გარშემო, რასაც ემატება ფაკულტატური უნახაობის, თურმეობის (თურმეობითობის) გაგებაც. გ) ჩვენი მხრიდან, ბ) პუნქტს სემანტიკურად მივაბამდით „მოულოდნელობის,, სემანტიკასაც (გ-პუნქტს). მოულოდნელობა არცოდნას უკავშირდება და უახლოვდება უნახაობას, თურმეობას, თურმეობითობას: „ვნახე, გავიგე, მაგრამ მანამდე არ ვიცოდი, არ ველოდი; თურმე ასე ყოფილა, ასე მომხდარა,,. არსებითად, უფრო ხშირად მოულოდნელობა თურმეობის ნაწილია, მასში შედის. თურმეობითობა მოიცავს მოულოდნელობას და გაკვირვებას. მაგ.: ნამცხვარი გამოეცხო (არ ველოდი, არ ვიცოდი, არ ვფიქრობდი, არ მიფიქრია, გამიკვირდა და შესაძლოა, – გამეხარდა, გავიხარე (ან პირიქით, მეწყინა) და მისთ.). ფაქტია, რომ ამგვარ პრაგმატულ სერიათა მთელი რიგი სპეკულატურად თამაშდება ზოგადად აღნიშნულ ფორმათა და კერძოდ, – სპარსულ განგრძობით შედეგობრივ-ხოლმეობით ფორმათა გარშემო (იხ. ნიმუშები).

სპარსულ ხოლმეობით-პერფექტულ დროით ფორმებთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის კოორდინატები მინიშნებულია აქვე ბოლოთქმაში, თემატურ ნუსხაში, მუხლში „დროები,,. ნაწილი ამ ავტორებისა ანუ ზოგიერთი დასახელება შესულია სრულ ბიბლიოგრაფიულ სიაში, თუ განეკუთვნება კურსებს, არა კვლევებს (იხ).

ჯამურად, სპარსულ ხოლმეობით-განგრძობით პერფექტთა ქართული შესაბამისი ტერმინოლოგია გულისხმობს ერთად თავმოყრილ შემდეგ ჩამონათვალს: განგრძობითი პერფექტი, ნამყო შედეგობით-განგრძობითი, ხოლმეობითი პერფექტი, მრავალგზისი ნამყო შედეგობითი (პერფექტი, რეზულტატივი), იტერატიული ნამყო შედეგობითი (იტერატივი), განმეორებადი, გამეორებული, გასამეორებელი; წყვეტილი/უნწყვეტელი, სრული/უსრული მრავალჯერადობა (ტელიკური/ატელიკური); მრავალჯერადი შედეგობრივი ნამყო (ნარსული); მრავალჯერადი, მრავალგზისი, ხოლმეობითი, განგრძობითი შედეგობითი; და ა. შ. სხვა მისთ., იმავდროულად, უთუოდ თურმეობითობის (უნა-

ნაობის, არცოდნის, მოულოდნელობის) აღნიშვნით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ი. კალაძისეულ პარადიგმაში, ისევე როგორც ჩვენს სინტაქსურ კურსში, წარმოდგენილია აგრეთვე *მრავალგზისი ნამყო წინარე შედეგობითი, განგრძობითი წინარე წარსული ანუ პლუსკვამპერფექტი*. ამ ფორმაზე სხვა გრამატიკულ კურსებში საერთოდ არაა საუბარი, არადა ის არსებობს, თუმცა შედარებით იშვიათია. ეჭვგარეშეა მისი თეორიული დაშვებულობაც (იხ. სათანადო ქვეთავი).

უნდა ითქვას, რომ ხოლმეობითი ნამყო შედეგობითიც და ხოლმეობითი ნამყო წინარეც (წინარე წარსულიც) შეიძლება იყოს კოპულიანიც და უკოპულოც. სათანადო ქვეთავებში ეს მითითებაც და ჩვენს ნიმუშებში ორივე ვარიანტიც შეგვხვდება: სრული, კოპულიანი და მოკვეცილი კოპულით (უკოპულო). შინაარსი ამით არ იცვლება.

ზემოგანხილული თემები დაიძებნება კვლევათა და წარკვევთა სახით წარმოდგენილ სპეცლიტერატურაში, რომელთა ავტორები ნახსენები არიან ან ძირითად სრულ ბიბლიოგრაფიაში, ან ბოლოთქმის ტექსტში, -საკითხთა და ავტორთა მოკლე ჩამონათვალში მითითება-მინიშნების ფორმით (იხ. აქ ბოლოთქმაში თემათა და ავტორთა სია).

ნამყო განგრძობით ხოლმეობით მრავალგზისი წინარე წარსულთან ერთად იმავე ქვეთავში ნახსენები გვაქვს ნამყოს კავშირებითის განგრძობითი ხოლმეობითიც (იხ. ქვეთავი). ასეთი ფორმები არსადაა ნახსენები არც კვლევებში, არც კურსებში, არც ნარკვევებში, მაგრამ სხვადასხვა დროის ტექსტურ მასალაში შეიძლება შეგვხვდეს და გვხვდება კიდევ (კოპულით ან უკოპულოდ). ქართულად დაახლოებით გამოიხატება შემდეგი შენაარსი, – ხოლმეობითობის, შედეგობრიობისა და კავშირებითობის სემანტიკური შერწყმით: *اشس آداسميا مياشادე* (ბაშად),

اشتگميا مياشادე (ბაშად), *اشس استگميا راسنهمون مياشادე* (ბაშად) „მოვიდოდეს ხოლმე, მოსულიყოს (ხოლმე), იტრიალოს ხოლმე; ტრიალებდეს, ეტრიალა, მოსულიყო ხოლმე; მიეყვანა, ეხელმძღვანელა (ხოლმე)„.

მაგალითი:

می بايست نگارنده را به اين نتيجه راهنمون می گشته

ნეგარანდერა ბე ინ ნათიჯე რაჰნემუნ მიგაშთე „მწერალი ამ შედეგამდე/შედეგისკენ უნდა დაეკვალიენებინა/მიეყვანა (ხოლმე)“, (ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის ერთი თეატრთმცოდნეობითი მონოგრაფიული ნარკვევიდან: მ. ესქუი, „ირანული თეატრის ისტორია (მიმოხილვა)“, „(სეირი დარ) თარხე თართე ირან“, მუსტაფა ესქუი, (აგრ. ბიჟან მოჭიდ და სხვა), თეჰრან, ნაშრ. ანაჰიტა ესქუი, 1999/2009, გვ. 654, სულ 1534 გვ.). ეს მხედველობაში მისაღება (იხ.).

ესა კავშირებით კილოში განგრობითი შედეგობრიობა სასურველი მოქმედებით; იგულისხმება შესრულების ვარაუდი ან ცოდნა, მაგრამ დანამდვილებით (დაზუსტებით) მთქმელმა ჯერ არ იცის, შესრულდება თუ არა (ეჭვის გამოსატყა კი კავშირებითის ფუნქციაშია). ამ შემთხვევაში ფორმა უკოპულოა: می

گشته میگاشთე (ბაშად). თეორიულად კი ორივე ფორმა დასაშვებ-

ბია. ესაა, როგორც ჩანს, ცალკეული, იშვიათი, გამონაკლისი ფორმა; მაგრამ წინათ განხილულ ფორმათა კვალობაზე ის სრულიად ბუნებრივი ფორმაა, პარადიგმულად სანარმოებელი და უღლების ვერტიკალის სისტემაში იოლად და მარტივად წარმოსადგენი სემანტიკურადაც, პრაგმატულ-შინაარსობრივადაც. მას შეიძლება მივანიჭოთ ტერმინი: განგრძობითი (განგრძობით-ხოლმეობითი) მრავალგზისი ნამყოს კავშირებითი. მოცემულ შემთხვევაში, უკიდურესი გამონაკლისობის გამოსობით, ჩვენ თავზე არ ვიღებთ ასეთ ფორმათა გამოცხადებას სრულუფლებიან დროით პარადიგმულ ერთეულად, მაგრამ ამ საჭიროებას თუ უმართებულობას მხოლოდ თავად ცოცხალი ენის დინამიკა დაგვანახვებს სამომავლოდ. ჩვენ ჩართული გვაქვს ეს შემთხვევა ძირითად ტექსტსა და ბოლოთქმაში იმის საფუძველზე, რომ წინამდებარე ნარკვევი ითვალისწინებს იშვიათ შემთხვევებსა და გამონაკლისებსაც. დავძენთ, რომ განხილვადი ფორმა

მოქცეულია ორპრედიკატული სპეცკონსტრუქციის (სპკ) სტრუქტურაში, როგორც პრედიკატული აქტანტი ანუ ძირითადი ზმნა (დამხმარე ზმნა *می بایست* მიბაიესთ „უნდა“-სთან ერთად, რომელიც აგრეთვე მი-პრეფიქსიანია ანუ განგრძობითია). ამიტომ ეს ნიმუში ორპრედიკატულ სტრუქტურებშიც გვაქვს შეტანილი,-ცხადია, იშვიათი მაგალითის სახით (იხ. თავი სპკ, ოკ).

ჯერ-ჯერობით ვირტუალურ მრავალგზის ნამყოს კავშირებითს ცალკე დროდ ვერ და არ გამოვყოფთ, თუმცა იგი თეორიულად დასაშვებია, ჯდება პარადიგმაში. ის უნდა განიხილებოდეს და აღინიშნებოდეს როგორც იშვიათობა, – გრამატიკული მსჯელობის საგანი.

შემდეგი საკითხია ე. წ. ანმყოს კავშირებითი. აუცილებელია განიმარტოს ამ სახელწოდებით ცნობილი ფორმის ახალი დასახელება. ი. კალაძისეულ პარადიგმაში ტრადიციული ანმყოს კავშირებითი ასეა წარმოდგენილი: ანმყო-მომავლის კავშირებითი *مضارع التزامی* [მოზარე ელთეზამი]. ჩვენს

სინტაქსურ სისტემაში შემდეგნაირი ქვესათაური გვაქვს: ანმყოს (მყოფადის, მომავლის) კავშირებითი, ანმყო-მომავლის კავშირებითი. ჩვენ ვიზიარებთ ი. კალაძის მიერ შეტანილ კორექციას განხილვადი ფორმებისთვის ორმაგი სახელწოდების მინიჭების შესახებ. ე. წ. ანმყოს კავშირებითი წამყვანი პრაგმატულ-სიტუაციური სემანტიკის მიხედვით ძირითადად მომავალ გრამატიკულ დროს ეკუთვნის (მყოფადს). უფრო მეტიც: დღევანდელ სასაუბრო სპარსულში ხშირად პირდაპირ გამოხატავს მყოფადს, მომავალს და თითქმის უტოლდება მნიშვნელობით მომავალ კატეგორიულს (იხ). იმავდროულად, ეს ფორმები შინაარსით ზოგჯერ ანმყოსაც უახლოვდებიან და თითქმის უტოლდებიან ანმყო-მომავლის (ანმყო-მყოფადის) მწკრივის პრაგმატულ სემანტიკას (იხ). ასეთი ნიუანსები ვლინდება პრაგმატულ-სემანტიკური კონტექსტებისა და სიტუაციური ვითარების გათვალისწინებით. ამდენად, საქმე გვაქვს ორმაგ სემანტიკასთან. რაც შეეხება თავად ფორმას: სახელწოდება ან-

მყოს კავშირებითი სწორედ რომ ფორმალური წარმოებითაა განპირობებული. ფორმა ინარმოება ანმყოს ფუძისგან, ეყრდნობა ანმყოს ფუძეს. მორფოლოგიურად ანმყოს კავშირებითი ანმყოს ფუძის ჯგუფში შედის, მაგრამ შინაარსით უფრო მყოფადს განეკუთვნება. იგი გამოხატავს პირველ რიგში სამომავლო მოქმედებას კავშირებით კილოში. ამიტომაც საუკეთესო გადაწყვეტაა, ორმაგი ბუნებიდან გამომდინარე, ამ მწკრივს ეწოდოს ორმაგი სახელი: *ანმყო-მომავლის*, *ანმყო-მყოფადის* კავშირებითი. შესაბამის ქვეთავში ასეცაა წარმოდგენილი (იხ. დროები, ქვეთავი).

პირობითი რთული წინადადების ტაბულებში და მონოგრაფიის ტექსტის სხვა ნაწილებში შეგვხვდება სახელწოდების სხვადასხვა ვარიანტები: ძველიც და ახალიც. ტექნიკურად ყველგან ვერ არის შეცვლილი ტრადიციული სახელწოდება, მაგრამ მორფოლოგიური თვალსაზრისით ეს არაა შეცდომა. ახალი, გაორმაგებული ტერმინი კი უკეთესად, სრულად გამოხატავს განსახილველი მწკრივის ფორმასა და შინაარსს ერთდროულად. აქ, ბოლოთქმაში ვადასტურებთ ტერმინის ახალი ვარიანტის უპირატესობასა და მისი დანერგვის საჭიროებას.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შევნიშნავთ, რომ ზოგიერთ რუსულ-ევროპულ სახელმძღვანელოში მოხვედრილია ანმყო-მყოფადის კავშირებითის მწკრივის სრულიად გაუგებარი სახელწოდება: *აორისტი*. ტერმინი *აორისტი* სინამდვილეში ყველა ენის გრამატიკაში და საზოგადოდ ზოგად ენათმეცნიერებაში, აღნიშნავს ყოველთვის ნამყო დროს, წარსული დროის ძირითად მწკრივს, წყვეტილს. თუ შეგვხვდა ეს ტერმინი სპარსული ანმყო-მყოფადის კავშირებითის აღსანიშნავად, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ტერმინთა შემთხვევითი აღრევაა, გაუგებრობაა.

ლიტერატურა და ბიბლიოგრაფიული სიები
(დიდი და მცირე სია). *სრულ (დიდ) ბიბლიოგრაფიულ სიაში* წიგნის ბოლოს მხოლოდ *საფუძვლები* სახელდება. როგორც უკვე ითქვა არაერთგზის, ესაა: გრამატიკული კურსები და ნარკვევები, სახელმძღვანელოები, სასწავლო საკითხავი წიგნები, კომპენდიუმები, ქრესტომათიები, ენის საფუძვლთა აღწერები

(„საფუძვლები“), გამონაკლისი თემატური მონოგრაფიული ნარკვევები კურსისა ან კომპენდიუმის სახით, გარკვეული აკადემიური ლექსიკონები (თუ ვერტიკალები შეიცავენ სათანადო მასალას) და მისთ. *მცირე სიაში* რომელიც განთავსებულია აქვე ბოლოთქმაში, ჩამოთვლილია გარკვეული თემებისთვის წამყვან კვლევათა ავტორები. არსებითად, ფაქტობრივად და მოძიების თვალსაზრისითაც, პირველ რიგში ამის წყაროა თავად მ. სახოკიას შრომები და ამ შრომებში წარმოდგენილი გამოყენებული დიდძალი ლიტერატურა; შემდგომ კი, – ჩამონათვალში დასახელებულ სხვა ავტორთა შრომები შესაბამისი თავისი ბიბლიოგრაფიით და ა. შ.

კატეგორიულად არ არის შეტანილი (ვერც იქნებოდა) დიდ სიაში კვლევითი ნაშრომები, ფუნდამენტურ კვლევათა ამსახველი უზარმაზარი (თუნდაც „ძირითადი“) ლიტერატურა.

მცირე სიაშიც (გვარ-თემათა ჩამონათვალში) პირველ რიგში ჩაწერილია ისეთი კვლევები, რომელთა კონკრეტულმა მასალამ (რეალურმა მაგალითებმა) ან თეორიულმა დებულებებმა დიდი გავლენა იქონიეს ამ წიგნის ავტორის შეხედულებებზე, მოსაზრებებზე და თვალთახედვებზე, რაც აისახა კიდევაც მოცემულ კურსში. ამ ჩამონათვალში *თემებისა და საკითხების* მიხედვით, ყველა ავტორთა გვარ-სახელი დასახელებულია ჯერ ქართულად, შემდეგ კი ორიგინალის ენაზე; ქართველ ავტორთა გვარ-სახელიც, რომელთა ნაშრომები დაბეჭდილია სხვა ენებზეც, წარმოდგენილია აგრეთვე იმავე ენაზე (იხ.).

საბოლოო ჯამში, *მცირე სიაში* მოხვედრილია უძირითადესი ლიტერატურის მინიშნება-მითითება *პრიორიტეტულ საავტორო საკითხებზე*. დანარჩენი სპეცლიტერატურა განთავსდა დიდ სიაში (იხ.).

ცხადია, ზოგი ავტორი თემის მიხედვით მოხვედრილია ორივე სიაში: თუკი მცირე სია ასახავს რაიმე თემას, რომელიც განვითარებულია არა კვლევით ნაშრომში ოდენ, არამედ რომელიმე ნარკვევში, კურსში.

თვალსაჩინოებისთვის და ძიების შემთხვევაში მოძიების გასაადვილებლად, ქვემოთ საწყისი, ათვლის წერტილთა სახით ტექსტში სრულადაა დასახელებული *მაია სახოკიას* ერთ-ერთი

სტატია და მისივე შრომათა კრებული (იხ.). ეს სტატია აერთიანებს ჯერ-ერთი მრავალ საავტორო თემა-საკითხს, მეორეც, – იქვე თავმოყრილია დიდძალი სპეცლიტერატურა. შრომათა კრებულში კი თავმოყრილია მ. სახოკიას ბევრი სტატია და შესაბამისად ამ სტატიებით მისანვდომი ხდება ბევრი სხვა ავტორიც. ამ წყაროებიდანვე მოძიებადია მ. სახოკიას სხვა მონოგრაფიები, მისივე სხვა სტატიები და დისერტაციები, რომელთა გზით შეიქმნება გასასვლელი უფრო დიდ, ფართო ბიბლიოგრაფიაზე და ა. შ. დაინტერესებული მკითხველი სურვილისამებრ ასე გაიკვლევს გზას.

სხვა ავტორთა ნაშრომებში, რომელთა გვარ-სახელებს შეზღუდული რაოდენობილ აქვე წარმოვადგენთ იმ ძირეულ საკითხებთან ერთად, რომელიც აქტუალურია მოცემული მონოგრაფიის შინაარსისთვის. გვარ-სახელები აღინიშნება ძირითად ენებზე, რომელზედაც ამ ავტორთა შრომები მოიპოვება, ქართულად კი ყველა გვარ-სახელია წარმოდგენილი თვალსაჩინოდ. ხაზს ვუსვამთ, ეს ჩამონათვალი ითვალისწინებს მხოლოდ *ინოვაციებს*, – *ინოვაციურ ფაქტებსა და ინოვაციურ ინტერპრეტაციულ მიდგომებს* (და არა ზოგადად საკითხებს, რაზედაც ლიტერატურა უზარმაზარია). ამდენად, ინოვაციურად განსაკუთრებით ყურადსაღებ საკითხებზე დაინტერესებულთ შეუძლიათ მოიხილონ პირველ რიგში *მაია სახოკიას* შრომები (მონოგრაფიები, სადისერტაციო ნაშრომები და სტატიები), აგრეთვე, – ამ ნაშრომებში დასახელებული დიდძალი ლიტერატურა, ბიბლიოგრაფიულ ჩამონათვლთა სიებში (ავტორები და ამ ავტორთა შრომებში თავის მხრივ წარმოდგენილი დასახელებანი) და ა. შ.; ქვემოთ მოყვანილ თემატურ საკითხთა და ავტორთა მოკლე ჩამონათვალში გვარ-სახელები ყველა შესაბამისი ენის ფორმებითაა წარმოდგენილი (რა ენებზეცაა არსებული შრომები ზოგადად). ეს სია უმოკლესია, – დასახელდა მხოლოდ მოცემულ *ინოვაციურ მიდგომებთან* მჭიდრო სიახლოვეში მყოფი ნაშრომების ავტორები ან ისეთ ნაშრომთა ავტორნი, საიდანაც მოცემული მონოგრაფიის ავტორმა ისარგებლა *კონკრეტული ენობრივი მასალით* (ენობრივი ნიმუშებით, მოვლენათა მაგალითებით). თავისთავად, ამ ჩამონათვალში შედის თავად *მაია სახოკიას* ნაშრომებიც (გამოყოფილი თემების შესაბამისად), საერთო სი-

ით. კერძოდ (იხ. მუხლი ქვემოთ: საკითხები და ავტორები, მცირე ბიბლ სია):

საკითხები და ავტორები (მცირე ბიბლიოგრაფიული სია).

სიტყვათა რიგი: მაია სახოკია (M. M. Сахокия); ჟ. ლაზარი (G. Lazard); ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი; (S. amin-Madani, D. Lutz); გ. მაჰმუდოვი (Г. Ш. Оглы. Махмудов); და სხვ.

პირობითი წინადადება: მაია სახოკია (M. M. Сахокия), იულია პანოვა (Ю. Н. Панова), ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი; (S. amin-Madani, D. Lutz).

როული ზმნები: ი. რუბინჩიკი (Ю. А. Рубинчик, I. Rubinchik), მაია სახოკია (M. M. Сахокия, M. Sakhokia), ო. ხადარცევი (О. А. Хадарцев, O. Khadartsev); შ. ტელეგდი (Zc. Telegdi), გ. გვენცაძე (Г. С. Гвенцадзе), ლ. პეისიკოვი (Л. С. Пейсиков), გ. გოლევა (Г. С. Голева), ა. ჯავოვი (А. Г. Джавов), ა. ვიდრინი (А. П. Выдрин), ა. ვერეტენიკოვი (А. А. Веретенников), ნ ფემილი (N. Family), ს. ფრიცი (S. Fritz), ლ. ქარიმი-დუსტანი (Gh Karimi-Doostan), ზ. მანაგაძე (Z. Managadze), მ. მოყადამი (M. Moqaddam), ნ. ნახუცრიშვილი (Н. Г. Нахуцришвили); შ. განჯავი, კ. მეგერდუმანი (Sh. Ganjavi, K. Megerdooimian);

წინდებულები, წინდებული *თ* თუ: მაია სახოკია (M. M. Сазокия, M. Sakhokia); ლ. პეისიკოვი (Л. С. Пейсиков); ი. რუბინჩიკი (Ю. А. Рубинчик);

ზმნური ობიექტური მარკერები: მაია სახოკია (M. M. Сахокия, M. Sakhokia), ჟ. ლაზარი (G. Lazard); ზმნური სუბიექტური მარკერები: კ. პოლიაკოვი (К. Поляков), მ. სახოკია (M. M. Сахокия);

წინადადების წევრთა კლასიფიკაცია: მაია სახოკია (M. M. Сахокия, M. Sakhokia), ჟ. ლაზარი (G. Lazard), ი. რუბინჩიკი (Ю. А. Рубинчик), თ. დემეტრაშვილი (T. M. Деметрашвили), ა. ვიდრინი (А. П. Выдрин); ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი; (S. amin-Madani, D. Lutz);

ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება: მაია სახოკია (M. M. Сахокия, M. Sakhokia); ჟ. ლაზარი (G. Lazard), ი. რუბინჩიკი (Ю. А. Рубинчик, I. Rubinchik); ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი; (S. amin-Madani, D. Lutz);

ر ر ت თანდებული: ი. ოვჩინიკოვა (И. К. Овчинникова); ა. ვერეტენიკოვი (А. А. Веретенников, A. A. Veretennikov); მაია სახოკია (M. M. Сахокия, M. Sakhokia); ჟ. ლაზარი (G. Lazard); ი. რუბინჩიკი (Ю. А. Рубинчик, I. Rubinchik); ა. ვიდრინი (А. П. Выдрин); ქ. გადილია (К. Т. Гадилія, K.Gadilia); ა. ტომსონი (А. Томсон); შ. განჯავი (Sh. Ganjavi), ფ. ფაყირი (P.Faghiri), პ. სამველიანი (P.Samvelian), ა. ნაჯაფი (A.Najafi); ს. ქარიმი (S. Karimi); ლ. თუშიშვილი; ო. ხადარცევი (О. А. Хадарцев); მ. დაბირ-მოყადამი (M. Dabir-Moqaddam); და სხვ.

წინდებულები: მ. სახოკია (M. M. Сахокия, M. Sakhokia); ი. მაზურივა (Ю. В. Мазурова); ნ. ნახუცრიშვილი (Н. Г. Нахуцришвили, N. Nakhutsrishvili); შ. რაზავი (Sh. Razavi); ა. სეიდი-ვაფაი (A. Seyedi-Vafai); და სხვ.

س ا არტიკლი; ი და რა ერთად: მაია სახოკია (M. M. Сахокия, M. Sakhokia), ი. რუბინჩიკი (Ю. А. Рубинчик), ქ. გადილია (К. Т. Гадилія),

იზაფეთი: პალმერი (A. Palmer), თ. დემეტრაშვილი (T. M. Деметрашвили, T. Demetrashvili); ჰ. ჰაიდერი (H. Haider); ჰ. ჰაიდერი, რ. ცვანციგერი (H. Haider, R. Zwanziger); და სხვ.

დრო-კილოთა ფორმები წინადადებაში: ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი; (S. amin-Madani, D. Lutz); თ. რევია (T. Revia).

დროით ფორმათა პარადიგმები, სემანტიკა და ტერმინოლოგია: ი. კალაძე, მ. ჩიქობავა; ვ. რასტორგუევა (B. C. Расторгуева); ჟ. ლაზარი (G. Lazard); ი. რუბინჩიკი (Ю. А. Рубинчик); ნ. თეკტონი (N. M. Thackston), ნ. ვაზინფური (N. Vazinpoor); თ. ფურნამდარიანი (T. Purnamdarian); ა. მოყადამი (A. S. Moqaddam); თუშიშვილი; თ. რევია (T. Ревия); და სხვ.

მოდლობა და მოდალური მორფოსინტაქსემები (მათ შორის ოკ და მპკ): ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი (S. amin-Madani, D. Lutz); მაია სახოკია [ორ- და მრავალპრედიკატული კონსტრუქციები (ოკ და მპკ)] (M. M. Сахокия, M. Sakhokia);

სპეციალური კონსტრუქციები (სახელდება, ზმნური მორფები და პირის მარკერები, მოძრავი (მობილური) კლიტიკები, ენკლიტიკური კონსტრუქციები, ორ(მრავალ)პრედიკატული კონსტრუქციები (ოკ, მპკ), იმპერატივი და იმპერატიული კონსტრუქციები); სხვადასხვა სპეციფიკაციები და თავისებურებანი (ყველა სპკ, მოცემული მონოგრაფიის მიხედვით): მაია სახოკია ((M. M. Сахокия, M. Sakhokia) [საავტორო თემები].

წინადადებები შინაარსის მიხედვით (პირობა, ნატვრა, იმპერატივი, მოდალობა, აუცილებლობა, ძახითობა და სხვა), სიუჟეტური შესაძლებლობები და სცენარული ვარიანტები: ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი; (S. amin-Madani, D. Lutz); მაია სახოკია [მათ შორის,– ორ- და მრავალპრედიკატული კონსტრუქციები (ოკ და მპკ)] (M. M. Сахокия, M. Sakhokia).

რეალობა-ირეალობის გამოხატვა (პრამატიკა და სიტუაციური სინტაქსი; სიტუაციური სიუჟეტები და სცენარები: აქტუალობა, ინფორმაციულობა, პრამატული სემანტიკა): ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი (S. amin-Madani, D. Lutz); მაია სახოკია (M. M. Сахокия, M. Sakhokia); იულია პანოვა (Ю. Н. Панова).

განკერძობა, აპოზიცია და სასრული ფრაზები: ი. სამარე (Y. Samareh); ს. ამინ-მადანი, დ. ლუტცი (S. amin-Madani, D. Lutz); მაია სახოკია (M. M. Сахокия, M. Sakhokia).

და მრ. სხვა.– გამოწვლილვითი განხილვის შემთხვევაში, კიდევ შეიძლება გამოიყოს თემები, საკითხები და ავტორები, თუმცა ეს პროცესი შესაძლოა დაუსრულებელი აღმოჩნდეს და ამ ეტაპზე შეგვიძლია ზემოთ მოტანილი ჩამონათვლებით დავკმაყოფილდეთ. ეს *მორფოსინტაქსურ პრობლემატიკის ლერძია*, საკმაოდ *ლერძული საკითხებია სპარსული მორფოსინტაქსის სფეროში*. ზემოთქმულს უნდა დავმატოს სათქმელად ის ფაქტორიც, რომ ყველა თემა და საკითხი განხილვა ქართულ ენასთან მიმართებაში, ქართული შესატყვისების გათვალისწინებით, ორენოვანი კურსის პრინციპით, ორენოვნების პლანში, ორენოვანი ტიპოლოგიური გრამატიკული ხედვით (თვალთახედვით). (იხ. აგრ. ძირითადი ლიტსია).

ავტორთა თანმიმდევრობა წარმოსახულია პრიორიტეტული სამეცნიერო ნიშნითა და/ან ქრონოლოგიური უპირატესობით, აგრეთვე ზოგჯერ მოცულობითი თეორიული უპირატესობით, მნიშვნელობით, – და არა ანბანური რიგით. პირველ ადგილზე ნახსენებია თითქმის ყველგან მოცემული მონოგრაფიის ავტორი (მაია სახოკია), რადგანაც ნაგულისხნევი ლინგვისტური თემატიკა სწორედ მის მიერაა აქ თავმოყრილი, წარმოჩენილი და ავტორისეული თვალსაზრისით გაშუქებული. ეს საავტორო გრამატიკული კურსია და გამოყოფილი ენობრივი მოვლენები ავტორის ხედვის შესაბამისადაა გაანალიზებული და ინტერპრეტირებული. ამიტომაც ავტორის სახელი პირველ ადგილზე დგას. იმავდროულად, ამ თემატიკასთან, მასალასთან და ანალიზთან საკმაოდ დაახლოებული სხვა კვლევებიც ჩაყენებულია საერთო სურათის სრულყოფის საკითხთა რიგში. ძირითადად ამ შემთხვევაში სწორედ მცირეტანიანი ნაშრომები, სტატიები იგულისხმება, რომელიც ამ მონოგრაფიის ბიბლიოგრაფიულ სიაში არ შეგვიტანია. ზოგიც ბიბლიოგრაფიაში დასახელებულ სქელტანიან შრომებსაც შეეხება. დასახელებულ ავტორთა მონაცემები (ისევე როგორც აგრეთვე სხვა ავტორთა შრომების დასახელებანი) შეგიძლიათ იპოვოთ *მაია სახოკიას*

მრავალრიცხოვან შრომებში (დისერტაციები, სტატიები და მონოგრაფიები). ქვემოთ მოტანილია ოდენ ყველაზე საკვანძო თემატური კვლევები. აქ მხოლოდ დაწურულადაა ნახსენები ის ავტორები, ვის შრომებიდანაც ამოღებულია კონკრეტული მასალა ან/და ვისი ანალიზებიც და დასკვნებიც შეესაბამება მოცემულ მონოგრაფიაში წარმოდგენილ ინტერპრეტაციებს, რაც აქტუალური, მნიშვნელოვანია და გამართლებულია უშუალოდ წარმოჩენილი საკითხების გაშუქებისთვის. *გამოყოფილი ორიენტირები*, ისევე როგორც სხვა დიდძალი მონაცემები დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მოიძიონ აგრეთვე ბიბლიოთეკების ფართო თემატურ თუ სახელდებით კატალოგურ კომპლექსებში ან ინტერნეტსივრცეებში (აგრეთვე სხვადასხვა სახის ინიციატივების გზით).

კარგი მაგალითია ამ სიის აქტუალობისთვის სხვადასხვა ცალკეული მონაცემი. მაგ, ი. რუბინჩიკი თავისი აკადემიური გრამატიკის ბოლოსიტყვაობაში (დასკვნებში, გვ. 579) აღნიშნავს შემდეგს: „...დამატებით კვლევებს საჭიროებს წინადადების მთავარ წევრთა რიცხვში შეთანხმების პრობლემა, გამოყოფითი არტიკლისა და თანდებულ ორ-რა-ს გამოყენება, ამ გრამატიკულ ნიშან-

თა სავალდებულო და ფაკულტატურ ფუნქციობათა შემთხვევები, ამ და სხვა პრობლემათა უსწრაფესი გადაწყვეტა უეჭველად ხელს შეუწყობს სპარსული ენის სწავლების გაუმჯობესებას არა ოდენ უცხოელი სტუდენტებისთვის, არამედ თავად ირანის სკოლებისა თუ სხვადასხვა საშუალო და უმაღლესი სასწავლების მონაფეთათვის„ (იხ.: *А. Рубинчик, Грамматика современного персидского литературного языка*, Изд. Фирма, Восточная литература, РАН, Москва, 2001; იხ. ბიბლიოგრაფია ქვემოთ). აი ასეთ დონეზე გამოყო ი. რუბინჩიკმა –რ-თანდებულის საყურადღებო, მართლაც საინტერესო საკითხი და ჩვენც უკვე არაერთგზის გამოვყავით და აქაც გამოვყოფთ ამ ე. წ. *თანდებულის* თემას, რომელიც სინამდვილეში უკვე აღარ არის ოდენ თანდებული, არამედ *ზმნური კლიტიკაცაა* და რომელსაც ჩვენ უკვე ზოგადად ვუწოდებთ *ელემენტს*. ეს *ელემენტი ფაქტობრივად და არსებითად, სახელურიცაა და ზმნურიც* (იხ. აგრ. ბოლოთქმის მუხლი: საავტორო თემები, ენობრივი სიახლეები, ინოვაციური კოდიფიკაციები)..

სწორედ ამ მიმართულებას ვაგრძელებთ, ვავითარებთ ამ მო-

ნოგრაფიაში და ვავსებთ ინოვაციების სფეროს. ყველა ეს საკითხი და გაცილებით მეტი სხვაც, ჩვენი კვლევებისა და აღწერის უშუალო საავტორო თემების რიგში დგას; საავტორო კვლევითი, აკადემიური გრამატიკული კურსის სფეროებს ეკუთვნის. ეს თემები ფავორიტებია, – ფავორიტი გამორჩეული, გამოყოფილი, ხაზგასმული საკითხები. ეს ახსნა-განმარტებაც და სიაც ნათელყოფს, თვალსაჩინოს ხდის, თვალსაჩინოებად აქცევს იმას, თუ რა ფავორიტი თემებია წამონეული წიგნში, რომელიც ბევრად აღემატება რიცხობრივადაც, მასალობრივადაც და ანალიზის მოცულობითაც ამ ბოლოთქმაში ზემომოყვანილ ჩამონათვალში მოტანილ საკითხებსა და თემატიკას. რაც მთავარია, ამ ანალიზში წარმოდგენილია *ინოვაციური მიდგომები, ავტორისეული მოსაზრებები, ავტორისეული დასკვნები, ახლებური არასტანდარტული დებულებები, ტიპოლოგიურ კვლევებზე დამყარებული კოდიფიკაციები აღნიშნულია და გაშუქებულია ქართულ გრამატიკულ შესატყვისთა არსი*. იმავდროულად, ეს ნაკვეთები შეიცავს დიდძალ ავტორისეულ მასალას, მოზიდულს ავტორის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის, – პრივატული ინფორმანტული მონაცემების სახით პირადად. აქ კვლავ მოკლედ ჩამოვთვლით ამ თემებს, საკითხებსა და პრობლემებს: წინადადების წევრთა კლასიფიკაცია და კოდიფიკაცია, წინადადების წევრთა გამოხატვის ფორმები, მარტივი და რთული ფორმები, მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები, მთავარ წევრთა ორი რიგი და ზმნაში (შემასმენელში) მათი ასახვის საკითხები; ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში; მართვის საკითხები სპარსულში; სიტყვათა რიგი (ნორმა, ტენდენცია, დინამიკა, ინვერსია, თავისუფალი სიტყვათგანლაგება); დამხმარე ელემენტები წინადადებაში; პირობითი წინადადების კომბინაციები ქართული შესატყვისებითურთ; უბრალო დამატება და გარემოებითი სიტყვები, სხვადასხვა წინდებულები წინადადებაში, წინდებული *ჟ თუ*; დამატებებისა

და გარემოებითი სიტყვების ურთიერთგადაკვეთა, რთული სტრუქტურის მსაზღვრელები (წინდებულური იზაფეთები, დანართები, დანართული პასაჟები და სხვა), გარემოებითი მსაზღვრელები, რთული ზმნა როგორც შემასმენელი და აქედან გამომდინარე რთულზმნური სირთულეები; მსაზღვრელთა ჯაჭვებისა და სხვა

ნევრთა ურთიერთმიმართებები; სიტყვათა რიგის სირთულეები (ნორმა, ინვერსია, თავისუფალი რიგი, ტენდენ(ცია)ები და ვარიანტები; ინვერსიის ხარისხთა შკალა); სხვადასხვა დამხმარე ელემენტები წინადადებათა შინაარსისთვის, სპეციალური კონსტრუქციები (სპკ), სპეციალურ კონსტრუქციათა სახეები, სპეციალური კონსტრუქციები წინადადებაში; ქვენწყობის სირთულეები, სემანტიკა და სტრუქტურები; ზერთული წინადადებები, უკავშირო წინადადებები; ერთგვარი ნევრების ვარიანტები (შერწყმული წინადადების დეტალიზაციები); წინადადებები შინაარსის მიხედვით (პირობა, ნატვრა, იმპერატივი, მოდალობა, აუცილებლობა, ძახითობა და სხვა), სიუჟეტური შესაძლებლობები და სცენარული ვარიანტები; პირობითი წინადადების სტრუქტურები, კომბინაციები და სირთულეები; პირობითი წინადადების ვარიანტთა ქართული შესატყვისები და ამ შესატყვისთა ვარიანტები; ირეალობის გამოხატვა, მისი ტიპები და სირთულეები; პრაგმატული სემანტიკა და სიტუაციური სინტაქსი; რეალობა-ირეალობის გამოხატვა (პრაგმატიკა და სიტუაციური სინტაქსი; სიტუაციური სიუჟეტები და სცენარები: აქტუალობა, ინფორმაციულობა, პრაგმატული სემანტიკა); რეალურ და ირეალურ სიტუაციათა სიუჟეტები და სცენარები (პრაგმატიკა, აქტუალიზაცია, საინფორმაციო სტრუქტურები და ინფორმაციული ველები); დრო-კილოთა ფორმები წინადადებაში (შინაარსი და ფუნქციები); განკერძოება და განკერძოების ტიპები; სასრული ფრაზები და ა. შ. სხვა. შესაძლებელია თემატურ საკითხთა და პრობლემათა გამრავლება დეტალური ჩამონათვალისა და არსობრივი დეტალიზაციის გზით (დანვრილებითი აღწერა იხ. სარჩევში; იხ. ტექსტი).

რაც მთავარია და საერთოა ძირითადად ყველა თემისთვის და საკითხისთვის, – სპარსული ენის მონაცემები განიხილება მოცემულ მონოგრაფიულ გრამატიკულ კურსში ქართულთან მიმართებაში, ქართული შესატყვისების გათვალისწინებითა და ხაზგასმით; შესატყვისების წარმოჩენისას იგულისხმება ყველა სხვადასხვა შესაძლო ტიპი: ტიპოლოგიური ლინგვისტური პარალელი, ზუსტი ლინგვისტური თარგმანული ვარიანტი თუ თავისუფალი თარგმანი, აგრეთვე, – მხატვრული თარგმანების ვარიაციული შესაძლებლობების ჩარჩოებიც. ამდენად, ერთის მხრივ ხდება შეძ-

ლებისდაგვრად ყველა დასაშვები ქართული ვარიანტის წარმოდგენა, მეორეს მხრივ, – ხშირად ნაჩვენებია წმინდა ლინგვისტურ-ტიპოლოგიური შეპირისირებითი, შედარებითი ანალიზის შედეგები, რაც სასარგებლოა ამა თუ იმ სპარსული ფორმისა და სტრუქტურის გასააზრებლად. ამის საფუძველზე უნდა ითქვას, ესაა ორენოვანი გრამატიკული კურსი ქართულენოვანი მკითხველისთვის, და შესაძლოა, – საგულისხმო და ღირებული ქართულის თვალსაზრისითაც, ქართული ენის შემსწავლელი სპარსულენოვანი მომხმარებლისთვისაც. ორენოვნების არსი და დანიშნულება მნიშვნელოვანი იყო მოცემული მონოგრაფიის წერისას ავტორისეული მიზნებისთვის და ამოცანებისთვის.

